საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3.1978

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

3.1978

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца.

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.IX.78; შეკვ. 1417; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 18.90; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.35; უე 04118; ტირაჟი 1500
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ამბარის განთავისუფლების 100 წლისთავი

გ. პაიჭაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი ოხმალთა ბატონობისაგან ამბარის განთავისუფლების შესახებ XIX ს-ის 70-იან წლებში 5

წერილები

ლ. ჩიქოვანი, ნ. გ. ჩერნიშევსკი (დაბადების 150 წლისთავი) 17
ს. ჩხარტიშვილი, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თავისებურებანი და კანონზომიერებანი 29
ვ. აბრამიშვილი, ნ. ხიზანაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულების ზოგიერთი საკითხისათვის 42
გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ 54
ნ. ურუშაძე, უძველეს ბრინჯაოს ნაკეთობათა გამოსახულებების რელიგიურ-მაგიური ფუნქციები 64

ცნობები და შენიშვნები

გ. გამყრელიძე, ტოპონიმ „სოფლიონი“-ს საკითხისათვის ეთნოგრაფიული მასალების შუქზე 78
გ. ჩაჩაშვილი, ქართული სართავი ტექნიკის შესახებ 94
ჟ.-ლ. ბაკე-გრამონი, ოხმალები და საქართველო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში 98
ი. შერვაშიძე, გ. ნურზაი, ფუშთური- „ძვირფასეულობით შემკული ისტორია“, გიორგი XI და მისი ქართველი მეომრებიხ შესახებ 106
გ. გამყრელიძე, ვანის მთისძირის ახალაღმოჩენილი ადრეული შუახაუკუნეების ნაგებობა 109
მ. ხვედელიძე, მემფისის ტრაქტატი და მისი ადგილი ძველი ეგვიპტის რელიგიის ისტორიაში 124
გ. ჯორბენაძე, სამეთუნეო ქურები სოფელ თრანში . 136

დისკუსია და განხილვა

ი. ანთელავა, ერთხელ კიდევ XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის 151
ზ. ალექსიძე, ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკული წარწერების თარიღისათვის 171
ზ. რატიანი, საკარგავი 178

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ალასანია, წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელო სტუდენტთათვის 193
ვ. ადამია, მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში . . 195

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

ვ. დუმბაძე, შ. ბადრიძე, მოძმე ხოხეთის გამოჩენილი მოღვაწე 199
ზ. ბაგლოევი, ზ. ნ. ვანეევი 202

ქრონიკა და ინფორმაცია

ნ. კილურაძე, საქართველოში 1976 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ხესია 209

СОДЕРЖАНИЕ

100-летие со дня освобождения Аджарии

Г. ПАЙЧАДЗЕ, Грузинское общественное мнение об освобождении Аджарии от османского ига в 70-ых гг. XIX в. 5

СТАТЬИ

Л. ЧИКОВАНИ, Н. Г. Чернышевский (150-летие со дня рождения) . . 17
С. ЧХАРТИШВИЛИ, Особенности и закономерности развитого социалистического общества 29
В. АБРАМИШВИЛИ, К вопросу об общественно-политических взглядах Н. Хизанашвили 42
Г. МЕЛИКИШВИЛИ, О проблеме в царских списках древней Картли (Иберии) 51
Н. УРУШАДЗЕ, Религиозно-магические функции изображений на древне-бронзовых изделиях 64

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Б. ГАМКРЕЛИДЗЕ. К вопросу о топониме «соплиони» в свете этнографических материалов 78
Г. ЧАЧАШВИЛИ, О грузинской народной прядильной технике 94
Ж.-Л. БАКЕ ГРАМОН. Османы и Грузия в первой четверти XVI века 98
И. ШЕРВАШИДЗЕ, Г. НУРЗАЙ, Пуштунская «История, обсыпанная драгоценностями, о Георгии XI и его грузинских воинах . . . 106
Г. ГАМКРЕЛИДЗЕ, Новооткрытое раннесредневековое сооружение из Ванского Мтисдзири 109
М. ХВЕДЕЛИДЗЕ, Мемфисский трактат и его место в религии древнего Египта 124
В. ДЖОРБЕНАДЗЕ, Гончарные печи селения Трани 136

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

И. АНТЕЛАВА, Еще раз о характере социально-экономического развития Грузии в XVIII веке 151
З. АЛЕКСИДЗЕ, О датировке фресковых надписей Спасской церкви села Чвабиани . 171
З. РАТИАНИ, Сакаргави 178

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. АЛАСАНИА, Пособие по источниковедению для студентов 193
В. АДАМИЯ, Значительный вклад в советскую историографию . 196

ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

М. ДУМБАДЗЕ, Ш. БАДРИДЗЕ, Видный деятель братской Армении (70-летие С. Т. Еремяна) 199
З. ГАГЛОЕВА, З. Н. Ванеев 202

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Н. КИГУРАДЗЕ, Научная сессия, посвященная полевым археологическим исследованиям в Грузии в 1976 г. 209

აჭარის განთავისუფლების 100 წლისთავი

გიორგი ჯაიანაძე

ქართული საზოგადოებრივი აზრი ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების შესახებ XIX ს-ის 70-იან წლებში

ტრაგიზმით სავსეა ქართველი ხალხის ისტორია. თავისუფლებისმოყვარე და სხვა ხალხების მიმართ პატივისცემისა და კეთილმოსურნეობის გრძნობით გამსჭვალულ ერს ბედმა საუკუნეთა მანძილზე გამანადგურებელი საგარეო და საშინაო ომების წარმოება არგუნა. მაგრამ ბედუკუღმართობით დაშლილ-დაქუცმაცებულსა და უცხოელ მოძალადეთა ბატონობით ტანჯულ ქვეყანას სიცოცხლისუნარიანობა არ დაუკარგავს. ქართველმა ხალხმა გასაოცარი სიმტკიცე გამოიჩინა და ისტორიის სასტიკ ქარცეცხლს გაუძლო, გადარჩა და კიდევაც გაიმარჯვა.

ბუნებრივია, რომ არსებობისათვის გმირული ბრძოლების პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ხალხის იმ სულიერ სიმტკიცეს, რომელიც ემყარებოდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობას, რასაც თავის მხრივ კვებავდა დაუოკებელი მისწრაფება მშობლიური მიწა-წყლის გაერთიანებისაკენ. ეს სანუკვარი წადილი კი ქართველ ხალხს მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად აუსრულდა.

დამახასიათებელია, რომ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები ვახტანგ VI და ერეკლე II რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკების დროს იმთავითვე ცდილობდნენ მტრების მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების საქართველოსთან კვლავ შეერთების პირობის გაფორმებას საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით. ასეთი პირობა ჩაიწერა კიდევაც გეორგიევსკის ტრაქტატში.

ცხადია, ქართველების ეს განწყობილება ხელსაყრელი იყო რუსეთის მთავრობისათვის. ირანთან და თურქეთთან ომების დროს იგი კიდევაც იყენებდა ამ გარემოებას თავის სასარგებლოდ როგორც პოლიტიკურად, ისე უშუალოდ — მატერიალურადაც. ხოლო რადგანაც ამ ომების შედეგად ქართველ ხალხს საშუალება ეძლეოდა მტრების მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისა, ქართველი მეომრები რუსეთის ჯარის რიგებში განსაკუთრებულ ენთუზიაზმს იჩენდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა კი ყოველმხრივ დახმარებას უწევდა რუსთა მხედრობას.

ზემოაღნიშნულის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ისტორია, რომლის შედეგადაც ოსმალთა უღელში სამი საუკუნის მანძილზე ტანჯული აჭარა კვლავ დაუბრუნდა თავის დედასამშობლოს — საქართველოს.

მას შემდეგ რაც თურქეთთან 1828—1829 წლების ომის დროს რუსეთმა შემოგვიერთა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, აბასთუმანი და სხვა ქართული ტერიტორიები, ქართველთა ყურადღება, ბუნებრივია, აჭარის განთავისუფლებისაკენ მიიმართა. ოსმალთა უღელში მყოფი ქართველი

მოსახლეობაც თავის მხრივ ოცნებობდა განთავისუფლებაზე და ღვიძლ ძმებთან შეერთებაზე.

1853—1856 წლებში ყირიმის ომის დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალთა ჯარის შემოჭრამ კიდევ უფრო გააძლიერა ქართველთა შორის ანტიოსმალური განწყობილება და ხელი შეუწყო მისწრაფებას ქართული მიწა-წყლის განთავისუფლებისაკენ.

ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების სწრაფი ზრდა უშუალოდ იყო დაკავშირებული ეროვნული კონსოლიდაციის იმ პროცესთან, რომელიც შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე მიმდინარეობდა და ქართველი ხალხი ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბებამდე მიიყვანა. აჭარის შემოერთების სურვილიც ზემოაღნიშნული პროცესის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

XIX ს-ის 70-იანი წლების პროგრესულად მოაზროვნე ქართველის, ჭეშმარიტი მამულიშვილის დამოკიდებულება აჭარის პრობლემისადმი მგრძნობიარედ გამოხატა ნიკო ნიკოლაძემ. 1873 წელს იგი წერდა: „საკვირველი სურათი მეხატება თავში ყოველთვის, როცა მე ბათუმის ბოღაზში შევყავარ „რუსული კომპანიის“ ხომალდს. ასე მგონია, უცხო კაცს ჩემთვის ხელი მოუვლია და მიუყვანივარ ჩემი წინაპრების გაოხრებულ სამკვიდრებელში. ყოველი ნაბიჯი, თითოეული თვალის გადავლება, მთელი არემარე თითქო მეუბნება — „დახე, აქ რა სიმდიდრე და ძალა ყოფილა; შეხედე, რა გონიერად დაუმზადებიათ და უხმარიათ ეს საუნჯე და როგორ დაცემულა ეხლა ძველი ძლიერება, როგორ აოხრებულა უპატრონოთ ეს მშვენიერი სამკვიდრებელი. არ გრცხვენიანო!“ და მე მართლაც მრცხვენია. თითქო მე დამეფანტოს და დამეკარგოს სხვის ნაჭირნახულევი, თითქო მე დამებნიოს ძვირფასი საუნჯე, თითქო უცხო ქვეყნელის დამკვირვებელი თვალის მერიდებოდეს, როგორც გამამხილებელი და გამამტყუნებელი სინდისისა“[1].

საზოგადოებრივი აზრი აჭარის შემოერთების შესახებ XIX ს-ის 30—70-იან წლებში თანდათანობით მწიფდებოდა. ბუნებრივია, რომ თავის ჩამოყალიბების პროცესში იგი უპირველეს ყოვლისა მეცნიერულ მონაცემებს უნდა დაყრდნობოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის დიმიტრი ბაქრაძის საქმიანობა.

დ. ბაქრაძემ 1873 წ. ვრცელი წერილით საფუძვლიანად დასვა საკითხი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის შესახებ, მათ შორის იმ ქართული ტერიტორიისაც, რომელიც მიტაცებული ჰქონდათ ოსმალო დამპყრობლებს. ამ დროს რუსეთის მთავრობა უკვე ფიქრობდა თურქეთთან ახალი ომის სამზადისზე და ქართველთა ინტერესი ძველი ქართული ტერიტორიის მიმართ მისთვის ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამაც აღარ დააყოვნა და დ. ბაქრაძემ მიიღო დავალება გურია-აჭარის შესწავლის შესახებ. იმავე 1873 წ. ივლის-სექტემბერში დ. ბაქრაძემ კიდევაც შემოიარა ეს მხარე. 1874 წელს მან გამოაქვეყნა „გურიის, ჩურუქ-სუსა და აჭარის მოკლე მიმოხილვა. წინასწარი ანგარიში“[2], ხოლო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა

[1] ნ. ნიკოლაძე, სხეათა შორის (ნაგრძნობი და გაგონილი), „კრებული“, წიგნი მეოთხე, თბ., 1873, გვ. 12.

[2] იხ. «Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества», т. II, № 5, Тифлис, 1874.

და ფილოლოგიის განყოფილებაში მოხსენებად წაიკითხა „მოკლე ანგარიში 1873 წ. გურიაში არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ“[3].

1878 წ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა დიმიტრი ბაქრაძის ფუნდამენტური ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“[4], რომელიც დღესაც სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნია.

სხვადასხვა ხასიათის დიდძალი მასალის შესწავლის საფუძველზე დ. ბაქრაძემ გამოიტანა ის ძირითადი დასკვნა, რომ „აჭარლებს მათი ისტორიის სა-უკეთესო ეპოქებში განვითარებული თვისებები მთლიანად არ დაუკარგავთ მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ საუკუნეებში საქართველოს მმართველობის აშლილობამ და ყოვლის ჩამხშობმა თურქულმა მმართველობის სისტემამ მათზე დამღუპველად იმოქმედეს“-ო[5].

მხარის სიძველეთა და მოსახლეობის ყოფისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლის საფუძველზე დ. ბაქრაძის ნაშრომი იძლეოდა აჭარის საერთო მდგომარეობის მეცნიერულ დახასიათებას, რომელიც ნათლად მოწმობდა, რომ მოსახლეობაში შემონახული იყო ენა, სიმღერები, საქორწილო წეს-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრების სხვა ვრავალი ქართული ელფერი.

ბუნებრივია, რომ დ. ბაქრაძე დაკვირდა აგრეთვე აჭარის ცხოვრებაში ოსმალეთის ბატონობის დამახასიათებელ ნიშნებსაც. მაგალითად, ქვემო აჭარაში დ. ბაქრაძემ ყურადღება მიაქცია თითქმის გაუვალ გზებს. შეკითხვაზე, თუ რით აიხსნებოდა ეს გარემოება, მას უპასუხეს: გზებს განგებ არ აკეთებდნენ იმისათვის, რომ თავიანთი უბნის სრული დამორჩილების საშუალება არ მიეცათ ოსმალეთის მთავრობისათვის[6]. მკვლევარ მ. დუმბაძის მართებული დაკვირვებით ამ სიტყვებში აშკარად „ჩანდა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყების ხმა, ბრძოლის ერთი არცთუ ისე უვარგისი საშუალება“[7].

რაც შეეხება აჭარლების ეროვნული თვითშეგნების საკითხს, დ. ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ მოხუცებულებს შორის იგი შეხვდა ისეთ პირებს, ვინც თავს ქართველად თვლიდა აჭარას კი საქართველოს ნაწილად[8].

დ. ბაქრაძის შემდეგ გურია და ზემო აჭარა 1874 წ. სპეციალური დავალებით სამხედრო პირმა გიორგი ყაზბეგმა შემოიარა. იმავე წელს „ოსმალეთის საქართველოში“ მოგზაურობის შესახებ მან მოხსენება წაიკითხა თბილისში გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე. ეს მოხსენება გამოიცა ცალკე წიგნად. 1876 წ. გ. ყაზბეგის ზემოხსენებული ნაშრომი კვლავ დაიბეჭდა გეოგრაფიული საზოგადოების „წერილებში“[9].

1876 წ. თბილისში გამოქვეყნდა გ. ყაზბეგის მეორე ნაშრომიც — „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული მიმოხილვა“[10]. ამ წიგნს დართული ჰქონდა მასალები ადრიანოპოლის ხელშეკრულების

---

[3] იხ. «Записки императорской Академии наук», т. XXIII. СПб., 1874.

[4] Археологическое путешествие по Гурии и Адчаре Дм. Бакрадзе, СПб., 1878.

[5] იქვე, გვ. 78.

[6] იხ. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, გვ. 42.

[7] იხ. მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 120.

[8] იხ. Археологическое путешествие... გვ. 46.

[9] იხ. «Записки Кавказского отдела императорского Русского географического общества», книжка X, выпуск первый, Тифлис, 1876, გვ. 1—140.

[10] Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, составленные Генерального штаба подполковником Казбегом, Тифлис, 1876.

საფუძველზე თურქეთთან სასაზღვრო ხაზის დადგენასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შესახებ. ამ საკითხზე გ. ყაზბეგს ოფიცრების წრეში სპეციალური მოხსენებაც წაუკითხავს. იმ დროს გავრცელებული ყოფილა ხმა, რომ თითქოს სადემარკაციო სამუშაოების დროს შეცდომით ჭოროხის მაგივრად საზღვრად მდინარე ჩოლოქი იყო მიჩნეული (რუსი ოფიცრების მიერ ამ მდინარეების სახელების ერთმანეთში არევის წყალობით). ამ ხმების გამო გ. ყაზბეგი შენიშნავდა: ადრიანოპოლის ხელშეკრულების ტექსტში სასაზღვრო პუნქტად კონკრეტულად მითითებული იყო წმინდა ნიკოლოზის ნავსადგომი, რომელიც მდინარე ჩოლოქის შესართავთან მდებარეობდა, და ამიტომ ჩოლოქ-ჭოროხის შეცდომით გაიგივების ვერსია საფუძველს მოკლებული იყო. მაგრამ ამასთანავე გ. ყაზბეგს, პლატონ იოსელიანისაგან გაგონილი ჰქონდა შემდეგი ფაქტი: ადრიანოპოლის ზავის დადების შემდეგ ი. პასკევიჩთან ერთ-ერთ მიღებაზე გენერალს უთხოვია ქართველების ეთნიკური საზღვრის ჩვენება რუკაზე. როდესაც პ. იოსელიანს მდინარე ჭოროხის შუა წელი დაუსახელებია, ი. პასკევიჩს აღელვებული ხმით უთქვამს: „სამწუხაროა, რომ ეს ადრე არ ვიცოდიო“[11].

ერთი სიტყვით, იმდროინდელ საზოგადოებაში უკვე ყოველმხრივ მზადდებოდა აზრი თურქეთთან სახელმწიფო საზღვრის სამხრეთისაკენ გადატანის სრული კანონიერების შესახებ. აჭარის შემოერთების საკითხიც თანდათანობით სულ უფრო წინა პლანზე გამოდიოდა. თუ დ. ბაქრაძის და გ. ყაზბეგის შრომები მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი, ქართული პრესის წყალობით აჭარის შემოერთების საკითხმა მალე ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია და იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ეროვნული მნიშვნელობის პრობლემა.

1875 წ. ივლისში გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა ს. მესხის სარედაქციო წერილი სათაურით „ოსმალოს საქართველო“. ავტორი წერდა: „საუკუნეებს გაუვლია, რაც ეს ქვეყნები ოსმალოს დაუპყრია, რაც ოსმალო ცდილობს, რომ იქაური ქართველები გაეთათრებინა. მაგრამ, დახეთ ქართველ ტომის სიმტკიცეს, — სჯულის მეტი, იმათ არა შეუცვლიათ რა; და ისიც მხოლოდ ძალდატანებითა და სხვადასხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევინეს.

სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუმორწმუნეობაც და ცხოვრებაც ისევ ძველი, ქართველური აქვთ“.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, ს. მესხი მიუთითებდა გ. ყაზბეგის ბროშურაზე, საიდანაც მოჰქონდა ციტატები. და იქვე დაასკვნიდა: „ერთი სიტყვით, მთელ ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე ნამდვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი; ხალხი, თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარებიან თურმე იქაურს ქართულ ეკლესიების ნანგრევებში... იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრნია, ერთს ბედსა და უბედობას ქვეშ ვყოფილვართ... ეს ყველა იმათ ახსოვთ, იმათ იციან“. და ბოლოს ს. მესხი მოუწოდებდა მკითხველ საზოგადოებას:

---

[11] Военно-статистический и стратегический очерки... გვ. 66.

„ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველს მცირეც არის ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“. გაზეთს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიან დაეხმაროს ამ საქმეს“[12].

რამდენიმე დღის შემდეგ „დროებაში“ გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის წერილი სათაურით „ცნობები ოსმალოს საქართველოზე“, სადაც ავტორი ჩამოთვლიდა გვარებს და სოფლის სახელწოდებებს აჭარის ტერიტორიის ქართულობის საჩვენებლად[13].

იმავე წლის სექტემბერში „დროებამ“ გამოაქვეყნა ცნობა ქობულეთელებს შორის დაწყებული მღელვარების შესახებ, რომელიც გამოიწვია როგორც ცნობილია, გერცეგოვინაში მათი სალაშქროდ წაყვანის განზრახვამ. გაზეთის ამ ნომრის მოწინავეში „ჩვენი მოვალეობა“ ს. მესხი წერდა: „თუ უსამართლოებისაგან დაჩაგრულ და მოთმინებიდან გამოსულ ოსმალოს ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს, ჩვენი ვალია ზნეობით დავეხმაროთ, ისე მაინც, როგორც ევროპელები, როგორც საზოგადოდ სლავები და განსაკუთრებით რუსები ეხმარებიან აჯანყებულ გერცეგოვინელებს“[14].

1875 წ. ნოემბერში „დროებამ“ გამოაქვეყნა ბესარიონ ჯაფარიძის რეცენზია გ. ყაზბეგის წიგნზე „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“. წერილის ავტორი აღნიშნავდა: „სამწუხარო კი არის, რომ ეს წიგნი ყველასათვის ადვილი საშოვარი არ იყოს, განსაკუთრებით ეხლა, როცა ყოველი სიტყვა ოსმალოს სხვადასხვა ხალხებზედ ასე ძვირფასია.... ის სავსეა სხვადასხვა ცნობებით თვითონ ხალხზედ, მის შინაურ ცხოვრებაზედ, ერთმანეთს შორის განწყობილებაზედ, მათ წარსულ ცხოვრებაზედ და ეხლანდელ მდგომარეობაზედ. წმინდის გულით ურჩევთ ყველას ამ წიგნის წაკითხვას. ბევრს პირდაპირ გაიგებენ და უფრო ბევრს წანაკითხი აფიქრებინებს მათ.

მთელს ოსმალოს საქართველოში 300 000-ზედ მეტი მცხოვრები ითვლება, რომელნიც ყოფილან წმინდა ქართველები ენით, სარწმუნოებით, გულით და საქმით. ჩვენი საქართველო იმდენი არ არის, რომ ამდენი ქვეყანა არაფრად ჩააგდოს და არც ისე დაცემულა ჩვენი ნაციონალური გრძნობა, რომ ამდენი მოძმეები დავივიწყოთ. მათი მდგომარეობის გაგება ყოველთვის სასიამოვნო არის ჩვენთვის, განსაკუთრებით ეხლა. ოსმალო დღეს თუ ხვალ დაიშლება და ვინ იცის, რა ბედი მოელის ჩვენ მოძმეებს“[15].

„ოსმალოს საქართველოში“ გაბატონებულ გვართა წარმომადგენლების ოსმალებთან შემარიგებლურ პოლიტიკას ბ. ჯაფარიძე განიხილავდა როგორც რენეგატობას. მისაბაძ მაგალითად მიაჩნდა ავტორს ბალკანეთზე სლავების ანტიოსმალური ბრძოლა, რომელიც სლავების გაერთიანების იდეით მიმდინარეობდა.

ქართულ პრესაში თანდათანობით სულ უფრო მატულობდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის გამოქვეყნება სამხრეთ საქართველოს შესახებ.

1875 წ. დეკემბერში „დროებამ“ დაბეჭდა ცხრილი ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობის რაოდენობისა ეროვნული შემადგენლობის ჩვენებით[16], ხოლო

12 იხ. გაზ. „დროება“, 1875 წ., № 76.
13 იქვე, № 80—81.
14 იქვე, № 106.
15 იქვე, № 130.
16 იქვე, № 145.

1876 წ. მანძილზე რეგულარულად აშუქებდა ქობულეთის მხარის ცხოვრებას. მაგალითად, ბეჭდავდა ცნობებს ოსმალეთის პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობის მღელვარების, მხარის ისტორიისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ[17].

1877 წ. 3 მარტიდან ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით დაიწყო გაზეთ „ივერიის“ გამოცემა. პირველსავე ნომერში რუბრიკის ქვეშ „მოკლე მოთხრობა სხვადასხვა სახელმწიფოთათვის“ მოცემული იყო იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც იწყებოდა ოსმალეთის ამბების განხილვით. „ამგვარს განხილვას, — აღნიშნავდა გაზეთის რედაქცია, — ჩვენ ვიწყებთ ოსმალოთა სახელმწიფოდგან, რადგანაც თითქმის ამ სახელმწიფოზედ არის ამჟამად მოქცეული მთელის ევროპის განსაკუთრებითი ყურადღება“[18]. მომდევნო ორ ნომერში „ივერია“ ყურადღებას ამახვილებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სლავებისმიერ გაჩაღებულ ანტიოსმალურ ბრძოლაზე[19].

3 აპრილს კი, როდესაც უკვე აშკარად იგრძნობოდა რუსეთ-თურქეთის ომის გარდუვალობა, „დროებამ“ 36-ე და 37-ე ნომრებში გამოაქვეყნა ნ. ნიკოლაძის წერილი სათაურით „ომი თუ იქნა...“ ამ სტატიას ავტორი იწყებდა რუსეთისა და თურქეთის პოზიციების გარკვევით. შემდეგ ცდილობდა მათი შესაძლო მოკავშირეების დადგენას, ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთის მიმართ ინგლისის მტრულ პოლიტიკას და ეხებოდა საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხსაც.

ნ. ნიკოლაძე საგანგებოდ არჩევდა ომის წარმოების საკითხებზე შემუშავებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მოუწოდებდა მოსახლეობას ამ ნორმების დაცვისაკენ. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე წერდა: „და თუმც — სტრატეგიული საჭიროების მიხედვით — მთავრობამ ისურვა ზოგიერთი ჩვენი საზღვართან მახლობი სოფლების უჯაროდ დატოვება, ჩვენ ხალხს სრული უფლება აქვს დაიარაღდეს და რაზმით ჩადგეს, იმ განზრახვით, რომ წესიერება დაიცვას და მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს, ან ძარცვის ნება არავის მისცეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნება, რომ დაიარაღებულმა ხალხმა რამე ფორმის ნიშანი მიიღოს და თავი-კაცები აირჩიოს, წესიერების დასაცავად, რაზმის გასაწვრთნელად და „ომის კანონების და ჩვეულებების“ მტკიცედ შესანახავად.

ერთი საზოგადო კანონიც ყველამ გულში ღრმად უნდა ჩაინერგოს: ომიანობის დროს ძარცვა და გლეჯა, ჯარის ან კერძო პირების საკუთრების შეხება, სამხედრო ამბების მიტან-მოტანა ითვლებიან ისეთ საშინელ დანაშაულობად, რომლისთვისაც დამნაშავეებს ოცდაოთხი საათის განმავლობაში სიკვდილით სჯიან. ჩვენი ხალხი ყოველ ამნაირ საქციელს მარტო სიკვდილით დასჯის შიშისაგამო კი არ უნდა ერიდებოდეს. ამგვარი საქმეები სანიადაგოდ თავს სჭრიან მთელს ხალხს, და საზიზღარ სახელს უგდებენ მთელს ქვეყანას დანარჩენ დედამიწაზე. ყოველს ქართველს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ომის დროს მთელი ევროპის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე იქნება მოქცეული. როგორც რუსეთის, აგრეთვე ევროპის თვალში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდულ ხალხად, იმისთანად, რომელიც პატივისცემის ღირსია სამ-

17. იხ. გაზ. „დროება“, 1876 წ., №№ 21, 23, 25, 45, 49, 51, 63, 74, 92 და სხვ.
18 იხ. გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 1.
19 იქვე, №№ 2, 3.

ხედრო მამაცობისათვის და ხეირიანი განწყობილების ღირსია მოქალაქეობრივი პატიოსნების და წესიერების დაცვისათვის.

ერთი სიტყვით, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევარცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს, ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავაზაკობას, ნურც სიმხდალეს, ნუ ვეძიებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთიერთის დახმარების საჭიროებას, ნუ დავიმალვით სოროში. მაშინ ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს, და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიგების და კეთილდღეობის ღირსია...

ვიმეორებთ, რადგან დღეს, ომი თუ იქნა, მთელი ქვეყნის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე და ხალხზე მიქცეული იქნება, ჩვენი მამულის ყოველმა ერთგულმა შვილმა ყველაზე უფრო იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მთელმა ქვეყანამ საქართველოზე აი ამგვარი შთაბეჭდილება შეადგინოს და აი ამგვარი აზრი იქონიოს"[20].

1877 წ. 12 აპრილს რუსეთის მთავრობამ თურქეთს ომი გამოუცხადა. „ივერიის" მე-7 ნომერში, რომელიც 14 აპრილს გამოქვეყნდა, გაზეთის რედაქციამ ომისა და ბალკანელი სლავების მიმართ თავისი დამოკიდებულება ასე გამოხატა: „ხომ თავი და თავი აღმოსავლეთის საქმისა სლავიანების განთავისუფლება იყო. ჩვენ ამის დავიწყება არ გვინდა. ხშირად მოგვყავს ეს აზრი იმიტომ, რომ გზა არ დაგვებნიოს იმ დაბნეულს და დაბურულს ტყეში, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან.

დიპლომატიამ ამ აზრს გზა აუქცია. თუმცა ამ ბოლო დროს ვითომ გულმტკივნეულობაც გამოიჩინა სლავიანებისადმი...

ევროპის დიპლომატიის მოღვაწეობას ერთი ხასიათი სჭირს: მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს სლავიანების განთავისუფლებისათვის. ვისთვის ან რისთვის შრომობს დიპლომატია, ღმერთმა უწყის. ეს კი ვიცით, რომ ბედკრული თავისუფლება სადღაც კუთხეშია მიმალული...

ეხლა კი... ეხლა კი რაღა ეთქმის კაცსა: ომი გამოცხადებულია და სლავიანობის ბედი ომის მიმდინარეობაზედ და შედეგზედ არის დამყარებული"[21].

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ომს ილია ჭავჭავაძემ ოსმალების ბატონობისაგან ქართველი მოსახლეობის განთავისუფლებისა და ქართული მიწა-წყლის დაბრუნების საქმე დაუკავშირა როგორც სავსებით რეალური შესაძლებლობა. 21 აპრილს გამოვიდა „ივერიის" მე-8 ნომერი, რომელშიც დაიწყო სტატიების ციკლის პუბლიკაცია უკვე საყოველთაოდ აღიარებული სათაურით — „ოსმალოს საქართველო". გაზეთის ამავე ნომრის სარედაქციო წერილში რუსეთ-თურქეთის ომის ხასიათი მთელი სიღრმით შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „ასტკდა ომი!... ამის მსმენელს გული თავის ადგილს აღარ აქვს. ომი სისხლის ღვრაა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა. გული სწუხს და იტანჯება როცა ეს აგონდება. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგს მედიდურს, დიდებულს სანახაობას წარმოგვიდგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავგანწირული ერი აზღვაებულია, ამხედრებულია, თავისის პატივის, თავისის ღირსების, თავი-

---

20 გაზ. „დროება", 1877 წ., № 37.

21 გაზ. „ივერია", 1877 წ., № 7.

სის ვინაობის და თვისების დაცვისათვის. მაშინ გულს ავიწყდება სიკვდილის მეხიც და სიცოცხლის სიტკბოებაც, მაშინ კაცი გმირია, მაშინ გული ძგერს სულგრძელობისათვის, ვაჟკაცობისათვის, პატიოსნებისათვის. საყოველდღეო ჭუჭყი საყოველდღეო ცხოვრებისა შორდება კაცსა და კაცი კაცად გამოდის მოედანზედ ან სახელოვანის სიკვდილისათვის, ან პატიოსანის სიცოცხლისათვის. რამდენად უფრო მედიდურია, უფრო დიდებულია, როცა ერი ამხედრდება და თავსა სდებს სხვა ერის დასახსნელად, სხვა ერის საფარველად!... აქ მარტო კერძოობითი გრძნობა კი არ იტაცებს ადამიანის გულს, არამედ გრძნობა საერთო კაცობრიობისა, რომელსაც, როგორც ზღვას მდინარენი, ესე მიერთმევიან ხოლმე კერძოობითი გრძნობანი ადამიანისა.

დღევანდელს ომს ეს გულის აღმტაცი, ეს ზოგადი ღვთაებრივი კაცობრიობის გრძნობა მიუძღვის წინ...“[22].

ერთი სიტყვით, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მწვავედ განიცდიდა იმ მოსალოდნელ სიმძიმეებსა და უბედურებას, ომებს თან რომ მოჰყვებოდა ხოლმე. 1877 წლის ომის მიზეზების გარკვევისას კი აღნიშნავდა ყველა მხარის გაგების და გათვალისწინების სირთულეს, ხოლო ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მართებულად აღიარებდა ოსმალთა ბატონობისაგან სლავების განთავისუფლების სურვილს. ამ ომში კავკასიის ფრონტის მნიშვნელობისა და, კერძოდ საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობის გათვალისწინებით კი სამართლიანად მოითხოვდა „ოსმალოს საქართველოს“ განთავისუფლებას. ამდენად, 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის გამანათავისუფლებელი ხასიათი, ცხადია, უფრო მეტად იზრდებოდა.

1877 წ. მანძილზე „ივერია“ სისტემატურად აქვეყნებდა სტატიების ციკლს სათაურით „ოსმალოს საქართველო“. მე-8, მე-12, მე-13, მე-15, მე-20, 21-ე, 33-ე ნომრებში დაბეჭდილი წერილების ავტორი პეტრე უმიკაშვილი იყო. პირველი წერილის შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშნავდა, რომ XIII საუკუნიდან დაწყებული ექვსასი წლის განმავლობაში წარმოებულმა მტრების შემოსევებმა დაასუსტეს საქართველოს შინაგანი ერთობა და ქვეყნის ნაწილ-ნაწილად დაყოფა გამოიწვიეს. შემდეგ ავტორი ზოგადად მიმოიხილავდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებს. მომდევნო წერილებში კი საგანგებოდ ჩერდებოდა ოსმალთა მმართველობის სისტემის დახასიათებაზე და ცალ-ცალკე აჭარის, შავშეთის, ქობულეთის, ლივანასა და კლარჯეთის, ტაოს-კარისა და კოლას, ჰანეთის დეტალურ განხილვაზე.

28 აპრილს „ივერიის“ მე-9 ნომერში აგრეთვე „ოსმალოს საქართველოს“ სათაურით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წერილში ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამდა ისტორიული წარსულის მნიშვნელობას ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გრძნობის ფორმირებაში. „ყოველი ერი, — წერდა ილია, — თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა

22 გაზ. „ივერია“, 1877 წ., № 8.

და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“[23].

თავის წერილში ილია მიმართავდა კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც მოწმობდნენ სამხრეთ საქართველოს მონაწილეობას გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლაში და ნათელს ჰფენდნენ ამ მხარის მნიშვნელობას საერთოდ საქართველოს ისტორიაში. რაც შეეხება ოსმალთა ბატონობის შედეგად ამ მხარეში მაჰმადიანობის გავრცელების ფაქტს, ილია აღნიშნავდა, რომ ერთი ეროვნების შვილებს შორის სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა სრულებით არ გამორიცხავდა მაჰმადიან ქართველებს შორის ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას. ილია წერდა: „სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს...

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი... დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...“[24].

სარწმუნოების საკითხთან დაკავშირებით ილიამ ხაზი გაუსვა ქართველებისათვის ისეთ დამახასიათებელ თვისებას, რომელიც ხალხმა საუკუნეების განმავლობაში მთელი სიცხადით გამოამჟღავნა. ეს იყო მთელი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სარწმუნოების მიმართ ქართველების ლოიალური დამოკიდებულება. ამის გამო ილია წერდა: „ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა“[25].

ილიას ეს წერილი საყურადღებოა არა მხოლოდ მგზნებარე პატრიოტული მოწოდებებით, არამედ იმ მიდგომით, დაკვირვებებითა და დასკვნებით, რაც გარკვეულად ნიადაგს უქმნიდა შემდგომ ეროვნულ საკითხზე თეორიული მსჯელობის განვითარებას.

---

[23] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი IV, 1955, გვ. 9.

[24] იქვე, გვ. 13—14.

[25] იქვე, გვ. 13.

ამრიგად, ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მოქცეული ქართველებისა და ქართული მიწა-წყლის განთავისუფლების საქმე 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბუნებრივად დაისვა, როგორც გადაუდებელი პრობლემა. ხოლო ქართველი ხალხის აქტიური მონაწილეობა ომში[26] ნათელი დადასტურება იყო იმისა, რომ ამ საქმეს ჭეშმარიტად ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

გასაგებია, რომ იმდროინდელი ქართული პრესა ფართოდ აშუქებდა ომის მსვლელობას როგორც ამიერკავკასიის ფრონტზე, ისე ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. სლავების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ქართველი ხალხი დიდი თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს. ბალკანეთის ფრონტზე რუსეთის ჯარის რიგებში გმირულად იბრძოდა არაერთი ქართველი. ბალკანელი სლავების დასახმარებლად საქართველოში ფულად სახსრებსაც აგროვებდნენ.

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული სამხედრო ოპერაციების გაშუქებას, ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება გიორგი წერეთელს მიუძღვის. 1877 წელს ევროპიდან ახლად დაბრუნებული იგი პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის“ სპეციალურ კორესპონდენტად დაინიშნა და ფრონტის ხაზზე დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა. ლიბერალური მიმართულების გაზეთი „გოლოსი“, რომელსაც ა. ა. კრაევსკი და ვ. ა. ბილ-ბასოვი რედაქტორობდნენ, იმ დროს ერთ-ერთი პოპულარული იყო რუსეთში და გ. წერეთლის მიერ დაწერილი სამართლიანი ინფორმაცია საქართველოს გარეთ მყოფ მკითხველთა ფართო წრეში დიდ ინტერესს იწვევდა. „გოლოსის“ გარდა გ. წერეთლის კორესპონდენცია იბეჭდებოდა აგრეთვე „ტიფლისკი ვესტნიკში“ და „დროებაშიც“. ავტორი ქადაგებდა სამხრეთ საქართველოს ოსმალებისაგან განთავისუფლებასა და რუსეთთან შეერთების გზით საქართველოსთან კვლავ გაერთიანების აუცილებლობას. ამ კორესპონდენციას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გ. წერეთლის იდეურ-პოლიტიკური მრწამსის გარკვევისათვის[27].

გ. წერეთლის ამ წერილების უმეტესი ნაწილი შეკრიბეს, რუსულიდან ქართულად თარგმნეს და ცალკე წიგნად გამოსცეს შ. მეგრელიძემ და შ. ხანთაძემ[28].

ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტს) კონსტანტინოპოლის მახლობლად სან-სტეფანოში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო პრელიმინარული ხელშეკრულება: ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გათვალისწინებული იყო ბულგარეთის ავტონომიური სამთავროს შექმნა. სრული დამოუკიდებლობა უნდა მიეღოთ სერბიას, ჩერნოგორიასა და რუმინეთს. ბოსნიასა და გერცეგოვინასთვის ავტონომიის უფლების მიცემას ვარაუდობდნენ, რუსეთს კი ბესარაბიის ნაწილი უნდა მიეღო, ხოლო აზიაში არდაგანი (არტაანი), ბაიაზეთი, ყარსი, ბათუმი და სოღანლუღის მთების მიმ-

---

26 იხ. Ш. В. Мегрелидзе, Грузия в русско-турецкой войне 1877—1878 гг., Батуми, 1955; მისივე, Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877—1878 гг., Тб., 1969.

27 იხ. მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში, 1959; ა. ჭილაია, გ. წერეთელი, თბ., 1964.

28 იხ. გიორგი წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბ., 1973.

დებარე ტერიტორიები[29]. მაგრამ რუსეთის ასეთმა წარმატებამ ევროპის სახელმწიფოების, პირველ რიგში ინგლისისა და ავსტრო-უნგრეთის, შეშფოთება გამოიწვია. მათ სან-სტეფანოს ზავის პირობების გადასინჯვა მოითხოვეს[30]. მოწვეულ იქნა ბერლინის კონგრესი. რუსეთი იძულებული გახდა წასულიყო დათმობებზე ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც და აზიაშიც. დიდ წინააღმდეგობას წააწყდა რუსეთი ბათუმის საკითხშიც, მაგრამ შეძლო თავის სასარგებლოდ მისი გადაწყვეტა[31]. 1878 წ. 1 (13) ივლისს ხელმოწერილ იქნა ბერლინის ტრაქტატი, რომლის ძალითაც არდაგანი (არტაანი), ყარსი და ბათუმი თავისი ოლქებით რუსეთს გადაეცა. აზიაში თურქეთმა ბაიაზეთი და ალაშკერტის დაბლობი დაიბრუნა[32].

ამრიგად, აჭარა თავისუფლდებოდა ოსმალთა ბატონობისაგან.

25 აგვისტოს რუსეთის ჯარი გენერალ გ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით ქობულეთის მხრიდან ბათუმში შევიდა. 28 აგვისტოს კი აჭარის ხეობიდან ბათუმში შევიდა გენერალ კ. ვ. კომაროვის ნაწილიც, რომელიც ართვინის ოლქიდან იყო წამოსული. მოსახლეობა რუსეთის ჯარს პურ-მარილით და ქართული ეკლესიის ზარის რეკვით შეხვდა. 31 აგვისტოს ოსმალთა სამხედრო ნაწილები დერვიშ-ფაშას მეთაურობით გემით გავიდნენ ბათუმიდან[33].

ქართული საზოგადოებრიობა მხურვალედ გამოეხმაურა ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებას და დედასამშობლოსთან კვლავ შეერთებას. ი. გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვეხ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“; ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა...“[34]

1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში მოიპატიჟეს აჭარის დეპუტაცია. ქართველმა საზოგადოებამ დ. ყიფიანის ინიციატივით გამართა ბანკეტი. მასპინძლობდნენ გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ა. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ. აჭარის დეპუტაციას შეადგენდნენ ხუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ხასან-ბეგ ბეჟან-ოღლი, სული-ბეგ-ზადე მაჭახლელი, ახმედ-ეფენდი ხალვაში (მარადიდელი), ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), ოსმან-აღა მაკრიალელი (გონიოდან), ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე (არტანუჯიდან), მუფთი ეფენდი სურმანიძე (ქედიდან), მუფთი-ეფენდი, სალიხ-ეფენდი-ზადე და სხვ.

ბანკეტზე აღმაღლებელი სიტყვები წარმოთქვეს გრ. ორბელიანმა, ა. წერეთელმა, დ. ყიფიანმა[35].

მოწინავე ქართველმა საოგადოებამ დიდი ზრუნვა გამოიჩინა ახლად შეერთებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

---

[29] იხ. Сборник договоров России с другими государствами, 1856—1917, М., 1952, გვ. 170.

[30] იქვე, გვ. 176—179.

[31] იხ. ა. ჩხეიძე, ბათუმი ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში (1875—1878 წწ.), ბათუმი, 1974.

[32] Сборник договоров России... გვ. 204.

[33] იხ. Т. Т. Стефанов, Исторический очерк вступления русских войск в город Батум 25 августа 1878 г., в книге «Батум и его окрестности», Батум, 1906, გვ. 88—111.

[34] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 168.

[35] გაზ. „დროება“, 1878 წ., № 239.

1879 წ. 13 თებერვალს გაზეთ „დროების“ 32-ე ნომერში გ. წერეთელმა აღწერა ის მდგომარეობა, რომელიც იმ დროს სუფევდა ქობულეთის მხარეში[36], ხოლო „ივერიის“ 1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ შეეხო აჭარაში შექმნილ მდგომარეობას. „ყოველ მხრიდან ისმის, — წერდა ილია, — რომ ჩვენი მოძმენი აჭარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან...

„ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში...[37] ამიტომ ილია ჭავჭავაძე ყველას მოუწოდებდა: „ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე...

... იმედი გვაქვს, რომ ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს. რედაქციები „ივერიისა“ და „დროებისა“ ყოველ-დღე მზად არიან მაგ შესაწირავის მისაღებად...

აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“[38]

სამხრეთ საქართველოს ახლად შემოერთებულ ტერიტორიების მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე ქართველმა ხალხმა მართლაც თავის ღვიძლ საქმედ მიიღო. ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობისა და ომისაგან მიყენებული ჭრილობები მოშუშებულ იქნა. ქართველ ხალხთან ერთად აჭარის მოსახლეობაც პროგრესული განვითარების გზას დაადგა.

ამრიგად, ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლება და რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გზით საქართველოსთან მისი კვლავ შეერთება დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო როგორც საკუთრივ აჭარის, ისე საერთოდ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით.

---

36 იხ. გიორგი წერეთელი, პუბლიცისტიკა, გვ. 224—234.

37 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 27, 29.

38 იქვე, გვ. 31.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ლეილა ჩიქოვანი

ნ. გ. ჩერნიშევსკი

(დაბადების 150 წლისთავი)

«Будущее светло и прекрасно, любите его, стремитесь к нему, работайте для него».
Н. Г. Чернышевский.

მიმდინარე წელს მთელმა საბჭოთა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა დიდი რუსი მოაზროვნისა და რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. ჩერნიშევსკის დაბადების 150 წლისთავი.

სიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი დაიბადა სარატოვში, გაბრიელ ივანეს ძე ჩერნიშევსკის ოჯახში 1828 წ. 24 ივლისს. პირველდაწყებითი განათლება (სასულიერო სასწავლებლის ფარგლებში) მიიღო შინ. ნ. ჩერნიშევსკის პირველი მასწავლებელი იყო მამამისი გაბრიელ ჩერნიშევსკი, რომელიც ასწავლიდა ბიჭს ლათინურ და ბერძნულ ენებს, მათემატიკას, რუსეთის ისტორიას, გეოგრაფიას და სხვა საგნებს. ჩერნიშევსკების ოჯახში ძლიერ უყვარდათ წიგნი. ჩერნიშევსკის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბავშვმა თითქმის დამოუკიდებლად შეისწავლა საბერძნეთისა და რომის ისტორია, ევროპის შუა საუკუნეების ისტორია. ბავშვობაშივე შეიყვარა ჩერნიშევსკიმ რუსული ლიტერატურა — პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის შემოქმედება. იგი ამ დროს ეცნობა გერცენისა და ბელინსკის თხზულებებსაც და თანდათან ეჩვევა რეალური ცხოვრების — ამ „ცოცხალი წიგნის“ კითხვასაც.

1842 წლის სექტემბერში 14 წლის ნ. ჩერნიშევსკი მშობლებმა მიაბარეს სარატოვის სემინარიაში. 1845 წლის დამლევს ჩერნიშევსკიმ დატოვა სემინარია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც ოთხი წელი დაჰყო. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში გაბატონებული სწავლების მეთოდით ნ. ჩერნიშევსკი იმთავითვე უკმაყოფილო იყო, ჰაბუკის მეცნიერული განვითარება მაინც არ შეჩერებულა: ამას მეტად შეუწყო ხელი დამოუკიდებელმა სისტემატურმა მუშაობამ წიგნზე და დიდმა ნაკითხობამ. ამასთან, ნ. ჩერნიშევსკის სტუდენტობის წლები დაემთხვა მშფოთვარე რევოლუციურ ხანას: ევროპაში (საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, უნგრეთი. გერმანია), როგორც ცნობილია, 1848 წელს რევოლუციური ქარიშხალი ამოვარდა. ყველა ამ ქვეყანაში ხალხთა მასები აღსდგნენ მჩაგვრელების წინააღმდეგ (ზოგან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნებით, ზოგან სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ). ჩერნიშევსკის საშუალება ჰქონდა უნივერსიტეტში სწავლების დროს უშუალო პირველწყაროებიდან (უცხოური გაზეთების მეშვეობით) თვალყური ედევნებინა რევოლუციური ბრძოლების მიმდინარეობისათვის. ჩერნიშევსკის ბიოგრაფები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა კაცი არათუ თანაუგრძნობდა უნგრელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ, არამედ ძალიან უკვირდა და აღშფოთებულიც იყო იმის გამო, რომ ავსტრიის სახელმწიფოში მცხოვრები სლავი ხალხები არ უთანაგრძნობდნენ აჯანყებულ უნგრელებს... საფრანგეთის 1848

წლის რევოლუციის სისხლიანი ამბების განხილვისას კი ჩერნიშევსკი თანაუგრძნობდა პრუდონს (მაგრამ მხოლოდ ამ მოკლე დროს და სწორედ იმის გამო, რომ პრუდონი იმხანად იბრძოდა ცნობილი ფრანგი პოლიტიკური გაიძვერას — ტიერის წინააღმდეგ) და სიძულვილს გამოთქვამდა კავენიაკის მიმართ, რომელმაც სისხლში ჩაახშო სახალხო აჯანყება პარიზში.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ნ. ჩერნიშევსკი დამოუკიდებლად სწავლობდა პოლიტიკურ ეკონომიას. ბიოგრაფების თქმით, ეს სულაც არ იყო მოდის სამსხვერპლოზე მიტანილი ხარკი. პირიქით, თანამედროვე ცხოვრებაში პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელია, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაშიო, აღნიშნავდა ახალგაზრდა მკვლევარი თავის დღიურებში.

ცოტა უფრო გვიან, სახელდობრ 1861 წ. ნ. ჩერნიშევსკი შესანიშნავ კომენტარებს ურთავს ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებლის (ჯ. მილის) ნაშრომს და ფაქტობრივად ახალ თხზულებას ქმნის: **«Очерки из политической экономии (по Миллю)»**.

ნ. ჩერნიშევსკი აკრიტიკებდა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შინაგან წინააღმდეგობრიობას, მის შემრიგებლურ, ლიბერალურ დამოკიდებულებას ფეოდალიზმის გადმონაშთებისადმი (ამ პოლიტეკონომიის მიერ კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობათა უგულებელყოფას, მის მტკიცებას, რომ კაპიტალიზმი და კერძო საკუთრება მარადიულია, ხოლო კაპიტალისტური ექსპლუატაცია — კანონიერი) და ა. შ. კ. მარქსი, რომელიც 1870 წლიდან ეცნობოდა რუსეთის მეცნიერების მიღწევებს, წერდა I ინტერნაციონალის რუსული სექციის კომიტეტის წევრებს (ნ. უტინს) ჟენევაში, რომ ისეთი შრომები, როგორიცაა ფლეროვსკის და თქვენი მასწავლებლის ჩერნიშევსკისა, შეადგენს რუსეთის ჭეშმარიტ ღირსებას და ადასტურებს იმას, რომ თქვენი ქვეყანაც იწყებს მონაწილეობის მიღებას ჩვენი საუკუნის საერთო მოძრაობაშიო[1].

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჩერნიშევსკი დაუახლოვდა ვინმე ხანიკოვს, რომელიც პეტრაშევსკელთა წრის წევრი იყო. მართალია, ჩერნიშევსკიმ ვერ მოასწრო ამ წრეში შესვლა, რადგან 1849 წლის გაზაფხულზე, როცა მთავრობამ დაარბია ეს წრე, ჩერნიშევსკი ჯერ არც კი იცნობდა ხანიკოვს ახლოს. საინტერესოა, რას წერდა ამ ამბების შესახებ თავის დღიურში თვით მომავალი რევოლუციონერი: „რომ დამცლოდა, რა თქმა უნდა, მეც მათ შორის (ე. ი. პეტრაშევსკელთა შორის. — **ლ. ჩ.**) გავერეოდი". ხანიკოვთან მეგობრობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ჩერნიშევსკიმ შეისისხლხორცა ლ. ფოიერბახის მატერიალისტური ფილოსოფია. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება და გავლენა ჩერნიშევსკის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე იქონია ლ. ფოიერბახის წიგნმა „ქრისტიანობის არსი". ამის შემდეგ ნ. ჩერნიშევსკი საბოლოოდ ხდება მატერიალისტი თავისი მსოფლმხედველობით. ყველა ამ რთულ საკითხთა შესწავლისა და, რაც მთავარია დამოუკიდებელ ფილოსოფიურ ძიებათა დროს ჩერნიშევსკის გაუჩნდა აზრი, დაეწერა სამაგისტრო დისერტაცია სწორედ ფილოსოფიის დარგში. ბიოგრაფები მოგვითხრობენ, რომ იმ წელს (ე. ი. 1850 წ.), როცა ჩერნიშევსკი უნივერსიტეტს ამთავრებდა, მან თხოვნით მიმართა ფილოსოფიის კათედრის გამგეს პროფესორ ფიშერს, ნება მომეცით, დავიცვა სამაგისტრო დისერტაცია ფილო-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მიმოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, მოსკოვი, 1947, გვ. 29 (რუს. გამოცემა).

სოფიაშიო, მაგრამ პეტერბურგის უნივერსიტეტის სწორედ ეს კათედრა იმ დროს მთავრობას შერისხული ჰყავდა და რეაქციის შესაძლო შემოტევით შეშინებულმა პროფესორმა ამჯობინა უარი ეთქვა ჩერნიშევსკისათვის.

ახლა ახალგაზრდა კაცი ლუკმაპურზე იწყებს ზრუნვას. მალე ჩერნიშევსკი რუსულ ფილოლოგიას ასწავლის კადეტთა კორპუსში. 1850 წლის სექტემბერში ნ. ჩერნიშევსკიმ მიიღო მოწვევა ქ. სარატოვის გიმნაზიაში რუსული ფილოლოგიის მასწავლებლად. ჩერნიშევსკის ცხოვრების სარატოვული პერიოდი არ იყო ხანგრძლივი: სულ სამ წელიწადს თუ დაჰყო მან მშობლიურ ქალაქში. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩერნიშევსკის ზეგავლენით შეიცვალა არა მარტო გიმნაზია (ყოველ შემთხვევაში მის კედლებში შეწყდა აშკარა ცემა-ტყეპა და უხეში ქცევა მასწავლებლების მხრივ), არამედ თვით სარატოვის ე. წ. „მაღალ საზოგადოებაშიც“ ყველანი ცდილობდნენ ახალგაზრდა მასწავლებლის „ღირსნი და სწორნი“ ყოფილიყვნენ. სარატოველმა ახალგაზრდებმა, განსაკუთრებით ჩერნიშევსკის მოწაფეებმა, ყველამ უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურა.

1853 წლის ზაფხულში ნ. ჩერნიშევსკი პეტერბურგში დასახლდა. იგი კვლავ მიუბრუნდა კადეტთა კორპუსს და ისევ განაგრძობდა რუსული სიტყვაკაზმული ლიტერატურის სწავლებას მომავალ ოფიცერთა შორის. ამავე დროს იგი ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა ჟურნალში „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“. სწორედ ამ დროს ნ. ჩერნიშევსკიმ გადაწყვიტა სერიოზულად დაეწყო მუშაობა სამაგისტრო დისერტაციაზე.

სულ რაღაც რამდენიმე თვე და ნ. გ. ჩერნიშევსკის მზად ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც ავტორი მოუწოდებდა, რომ ხელოვნება საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბრძოლის შუაგულში ჩამდგარიყო და თავისი წვლილი შეეტანა ადამიანისათვის უკეთესი მერმისის მოახლოვებაში, აშკარაა, რომ ეს დისერტაცია იმდროინდელმა პეტერბურგელმა პროფესორებმა ბოლომდე ვერც კი გაიგეს. უთუოდ ამიტომ გამოეპარათ მათ ამ ნაშრომის ქვეტექსტი — მისი უდაოდ რევოლუციური შინაარსი; და მაინც ამ „მეცნიერების ქურუმებმა“ ყველა ღონე იხმარეს, რომ ახალგაზრდა ავტორს საშუალება არ ჰქონოდა დროულად ჩაებარებინა სამაგისტრო გამოცდები. ორი წლის შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა ჩერნიშევსკის ნაშრომი „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი“ და, როგორც იქნა, დაინიშნა დისერტაციის დაცვის დღეც. თანამედროვენი აღიარებდნენ, რომ საჯარო პაექრობას დაესწრო უამრავი ხალხი. ცნობა ამ შესანიშნავი ნაშრომის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული მთელს მოაზროვნე პეტერბურგში. ახალგაზრდობამ ეს ნაწარმოები მიიღო, როგორც ახალი ესთეტიკური მსოფლმხედველობის მანიფესტი. ამ ნაშრომით ავტორმა ლახვარი ჩასცა „წმინდა ხელოვნების“ თაყვანისმცემლებს, რომლებიც თავის დროზე გადაურჩნენ ბ. გ. ბელინსკის, და წინ წასწია მოძღვრება ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ[2]. ამიერიდან ხელოვნება, მშვენიერება, შთაგონება უნდა მომსახურებოდა ხალხს და შეესრულებინა თავისი მოქალაქეობრივი დანიშნულება.

ამასობაში რუსეთის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ყირიმის ომის დაწყება

[2] მხოლოდ სამი წლის შემდეგ მიანიჭეს ნ. გ. ჩერნიშევსკის მაგისტრის ხარისხი, მაგრამ ამ დროს ჩერნიშევსკის სამეცნიერო მოღვაწეობაზე ხელი უკვე ჩაქნეული ჰქონდა: იგი რევოლუციურ-პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაეფლო.

და ამ ომში რუსეთის სასტიკი დამარცხება. შემდეგ, გლეხთა უკმაყოფილების ზრდა და ბატონყმობის წინააღმდეგ მათი ბრძოლის გაძლიერება, დაბოლოს, ის „გონებრივი რევოლუცია", რომელიც განიცადა რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ ე. წ. „60-იან წლებში", და რომლის ღრმა შინაგანი მიზეზი თუ საფუძველი სწორედ ამ გლეხურ უკმაყოფილებაში უნდა ვეძებოთ. ე. ი. ლენინი თავის სტატიაში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?" ამ ეპოქას შემდეგნაირად ახასიათებდა: „ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ხანებში, როდესაც... 40-იანი და 60-იანი წლების ჩვენებური განმანათლებელნი წერდნენ, ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობის და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა"[3].

ნ. ჩერნიშევსკი 1853 წლის შემოდგომიდან თავს ანებებს ჟურნალს „ოტეჩესტვენიე ზაპისკის" (უფრო სწორად მის სულთამხუთავ გამომცემელს) და გადადის ნ. ა. ნეკრასოვის ჟურნალ „სოვრემენიკში", სადაც მას სრული თავისუფლება მიანიჭეს. ჩერნიშევსკი სულ მალე ხდება „სოვრემენიკის" წამყვანი თანამშრომელი. სწორედ მისი მონაწილეობით ჟურნალმა დაიკავა უაღრესად მებრძოლი რევოლუციური პოზიციები. მთელი მოწინავე საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი და მებუკე გახდა ნ. ჩერნიშევსკი და ახლა უკვე მისი იდეური ხელმძღვანელობით არსებული ჟურნალი „სოვრემენიკი". ტყუილად როდი ახასიათებდა ნ. ნეკრასოვი შემდეგნაირად ჩერნიშევსკის: „მისი რეპუტაცია ყოველდღე კი არა, ყოველ საათს იზრდება. იგი მაგონებს ბელინსკის ავტორიტეტის ზრდას"[4].

1855 წლის გაზაფხულიდან ჩერნიშევსკიმ თავი დაანება მასწავლებლობას სამხედრო სასწავლებელში. ახლა იგი მოღვაწეობდა მხოლოდ ჟურნალ „სოვრემენიკში". ჩერნიშევსკის პუბლიცისტიკას შემეცნებითი და პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა დიდი აღმზრდელობითი ხასიათიც ჰქონდა. იგი რაზმავდა ახალგაზრდობას რევოლუციური ბრძოლის წარმატებისათვის, „ჩერნიშევსკის თხზულებებს, — ამბობს ლენინი, — კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს"[5].

1855 წელს გარდაიცვალა ნიკოლოზ I; რუსეთი სასტიკად დამარცხდა თურქეთთან ომში, ქვეყნად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. მთავრობა საიდუმლოდ ემზადებოდა საგლეხო რეფორმის „ზემოდან" გასატარებლად, ეს გაამტკიცებდა თვითმპყრობელობას, გაამდიდრებდა მემამულეებს და სავსებით გააჩანაგებდა გლეხებს, დაუმორჩილებდა მათ ყოფილ მებატონეებს.

ნ. ჩერნიშევსკი და მისი მომხრე რევოლუციური დემოკრატები — რეფორმას უპირისპირებდნენ გლეხთა რევოლუციის იდეას. ეს აშინებდა ლიბერალებს და მთავრობის ბანაკში ერეკებოდა მათ. მეორე ბანაკი კი ირაზმებოდა „სოვრემენიკის" და ჩერნიშევსკის გარშემო. ნ. ჩერნიშევსკიმ 1853 წელს „სოვრემენიკში" მიიწვია ნ. დობროლუბოვი და სულ მალე ლიტერატურული კრიტიკის განყოფილება ჩააბარა.

ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს და ნეკრასოვს კარგად ჰქონდათ შეგნებული თუ რაოდენ დიდი როლი უნდა შეესრულებინა მათს ჟურნალს უკვე მოახლოებულ რევოლუციაში.

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 628.

[4] Н. Наумова, Николай Гаврилович Чернышевский. Биография писателя, Москва, 1974, გვ. 58.

[5] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 293.

1858 წელს, როდესაც „სოვრემენიკი“ სრულიად შთანთქავდა მისი მთავარი წამყვანი მუშაკის მთელს ენერგიასა და დროს, ნ. ჩერნიშევსკიმ იკისრა საზღვრო ჟურნალის ხელმძღვანელობაც[6]. ჩერნიშევსკის არ დაუწერია ამ ჟურნალისათვის არც ერთი სტატია. იბადება კითხვა, რატომ იკისრა ნიკოლოზ გაბრიელისძემ ასეთი დიდი ტვირთი — ჟურნალ „სოვრემენიკის“ პარალელურად რატომ დათანხმდა კიდევ ახალი საპასუხისმგებლო გამოცემის რედაქტორობას? აქ, უდავოა ერთი რამ: მოახლოვებული რევოლუციური სიტუაციის პირობებში ჩერნიშევსკი, როგორც ამ საგლეხო რევოლუციის ბელადი, ცდილობს კავშირ-ურთიერთობა დაამყაროს ჯარის ნაწილებთან, შექმნას არმიაში რევოლუციური ბირთვი, გადმოიყვანოს სამხედრო ნაწილები რევოლუციის მხარეზე.

ამრიგად, „სოვრემენიკში“ მოღვაწეობის ხანაში ჩერნიშევსკის, როგორც მოახლოვებული საგლეხო რევოლუციის მომავალ ბელადს, მხედველობიდან არ რჩება არც ერთი უბანი, არც ერთი უჯრედი, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა შეიარაღებულ აჯანყებაში.

ბატონყმობის გაუქმების ამ მოსამზადებელ ხანაშიც ჩერნიშევსკი უკვე აქტიურად თავს უყრიდა თავის თანამოაზრეებს ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გასაერთიანებლად. გერცენი კი, რომელიც დიდხანს მერყეობდა საგლეხო რეფორმის გატარების ფორმებისა და მეთოდების შერჩევის საკითხში, სწორედ ჩერნიშევსკიმ დაარწმუნა, რომ საბოლოოდ რევოლუცია გარდუვალიაო. აი, როგორ მოხდა ეს.

იმ დროს, როდესაც „სოვრემენიკი“ ყველა ღონეს ხმარობდა მასების რევოლუციური აღტყინებისათვის, ლონდონიდან რუსეთში ვრცელდებოდა ე. წ. „მამხილებელი ლიტერატურა“, რომელიც თავს ესხმოდა მეფის მთავრობის მოხელეებს, თვით მეფესაც და ამხელდა საზოგადოებრივ ნაკლოვანებებს. მაგრამ ჩერნიშევსკის და დობროლუბოვს ასეთი „მამხილებელი ლიტერატურის“ გავრცელება რუსეთში არ მოეწონათ. ეს განწყობილება მათ კიდეც გამოამჟღავნეს ჟურნალ „სოვრემენიკის“ სატირულ დამატება „სვისტოკში“, სადაც ირონიულად მოიხსენიეს საზღვარგარეთული „მამხილებელი ლიტერატურა“. ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის აზრით, ამ „მამხილებელ ლიტერატურას“ სარგებლობაზე მეტად ზიანი მოჰქონდა რევოლუციისათვის რუსეთში. ეს ლიტერატურა ილუზიებს თესავდა ხალხში, თითქოს მეფის მთავრობას შეუძლია მოახდინოს საჭირო გარდაქმნები და რომ ამიტომ რევოლუცია რუსეთში არ იყო არც აუცილებელი და არც გარდაუვალი.

რუსეთის ცენტრის ამ „წკიპურტებმა“ დიდად გაანაწყენა გერცენი და ოგარიოვი. გერცენმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა თავისი სტატია „Very dangerous!!!“ („უაღრესად სახიფათოა!!!“), რომელშიც არ დამალა, რომ ძლიერ არის განრისხებული „სვისტოკის“ ირონიული შენიშვნების გამო. ჩერნიშევსკი საგანგებოდ გაემგზავრა ლონდონს უმთავრესად იმ მიზნით, რომ დაერწმუნებინა გერცენი და ოგარიოვი, ნუ ამყარებთ იმედებს ზემოდან გატარებული რეფორმების სიკეთეზე. უმჯობესია ახლავე შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოეუწოდოთ ხალხსო.

რეფორმის მოსამზადებელ პერიოდში ნ. ჩერნიშევსკი ნელ-ნელა თავს უყრიდა მომავალი რევოლუციური პარტიის წევრებს და ის ხალხმრავალი საღამოები, რომლებსაც მისი მეუღლე შინ მართავდა, მხოლოდ ძალთა მოზიდ-

[6] Н. Макеев, Н. Г. Чернышевский — редактор «Военного сборника», «Вопросы истории», 1949, № 4, გვ. 65—82.

ვის, მათი გამოცნობისა და შერჩევის ერთ-ერთი კონსპირაციული საშუალება იყო. „ჩერნიშევსკის გარშემო, რომელიც იყო „რევოლუციური პარტიის“ მეთაური, — წერდა კ. მარქსი, — თავი მოიყარა პუბლიცისტთა ნამდვილმა ფალანგამ, ოფიცერთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ“[7].

ცნობილია, რომ ჩერნიშევსკის ოჯახში სხვა სტუმრებს შორის ქართველი სტუდენტებიც მრავლად დადიოდნენ. მათ დაგვიტოვეს მოგონებანი, რომლებიც დღეს საუკეთესო პირველწყაროა მკვლევართათვის იმ მშფოთვარე დღეების მოვლენათა აღსადგენად, რომლებიც ისტორიაში ცნობილია სტუდენტთა გამოსვლებით. ერთ-ერთი ასეთი ბრწყინვალე მემუარული ნაწარმოებია ნ. ნიკოლაძის „ავტობიოგრაფია“.

ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან ჩანს, რომ ქართველ სტუდენტებს ჰქონიათ თავიანთი სათვისტომო, რომ ამ სათვისტომოს ხელმძღვანელი და აღიარებული ბელადი ყოფილა ილია ჭავჭავაძე, ხოლო დანარჩენი „უფროსი თაობის“ წარმომადგენლები მისი, ასე ვთქვათ, თანაშემწეები ყოფილან. ესენი იყვნენ ბესარიონ ღოღობერიძე, ნიკო ღოღობერიძე, ვასილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, პეტრე ალხაზიშვილი, ივანე ანდრონიკაშვილი, ვასილ სავანელი და სხვანი. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში სწავლობდა 1857 წლის ივლისიდან 1861 წლის გაზაფხულამდე. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ამ წლის მაისში პეტერბურგში ჩავიდნენ ქართველი აბიტურიენტები (ნიკო ნიკოლაძე, დავით აბდუშელიშვილი და გიორგი მესხი), ილია ჭავჭავაძე უკვე აღარ იყო პეტერბურგში და მისი ადგილი დაეკავებინა ნიკო ღოღობერიძეს. იგი იყო მეოთხე კურსის სტუდენტი, ე. ი. უკვე ამთავრებდა უნივერსიტეტს და სამაგისტრო დისერტაციაზე მუშაობდა. იგი ახლოს იდგა ყველა ახლად ჩამოსულ ქართველ სტუდენტებთან და, ეტყობა, ქართველთა სათვისტომოსაც მეთაურობდა. ამ სათვისტომოს ჰქონდა სტუდენტთა სალარო, საკუთარი ბიბლიოთეკა, თვალი ხელნაწერების ფონდი. ბესარიონ ღოღობერიძე, რომელიც შენიშნული და აღრიცხვაზე აყვანილი ჰყავდა პოლიციას, უფრო იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე ქართველთა სათვისტომოში.

შემოდგომაზე, როგორც ცნობილია, პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიწყო სტუდენტთა მღელვარება. ქართველ სტუდენტთა უმცროს თაობას: ნ. ნიკოლაძეს, დ. აბდუშელიშვილს და გ. მესხს ჯერ ვერც კი გაეგოთ სტუდენტობის გემო (აქ მღელვარება გაჩაღდა სასწავლო წლის დაწყებიდან სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ), რომ ქართველთა თავშესაყრებ ადგილას, კერძო სასადილოში, გამოჩნდნენ ნიკო და ბესარიონ ღოღობერიძეები. მათ გააფრთხილეს თავიანთი თანამემამულეები, რომ ჯვალ იწყება სტუდენტთა მღელვარება და ჩვენ ქართველებმა სირცხვილი არ უნდა ვჭამოთ, ჩვენც სხვებთან ერთად უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ გამოსვლაშიო. ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში წერს, რომ ისინი, ახლად მიღებული სტუდენტები, ყოყმანობდნენ: „როგორ უნდა ავმხედრებულიყავით ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების წინააღმდეგ ვერ წარმოგვედგინა. ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ღოღობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: „ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთქა“[8].

[7] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ხელოვნების შესახებ, ტ. I, გვ. 543 (რუსულ ენაზე).
[8] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ., 1931, ტ. I, გვ. 101.

მეორე დღეს, 25 სექტემბერს გაიმართა სტუდენტთა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელიც ნ. ნიკოლაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „უფრო თვალსაჩინოდ და დიდებულად ჩატარდა, ვინემ მის მომწყობთ ჰქონდათ წარმოდგენილი“. ქართველებმა მასში ერთსულოვანი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ჯერ კრძალავდა სტუდენტთა სხდომებს და შეკრებებს. შემდეგ ამ აკრძალვამაც რომ არ უშველა, ხელი მიჰყო აუდიტორიების დაკეტვას, ბოლოს, სააქტო დარბაზიც მიუხურა. ამანაც რომ არ გასჭრა და სტუდენტები არ დაიშალნენ, გასცეს განკარგულება დაეხურათ თვით უნივერსიტეტიც კი.

სტუდენტებმა გადაწყვიტეს, მიემართათ სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის, მაგრამ იგი დაიმალა. სტუდენტებს გამოუცხადეს, რომ მზრუნველი შინ წავიდაო. აღელვებულ სტუდენტთა პროცესია დაიძრა მზრუნველის სახლისაკენ. ნ. ვ. შელგუნოვი ამის შესახებ წერს: ეს იყო უჩვეულო სანახაობა. თითქმის უკლებლივ ყველანი გაემართნენ ნევის პროსპექტით კოლოკოლნის ქუჩისკენო. გზაში დემონსტრანტებს ჩამოცილებია რამდენიმე კაცი და შეუხვევიათ ჩერნიშევსკის სახლისკენ. ნიკოლოზ გაბრიელის ძე გამოსულა სტუდენტების შესახვედრად და მათთან დიდხანს უსაუბრია. ეს უკანასკნელი ცნობები პოლიციამ საგანგებოდ მოახსენა ზემდგომ ორგანოებს.

კოლოკოლნიას ქუჩაზე სტუდენტებს დახვდათ ჯარები. სტუდენტთა დეპუტაცია გაიჭრა ჯარებს შორის და წარსდგა მზრუნველის ბინაზე. მზრუნველმა მიიღო დეპუტაცია, შეპირდა მათ, რომ ერთ კვირაში კვლავ გაიხსნებოდა უნივერსიტეტი და სთხოვა დაშლილიყვნენ. დემონსტრანტები წავიდ-წამოვიდნენ. მაგრამ ღამით დაიწყო დაპატიმრებანი. მათ შორის დააკავეს თვით დეპუტაციის წევრი სტუდენტებიც. მეორე დღეს, 1861 წლის 12 ოქტომბერს, აღშფოთებულმა სტუდენტებმა კვლავ უნივერსიტეტს მიაშურეს და ის იყო აპირებდნენ მიტინგის დაწყებას, რომ მათ თავს დაესხა ჟანდარმერია და ჯარის ნაწილები. რამდენიმე ასეული სტუდენტი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს. მალე გერცენისეულმა „კოლოკოლმა“ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ 12 ოქტომბერს მთავრობის ჯარებმა ერთ-ერთ სტუდენტს კონდახით ყბა გაუტეხა, მეორეს ყური მოათალა, მესამე მძიმედ დაჭრაო და ა. შ. ახალგაზრდებს მალე მიემხრნენ თვით მოწინავე ოფიცრებიც (როგორც ჩანს, ნ. ჩერნიშევსკის აგიტაციას „ვოენნი სბორნიკში“ ამაოდ არ ჩაუვლია). მატულობდა თანამგრძნობთა რაოდენობა. მალე დაპატიმრებულთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ისინი აღარ ეტეოდნენ პეტრე-პავლეს ციხეში და ნაწილი პოლიტიკური პატიმრებისა კრონშტადტში გადაიყვანეს. ქართველი სტუდენტები, როგორც ვთქვით, უკლებლივ გამოვიდნენ ქუჩებში, მთავრობამ მათ მიმართ რეპრესიებს მიმართა. ყველანი კრონშტადტში მოათავსეს. მათი გვარები მოხსენიებულია „კოლოკოლში“, ესენი იყვნენ: ი. ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, პ. ალხაზიშვილი, ბ. ღოღობერიძე, გ. წერეთელი, ა. ჩოლოყაშვილი, დავ. ღოღობერიძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

ნ. გ. ჩერნიშევსკი ძალიან იყო შეშფოთებული პატიმართა შემდგომი ბედიღბლით. მისი უშუალო ჩარევით ლიტერატურული ფონდიდან პატიმრებს დახმარებისათვის გამოუყვეს ფულადი თანხები.

გამოძიების შემდეგ ხუთი კაცი გადაასახლეს ციმბირში, ოცდაათზე მეტი გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ქართველი სტუდენტები რუს და პოლონელ ამხანაგებთან ერთად ისხდნენ კრონშტადტის ციხე-სიმაგრეში. ისინიც, რა თქმა

უნდა, გარიცხეს უნივერსიტეტიდან და აუკრძალეს პეტერბურგში ყოფნა. ქართველ სტუდენტთა მდგომარეობა უკიდურესად გართულდა, რადგან ისინი მშობლების შიშით საქართველოში ვერ დაბრუნდებოდნენ, ხოლო პეტერბურგში კი მათ არალეგალურად უნდა ეცხოვრათ. ასე მოუვიდა, მაგალითად, ნ. ნიკოლაძეს: დედაქალაქში დარჩენილი, იგი იძულებული იყო დამალულიყო, სტუდენტის ფორმა გაეხადა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილიყო. ამ მისმა უჩვეულო ჩაცმულობამ კი მიიპყრო ოლგა სოკრატეს ასულ ჩერნიშევსკაიას და მისი დის მინადორას ყურადღება. მანდილოსნებმა მიიპატიჟეს ახალგაზრდა გმირი სახლში. ამიერიდან ნ. ნიკოლაძე გახდა ხშირი სტუმარი ნ. ჩერნიშევსკის ოჯახისა და მისი დიდი მეთაურის გულწრფელი მეგობარი. ნ. ნიკოლაძე ისე დაუახლოვდა ნ. ჩერნიშევსკის ოჯახს, რომ მათთან ერთად აგარაკზეც კი ისვენებდა და ჩერნიშევსკის ცოლის ძმის ოთახში ცხოვრობდა.

აი, როგორ აგვიწერს ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ოჯახს: „როცა ის (ჩერნიშევსკი. — ლ. ჩ.) ჩამოდიოდა პავლოვსკში (აგარაკზე. — ლ. ჩ.)... მაშინ მეც უფრო ხშირად ვხვდებოდი ჩერნიშევსკის და უკეთ ვაკვირდებოდი ამ ადამიანს... ჩერნიშევსკი იყო შუა ტანისა, ქერა, ბეცი, ოქროს სათვალეებით, დაღიოდა ყოველთვის ძალიან სწრაფად, აჩქარებით. დილიდან შუაღამემდე სულ მუშაობაში იყო გართული. ახლობლების სიტყვით, მან არავითარი გართობა არ იცოდა... ცოლი და შვილები — საშა და მიშა, გაგიჟებით უყვარდა, პირდაპირ აღმერთებდა. თვით ოლგა სოკრატის ასული ზრუნავდა ჩერნიშევსკიზე ისე, როგორც მხოლოდ დედას შეუძლია იზრუნოს ძუძუთა ბავშვზე. ის გვარწმუნებდა, რომ ჩერნიშევსკი არ არის ამქვეყნიური ადამიანი და არაფერი გაეგება ცხოვრებისაო... ჩემდამი დამოკიდებულებაში ჩერნიშევსკის ისე ეჭირა თავი, როგორც ბავშვთან (ნ. ნიკოლაძე ამ დროს 16—17 წლის მოზარდი იყო. — ლ. ჩ.), მე ეს არც მწყინდა. მე სრულებით ბუნებრივად მიმაჩნდა, რომ ასეთი მცოდნე ადამიანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი ტოლი, რომელმაც ჯერ არაფერი ვიცოდი... როცა სტუმრები არ იყვნენ, ...დამიწყებდა ხოლმე საუბარს. მის საუბარს მეტწილად ირონიული ხასიათი ჰქონდა. იგი ყოველთვის ხუმრობით ან ალეგორიებით ლაპარაკობდა, ან ისეთს პასუხს იძლეოდა, რომ მათი გაგება ასეც შეიძლებოდა და ისეც... მიყვარდა მისი ლაპარაკის ყურის გდება, როცა ის სხვებს ემუსაიფებოდა... მან იცოდა, რომ დაიღუპებოდა, მაგრამ არ ეგონა, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა. ერთი რამ მაკვირვებდა მასში: ეს იყო მისი უზომო რწმენა, რომელიც მეც გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, რწმენა სიმართლის უძლეველი ძალისა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე, რაც გონიერია, უძლეველია, ბოლოს და ბოლოს, რომ პროგრესი შეუჩერებელი და უკვდავია. და კიდევ მას ჰყავდა ერთი ფეტიში — ხალხი. რახან ხალხში, ერთხელაც არის, გადავარდა ჰეშმარიტების თესლი, შეუძლებელია მას არ დახვდეს იქ კეთილი ნიადაგი. იგი აუცილებლად ამოვა და მოიტანს დიდ მოსავალს, სასარგებლო ნაყოფს. რამდენჯერმე მინახავს ჩერნიშევსკი ამ თემაზე მოკამათე. ამ ოშვიათ წუთებში მას ჰქონდა უკვე შეხედულება ნამდვილი მოქადაგისა“[9].

სტუდენტთა მღელვარების შემდეგ მთავრობა ყურადღებით უთვალთვალებდა ჩერნიშევსკის და მის ურთიერთობას სტუდენტებთან. საჭირო იყო მის მიმართ ხელოვნურად რაიმე ბრალდების წაყენება. აშკარა სამხილი კი მთავრობას არ ჰქონდა ხელთ. საქმე ის იყო, რომ ნ. ჩერნიშევსკი იმხანად არ იყო

[9] ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, თბ., 1931, ტ. I, გვ. 138—139.

მომხრე სტუდენტთა უშედეგო გამოსვლებისა და ტყუილ-უბრალო სისხლის ღვრისა, იგი თავისი მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით, მხოლოდ ობიექტურად უწყობდა ხელს სტუდენტთა მოძრაობის გაფართოებას. ნ. გ. ჩერნიშევსკის, როგორც სახალხო რევოლუციის მომხრესა და მოსურნეს, მიზნად ჰქონდა დასახული რუსეთში ჰეშმარიტად „გლეხთა ომის“ გაჩაღება. სტუდენტებსა და ჯარისკაცებს მოწინავე ოფიცერთა მხარდაჭერით უნდა ხელმძღვანელის როლი შეესრულებინათ ამ სახალხო რევოლუციაში. ამიტომ ახანყების ამ შემადგენელ ძალთა განცალკევებული გამოსვლა ნ. ჩერნიშევსკის არ მიაჩნდა მიზანშეწონილად. როდესაც ხალხში და მოსწავლე ახალგაზრდობაში გავრცელდა ახალ-ახალი პროკლამაციები და მოწოდებანი („ველიკორუსი“, „ახალგაზრდა თაობას“, „ჯარისკაცებს“, „ახალგაზრდა რუსეთი“ და ბევრი სხვა). ჩერნიშევსკის ბინის მიმართ მთავრობამ 1862 წ. მუდმივი მეთვალყურეობა დააწესა. ოხრანკამ დაადგინა, ჩერნიშევსკის ცოცხალი კავშირურთიერთობა აქვს გერცენთანო.

ჩერნიშევსკის აფრთხილებდნენ[10] ახლო მეგობრები და უცნობი ადამიანებიც, რომ მთავრობა ამზადებს თქვენს დაპატიმრებას და თავს უშველეთო, მაგრამ ჩერნიშევსკი უებრო კონსპირატორი იყო, მის წინააღმდეგ სამხილი რომ არ არსებობდა, კარგად იცოდა და ამიტომ მშვიდად იყო, ჩერნიშევსკი არც უცხოეთში აპირებდა წასვლას და არც იატაკქვეშეთში დამალვას. ყველაფერი, რასაც ნ. ჩერნიშევსკი წერდა, დაბეჭდილი იყო ცენზურას დაქვემდებარებულ ჟურნალ „სოვრემენიკში“. მას არც აშკარად, თავისი სახელით, და არც რაიმე ფსევდონიმით არსად დაბეჭდილი არა ჰქონდა რა. მაგრამ მთავრობა არ ცხრებოდა. ჯერ იყო და 1862 წლის ივნისში მან რვა თვით დახურა ჟურნალი „სოვრემენიკი“. ჩერნიშევსკიმ ოჯახი სარატოვში გაისტუმრა, თვითონ კი დარჩა პეტერბურგში ლიტერატურული საქმეების მოსაგვარებლად და ხელისმომწერლებთან ანგარიშის გასასწორებლად. 1862 წ. 7 ივლისს ჩერნიშევსკის ბინაზე დღისით-მზისით გამოცხადდა ჟანდარმთა ოფიცერი, რომელმაც ბრალდება წაუყენა ჩერნიშევსკის: „ლონდონელ პროპაგანდისტებთან“ ურთიერთობის გამო გაპატიმრებთო. ჯერ გაჩხრიკეს მთელი ბინა (ნ. ჩერნიშევსკისთან ამ დროს სტუმრად იმყოფებოდნენ მისი მეგობრები მ. ანტონოვიჩი და ექიმი ბიკოვი, რომლებმაც ამბავი მოიტანეს), ხოლო შემდეგ, დღის 3 საათზე დააპატიმრეს.

გადიოდა დრო, მაგრამ ჩერნიშევსკიმ, რომელიც პეტრე-პავლეს ციხეში, „ალექსის რაველინში“ იყო ჩამწყვდეული, მაინც ვერ გაიგო, რა მიზეზით აღუკვეთეს მას თავისუფლება. მხოლოდ რვა თვის პატიმრობის შემდეგ დაბნეულ მთავრობას, რომელმაც აქამდე სამხილი ვერ იპოვა ნ. ჩერნიშევსკის წინააღმდეგ, გამოეცხადა გამცემელი ვინმე ვსევოლოდ კრესტოვსკი[11] და განუცხადა,

---

10 აი, რას წერს ამის შესახებ ნიკო ნიკოლაძე—: „... ოლგა სოკრატოვნას შეატყობინა უფროსი კურსის სტუდენტმა და ჩვენმა ამხანაგმა დაკერის დროს (ე. ი. სტუდენტთა დაპატიმრებისას. — ლ. ჩ.) ევგენი პეჩატკინმა..., რომ ჩერნიშევსკის აუცილებელი დატუსაღება მოელის. მან შეაძლია ოლგა სოკრატოვნას ფული და პასპორტი სხვის სახელზე, რომლითაც ჩერნიშევსკის შეეძლო საზღვარგარეთ წასელა, სადაც შემდეგ ოლგა სოკრატოვნაც წავიდოდა. ჩერნიშევსკიმ კატეგორიული უარი განუცხადა ამ თავაზიან წინადადებაზე. ის ჩემთან ამტკიცებდა, რომ ემიგრანტად გახდომით ის მოსწყდება რუსეთს და „მის საზოგადოებრივ მაჯისცემას“ (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, მოგონებანი სამოციან წლებზე, გვ. 141).

11 კრესტოვსკი გადამდგარი ოფიცერი იყო, თავი პოეტად და ლიტერატორად მოჰქონდა. ივი ჩერნიშევსკის ოჯახში და საერთოდ „სოვრემენიკის“ წრეში პოეტმა მიხაილოვმა შემოიყვანა. ამ საშინელი კაცისა და მისი ძმის პირველი მსხვერპლი გახდა თვითონ მიხაილოვი, რომე-

რომ 1861 წლის აგვისტოში ჩერნიშევსკიმ დამავალა რევოლუციური ხასიათის პროკლამაციის დაბეჭდვა (ეს იყო „სალამი საბატონო გლეხებს მათი კეთილისმყოფელებისაგან“, — **ლ. ჩ.**), ხოლო შემდეგ სულ იმას მეუბნებოდა, აბა, დააჩქარე ამ მოწოდების გამოშვებაო. მაგრამ ეს ჩვენება უარყო საქმეში გარეულმა დაპატიმრებულმა სტუდენტმა სოროკამ, როელმაც, მართალია, უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ამ პროკლამაციის აწყობასა და დაბეჭდვაში, მაგრამ არ გასცა ნ. ჩერნიშევსკი. ასევე კეთილშობილურად და ვაჟკაცურად ეჭირა თავი ნ. შელგუნოვსაც, რომელიც აგრეთვე ვერ გასტეხეს და ვერ ათქმევინეს რაიმე თავისი მეგობრის წინააღმდეგ. ამასობაში მთავრობა, როგორც იტყვიან, წელებზე ფეხებს იდგამდა, ოღონდ კი რაიმე ხელჩასაჭიდი მოეტანა ჩერნიშევსკის „დანაშაულის“ დასამტკიცებლად. მან გამოძიებაში მრავალი ცრუმოწმე შეიყვანა, მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის ლოგიკური მსჯელობითა და არგუმენტებით მათი ჩვენებები სულ ერთიანად ბათილდებოდა. ასევე ხელს უწყობდა თავის საყვარელ ბელადს მთელი მოწინავე რუსეთიც დამბეზღებელთა ცილისმწამებლური გამოსვლების მხილებაში.

საპყრობილეში ყოფნის დროს ნ. ჩერნიშევსკიმ დაწერა თავისი უკვდავი რომანი „რა ვაქეთოთ?“ და რამდენიმე მოთხრობა. რომანი „რა ვაქეთოთ?“ მაშინვე დაიბეჭდა აღდგენილ ჟურნალ „სოვრემენიკში“. მართალია, ის ნომრები, სადაც დაიბეჭდა ეს შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები (რომლის ზეგავლენით რუსეთში აღიზარდა რევოლუციონერთა არა ერთი ახალი თაობა), მთავრობამ აკრძალა, მაგრამ იგი ხელნაწერების სახით გავრცელდა მთელს რუსეთში, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ ცალკე წიგნადაც კი გამოვიდა.

გადიოდა დრო, მაგრამ „სახელმწიფო დამნაშავეს“ მთავრობამ სამხილი ვერ უპოვა. ბოლოს, 1863 წლის დეკემბერსა და 1864 წლის დამდეგს — თებერვალში, უმაღლესმა სენატმა ბრალად დასდო ჩერნიშევსკის ის, რომ „მთელი თავისი მოღვაწეობით იგი ძირს უთხრიდა არსებულ წყობილებას“ და ამხედრებდა ხალხს ამ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველადო. 1864 წლის 5 თებერვალს ნ. ჩერნიშევსკის წაუკითხეს მთავრობის (სენატის) განაჩენი, რომელმაც ჩამოართვა ბრალდებულს ყველა და ყოველგვარი უფლება. ჩერნიშევსკი 14 წლით შორეულ ციმბირში გაგზავნეს კატორღაში სამუშაოდ. ეს განაჩენი შემდეგ 7 წლის კატორღით შეუცვალეს...

1864 წლის 19 მაისს პეტერბურგში, მიტნის მოედანზე მთავრობამ ჩაიდინა თავისი მორიგი შუასაუკუნებრივი ხასიათის ბოროტმოქმედება: მან ნ. ჩერნიშევსკის „სამოქალაქო სიკვდილით დასჯა“ მოუწყო. მაგრამ ამით სინამდვილეში თვითმპყრობელობამ ერთხელ კიდევ შეირცხვინა თავი. მოწინავე ახალგაზრდობა ნ. ჩერნიშევსკის წითელი ვარდების თაიგულებს ესროდა ეშაფოტზე ნიშნად თავისი პატივისცემისა და სიყვარულისა. ამ ამბების შესახებ დაწვრილებით წერდა გერცენის „კოლოკოლიც“. ლონდონელი დევნილიც აშკარავებდა რუსეთის მთავრობის ბოროტმოქმედებას და საქვეყნოდ უთვლიდა მას თავის წყევლა-კრულვას. გერცენმა გარდა ამისა ინგლისურ და გერმანულ გაზეთებშიც ამხილა რუსეთის ცარიზმის ეს დანაშაული და მთელი მოწინავე ევროპა აამხედრა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ლიც 1861 წ. გაზაფხულზე ღააპატიმრეს და „ალექსის რაველინში“ ჩასვეს, ხოლო შემდეგ — ნ. გ. შერნიშევსკი.

იმავე დღეს, როდესაც მთავრობამ ეს სამარცხვინო სანახაობა გაითამაშა, ჩერნიშევსკი დაუყოვნებლივ გაუყენეს გზას შორეული ციმბირისაკენ. ეშინოდა სისხლიან ცარიზმს თავისი პოლიტიკური „ტყვის“ უზომო ავტორიტეტისა მთელს საზოგადოებაში. ნ. ჩერნიშევსკის კი თავი ეჭირა მშვიდად და მტკიცედ, ხოლო ნათესავ-მეგობრებთან შეხვედრისას (ეშაფოტიდან გადმოსვლის შემდეგ იგი პეტრე-პავლეს ციხეში წაიყვანეს და იქ მისცეს უფლება უშუალოდ ესაუბრნა თავის ოჯახის წევრებთან თუ ახლობლებთან) იგი ჩვეულებრივად ხუმრობდა და ამგვარი საქციელით ამხნევებდა ცოლ-შვილსა თუ მეგობრებს.

1864 წლის 20 მაისს ჩერნიშევსკი ორი ჟანდარმის თანხლებით ციმბირში გაგზავნეს. ეს გზა მეტისმეტად მძიმე იყო და გაუთავებელი: ჩერნიშევსკი გაამწესეს ჩინეთის საზღვარზე მდებარე ყრუ სოფელ კადაიაში, სადაც იგი შეხვდა სიკვდილის სარეცელზე მყოფ მ. ლ. მიხაილოვს. მალე გერცენის „კოლოკოლმა“ კვლავ აცნობა მთელს მსოფლიოს, რომ ნ. ჩერნიშევსკი ძლიერ ავად არისო და ამით აიძულა ცარიზმი, რომ ჩერნიშევსკი ლაზარეთში მოეთავსებინათ.

ამასობაში, ნ. ჩერნიშევსკის მომხრე მთელი მოწინავე რუსეთი ცდილობდა როგორმე შეემსუბუქებინა თავისი საყვარელი ბელადის მძიმე ხვედრი. იქმნებოდა არა ერთი გაბედული გეგმა (ხშირად ა. გერცენის ყოველმხრივი დახმარებითა და ნივთიერი შეწევნით) ჩერნიშევსკის გამოტაცებისა და უცხოეთში დასახლების შესახებ, მაგრამ ნიკოლოზ გაბრიელის ძემ ემიგრანტობა არ ისურვა.

1866 წლის მაისში ოლგა სოკრატეს ასული ჩერნიშევსკაია უმცროსი შვილის, პატარა მიშას, და ექიმ პავლინოვის თანხლებით გაემგზავრა შორეულ ციმბირში ქმრის სანახავად სოფ. კადაიაში. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო უბრალო შეხვედრის წყურვილი. განზრახული იყო ჩერნიშევსკის საზღვარგარეთ გაქცევის მოწყობა ოჯახითურთ, მაგრამ საპყრობილეების ადმინისტრაციაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა და ჩერნიშევსკიმაც არ ისურვა ამ გზით თავის შველა. ოლგა სოკრატეს ასულ ჩერნიშევსკაიას ეს მოგზაურობა ლონდონის ცენტრთან შეთანხმებით იყო მოწყობილი. სამაგიეროდ ჩერნიშევსკის მებრძოლმა მეუღლემ ის მაინც მოახერხა, რომ გადააყვანინა ქმარი ალექსანდრეს ქარხანაში, ნერჩინსკში. შემდეგში ნ. ჩერნიშევსკი იმ წლებს, რომელიც მან ამ ქარხანაში გაატარა, საუკეთესოდ მიიჩნევდა მთელი თავისი გადასახლების პერიოდში. საქმე ის იყო, რომ იმ დროს აქ იმყოფებოდა მთელი „მოაზროვნე კატორღა“, თითქმის ყველა გადასახლებული პოლიტიკური პატიმარი.

1866 წლის აპრილში პეტერბურგში სტუდენტმა დიმიტრი კარაკოზოვმა ესროლა ალექსანდრე II-ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ააცილა. ამ გასროლას შედეგად მოჰყვა ახალი რეპრესიების მთელი ტალღა, რომელმაც მუსრი გაავლო რევოლუციური ახალგაზრდობის მრავალრიცხოვან რიგებს. ამის გამო ნ. ნიკოლაძემ (რომელიც ვითომდა სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაიხვეწა) დაწერა შესანიშნავი თხზულება „მთავრობა და ახალგაზრდა თაობა“, რომელშიც მოუწოდა ახალგაზრდა რევოლუციონერებს თავი შეეკავებინათ ამგვარი უშედეგო სისხლისღვრისაგან და მთავრობისათვის უნებლიეთ ხელი არ შეეწყოთ თავიანთი რიგების დარბევაში... ნაცვლად ასეთი საშიში და განწირული ნაბიჯებისა საჭირო იყო ჩერნიშევსკის საქმის გაგრძელება და ძალთა თავმოყრა ერთხელდასახული მიზნის განსახორციელებლად. ამას კი, ნ. ნიკოლაძის წარმოდგე-

ნით, დიდი დრო და დიდი სულიერი გამძლეობა, არა ერთი თაობის თავგანწირული ბრძოლა სჭირდებოდა.

ამასობაში ნ. ნიკოლაძემ რუს ემიგრანტ ელპიდინთან ერთად დიდი და საშვილიშვილო საქმის განხორციელებას ჩაუყარა საფუძველი: ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას. ერთდროულად ეს იქნებოდა აგრეთვე დიდი ნივთიერი დახმარებაც ჩერნიშევსკის ოჯახისათვის: ცოლისა და შვილებისათვის. ამ უაღრესად კეთილშობილურ, რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში ნ. ნიკოლაძეს დიდი დახმარება გაუწიეს რუსეთში მყოფმა ქართველმა მოღვაწეებმა კირილე ლორთქიფანიძემ, მ. ნაკაშიძემ და სხვებმა. გარდა იმისა, რომ ნ. ნიკოლაძე მოთავე და ინიციატორი იყო ამ საპატიო საქმისა, მან ყველაზე დიდი ფულადი წვლილიც შეიტანა იმ ფონდში, რომელიც შეიქმნა ამ გამოცემის განსახორციელებლად. დაბოლოს, ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა კრებულის პირველი გამოცემის წინასიტყვაობა[12].

1870 წლის 10 აგვისტოს დამთავრდა ჩერნიშევსკის მიმართ გამოტანილი განაჩენის (7 წლის კატორღა) ვადა. და თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს იმას, რომ ყოფილი პოლიტკატორღელი სამუდამოდ დასახლებულიყო ციმბირის რომელიმე კულტურულ ქალაქში, მაგალითად ირკუტსკში... მაგრამ ნაცვლად განთავისუფლებისა, ალექსანდრე II-ემ ნ. ჩერნიშევსკი კვლავ გადაასახლა შორეულ ვილუისკის მხარეში და ამით სამუდამოდ გაგზავნა იგი „ცოცხალ სამარეში“.

ალექსანდრე II-ემ არ აღირსა ნ. ჩერნიშევსკის ციხიდან გამოსვლა, მაგრამ მებრძოლმა რუსეთმა თვით ალექსანდრე II-ს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და 1881 წლის 1 მარტს განახორციელა კიდეც იგი. მალე იმავე მებრძოლი რევოლუციური ინტელიგენციის ულტიმატური მოთხოვნით (რომლის ერთ-ერთი ინიციატორი ნიკო ნიკოლაძეც იყო), ნ. ჩერნიშევსკი გაანთავისუფლეს, მაგრამ იგი უკვე ფიზიკურად მოტეხილი იყო. ამიტომაც მას დიდხანს აღარ უცოცხლია. ურყევი რევოლუციონერი და დემოკრატი 1887 წელს გარდაიცვალა.

ნ. ჩერნიშევსკიმ, ისე როგორც მისმა თანამებრძოლებმა, თავიანთი რევოლუციურ-დემოკრატიული თეორიითა და პრაქტიკით სამართლიანად დაიმსახურეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედთა საპატიო სახელი.

---

[12] ე. დ. ჩარკვიანი, ქართველ მოღვაწეთა მონაწილეობა ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა კრებულის გამოცემაში 1868 წელს, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1952, გვ. 81—87.

სანდრო ჩხარტიშვილი

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თავისებურებანი და კანონზომიერებანი

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. ვ. ი. ლენინი, განსაზღვრავდა რა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, მიუთითებდა, რომ მისი კონსტიტუცია „თავს უყრის იმას, რაც ცხოვრებამ უკვე მოგვცა და იგი შესწორებული და შევსებული იქნება ცხოვრებაში მისი პრაქტიკული გამოყენებით“[1].

ის, რაც ცხოვრებამ ჩვენს ქვეყანას მისცა 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ეს არის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების და საერთო-სახალხო სახელმწიფო. „ეს საზოგადოება, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეშვიდე რიგგარეშე სესიაზე, — საკონსტიტუციო წესით დამკვიდრდა როგორც ახალი ისტორიული მიჯნა კომუნიზმისაკენ ჩვენს წინსვლაში“[2]. რაც უფრო წინ წაიწევს ჩვენი საზოგადოება კომუნიზმის შენებლობის გზაზე, მით უფრო სრულად გამოიკვეთება კონსტიტუციაში ასახული სოციალისტური დემოკრატიის — ხალხის ხელისუფლების, ხალხის ინტერესებისათვის უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის მიღება დაემთხვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, მაგრამ ეს უბრალო დამთხვევა არ არის, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს მთელი განვითარების კონცენტრირებული შედეგია.

სოციალიზმი არ არის საზოგადოების განვლილი ფაზა, იგი ახლანდელი ვითარებაა, მომწიფებული სოციალიზმი მისი ეტაპია. ამიტომ ამ ეტაპის დასახასიათებლად აუცილებელია განვსაზღვროთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის ისტორიული ადგილი, სოციალიზმის შემდგომი განვითარების პერიოდები და ეტაპები, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების თავისებურებანი, განვითარებული სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის კანონზომიერებანი.

ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო განვითარების ტენდენციად იქცა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. სსრ კავშირში შექმნილი განვითარებული სოციალიზმის მსგავსი საზოგადოება იქმნება სოციალისტურ ქვეყნებშიც. ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სოციალიზმი კაცობრიობის ისტორიაში დამოუკიდებელი ეტაპია, რომ იგი ხანგრძლივი ფაზაა კომუნისტური ფორმაციის დამკვიდრების ისტორიულ პროცესში და რომ მას გააჩნია განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონები.

მაგრამ ყველა მისი კანონის დადგენა შეუძლებელი იყო რევოლუციის გამარჯვებამდე. „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, —

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 24.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 8 ოქტომბერი.

ჰვრეტდნენ რა მომავალს, სოციალიზმისა და კომუნიზმის კონტურები მოხაზეს, მათ უაღრესი სიფრთხილე გამოიჩინეს. არც ერთი მისხალი უტოპია, არავითარი ფანტაზიები. მხოლოდ ის, რაც შეიძლება მეცნიერულად დამტკიცდეს: განვითარების ძირითადი ტენდენციები, მთავარი პრინციპული დახასიათებანი. თეორიულად ნათელი იყო, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა მოიცავს ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთს, რომ ახალი საზოგადოება სიმწიფის ერთი საფეხურიდან მეორეზე ავა, მაგრამ როგორი იქნებოდა კონკრეტულად, ამისი ცოდნა წინასწარ შეუძლებელი იყო"[3].

ფ. ენგელსი წერდა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაზე გარდამავალი ეტაპების საკითხი — უძნელესი საკითხია ყველა არსებულ საკითხთა შორისო[4].

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს არა მარტო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობა, არამედ ძირითადად განსაზღვრეს სოციალიზმისა და კომუნიზმის ეტაპობრივი განვითარება, კომუნიზმის დამკვიდრების ძირითადი სტადიები: კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი, სოციალიზმი და კომუნიზმი. ვ. ი. ლენინმა შემდგომ განავითარა ეს თეორია. მან მოგვცა გარდამავალი პერიოდის, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების განსაზღვრება, ერთის მეორედ გადაზრდის მთავარ კანონზომიერებათა დახასიათება. სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, ის განსხვავებაა, რომ პირველი აღნიშნავს საზოგადოებას, რომელიც კაპიტალიზმიდან გამოვიდა, კომუნიზმი კი მის უფრო მაღალ, შემდგომ საფეხურს. ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ უშუალოდ გადასვლა კაპიტალიზმიდან მხოლოდ სოციალიზმზე შეიძლება, რომ კომუნიზმი განვითარდება მხოლოდ საკუთარ საფუძველზე, რომ ეს იქნება განვითარებული სოციალიზმი.

მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მთელი კონკრეტულობით ნათელი იყო კომუნიზმისაკენ მიმავალი გზა. კ. მარქსი, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, მხოლოდ ზოგადად და გადაკვრით ამბობდა მომავალზე, მხოლოდ უაღრესად ზოგადად განსაზღვრავდა მას. ჩვენ, ამბობდა ვ. ი. ლენინი 1918 წელს, თავიდანვე „არ შეგვეძლო გვცოდნოდა არც გარდაქმნის ფორმები, არც კონკრეტული რეორგანიზაციის სისწრაფის ტემპი. ამ მხრივ გადამწყვეტი მითითებების მოცემა შეუძლია მხოლოდ კოლექტიურ გამოცდილებას"[5]. რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში გადაიდგა პირველი ნაბიჯები სოციალიზმზე გადასვლისათვის. მაგრამ, წერდა ვ. ი. ლენინი მაშინ, თუ „რამდენი იქნება კიდევ გარდამავალი ეტაპი სოციალიზმისაკენ, ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ"[6].

„... როგორი სახე ექნება დამთავრებულ სოციალიზმს, — ჩვენ ეს არ ვიცით... სოციალიზმის დასახასიათებლად, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — ჯერ კიდევ არ არის მასალები. ჯერ არაა დამზადებული აგურები, რომელთაგან სოციალიზმი აშენდება"[7].

---

[3] ლ. ი. ბრეჟნევი. კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", № 12, 1977, გვ. 3.

[5] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 498.

[4] К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. 38, გვ. 108.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 142.

[7] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 162.

რეალური სოციალიზმის აშენების შემდეგ შესაძლებელი გახდა უფრო ნათლად დადგენილიყო სოციალიზმისა და კომუნიზმის დამკვიდრების სტადიები და ეტაპები. დამტკიცდა, რომ რევოლუციის შემდეგ იწყება სოციალიზმის მშენებლობისა და ფუნქციონირების ხანგრძლივი ხანა. სოციალიზმის შემოღება არ შეიძლება, იგი უნდა აშენდეს და აშენდეს თანდათანობით. ამ მშენებლობის პროცესში შეიძლება გამოვყოთ სამი პერიოდი: კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების ანუ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და განვითარებული სოციალიზმის ფუნქციონირების პერიოდი, როდესაც იწყება კომუნიზმის უშუალო მშენებლობა.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ხდება კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა სოციალისტურ საზოგადოებად. მისი შინაარსია — საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სოციალისტურ საწყისებზე გადასვლა, აუცილებელი ეკონომიკური, მატერიალურ-ტექნიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი წანამძღვრების შექმნა განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის დაწყებისათვის. გარდამავალი პერიოდი მთავრდება საზოგადოების ყველა სფეროში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ. იწყება გამარჯვებული სოციალიზმის პერიოდი, რაც ნიშნავს სოციალიზმის მშენებლობის ძირითად დამთავრებას.

გარდამავალი პერიოდი არ არის უშუალოდ სოციალიზმის ეტაპი. მაგრამ მისი გამიჯვნა სოციალიზმისაგან შეუძლებელია. იგი ეტაპია სოციალიზმის მშენებლობაში პოლიტიკური მნიშვნელობით, სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათით, ამოცანებით, სადაც ხდება კაპიტალისტური ელემენტების დაძლევა და საზოგადოების სოციალისტური საწყისების განმტკიცება. გარდამავალი პერიოდი სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრების საწყისი სტადიაა.

სოციალიზმის ძირითადად აშენება დამკვიდრდა კანონმდებლურად 1936 წელს მიღებული კონსტიტუციით. პოლიტიკური ზედნაშენი ეკონომიკური ბაზისის შესაბამისი გახდა. ეს იყო გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია. ამ საზოგადოებას ახასიათებს მშრომელთა ხელისუფლების დამკვიდრება მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება, სახალხო მეურნეობის გეგმიანობა; განხორციელება პრინციპისა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით!“ გამარჯვებული სოციალიზმის იდეოლოგიაა მეცნიერული კომუნიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

მაგრამ გარდამავალი პერიოდის დასასრული არ ნიშნავდა სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებას, იმას, რომ გავლილია კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი. ამ პერიოდის კრიტერიუმია კაპიტალიზმის სრული განდევნა, სოციალიზმის ერთიანი სისტემის შექმნა და პირობების მომზადება შემდგომი განვითარებისათვის. ამიერიდან სოციალიზმი ფუნქციონირებს და ვითარდება საკუთარ საფუძველზე.

გარდამავალი პერიოდი ყველა ქვეყნისათვის აუცილებელი იქნება. მაგრამ იგი ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივი იყო. ეს აიხსნება რუსეთის ჩამორჩენილობითა და იმდროინდელი რთული საერთაშორისო მდგომარეობით. ბუნებრივია, რომ სხვა ქვეყნებისათვის ეს პერიოდი უფრო ხანმოკლე იქნება.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ გარდამავალი პერიოდის შედეგად ერთიანი სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბება იყო საფუძვლის

მომზადება განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისათვის და არა კომუნიზმზე გადასასვლელად. ამიტომ, ბუნებრივია, არ იყო ზუსტი გამარჯვებული სოციალიზმის ფუნქციონირების დაწყებით სტადიაზე კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დებულების წამოყენება. ამ დროს, როგორც სამართლიანად თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1977 წ.) პლენუმზე, „ჩვენში არსებითად მხოლოდ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა იყო დამთავრებული“. ამ პერიოდიდან სოციალიზმი იწყებს თვითგანვითარებას, რაც ნიშნავდა მის სრულყოფას, ესე იგი დაიწყო განვითარებული სოციალიზმის მშენებლობა, სოციალიზმის მომწიფების პერიოდი, რომელიც თავის მხრივ განვითარების რამდენიმე ეტაპს გადის.

საბჭოთა კავშირის შემდეგ მოძმე ქვეყნების გამოცდილებამ, ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მე-7 რიგგარეშე სესიაზე, გვიჩვენა, რომ „სოციალიზმის საფუძვლების შექმნა, ესე იგი, ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაცია და სახალხო მეურნეობის ყველა სექტორში საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება ჯერ კიდევ არ გვაძლევს საშუალებას დავიწყოთ უშუალო გაღასვლა კომუნიზმში. გამარჯვებულმა სოციალიზმმა მომწიფების გარკვეული საფეხურები უნდა გაიაროს და მხოლოდ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება იძლევა კომუნისტური მშენებლობის დაწყების შესაძლებლობას. თანაც, როგორც ახლა ვიცით, სოციალიზმის განვითარება და სრულყოფა მისი საფუძვლების შექმნაზე ნაკლებ რთული, ნაკლებ პასუხსაგები ამოცანა არ არის“[8].

ასეთი საზოგადოების აშენების შემდეგაც კი შეუძლებელია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა. კომუნიზმი თანდათანობით შენდება განვითარებული სოციალიზმის სიმწიფის კვალობაზე და მისი განვითარების შედეგად. ძირითადად სოციალიზმის აშენების შემდეგ მოხდა მისი მშენებლობის დამთავრება და სრულყოფა.

ამიტომაც არ შეიძლება რეალური სოციალიზმი ყველა ეტაპზე ერთნაირი იყოს მისი მომწიფებულობის თვალსაზრისით. როგორც ითქვა, ძირითადად სოციალიზმის აშენებიდან იწყება სოციალიზმის განვითარების, მისი მომწიფების ხანგრძლივი ხანა. მაგრამ ძალზე ძნელია ზუსტად განისაზღვროს მისი ქრონოლოგიურ-ისტორიული ჩარჩოები.

ამ თვითგანვითარების თვისებრივად ახალი ეტაპია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამრიგად, კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი იყოფა ორ — გამარჯვებული სოციალიზმისა და განვითარებული სოციალიზმის პერიოდებად. განვითარებული სოციალიზმის ფუნქციონირების დაწყებიდან ხდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანდათანობითი მშენებლობა, რომლის დროსაც ნახტომები შეუძლებელია.

„განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — ახალი წყობილების სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის კანონზომიერი საფეხურია კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის ფარგლებში. ეს, ვ. ი. ლენინის

---

[8] ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, ჟურ. „პოლიტიკური სიტყვა“, № 21—22, 1977, გვ. 9.

სიტყვით რომ ვთქვათ, არის ის მთლიანად დამკვიდრებული სოციალიზმი, რომლიდანაც იწყება თანდათანობით გადასვლა კომუნიზმში"[9].

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინი მომავლის განჭვრეტისას „მზა", „სრულ", „განვითარებულ სოციალიზმზე" ლაპარაკობდა და წერდა. თვით ტერმინი „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება" პირველად შემოიღო 1918 წელს. იგი ამბობდა, რომ აშენდებოდა „საბოლოოდ განმტკიცებული და განვითარებული სოციალიზმი, „დამთავრებული სოციალიზმი", „სრული სოციალისტური საზოგადოება"[10].

ლენინურ დებულებებზე დაყრდნობით შემუშავდა განვითარებული სოციალიზმის თეორია, რაც უდიდესი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია შეიქმნა მოძმე სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის საფუძველზე. ეს კონცეფცია სოციალისტურ ქვეყნებში ახალი წყობილების განვითარებაში სახავს როგორც უახლოეს, ისე შორეულ მიზნებსა და ამოცანებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვითარებული სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით განსაზღვრა უახლოესი წლებისა და უფრო ხანგრძლივი ისტორიული პერსპექტივებისათვის მოქმედების მკაფიო, რეალისტური კურსი, დააკონკრეტა ჩვენი საპროგრამო მიზნების რეალიზაციის გზები. ამ მიმართულებით პირველი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სოციალიზმზე საბოლოოდ ყველა ქვეყანა უნდა გადავიდეს.

განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის წამოყენებასთან მჭიდრო კავშირშია სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების პრობლემა. როგორც აღვნიშნეთ, სოციალიზმის სრული გამარჯვება ნიშნავს პირველ რიგში სოციალიზმის დამკვიდრებას ქვეყნის შიგნით, ქვეყნის შინაგანი განვითარების თვალსაზრისით, კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობის ლიკვიდაციას, კაპიტალისტური ელემენტების დათრგუნვას, ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში დაძლეულია საკუთარი ბურჟუაზია. მაგრამ სრული გამარჯვება ნიშნავს იმასაც, რომ სოციალიზმი მომწიფდა, ესე იგი აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, დამთავრდა სოციალიზმის მშენებლობა. მაგრამ საბოლოო გამარჯვება ერთი ქვეყნის ფარგლებში შეუძლებელია. იგი საერთაშორისო მასშტაბით უნდა გადაწყდეს და ეს ასეც გადაწყდა.

განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პერიოდია 60-იანი წლების დამდეგი. კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის (1960 წ.) „განცხადებაში" ნათქვამი იყო, რომ სოციალიზმის მთელი სისტემა შევიდა განვითარების ახალ სტადიაში. სსრ კავშირი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას, სხვა ქვეყნები საფუძველს უყრიან სოციალიზმს, ხოლო ზოგიერთი მათგანი უკვე შევიდა განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა ნიშნავდა არსებითად განვითარებული სოციალიზმის დამკვიდრებას.

პირველად განვითარებული სოციალიზმის ეპოქის დადგომა, რაც დროის მიხედვით დაემთხვა სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებას, ჩამოყა-

---

[9] ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", № 13, 1977, გვ. 3.

[10] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 336; ტ. 33, გვ. 45, 109, 293 და სხვა.

ლიბებული იყო ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით 1967 წელს. 1970 წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „პირველად ცივილიზაციის ისტორიაში სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა, აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და შეიქმნა კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობის პირობები“[11].

სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შედეგად ჩვენს ქვეყანაში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელზეც 1918 წელს ვ. ი. ლენინი ამბობდა როგორც ჩვენი ქვეყნის მომავალზე. ყრილობამ არა მარტო დაადასტურა ამ საზოგადოების აშენება, არამედ დასახა მისი განვითარების პერსპექტივებიც. „ჩვენს ქვეყანაში, — ნათქვამია საანგარიშო მოხსენებაში, — აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც თანდათან გარდაიქმნება კომუნისტურ საზოგადოებად იმით, რომ ჩვენი სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოა, რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებს და ნებას“[12].

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრული და ამომწურავი დახასიათება მოცემულია ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში: „ოქტომბერი და მსოფლიო პროგრესი“, მის ცნობილ სტატიაში: „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების არსი ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რითაც იგი კანონმდებლურადაც არის განმტკიცებული.

ისტორიის გამოცდილება სულ უფრო და უფრო ამტკიცებს იმას, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბების კანონზომიერი ეტაპია. სოციალიზმი, რომელიც დაჩქარებული ტემპით ვითარდება საკუთარ საფუძველზე, სულ უფრო სრულად ავლენს თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს, თავის ღრმა ჰუმანურ არსს. განვითარებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების შერწყმა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობასთან, გადამწყვეტი შემობრუნება ეკონომიკის განვითარების ინტენსიური მეთოდებისაკენ, წარმოების თვისებრივად ახალი დონე და განვითარების მასშტაბები, რაც საშუალებას გვაძლევს უშუალოდ გადავწყვიტოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები, უზრუნველვყოთ მშრომელთა კეთილდღეობის გადამწყვეტი გაუმჯობესება, დიდმნიშვნელოვანი წარმატებანი მოვიპოვოთ კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრებაში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ისე მწიფდება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემა, რომ იგი იწყებს თანდათანობით კომუნისტურში გადაზრდას. მისთვის დამახასიათებელია მშრომელთა ურღვევი იდეურ-პოლიტიკური და სოციალური შეკავშირება, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგულება, სოციალური ერთგვაროვნების გაძლიერება, რაც სოციალური პროგრესის უმაღლესი მიღწევაა. ამ დროს „მთავრდება საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი ერთობლიობის გარდაქმნა სოციალიზმისათვის შინაგანად დამახასიათე-

[11] ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინური კურსით, ტ. 2, გვ. 613.
[12] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976 გვ. 110—111.

ბელი კოლექტივისტურ საწყისებზე"[13]. განვითარებული სოციალიზმის დროს უფრო ფართო სარბიელი ეძლევა სოციალიზმის კანონების მოქმედებას, იქმნება პირობები საზოგადოების ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის უპირატესობათა გამოვლენისათვის. მისთვის დამახასიათებელია მთლიანობა და დინამიზმი, პოლიტიკური სტაბილურობა, ურღვევი შინაგანი ერთიანობა.

ვინაიდან განვითარებული სოციალიზმიც სოციალიზმის ფაზას მიეკუთვნება, ამ დროსაც და თანაც ხანგრძლივად მოქმედებს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი. შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანთა შეგნების თანამედროვე დონეს. მისგან გადახვევა შეცდომებამდე მიგვიყვანს.

ხაზგასმით კიდევ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობათა შეცნობა და გამოყენება ამავე დროს კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლაც არის. განვითარების დიალექტიკა ისეთია, რომ ამ საზოგადოების სრულყოფის კვალობაზე მიმდინარეობს მისი კომუნისტურში გადაზრდაც. ამ ორი პროცესის ერთმანეთისაგან დაცილება, მათ შორის ზღვარის გავლება შეუძლებელია. ამ დროს იწყება უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება, რაზეც ნათქვამია სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება ეყრდნობა მაღალგანვითარებულ საწარმოო ძალებს, მძლავრ, მოწინავე ინდუსტრიას, მსხვილ კოლექტივისტურ პრინციპებზე დაფუძნებულ მაღალმექანიზებულ სოფლის მეურნეობას. სწორედ ასეთია დღეს საბჭოთა ეკონომიკა, რომელიც მასშტაბითაც, ტექნიკური აღჭურვილობითაც ძირეულად განსხვავდება იმ ეკონომიკისაგან, რომელიც გვქონდა ოთხი ათწლეულის წინათ, როცა ჩვენში გაიმარჯვა (ქალაქად და სოფლად) სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობებმა.

მართლაც, უზარმაზარია დისტანცია, რომელიც არსებობს გამარჯვებულ სოციალიზმსა და განვითარებულ სოციალიზმს შორის, და პირველ რიგში ეკონომიკის დარგში. ამ ხნის განმავლობაში მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტების მოცულობა გაიზარდა 18-ჯერ, შრომის ენერგოაღჭურვილობა, მრეწველობაში — თითქმის 8-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 15-ჯერ და მეტად. 1940 წელთან შედარებით მთელი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 19-ჯერ, სოფლის მეურნეობისა — 2,5-ჯერ, ტვირთბრუნვა ყველა სახის ტრანსპორტზე — 11,7-ჯერ.

დიდი წარმატებები მოიპოვა საქართველოს სსრ ეკონომიკამ. მთელი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1940—1977 წლებში გაიზარდა 13-ჯერ და მეტად, სოფლის მეურნეობისა — 3,3-ჯერ. 4-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა შრომისნაყოფიერება მრეწველობაში, ძირითადი საწარმოო ფონდები უკანასკნელ ათწლეულში თითქმის გაორმაგდა.

ჩვენი დღევანდელი ეკონომიკა წარმოუდგენელია ატომური ენერგეტიკის, ელექტრონიკის, გამოსათვლელი ტექნიკის, ნახევარგამტარი მასალების წარმოებისა და ინდუსტრიის მრავალი სხვა დარგის გარეშე, რომლებიც 1936 წელს არ გვქონდა. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში იმ დარგების

---

[13] ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", № 12, 1977, გვ. 5.

წილი, რომლებიც სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესსა და ეფექტიანობას განსაზღვრავენ, 3,3-ჯერ და მეტად გაიზარდა.

განვითარებული სოციალიზმის დროს სახალხო მეურნეობის მთელ სისტემაში ვლინდება მეცნიერულად დასაბუთებული ოპტიმალური მყარი პროპორციები. ჩამოყალიბებულია ერთიანი მძლავრი სახალხო სამეურნეო ორგანიზმი. ეს საზოგადოება ეყრდნობა არა მარტო მძლავრ, მოწინავე ინდუსტრიას, მაღალმექანიზებულ სოფლის მეურნეობას, არამედ წარმოების მაღალ კონცენტრაციას და ცენტრალიზაციას. მიმდინარეობს მრეწველობის „ა“ და „ბ“ დარგების განვითარების ტემპების მაქსიმალური დაახლოება ერთმანეთთან. მთავარი ყურადღება ექცევა მეურნეობის გაძღოლის ინტენსიურობას. მეცნიერება იქცევა უშუალო საწარმოო ძალად.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მნიშვნელოვნად მაღლდება ეკონომიკის განსაზოგადოების დონე, განუხრელად უახლოვდება ერთმანეთს სოციალისტური საკუთრების სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ფორმები. პარტია ამ ბოლო წლებში ატარებს სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებას, თანამედროვე პირობების შესაბამისად ავითარებს ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეებს. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად 7 ათასზე მეტი სამეურნეობათაშორისო ორგანიზაცია და გაერთიანებაა, რომლებიც საწარმოებისა და კოლმეურნეობების ერთობლივი მეცადინეობით შეიქმნა. ეს ახალი მოვლენაა ჩვენს სოციალურ-ეკონომიურ პრაქტიკაში.

დიდი ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით საქართველოს სსრ რესპუბლიკაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა (1978 წლის თებერვალი), რომელიც ხელმძღვანელობდა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, სპეციალურად განიხილა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების საკითხები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში, პლენუმის დადგენილებაში ჩამოყალიბებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები ახალ საფუძველზე. დასახული იყო სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის გზით განვითარების კონკრეტული ამოცანები.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საზოგადოების მთავარ და უშუალო მიზნად იქცევა პრაქტიკულად გადაწყდეს მოქალაქეთა მრავალფეროვან მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილება.

სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრული გამარჯვების ერთ-ერთი შედეგია პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაქმნა. ეს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების კანონზომიერი ეტაპია.

სსრ კავშირის კონსტიტუციამ, რომელმაც დააკანონა, რომ ჩვენს ქვეყანაში „აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება“, ამით კანონმდებლურად დაამკვიდრა საერთო-სახალხო სახელმწიფოც.

განვითარებული სოციალიზმის დამახასიათებელია მთელი ხალხის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა. ამიტომ კონსტიტუციით დაკანონებულია, რომ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

განვითარებული სოციალიზმი არის მომწიფებულ სოციალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზოგადოება, რომელშიც ყველა სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის საფუძველზე იშვა ადამიანთა ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ეს საზოგადოება მშრომელთა — პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა, მაღალი ორგანიზებულობის, იდეურობისა და შეგნებულობის საზოგადოებაა, რომლის ცხოვრების კანონია ყველას ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის. ეს არის ნამდვილი დემოკრატიის საზოგადოება, რომლის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებრივი ძალების ეფექტიან მართვას, მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს ცხოვრებაში, ადამიანის რეალურ უფლებათა და თავისუფლებათა შეხამებას.

განვითარებული სოციალიზმის შეცნობასა და მისი სრულყოფისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი განვითარების საერთო და სპეციფიკურ თავისებურებათა და კანონზომიერებათა გარკვევას, მათი თანაფარდობის დადგენას. იგი მიეკუთვნება მარქსისტულ-ლენინური თეორიის კარდინალურ პრობლემებს. „კომუნისტები თავიანთ ბრძოლაში, — აღნიშნა სკკპ XXV ყრილობამ, — ხელმძღვანელობენ რევოლუციის განვითარების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებებით. ეს კანონზომიერებანი, რომელიც აისახა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში და დადასტურდა პრაქტიკით, გაშლილი ფორმით კოლექტიურად ჩამოაყალიბეს მოძმე პარტიების საერთაშორისო თათბირებმა. ამ კანონზომიერებათა ღრმა გაგება, მათზე დაყრდნობა თითოეულ მოცემულ ქვეყანაში შემოქმედებით მიდგომასთან და კონკრეტული პირობების გათვალისწინებასთან შეხამებით იყო და არის მარქსისტ-ლენინელთა განუყრელი თავისებურება“[14].

მაგრამ ზოგადი კანონზომიერებანი განვითარების ყველა ეტაპზე ერთნაირი როდია. თანამედროვე პირობებში, როდესაც განვითარებული სოციალიზმის სტადიაზე რამდენიმე ქვეყანა გადადის, აუცილებელია დადგინდეს სოციალიზმის მშენებლობის როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური თავისებურებანი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რა არის საერთო ყველა ამ ქვეყნისათვის. მაგრამ ზოგადი და სპეციფიკური ერთმანეთთან დიალექტიკურ ერთიანობაშია და მათი გამოყოფა ერთმანეთისაგან მეტად ძნელია. ზემოთ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე დასახელებული იყო განვითარებული სო-

[14] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 42.

ციალისტური საზოგადოების ნიშნები და თავისებურებანი. მაგრამ მისი ინტერნაციონალური კრიტერიუმები მოითხოვს ეამოვლინდეს საერთო ნიშნები, რომლებიც მიუდგება ყველა ქვეყანას, დადგინდეს გარკვეული სიზუსტით განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის დამთავრება ამა თუ იმ ქვეყანაში. ამავე დროს აუცილებელია კომპლექსური მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ აღინიშნოს არა ერთი კრიტერიუმი, არამედ კრიტერიუმების ჯამი. არ შეიძლება აგრეთვე ყველა ქვეყნისათვის და ყველა დროისათვის დადგინდეს ერთნაირი კრიტერიუმი, რადგან ყველა მათგანს ისტორიული ხასიათი აქვს.

მაგალითად. 70-იანი წლების განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შრომისნაყოფიერების დონე არ იქნება საკმარისი განვითარებული სოციალიზმისათვის, რომელიც უფრო გვიან აშენდება სხვა ქვეყნებში. ეს იმიტომ. რომ ადამიანის მოთხოვნილებათა ჯამი უცვლელი როდი რჩება. ამავე დროს ამ ქვეყნებს შორის იქნებიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც დღესაც მაღალია შრომისნაყოფიერება.

თანამედროვე ეტაპზე განვითარებული სოციალიზმის კრიტერიუმად არ შეიძლება მივიჩნიოთ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები, ამის გარკვევას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივად შეიძლება დაისვას კითხვა, შეიძლება თუ არა, რომ ქვეყანას, სადაც აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, შრომისნაყოფიერების დონესა და ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით წინ უსწრებდეს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები)? ამ საკითხის გარკვევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მთელი სოციალისტური სისტემის უპირატესობანი კაპიტალისტურთან შედარებით, რადგან კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლებით არ შეიძლება დღევანდელ პირობებში განვსაზღვროთ სოციალიზმის მომწიფებულობა. პირველ რიგში უნდა მხედველობაში მივიღოთ ის, რომ შექმნილია სახალხო მეურნეობის უაღრესად მაღალი დონე, უდიდესი ეკონომიკური ძლიერება, ვითარდება ძლიერი და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა.

ძირითადი ის კი არ არის, რომ ჯერჯერობით ყველაზე მოწინავე ქვეყანას ჩამოვრჩებით შრომისნაყოფიერების დონითა და ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამოშვების დარგში, არამედ ის, რომ გაცილებით, რამდენჯერმე სწრაფად იზრდება ჩვენი პროდუქციის გამოშვებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების ტემპები.

ამ მოსაზრებას ადასტურებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლების შედარება.

რევოლუციამდელი რუსეთის წილად მოდიოდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 4%-ზე ცოტა მეტი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მძლავრი ინდუსტრია მოწინავე ტექნიკურ ბაზაზე. 1977 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადმა ფონდებმა გადააჭარბეს 1913 წლის დონეს 37-ჯერ, ხოლო სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ 145-ჯერ. სსრ კავშირის წილად ახლა მოდის მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 1/5 (20%). 1913 წელს რუსეთს სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მხრივ ეჭირა მსოფლიოში მეხუთე ადგილი. ახლა სსრ კავშირს ევროპაში უჭირავს პირველი ადგილი და მსოფლიოში მეორე ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.

ამასთან ერთად სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში არსებული განსხვავება სწრაფად მცირდებოდა. თუ 1950 წელს სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება შეადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოშვებული პროდუქციის 30%-ზე ნაკლებს, 1976 წელს იგი შეადგენდა 80%-ზე მეტს. ხოლო ეროვნული შემოსავალი შესაბამისად გადიდდა 31%-დან 67%-მდე[15]. 25 წლის განმავლობაში (1951—1976 წწ.) მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკა დიდად დაზარალდა, მისი ეროვნული შემოსავალი გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული შემოსავალი. სსრ კავშირში იგი უდრიდა ყოველწლიურად 8%-ს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,4%-ს და 4,2%-ს. ყველა სახის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა — 8,1 და 2,2%-ს[16].

მრეწველობის ზოგიერთი წამყვანი დარგის პროდუქციის აბსოლუტური რაოდენობის გამოშვებაში ამჟამად წინ არის საბჭოთა კავშირი. მაგალითად, 1976 წელს ჩვენში ამოღებული იყო 30%-ით მეტი ნავთობი, გამოადნეს 21%-ით მეტი ფოლადი, დამზადდა 75%-ით მეტი ცემენტი, მოქსოვეს 36%-ით მეტი ბამბის ქსოვილი და გამოუშვეს რიგი სხვა პროდუქცია.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ოდენობის 85%-ს[17].

სწრაფი ტემპით იზრდება მოძმე სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობაც. 1976 წელს მათი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 20-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე იმავე ტერიტორიაზე 1937 წელს. ამავე პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 5,5-ჯერ. თუ შევადარებთ სოციალისტური ქვეყნების მთელ სამრეწველო პროდუქციას 1937 წელს (ესე იგი სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა) სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოება ამ დროის განმავლობაში გადიდდა 40-ჯერ, კაპიტალისტური ქვეყნებისა — 5-ჯერ[18].

რაც მთავარია, სსრ კავშირი წინ უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპებშიც. თუ 1913 წელს შრომისნაყოფიერება რუსეთის მრეწველობაში შეადგენდა დაახლოებით ამერიკის დონის 11%-ს, 1970 წელს — 53%-ს, 1976 წელს იგი უკვე ავიდა 55%-მდე[19]. შრომისნაყოფიერება განუხრელად იზრდება სოფლის მეურნეობაშიც. მაგრამ აქ იგი შედარებით ნელა მიმდინარეობს.

ეს მონაცემები იმას გვიჩვენებს, რომ სოციალიზმი უკან მოიტოვებს კაპიტალიზმს როგორც სახალხო მეურნეობის პროდუქციის გამოშვების, ისე შრომისნაყოფიერების ზრდის საქმეშიც. ამიტომ თანამედროვე პირობებში შრომისნაყოფიერების დონე არ უნდა გავაიგივოთ განვითარებული სოციალიზმის ფუნქციონირების დაწყებასთან, ამ საზოგადოების საბოლოო მიზანთან, იმასთან, რომ შრომისნაყოფიერება კომუნიზმის დროს უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე კაპიტალიზმის დროს არის. ეს აუცილებელია, რომ ახალმა წყობილებამ

[15] Народное хозяйство СССР за 60 лет, М., 1977, გვ. 95.

[16] იქვე, გვ. 97.

[17] იქვე, გვ. 95—96.

[18] იქვე, გვ. 94.

[19] იქვე, გვ. 96.

საბოლოოდ გაიმარჯვოს მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაზე. განვითარებული სოციალიზმის ფუნქციონირება თანამედროვე ეტაპზე ამას არ უნდა დაუკავშირდეს. იგი მისი საბოლოო მიზანია. ამრიგად, ძალაში რჩება მარქსიზმ-ლენინიზმის ცნობილი დებულება, რომ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის აუცილებელია შრომისნაყოფიერების უფრო მაღალი დონის მიღწევა, ვიდრე ეს კაპიტალიზმმა შეძლო.

აქედან ის გამოდის, რომ კომუნიზმზე გადასვლა დაჩქარდება იმის კვალობაზე, თუ როგორ გაიზრდება შრომისნაყოფიერება. შრომისნაყოფიერების ახლანდელი დონე არ იქნება საკმარისი სხვა ქვეყნებისათვის, რომლებიც მომავალში დაიწყებენ განვითარებულ სოციალიზმზე გადასვლას.

განვითარებული სოციალიზმის საერთო კრიტერიუმები შეიძლება დაახლოებით ასე გამოიხატოს: მატერიალურ სფეროში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხასიათის, შრომისნაყოფიერების, მშრომელთა კეთილდღეობის მაჩვენებლები; სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში — საზოგადოებრივი მმართველობის ყველა სფეროში მშრომელთა ჩაბმის დონე, პიროვნების უფლებებისა და მოვალეობების მოცულობა, საზოვადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის მონაცემები. ამ მაჩვენებლების კონკრეტიზაციის დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება, არამედ სოციალიზმის ობიექტური წანამძღვრებიც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ძირითადი განმაზოგადებელი კრიტერიუმია ავრეთვე სოციალიზმის როგორც მთლიანი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ობიექტური კანონების და პრინციპების გამოვლინება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათი ოპტიმალურად გამოყენება მშრომელთა ინტერესების, საზოგადოებრივი პროგრესის შესაბამისად.

დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ განვითარებული სოციალიზმის აშენებისათვის ყველგან, ყველა ქვეყანაში აუცილებელი იქნება სოციალიზმის საკუთარ საფუძველზე განვითარება, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მისი გადაქცევა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად, განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის შექმნა და მისი სრულყოფა; სოციალური ჯგუფების და კლასების დაახლოება; პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაქცევა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, პროლეტარული დემოკრატიის მთელი ხალხის დემოკრატიად გადაქცევა: კომუნისტური პარტიის როლის ზრდა და მისი მუშათა კლასის პარტიიდან მთელი ხალხის პარტიად გადაქცევა.

როგორიც უნდა იყოს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნების სპეციფიკური პირობები, საკუთარ საფუძველზე მისი სრულყოფის ეტაპი, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეტაპი სოციალური გარდაქმნების აუცილებელი რგოლია, განვითარების შედარებით ხანგრძლივი მონაკვეთია კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ცხადია, ეს აუცილებლობა, ეს კანონზომიერება თავისებურად შეისხამს ხორცს სხვადასხვა სოციალისტური ქვეყნების პირობებში.

მაგალითად, განვითარებული სოციალიზმის ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა სსრ კავშირში უკვე მას შემდეგ გადავწყვიტეთ, როცა ამოყვანილი იყო ახალი წყობილების საძირკველი. როგორც ჩანს, ეს საერთო გზაა ყველა ქვეყნისათვის, რომლებიც სოციალისტური გარდაქმნე-

ბის განხორციელებას იწყებენ ეკონომიკის განვითარების დაბალ ან საშუალო დონეზე. იმ ქვეყნებში, რომლებსაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მომენტისათვის უკვე ეყოლებათ მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები, მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მრავალმხრივ სხვაგვარი იქნება, მაგრამ იქაც, უდავოდ, მოუხდებათ მომწიფებული სოციალიზმის აშენებისა და სრულყოფის ისეთი რთული ამოცანების გადაწყვეტა, როგორიც არის, მაგალითად, სოციალისტურ საწყისებზე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ძნელი მეცნიერების დაუფლება, მათ შორის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის მეცნიერების დაუფლება, როგორიც არის საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოება მუშათა კლასის სოციალისტური ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების საფუძველზე, მოქალაქეთა სოციალისტური შეგნების გამომუშავება, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიის სრულყოფა და განვითარება[20].

---

[20] ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", № 12, 1977, გვ. 6.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ვლადიმერ აბრამიშვილი

ნ. ხიზანაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ზოგიერთი საკითხისათვის

ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილმა თვალსაჩინო როლი შეასრულა XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შეხედულებებით იგი ეკუთვნოდა ქართველ რევოლუციონერ-ნაროდნიკთა პლეადას.

ნიკო ხიზანაშვილს როგორც გამოჩენილ იურისტს, ისტორიკოსს, ეთნოგრაფს, პუბლიცისტს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა.

ნ. ხიზანაშვილის მემკვიდრეობის შესწავლას არა ერთმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება. ისინი პირდაპირ თუ გაკვრით იძლევიან ნ. ხიზანაშვილის საზოგადოებრივ შეხედულებათა შეფასებას. ამ მიმართებით აღსანიშნავია ის თვალსაჩინო შრომა, რომელიც გასწიეს ქართველმა მკვლევრებმა ე. აბაშმაძემ, ი. ანთელავამ, ლ. გორგილაძემ, ვ. დონაძემ, ი. კაჭარავამ, ა. კიკვიძემ, ი. სურგულაძემ, პ. რატიანმა, ზ. შველიძემ, შ. ხანთაძემ, ს. ხუნდაძემ და სხვებმა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია გ. ნადირაძის გამოკვლევა „ნიკოლოზ ურბნელი საქართველოს ისტორიის მკვლევარი". (თბ., 1979). ეს არის პირველი მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც სპეციალურადაა მიძღვნილი ნ. ხიზანაშვილის ისტორიული შეხედულებებისადმი. ამ მონოგრაფიის გამოქვეყნებით გ. ნადირაძემ ქართულ ისტორიოგრაფიას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

მიუხედავად აღნიშნულისა უნდა ითქვას, რომ დღემდე საგანგებოდ არავის გაუმახვილებია ყურადღება ნ. ხიზანაშვილის სამართლებრივ შეხედულებათა მონოგრაფიულად შესწავლაზე.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსება. წინამდებარე სტატიაც ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია.

XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო საკითხი, რომელსაც ნიკო ხიზანაშვილის მადლიანი კალამი არ შეხებოდეს და მათ შესახებ ამ ფრიად ერუდირებულ მოღვაწეს თავისი შეხედულება არ გადმოეცეს.

ნიკო ხიზანაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა გლეხობის საკითხს და ყოველმხრივ ცდილობდა მის გაშუქებას სამართლებრივი პოზიციებიდან. თავის ნაშრომებში მან მოგვცა ქართველი გლეხობის უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის სურათი როგორც წარსულში, ისე აწმყოში. ნ. ხიზანაშვილმა დაასაბუთა, რომ ისტორიულ წარსულში საქართველოში ადგილი ჰქონდა წოდებათა ბრძოლას და ეს ბრძოლა არა თუ არ შესუსტებულა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოში.

ნ. ხიზანაშვილმა საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრებანი განავითარა საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. ის თავის ერთ-ერთ სტატიაში — „უფლება და კანონი ძველ საქართველოში" ილაშქრებს „ივერიაში"

1881 წელს გამოთქმული მოსაზრების წინააღმდეგ, თითქოს „... ჩვენი ხალხის სიკეთე ძველ დროში მდგომარეობდა იმაში, რომ დამჩაგვრელს უღელს მონობისას მოკლებული იყო და სარგებლობდა იმისთანა განწყობილებით წოდებათა შორის, რომელიც ხალხს ამხნევებდა და ადვილად ატანინებდა გარეგან გაჭირვებას“[1].

ნ. ხიზანაშვილი ამის საწინააღმდეგოდ წერს: „ჩვენ მწერლებს ხელში რომ აეღოთ თუნდა მარტო ვახტანგის სამართალი და თვალი გადაეველოთ მისთვის, მაშინ სრულიად უარჰყოფდნენ იმ საოცარს იურიდიკულს პარადოქსს, რომელიც ამბობს — „გლეხის და თავადის შორის მარტო ის განსხვავება იყო, რომ თავადი ბრწყინვალებით იხსენიებოდა. ... ჩვენი უფლება და კანონი ცხადად გვიჩვენებენ, რომ საქართველოს წარსული ცხოვრება აშენებული იყო წოდებრივ სხვა და სხვაობაზე და გლეხი ყველაფრით გამოირჩეოდა თავადისაგან და სხვა წოდების წარმომადგენელისაგან. განსხვავება დაწერილი იყო არა თუ მარტო კანონში, არამედ ცხოვრების სინამდვილე ამ განსხვავებას უჩვენებდა, ამტკიცებდა“[2].

ნ. ხიზანაშვილმა გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ძველ საქართველოში ბატონყმობის უღელი შედარებით მსუბუქი იყო, თითქოს ბატონყმურ საქართველოში გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებს შორის მამაშვილური დამოკიდებულება სუფევდა. ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე ნ. ხიზანაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ძველ საქართველოში ყმა გლეხი სასტიკ ექსპლუატაციას განიცდიდა. „თვით გარეგანი განწყობილობა უფლებისა და კანონისა ძველ საქართველოში ხელს ვერ უწყობდა, არ ესარჩლებოდა გლეხის მდგომარეობას, ამ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს გარეგანი განწყობილობა ზედ-გამოჭრილი იყო ცხოვრების პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, როგორიც იყო ეს ორგანიზაცია, ისეთი იყო უფლებისა და კანონის განწყობილობა. ძველი საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია იყო ფეოდალურ-მონარხიული“[3].

ნ. ხიზანაშვილი მთელი ენერგიით ილაშქრებს ფეოდალური საქართველოს კლასობრივი ურთიერთობის გაიდიალების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ფეოდალურ საქართველოში მთელი ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება აშენებული იყო კლასობრივ სხვადასხვაობაზე; მისი ნართებული მტკიცებით, კლასების წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს წარმოშობასთან. ნ. ხიზანაშვილი წერს: „მთელი ჩვენი სახელმწიფო განწყობილობა აშენებული იყო საზოგადოებრივ სხვა და სხვაობაზე. როდის განხორციელდა ეს სხვა და სხვაობა, წოდებრივი განსხვავება? მაშინ, როდესაც საქართველოს ხალხმა შექმნა ის კავშირი ანუ ძალა, რომელსაც სახელმწიფოს უწოდებენ. სახელმწიფოს დაარსება იყო ხალხის ცხოვრების ნაყოფი, მისი სულიერი ძალის შედეგი. ფარნავაზმა განახორციელა მხოლოდ ის, რაც შეიმუშავა თვით ხალხის ცხოვრებამ. ტყვილად ჰგონია „ქართლის ცხოვრებას“, ვითომც ფარნავაზმა სრულიად და ყველაფერში მიჰბაძა სპარსეთს, ჩვენს ნიადაგზე გადმორგო სპარსეთის სახელმწიფო განწყობილობა... არა, სახელმწიფოს დაარსება იყო შედეგი ხალხის ცხოვრებისა და თვით სახელმწიფოს განწყობილობა გამოჭრილი

[1] ჟურნ. „ივერია“ 1882, № 11—12, გვ. 22.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 32.

ამ ცხოვრებაზე. პირველადვე სახელმწიფოს დაარსების შემდეგ, ცხადად გამოიხატა განსხვავება სხვა და სხვა წოდებათა შორის"[4].

როგორც სხვა ქართველი ხალხოსნები, ნ. ხიზანაშვილი იმ აზრს იცავდა, რომ კლასობრივი განსხვავება ყოველთვის არსებობდა ჩვენში სახელმწიფოს წარმოშობის დღიდან. ნ. ხიზანაშვილის აზრით, საჭიროა ჩვენი წარსული ცხოვრების საფუძვლიანი გამოკვლევა. „საჭიროდ მიგვაჩნია ეს დიდად შესანიშნავი საგანი, მით უფრო, რომ აქამომდე ჩვენ მწერლობაში მის შესახებ მეტად ცოტა თქმულა და გარდა ამისა თვით გლეხ-კაცობაც ძლიერ საყურადღებო წოდებას წარმოადგენს. ჩვენ სამშობლოში გლეხ-კაცი იზიდავს ეხლა სულს და გულს ყოველი პატიოსანი კაცისას. ევროპაში მწერლობა დაბალ ხალხს, სოფელს კარგს ადგილზე აყენებს, უქადის მას ნაყოფიერ და სასარგებლო მომავალს"[5].

თავის ერთ-ერთ სტატიაში „ჩვენი გლეხკაცობის ისტორიიდამ" ნ. ხიზანაშვილი საფუძვლიანად იკვლევს ჩვენი გლეხკაცობის მდგომარეობას ბატონყმობის დროს. ნ. ხიზანაშვილის აზრით, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის შესწავლას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ „ბატონყმობა", როგორც იურიდიული დაწესებულება, დამყარებული იყო ორს ძალაზედ. ერთს ძალას შეადგენდა დაწერილი კანონი, მეორეს — ჩვეულებრივი უფლება. დაწერილი კანონი, როგორც ნაყოფი ფეოდალური ცხოვრებისა, უფრო ჩაგრავდა გლეხკაცობას და ესარჩლებოდა მაღალ წოდებას. სულ სხვა ხასიათისა იყო ჩვეულებრივი უფლება; ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა გლეხობას, უმსუბუქებდა მძიმე უღელს, რომელიც კანონის ძალით, კისრად ედო. კანონის და ჩვეულებრივის უფლების ამნაირის ხასიათისაგან წარმოსდგა ის ორ-გვარი უკიდურესი შეხედულობა ბატონყმობაზე, რომელსაც ეხლაც ხშირად მისდევენ. თუ ერთნი ამტკიცებენ, რომ ბატონ-ყმობა ისე მოქმედობდა, როგორც კანონი ბრძანებდაო, მეორენი სულ წინააღმდეგს აზრს ღაღადებენ — კანონი ცხოვრებაში თავის სიმკაცრეს ჰკარგავდაო, ბატონ-ყმობა ჰუმანიურის ხასიათისა იყო და სინამდვილე არ ეთანხმებოდა დაწერილს უფლებასო"[6].

ნ. ხიზანაშვილის აზრით, კლასთა ჰარმონიულობის თეორია უსაფუძვლოა. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების დამახასიათებელი ნიშანი იყო. ხშირად საქმე მიდიოდა გლეხის მიერ თავისი ამაწიოკებელი ბატონისა და მისი ოჯახის ამოჟლეტამდე[7]. „ეკლესია ხალხს უკრძალავდა კაცების გაყიდვას, მაგრამ ეს შეადგენდა დროებითს მოვლენას; მეორეც ესა, რომ ეკლესიას სწყინდა უფრო ის, როდესაც ჩვენ ქრისტიან გლეხს მიჰყიდნენ ვისმე ურწმუნოს, მაგ., თათარს (როგორც ხშირი მოვლენა იყო სამეგრელოში), რომ ეკლესიას არაფრად მიაჩნდა გლეხკაცების ინტერესები, სხვათა შორის, მტკიცდება იმ ფაქტიდან, რომ ეკლესია (იმერეთში) კვირაში სამ ღღეს თავის სასარგებლოდ ამუშავებდა გლეხს. ნახევრად უნაწილებდა შრომას"[8]. ნ. ხიზანაშვილი ისტორიული ფაქტების მოშველების საფუძველზე დაასკვნის, რომ „ეკლესიაც ემორჩილება საზოგადო იურიდიულ განწყობილობას"[9].

---

[4] ჟურ. „იმედი", 1882, №№ 11 და 12, გვ. 22—23.

[5] იქვე, გვ. 24.

[6] „ივერია", 1884, № 2, გვ. 83—84.

[7] იქვე, გვ. 92.

[8] ჟურ. „იმედი", 1882, №№ 11 და 12, გვ. 30—31.

[9] იქვე.

საინტერესოა ნ. ხიზანაშვილის შეხედულება საგლეხო რეფორმის სამართლებრივი შინაარსის შეკრებასა და მის შედეგებზე? ხომ არ მისულა იგი რეფორმის გაიდეალებამდე? ნ. ხიზანაშვილი კარგად ხედავს რეფორმის შეზღუდულ ხასიათს. მისი აზრით, რეფორმა გაბატონებული კლასების ინიციატივით განხორციელდა და შეუძლებელი იყო, რომ იგი მშრომელი ხალხის ინტერესებით ყოფილიყო ნაკარნახევი. სახელმწიფო ხომ გაბატონებული კლასის ორგანიზაციაა, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს და დაიცვას არსებული რეჟიმი, მაგრამ რეფორმა მაინც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებით იყო ნაკარნახევი. გაბატონებული კლასები გრძნობდნენ რეფორმის აუცილებლობას, ვინაიდან გლეხთა აჯანყებებმა საფუძველი შეურყია ბატონყმობას და შესაძლებელი იყო ბატონყმობის რევოლუციური გზით დამხობა. გაბატონებულმა კლასებმა ალღო აუღეს შექმნილ ვითარებას და მოინდომეს მცირე დათმობებით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება მათთვის სასურველ კალაპოტში ჩაეყენებინათ.

ნ. ხიზანაშვილი ერთ-ერთ სტატიაში „კიდევ ჩვენ თვითმმართველობაზე“[10] ანალიზს უკეთებს საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების შედეგებს და დაასკვნის, რომ არც ერთი რეფორმა, „რომელიც შემოღებულ იქნა ჩვენს ცხოვრებაში (მარტო ქართველებზე კი არა, მთელ რუსეთზე მოგახსენებთ), არ არის დაბოლოვებით, სრულებით შემუშავებული და ისე განხორციელებული ცხოვრებაში, რომელიც გნებავთ რეფორმა აიღოთ, ყველას ეტყობა შეუმუშავებლობა, რაღაცნაირი ნახევრობა (თუ შეიძლება ასე ვთქვათ) და ნაკლი, როგორც ამას მოითხოვს თვით რეფორმის ბუნება, მისი მიზანი და დანიშნულება. მართლაც, ამბობენ რუსეთის უკეთესი მწერლობა, რომ მთელ ჩვენს რეფორმებს „კომპრომისის დაღი ეტყობაო“. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. იქ, სადაც შენ სხვა გაძლევს რასმე, იქ უთუოდ გაძლევენ ნაწლებს და არა სრულს, რაც შენთვის საჭიროა.

ორი გზით დამყარდება ხოლმე, ხალხის ცხოვრებაში რეფორმა. ან რეფორმას ხალხს აძლევენ როგორც ვთქვათ, მოწყალებას, როდესაც ეს მოწყალება ისეთი საჭიროა, რომ თვით სახარების მდიდარიც კი გაიმეტებს მას ქეთროვანი ლაზარესათვის, ან არა და — თვით ხალხი უკმაყოფილო თავის უწინდელი მდგომარეობით, ითხოვს ცვლილებებს და როგორც არის შემოაქვს იგინი თავის ცხოვრებაში“[11].

ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს ნ. ხიზანაშვილის რადიკალურ მსოფლმხედველობაზე. თავისი პუბლიცისტური წერილებითა თუ სტატიებით მან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საჭირბოროტო საკითხის გაშუქებაში. საგლეხო რეფორმების შედეგებით უკმაყოფილო სხვა ქართველ ხალხოსნებთან ერთად იგი ილაშქრებს არსებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ნ. ხიზანაშვილი შეუპოვრად იბრძვის ბატონყმობის გადმონაშთების წინააღმდეგ და მოითხოვს მშრომელი გლეხობის მდგომარეობის ძირეულ გაუმჯობესებას.

ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნები რეფორმის შემდგომ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა დროის მოთხოვნილებანი.

---

[10] აღნიშნული სტატია დააკავა საცენზურო კომიტეტმა.

[11] სსცსა, ფ. 480, საქ. 548, ფ. 12—13.

თავის პუბლიცისტურ წერილებსა და სტატიებში ნ. ხიზანაშვილი გამოთქვამს ფრიად საყურადღებო მოსაზრებებს გლეხობის კაბალური მდგომარეობის ლიკვიდაციის შესახებ. მართალია, გლეხობა იურიდიულად განთავისუფლდა საგლეხო რეფორმის დებულებით, მაგრამ გლეხობის იურიდიული თავისუფლება დაიჩრდილა მათი ეკონომიკური დაჩაგვრით. რეფორმა, რომელიც გაბატონებული კლასების ინიციატივით გატარდა, ვერ შეძლებდა გლეხობის სრულ განთავისუფლებას. რეფორმამ გლეხობა ყოფილ მებატონეთა მორჩილებაში დატოვა.

საგლეხო რეფორმის ძალით გლეხებს მიენიჭათ უფლება თავი დაეხსნათ თავიანთი მებატონეებისაგან, მაგრამ მოვლენათა მსვლელობა ისე წარიმართა, რომ გლეხობის მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო თავი დაეღწია კაბალური მდგომარეობისაგან, გამოსულიყო „დროებით ვალდებულთა“ მდგომარეობიდან, გლეხობის დიდი ნაწილი კი ყოფილ მებატონეთაგან ულმობელ ექსპლუატაციას განიცდიდა.

ნ. ხიზანაშვილი წერს: „იქ, სადაც გლეხი დროებით ვალდებულია, კანონის წინაშე თანასწორობას უფრო თეორეტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული, იქ თანასწორობა კარგი და მშვენიერი სიტყვა არის და არა განხორციელებული პრინციპები. თანასწორობისათვის საჭიროა თავისუფლება ეკონომიური თუ სხვა გვარი“[12].

ნ. ხიზანაშვილი ანალიზს უკეთებს რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მსვლელობას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ კლასობრივი ბრძოლა რეფორმის შემდგომ კიდევ უფრო მწვავე ფორმებში მიმდინარეობს. იგი წერს: „დააკვირდით აწინდელს ეკონომიურ სურათს: სრული უთანხმოება, მუდმივი შეტაკება, ცხადი და ჩუმი მტრობა დროებით ვალდებულ გლეხებსა და მებატონეებს შორის — აი ნამდვილი სურათი აწინდელი მეურნეობიფი ურთიერთობისა“[13].

რეფორმის შემდგომი პერიოდის კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მიზეზად ნ. ხიზანაშვილი რეფორმის დაუსრულებლობას ასახელებს.

საგლეხო რეფორმის შედეგებით უკმაყოფილო ნ. ხიზანაშვილი ცდილობს წამოაყენოს მშრომელი გლეხობისათვის მისაღები რადიკალური აგრარული პროგრამა. თავის ერთ-ერთ სტატიაში — „ივერიის“ ეკონომისტი“ — ნ. ხიზანაშვილი საფუძვლიანად განიხილავს ჟურნ. „ივერიის“ აგრარულ პროგრამას, სადაც მის საწინააღმდეგოდ ასაბუთებს, რომ მიწა და გუთანი არ შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების გაბატონებულ ფაქტორებს წარმოადგენდნენ. მიწა და გუთანი უეჭველია დიდი მნიშვნელობის ფაქტორებია საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, მაგრამ ცხოვრების განვითარება თანდათანობით საზოგადოების განსაზღვრულ ფაქტორებად სხვა მოვლენებს ამოატივტივებს. იგი წერს:

„ჩვენ ვამტკიცებთ, მხოლოდ იმ აზრს, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში მიწის მუშაობა თანდა-თან, ნელ-ნელა ჰკარგავს უწინდელს თავის დიდს მნიშვნელობას და საპატივო ნაწილს მფლობელობისას უნებლიედ უთმობს სხვა ეკონომიურ ფაქტორებს. მაგ., ქარხნულ მრეწველობას, ვაჭრობას და სხვ. ამას ცხადად ამტკიცებს ეკონომიური მეცნიერების ისტორია“[14].

[12] გაზ. „დროება“, 1883, № 94.

[13] სსცსა, ფ. 480, საქ. 548. ფ. 136.

[14] „მნედი“, 1882, № 9—10, გვ. 82.

თუ დავაკვირდებით მოტანილ დებულებას ადვილად დავრწმუნდებით, რომ ნ. ხიზანაშვილმა ძირითადად სწორი და პროგრესული მოსაზრებანი გამოთქვა. რეალურად აფასებს იგი შექმნილ მდგომარეობას და ცხოვრებას მის ნამდვილ მოძრაობაში განიხილავს.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, ცხოვრებამ გაამტყუნა, ფიზიოკრატების მოძღვრება საფრანგეთის ეკონომიურ ცხოვრებაში მიწა-გუთნის გარდა, დიდი მნიშვნელობა მიეცათ სხვა ეკონომიურ ფაქტორებსაც. ამით საფრანგეთმა არა თუ რაიმე დაკარგა, არამედ დიდი სარგებლობა ნახა. მიწისა და გუთნის გვერდით ახალი ფაქტორები გამოჩნდნენ.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება რთული და მრავალმხრივი პროცესია. საზოგადოების პროგრესი მრავალ ფაქტორთა ურთიერთზე მოქმედების ნაყოფია, რომელთა შორის მჭიდრო ორგანული კავშირი არსებობს. მართალია, ეს კავშირი ხშირად ადამიანებისათვის შეუმჩნეველია, მაგრამ დროთა მსვლელობა მაინც თავისას აკეთებს, ცხოვრების მასულდგმულებელი ფაქტორები მოვლენის ზედაპირზე ამოდიან და ხალხისათვის აღვილი შესამჩნევი ხდებიან.

ნ. ხიზანაშვილი ილაშქრებს იმ ცრუმეცნიერული თეორიის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰარმონია ბატონობს. იგი, როგორც ვნახეთ, არ იზიარებს საერთოდ ჰარმონიების თეორიას, აკრიტიკებს ბასტიას (ფრანგ ვულგარულ ეკონომისტს. — **ვლ. ა.**), რომლის მიხედვითაც, როგორც ეკონომიკურ ფაქტორებს შორის, ასევე მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ჰარმონია სუფევს, რომელიც არის თითქოს მიზეზი იმისა, რომ დოვლათი, ეკონომიკური სიკეთე, ბევრად თუ ცოტად სამართლიანად იყოფა საზოგადოებაში. მისი აზრით, მხოლოდ მიწის განაწილება არ არის საკმარისი ხალხის კეთილდღეობისათვის, ვინაიდან ხალხის ცხოვრებაში სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ, რომელთა სამართლიან მოგვარებაზეც ბევრად არის დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობა. საქმე ისაა, რომ მიწა-გუთნის გარდა ეკონომიკურ ცხოვრებაში მოქმედებენ სხვა ფაქტორებიც და ხალხის ბედნიერების განხორციელებისათვის, „არა ნაკლებად საჭიროა ამ ფაქტორებისაც სამართლიანად განწყობა“[15].

ნ. ხიზანაშვილის აზრით, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ქვეყანაში საკუთრების სხვადასხვა ფორმა არსებობდა მიწაზე. მისი აზრით, ძველ რომში და საბერძნეთში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ლატიფუნდიები არსებობდა, არამედ მთავარი მიზეზი მონების ხელით მიწების დამუშავება იყო. ძველ ქვეყანას რომ თავი დავანებოთ და ახალი ავიღოთ მაინც ისევ ჩვენი აზრი იქნება მართალი. საფრანგეთში მამული პატარ-პატარა ნაწილებად დაიყო, ინგლისში კი ლატიფუნდიებს ვხედავთ, ნუთუ „ივერიის“ ეკონომისტს ჰგონია, რომ ინგლისი მიწასთან გასწორდება, გაქარწყლდება და მტვრად აღიგვება, საფრანგეთი კი სამოთხედ გადაიქცევა, თუ კი არ არის გადაქცეული[16].

ერთიმეორის საპირისპირო მოსაზრებანი გამოჩნდა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე იმის შესახებ, თუ მიწათმფლობელობის რომელი ფორმა იყო უმჯობესი ხალხისათვის. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ „თითონ ეხლაც ეკო-

---

[15] ჟურ. „იმედი“, 1882, № 9—10, გვ. 85—86.

[16] იქვე, გვ. 87.

ნომიურ მეცნიერებაში ბევრი მოიპოვებიან მწერლები, რომელნიც ორ ნაწილად, პარტიად განიყოფებიან: ერთი პარტია ამტკიცებს და რასაკვირველია საბუთებიც მოჰყავს, რომ უფრო სასარგებლოა, როდესაც დიდი მამული შეადგენს კერძო პირის საკუთრებას. მეორე პარტია აღიარებს სრულ წინააღმდეგ სწავლას. მიწა რომ წვრილ-წვრილ ნაწილად იყოს ხალხშიო, უფრო კარგი იქნებაო. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ კითხვის ასახსნელად საჭიროა ჯერ იმის განმარტება — როგორი იყო იურიდიული აგებულობა მიწისა ხალხის ცხოვრებაში; მერე შეიძლება მკითხველს ვუწინასწარმეტყველოთ, რომ მარტო ამგვარი საკუთრების აგებულობა გადაჭრით ვერ ხსნის ეკონომიურ პრობლემას“[17].

თუ ანალიზს გავუკეთებთ მოტანილ ადგილებს, ნათელი გახდება ხიზანაშვილის რადიკალური, რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიცია.

რევოლუციური ხალხოსნების პარალელურად მოღვაწეობდნენ ლიბერალი ხალხოსნებიც, რომელთა მიერ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა რეფორმიზმის ფარგლებს არ სცილდებოდა. რეფორმიზმი იყო სწორედ გადამწყვეტი ფაქტორი აგრონომიული თეორიის ქადაგების საქმეში. ნ. ხიზანაშვილის მიერ დაწერილ სტატიაში „ეკონომია თუ აგრონომია“, რომელიც საცენზურო კომიტეტმა დაამახინჯა და სახე შეუცვალა, აღნიშნულია: დასავლეთ ევროპის ქვეყნებში „სხვადასხვა თეორიებს ჰქადაგებენ, სხვადასხვა მიმართულებას აღიარებენ. ბრძოლა მკაცრია, ჭეშმარიტება გზას იკვლევს... რუსეთის მწერლობაში სასოფლო მეურნეობის წარმომადგენელნი ორ დასად განიყოფებიან, ორ ბანაკად არიან დაბინავებულნი. ერთი დასის მწერალნი ამტკიცებენ, რომ ჯერჯერობით უფრო საჭიროა სამართლიანად მიწის განაწილება, რადგანაც გლეხკაცობას საკმაო მიწა არა აქვს. ამ მწერლობის აზრით, მიწის აწინდელი მფლობელობა და საკუთრება ძირეულად უნდა შეიცვალოს და მხოლოდ მაშინ შეიძლება აგრონომიული თეორიის ქება-დიდება დაიწყონ. მეორენი კი ამბობენ, რომ გლეხს მიწა საკმაო აქვს, მხოლოდ აგრონომიული ცოდნა აკლია, ახალი სამეურნეო იარაღები არ მოეპოვება, ამისათვის ეკონომიამ უპირატესობა აგრონომიას უნდა დაუთმოს“[18]. ნ. ხიზანაშვილი ლიბერალური ხალხოსნების საწინააღმდეგოდ დასძენს, რომ ეკონომიური თეორიის მომხრენი სტატისტიკური მონაცემებით ცხადად ამტკიცებენ, რომ ეხლა გლეხს უფრო ცოტა მიწა უჭირავს, ვიდრე წინათ ეჭირა, მაგ., ბატონყმობის დროს, როდესაც მას იმდენი მამული ჰქონდა რამდენის დამუშავება შეეძლო. საზოგადო ეკონომიური კანონი ითხოვდა იმას, რომ ყოველ ოჯახს იმოდენა მამული ჰქონდეს, რამოდენის შემუშავება შეუძლიან“[19].

მ. ხიზანაშვილის აზრით, საჭიროა გლეხობისათვის საკმაო მიწის მიცემა, ვინაიდან „სადაც დარღვეულია ეს კანონი, იქ აგრონომია ბევრს ვერას უშველის გლეხკაცობას, იქ აგრონომიული თეორიის განხორციელება ხელს უწყობს მხოლოდ მდიდარ მებატონეებს, და რომ ეს მართალია, იმ ფაქტითაც მტკიცდება, რომ ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც აგრონომიული თეორიის მომხრენი უფრო დიდი მამულის მესაკუთრენი არიანო.

„რუსეთს, რომ თავი დავანებოთ და კერძოდ, ჩვენს სამშობლოზე დავიწყოთ ბაასი, იგივე უნდა ვთქვათ, რასაც რუსეთში ამბობენ ეკონომიური თეორიის მჭა-

---

[17] ჟურ. „იმედი“, 1882, №№ 9—10, გვ. 87—88.

[18] სსცსა, ფ. 480, საქ. № 548, ფ. 135.

[19] იქვე.

დაგებელნი. ჩვენშიაც გლეხკაცობას საკმაოდ არა აქვს მამული, თუმცა კი შესაძლოა, რომ ქონდეს. სტატისტიკური ცნობები, მართალია, ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ჩვენს აზრს თვით ცხოვრება, სინამდვილე ამტკიცებს, იგივე სინამდვილე ამტკიცებს, რომ რაც დრო და ჟამი გადის, იმდენი უფრო გლეხის ოჯახს აკლდება მიწა და მაშასადამე ეკონომიური თეორია ჩვენშიაც სასტიკად ითხოვს განხორციელებას"[20].

ნ. ხიზანაშვილი დაასკვნის, რომ „ჩვენშიც გლეხკაცობის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის პირველად საჭიროა ეკონომიური ცვლილება, მიწა-მამულის სამართლიანად განაწილება. ასეთი ცვლილება გამოიწვევს მეურნეობრივი კავშირის განვითარებას, ხელს შეუწყობს გლეხის შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ადამიანთა შორის სათნოების გაფართოებას. მთავარი ყურადღება საჭიროა მიწა-მამულის განაწილებას მიექცეს და შემდეგ შესაძლებელია აგრონომიული თეორიის ქადაგება... არა თუ მარტო ჩვენში, მაგ., დასავლეთ ევროპაში სადაც მიწა-მამულის საკუთრება ვერ არის განწყობილი სამართლიანად, აგრონომიული განვითარება ვერ იხსნის დაბალ ხალხს გაჭირვებისაგან და ამისათვის იქაც ახორციელებენ საკუთრების შეცვლას. ასე თუ ისე შემოიღონ ახალი წესები მფლობელობისა; რაც უნდა იყოს, აგრონომიულ გზას სარგებლობა მოაქვს უფრო დიდი მამულის მეპატრონისათვის, ეს გზა უფრო აზვიადებს უფსკრულს მდიდარსა და ღარიბს შორის..."[21]

მოტანილი ადგილი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ სწორად გადმოსცემს აგრონომიული თეორიის ქადაგების უარყოფით მხარეებს. თუ ეს ასეა, აღნიშნავს ხიზანაშვილი, დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის მიმართულება, რომელსაც ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება სურს მარტო აგრონომიული გზით. როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, ჯერ საჭიროა რომ გლეხს საკმაო მიწა ჰქონდეს, შემდეგ კი შესაძლებელია ამ მიწის ახალი იარაღებითა და ცოდნით შემუშავება.

როგორია ის გზები და საშუალებები, რომლებიც ნ. ხიზანაშვილის აზრით, შესაძლებელი იყო მშრომელი გლეხობის მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესება? ადგილობრივ თვითმმართველობას ზოგიერთი პუბლიცისტი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. გ. თუმანიშვილი ჟურნ. „ივერიაში" აღნიშნავდა, რომ „ერობა ზრუნავს ადგილობრივ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის"[22]. შემდეგ ის კიდევ უფრო ავითარებს თავის შეხედულებას თვითმმართველობაზე და აცხადებს: „გავიღვიძოთ და ვიფიქროთ სამაზრო თვითმმართველობაზე, რადგან ეს არის იმ საძირკვლის ქვათაგანი, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი მომავალი დღეგრძელობა და ბედნიერება?"[23]

მაგრამ ნ. ხიზანაშვილს ესმოდა რომ იმ დროს ქვეყნად არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში თვითმმართველობა არ შეიძლებოდა გამხდარიყო მშრომელის დღეგრძელობის და ბედნიერების გარანტია. როგორც ქვევით დავინახავთ იგი ოცნებობდა მხოლოდ ისეთ თვითმმართველობაზე, რომელიც არსებული წყობილების რევოლუციური შეცვლის გზით შეიქმნებოდა. ასე მაგალითად, ნ. ხიზანაშვილის სტატიაში „კიდევ ჩვენ თვითმმართველობაზე" გაკრიტიკებულია იმ

[20] სსცსა, ფ. 480, საქ. 548, გვ. 135.

[21] იქვე.

[22] ჟურ. „ივერია", 1883, № 2, გვ. 42.

[23] იქვე, გვ. 58.

დროისათვის არსებული თვითმმართველობა. „ვინც კი ჩვენ ცხოვრებას აკვირდება და სწავლობს, — წერს იგი, — იმისათვის ცხადია, რომ თვითმმართველობა საქართველოში უნაყოფო გამოდგა და სრულიადაც ვერ შეგვისრულა იმედი. რაც დრო გადის თვითმმართველობა თანდათან საზოგადოების თანაგრძნობას ჰკარგავს და ეხლა ძნელადღა მოიპოვება სხვა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც საზოგადოება ისე გულგრილად უცქეროდეს, როგორც ჩვენ თვითმმართველობას... თვითმმართველობა ყვლეფისა და ხალხის გაღატაკების საშუალებად გადაიქცა. იშვიათად მოიპოვება ისეთი სოფელი, სადაც მოხელე პირს, მამასახლისია ის თუ მსაჯული, ერთი და იგივე მიზანი არ ჰქონდეს სახეში — თავისი პირადი სარგებლობა და თვითმმართველობის დახმარებით საზოგადოების გაძარცვა, გაგლეჯა, ამისათვის თვით წესდებულებამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და სოფლის თავისუფლება მოხელე კაცების პიროვნულ ძალად შეიქმნა“[24].

ამ საკითხთან დაკავშირებით ხიზანაშვილი მრავალ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ხსენებულ სტატიაში. იგი რადიკალური პოზიციებიდან აშუქებს თვითმმართველობის საკითხს. მისი ღრმა რწმენით, არსებული სინამდვილე არ იძლევა შესაძლებლობას, რომ ხალხმა განახორციელოს ნამდვილი თვითმმართველობა. სტატიას წითელ ზოლად გასდევს არსებული სოციალური სისტემის კრიტიკა, რომელიც შესაძლებლობას არ აძლევს მშრომელ გლეხობას მონაწილეობა მიიღოს მართვა-გამგებლობაში. სახელმწიფო თვითმმართველობის საქმეებში ერევა, ავიწროებს მას, რის გამოც თვითმმართველობას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება. ხიზანაშვილის აზრით, სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს თვითმმართველობის რეგლამენტაციაზე და ხელი შეუწყოს მის ინიციატივას. სახელმწიფოში ბევრი დაწესებულების ორგანიზაცია ხალხს უნდა ეკითხებოდეს; ასეთ დაწესებულებებს პირველ რიგში თვითმმართველობა ეკუთვნის. ხიზანაშვილს არ სწამს არსებული წყობილების პირობებში ნამდვილი თვითმმართველობის განხორციელება. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ „თვითმმართველობის დასამყარებლად საჭიროა ბევრი გარემოების შეცვლა, რომელიც უეცრად ვერ მოხერხდება. იმ წყობილების შეცვლა და დაფუშვა, რომელსაც უკუნითი არსებობის უფლება აქვსო“[25].

როგორც ვხედავთ, ნ. ხიზანაშვილი მოითხოვს არსებული ექსპლუატატორული წყობილების დამხობას, რათა განხორციელდეს ნამდვილი სახალხო თვითმმართველობა. ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული, რომ მომავალი გლეხკაცობას ეკუთვნის, ხიზანაშვილი თავის სტატიაში „უფლება და კანონი ძველ საქართველოში“ წერს, რომ „ჩვენში მომავალი გლეხკაცობას განავითარებს, დაბალი წოდება უნდა შეიქმნეს კეთილი ცხოვრების ბურჯად. ამას გრძნობს ყველა, ამას ღაღადებს თვით ჩვენი მწერლობაც“[26].

ნ. ხიზანაშვილი ენერგიულად ილაშქრებს არა მარტო ექსპლუატაციის ფეოდალური ფორმების, არამედ კაპიტალიზმის ექსპლუატატორული ბუნების წინააღმდეგ, რომელიც მას ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების მსგავსად, გარდამავალ წყობილებად მიაჩნია. სტატიაში „საფუძვლები სახალხო გა-

---

[24] სსცსა 480, საქ. 548, გვ. 9.

[25] იქვე, გვ. 13.

[26] ჟურ. „იმედი“, 1882, № 11—12, გვ. 25.

ნათლებისა“ იგი წერს: „იმ დროს, როდესაც ბერძნებმა და რომაელებმა გასაკვირვებლად შეიმუშავეს სახელმწიფო ცხოვრების უკეთესი წყობილებანი, პიროვნული თავისუფლებისა კი ვერა გაიგეს რა და დაბალი ხალხის მონება შეურყეველ ჭეშმარიტებად აღიარეს. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ მონება საჭიროა და კანონიერი მიზეზი ამ საჭიროებისა კაცის ბუნების განსაზღვრაშიაო“[27].

ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნები კარგად გრძნობდნენ განათლების საჭიროებას მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებისათვის, მაგრამ მდიდარი ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ნამდვილი სახალხო განათლების მიღწევა არსებული სოციალური სისტემის პირობებში შეუძლებელია. ასეთი აზრი წითელ ზოლად გასდევს ხიზანაშვილის ვრცელ და მეტად საინტერესო გამოკვლევას „საფუძვლები სახალხო განათლებისა“, რომელიც ჟურნ. „იმედის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, სახალხო განათლება ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ხალხის გამოღვიძებისა და გათვითცნობიერებისათვის. ამიტომ იგი ერის სიძლიერის მაჩვენებელია. ქართველი პროგრესული ინტელიგენცია შეუნელებელ ინტერესს იჩენდა სახალხო განათლებისადმი, რაც ხიზანაშვილის აზრით, დროების მოთხოვნილებად იქცა. ამ მოვლენის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ქართველმა საზოგადოებამ გამოიღვიძა, „თვალები მოიფშვნიტა, აქეთ-იქით ცქერა დაიწყო და ბოლო დროს გაიგო, თუ რა უფრო საჭიროა ჩვენი განათლებისათვის“[28].

აღნიშნული საგნის შესახებ მსჯელობა ხალხის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს, მათ უნდა ემსახურებოდეს და ჰირ-ვარამს უმსუბუქებდეს. ასეთია ხიზანაშვილის აზრით ჭეშმარიტი განათლების მნიშვნელობა.

სახალხო განათლების შესახებ მსჯელობისას ქართველ ხალხოსანს მხედველობიდან არ გამოპარვია ის ფაქტი, რომ იგი ეროვნულ თუ პატრიოტულ შეხედულებებთან იყო დაკავშირებული.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, ექსპლუატატორულ საზოგადოებას არ შეუძლია განახორციელოს ნამდვილი სახალხო განათლება. იგი კარგად ერკვევა სახელმწიფოს კლასობრივ არსში და ღრმად არის დარწმუნებული, რომ მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფო აშენებული არ იქნება წოდებრივ სხვადასხვაობაზე, შესაძლებელი გახდება ნამდვილი სახალხო განათლების განხორციელება.

ნ. ხიზანაშვილი წერს: „სახალხო განათლება ძველმა ბერძნულ-რომაულმა ქვეყანამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა, რომ სცოდნოდა, მკითხველი, რომელიც აღზრდილია იმ აზრში, რომ ძველი ათინა და რომი იყვნენ უმთავრესი წყარო კაცობრიობის განათლებისა, ჩვენ აზრს გაიკვირვებს. მკითხველს უთუოდ ისე ჰგონია, რომ სახალხო განათლება პირველად დაიწყო დემოკრატიულ ათინაში და იქიდან მერე რესპუბლიკურ რომში გადავიდა... სახალხო განათლება მხოლოდ მაშინ შეიძლება ცხოვრებაში დაარსდეს, როდესაც საზოგადოებრიული თუ სახელმწიფო ცხოვრება აშენებულია იმ საძირკველზედ, საცა სწავლის თავისუფლება ყველა წოდებას აქვს მინიჭებული... სახალხო განათლება მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა საზოგადოების წევრს, პიროვნული თავისუფლება აქვს მინიჭებული და იმ თავისუფლებით სარგებლობს“[29].

[27] ჟურ. „იმედი“, 1882, № 5, გვ. 7.

[28] იქვე.

[29] იქვე, გვ. 5—6.

მაგრამ შეიძლება თუ არა სახალხო განათლების განვითარება ისეთ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების ერთ ნაწილს თავისუფლება აქვს მინიჭებული, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი მონობის მძიმე უღელს ატარებს? ასეთ პირობებში „სახალხო განათლების გაჩენა სრულებით შეუძლებელი საქმეა". როგორც მოტანილი დებულებებიდან ჩანს, ნ. ხიზანაშვილი ღრმად არის დარწმუნებული, რომ სახალხო განათლების გაჩენა-განვითარებისათვის შესაფერი სოციალური სისტემა არის საჭირო. ასეთ სისტემად იგი თვლის ექსპლუატაციისაგან თავისუფალი საზოგადოებრივი წყობილების არსებობას. აქედან გამომდინარეობს ნ. ხიზანაშვილის მსოფლმხედველობის რადიკალურ-დემოკრატიული ხასიათი. მისი ღრმა რწმენით, ძველმა ბერძნულ-რომაულმა ქვეყნებმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს და დემოკრატიული წყობილება შემოიღეს, მაგრამ ეს დემოკრატია მხოლოდ თავისუფალი ადამიანებისათვის იყო. ამ განათლებას „არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა". რაც შეეხება დაბალ წოდებას, იგი მოკლებული იყო ყოველგვარ თავისუფლებას. მაშინდელი პოლიტიკური თავისუფლება ერთს რომელსამე და რამდენიმე წოდებას შეიცავდა და არა მთელ ხალხს. „უმრავლესი ნაწილი ხალხისა, დაბალი ხალხი, მოკლებული იყო როგორც პოლიტიკურ, ისე პიროვნულ თავისუფლებას და წარმოადგენდა ერთს მრავალწეროვან წოდებას, რომელსაც ერთად-ერთიღა უფლება ჰქონდა — მონება!"[30].

ნ. ხიზანაშვილის აზრით, სახალხო განათლებისათვის საჭიროა პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება. სახალხო განათლება დაფუძნებული უნდა იყოს თავის საკუთარ კანონებზედ.

მოტანილი ადგილებიდან ჩანს, რომ ხიზანაშვილი საფუძვლიანად იცნობს სახალხო განათლების ისტორიას. ამასთან მეტად ორიგინალურ მოსაზრებებს გამოთქვამს. მან კარგად გაიგო იმ დიდი ადამიანების როლი, რომლებიც ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ასე მაგ.: ჟან ჟაკ რუსოსა და ვოლტერის შესახებ ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს: „ვოლტერმა ბოლო მოუღო სასულიერო წოდებას და მაშასადამე, იმ აზრს ემსახურა, რომ სახალხო განათლება ეკლესიის ხელში არ უნდა იყოს, იმან შემუსრა სასულიერო წოდებრივი პრინციპი სახალხო სკოლისა. ძნელად შეიძლება მოიპოვებოდეს ღირსებით შემკული კაცი იმ საქმისათვის, რომელსაც ვოლტერი ემსახურებოდა, როგორიც ვოლტერი იყო...

... რუსოს ასპარეზი სულ სხვა იყო. განათლების სიყალბე, სახელმწიფოს პოლიციური უღელი, აი ის რას ებრძოდა, პოლიციურმა კერპმა ჩაყლაპა მთელი თავისუფლება, ხალხი და სახელმწიფო ერთსა და იგივეს ნიშნავდნენ. საჭირო იყო ამ ვეშაპის დამხობა. ეს საქმე რუსომ მშვენივრად იკისრა. რუსოს „ემილი" სწორედ რომ უმბარა იყო, ხალხი, ხალხოსნობა, დემოკრატია — არის რუსოს იდეალი. ამის თხზულება რობესპიერს სტოლზედ ედო და იმაზედ აშენებდა კონსტიტუციას"[31].

ამრიგად, ხიზანაშვილის იდეალი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავისუფალი საქართველო იყო.

ნ. ხიზანაშვილის როგორც ხალხოსნის მთელი შემოქმედებითი საქმიანობა მიმართული იყო არსებული წყობილების რევოლუციური გზით დამხობისაკენ,

---

[30] ჟურ. „ობედი", 1882, № 5, გვ. 6—7.

[31] იქვე, № გვ. 67—68.

ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ „ხალხის ისტორიული ცხოვრების გადაკეთება ქაღალდზე დაწერილი პროექტებით და კაბინეტში შედგენილი რეფორმებით არ შეიძლება და არც მოხდება"[32].

В. В. АБРАМИШВИЛИ

К ВОПРОСУ ОБ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИХ ВЗГЛЯДАХ Н. ХИЗАНАШВИЛИ

Резюме

В статье рассматриваются социально-политические взгляды многостороннего общественно-политического деятеля Н. Хизанашвили — известного публициста, этнографа, историка и юриста.

Хизанашвили, по своему мировоззрению будучи народником, стоял за свержение общественного строя революционным путем, считая, что существующий в стране политический строй не может быть гарантией благополучия и счастья народа.

По мнению Н. Хизанашвили народное образование является необходимым условием для всеобщего развития народа, но только в случае равноправия всех слоев народных масс.

В труде красной нитью проходит критика социальной системы того времени.

[32] ჟურ. იმედი 1882 წ. № 3, გვ. 10.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრამ

გიორგი მელიქიშვილი

ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ

ქართულ საისტორიო წყაროებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“) ძველი ქართლის (იბერიის) მეფეთა სია ძირითადად ერთნაირად არის წარმოდგენილი. ეს ძეგლები უძველესი დროიდან ქართლის გამაქრისტიანებელ მირიანამდე (ახ. წ. IV ს-ის I ნახევარი) მეფეთა შემდეგნაირ თანამიმდევრობას გვთავაზობენ („მოქცევაჲში“ მასალა მოიპოვება ძეგლის იმ ვარიანტში, რომელიც შესულია ცნობილ „შატბერდის კრებულში“; ჭელიშის მონასტრის ხელნაწერში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ეს ნაწილი არ არის დაცული):

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“	„ქართლის ცხოვრება“
1. აზო	აზონ
2. ფარნავაზ	ფარნავაზ
3. საურმაგ	საურმაგ
4. მირვან	მირვან.
5. ფარნაჯობ	ფარნაჯომ
6. არს. [ოკ]	არშაკ
7. არიკ	არტაგ
8. ბრატმან	ბარტომ
9. მირეან	მირვან
10. არსუკ	არშაკ
11. როკ	ადერკი
12. ქარძამ და ბრატმან	ბარტომ და ქართამ
13. ფარსმან და კაოზ	ფარსმან და კაოს
14. არსოკ და ამაზაერ	აზორკ და არმაზელ
15. ამაზასპ და დერუკ	ამაზასპ და დეროკ
16. ფარსმან ქველი და ფარსმან ავაზ როკ და მირდატ	ფარსმან ქველი და მირდატ
17. ღადამი	ადამი, ღადანა
18. ფარსმან	ფარსმან
19. ამაზასპ	ამაზასპ
20. რევ მართალი	რევ
21. ვაჩე	ვაჩე
22. ბაკურ	ბაკურ
23. მირდატ	მირდატ
24. ასფაგურ	ასფაგურ
25. ლევ	
26. მირეან	მირიან

თუ აზო-ფარნავაზის ხანას ტრადიციულად ძვ. წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით დავათარიღებთ, ხოლო მეშვიდე მეფე არტაგს გავაიგივებთ უცხოური წყაროების მეფე არტოკთან — ქართლში რომაელთა შემოჭრის თანამედროვე ქართლის მმართველთან (ძვ. წ. 65 წ.), ძნელია მეფეთა სიაში ამ უკანასკნელის (არტაგის) წინ მნიშვნელოვანი ხარვეზი არ ვივარაუდოთ[1]. მართლაც, ძნელია დავუშვათ, რომ განვლილი ორი საუკუნის მანძილზე ქართლში სულ 4 მეფეს შეეძლო ემეფნა (ფარნავაზს შემდეგ, რომლის მეფობა „ქართლის ცხოვრებას“ ძვ. წ. III ს-ის შუახანამდე მოაქვს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ გვისახელებენ: საურმაგს, მირვანს, ფარნაჯომს და არშაკს). ამას გარდა: მესამე მეფის მირვანის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ „მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანელთასა. ამის-ზე მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხეთს, რომელსა ერქუა არშაკ“[2]. აქ, უეჭველია, იგულისხმება ძვ. წ. II ს-ის დასაწყისში მომხდარი ცნობილი ისტორიული ფაქტი: ძვ. წ. 190 წელს მცირე აზიაში, ქალაქ მაგნესიასთან ბრძოლაში რომაელთა ლეგიონებმა სასტიკად დაამარცხეს სელევკიანების (ანტიოქოს III-ის) ლაშქარი; 188 წ. დადებული ზავის თანახმად სელევკიანები უარს ამბობდნენ მთელ თავის სამფლობელოებზე ევროპასა და აზიაში ტავროსის ქედის ჩრდილოეთით. ამ მარცხმა დიდად დააჩქარა სელევკიანების სამეფოს დაშლა. მისი მთელი რიგი ოლქები დამოუკიდებლობას აცხადებენ. მათ შორის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს „დიდი არმენიისა“ და სოფენეს მმართველებმა არტაქსიამ (არტაშეს I: 189—161) და ზარიადრმა (სომხ. ზარეხ). უეჭველია, სწორედ ამ ამბავს გულისხმობს „ქართლის ცხოვრება“, როდესაც ლაპარაკობს „ბაბილონში ანტიოქის მეფობის“ დასრულებასა და სომხეთში მეფობის გაჩენის შესახებ. ამრიგად, მესამე მეფის მირვანის მეფობა ძვ. წ. II ს-ის დასაწყისშია მოსათავსებელი. მის შემდეგ ვიდაე მეექვსე მეფე არტაგამდე (ძვ. წ. 65 წ.?) იხსენიება სულ ორი მეფე — ფარნაჯომი და არშაკი. ამ მონაცემითაც აუცილებელია ამ ადგილას მეფეთა სიაში ხარვეზი დაიშვას, რადგანაც 120—130 წლის მანძილზე მხოლოდ ამ ორი მმართველის არსებობა ნაკლებ სავარაუდებელია (მომდევნო არტაგზე „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ მან სულ ორი წელი იმეფა).

მაგრამ ქართული წყაროები შეიცავენ ზოგიერთ სხვა ისეთ მონაცემს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული ხარვეზი ამ ადგილას გამოირიცხოს. ამ რიგის მასალას შეიცავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა მცხეთაში ებრაელთა კოლონიის შექმნის თაობაზე, რომელიც მასში ძვ. წ. 169 წლით თარიღდება და მიეკუთვნება არტაგზე ბევრად გვიან ქართლში მმართველებად მყოფ „ქარძამისა და ბრატმანის“ ხანას. ლაპარაკია იმაზე, რომ ქარძამისა და ბრატმანის მმართველობის ჟამს „ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“[3]. შემდეგში ამავე ძეგლში კვლავ იხსენიება ეს მოვლენა: ვასპურაკანის მთავარი, მიმართავს რა მცხეთელ ებრაელ აბიათარს, ეუბნება, რომ ფგ (ე. ი. 503) წელი

---

[1] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 148—149.

[2] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1955 (ქვემოთ ვამოკლებთ: ქ-ც. I), გვ. 28.

[3] ძველი ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V—IX სს.), თბ., 1964, გვ. 82.

გავიდაო მას შემდეგ, რაც თქვენი მამები (ე. ი. წინაპრები) მოვიდნენო აქ (მცხეთაში)[4]. ამავე საუბარში აბიათარი, სხვათა შორის, ამბობს, რომ 334 წელია, რაც ღმერთი აღარ მფარველობსო ისრაელს[5]. უეჭველია, აქ იგულისხმება ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილი, რომელშიც ებრაელობას ადანაშაულებდნენ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქრისტეს დაბადებიდან თარიღები მოტანილია, როგორც თარიღები ქრისტეს გარდაცვალებიდან, შეიძლება გამოვიანგარიშოთ მცხეთაში ებრაელთა მოსვლის (მცხეთის ებრაული კოლონიის დაარსების) და, მაშასადამე, ქარძამ-ბრატმანის მმართველობის დროც: ახ. წ. 334 წ. — 503 = ძვ. 169 წელს.

მაგრამ თუ „მოქცევაჲს“ ცნობას შეიძლება ვერწმუნოთ და მეფეთა სიაში მეთორმეტე ადგილზე მდგომი მმართველის (მმართველების) ცხოვრების დროდ ძვ. წ. II ს-ის 60-იანი წლები მივიჩნიოთ, ბუნებრივია, რომ სიაში მასზე ბევრად უფრო ადრე, მეშვიდედ მოხსენიებული არტაგი არ შეიძლება გავაიგივეოთ ძვ. წ. I საუკუნეში მცხოვრებ ქართლის მეფე არტაგთან (არტოკთან).

ქართულ წყაროებში დაცულია კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ამ დასკვნას ამაგრებს. „ქართლის ცხოვრება“ ზემოხსენებულ მეთორმეტე მეფე ქარძამს (ქართამს) ფარნავაზის თანამედროვე ეგრისის მმართველ ქუჯის შვილიშვილის შვილიშვილად თვლის[6]. ქუჯი, როგორც ცნობილია, ასპარეზზე ჩანს უკვე ფარნავაზის გამეფების ჟამს, ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს (ალექსანდრე მაკედონელის „ქართლში ლაშქრობის დროს“ — ივარაუდება 330 წლის ახლო ხანები — ფარნავაზი 3 წლისა იყო, ხოლო გამეფდა იგი 27 წლისა — ქ'ც, I, 20, 25). რა თქმა უნდა, ძნელია დასახელებული ქარძამი (ქუჯის შვილიშვილის შვილიშვილი) ფარნავაზი — ქუჯის ხანას საუკუნე — საუკუნენახევარზე უფრო მეტად დავაშოროთ. ამიტომ ამ მონაცემითაც იგი უფრო ბუნებრივად ძვ. წ. II ს-ის 60-იან წლებში მოთავსდება, ვიდრე ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევარში, სადაც მას „ქართლის ცხოვრება“ ათავსებს.

„ქართლის ცხოვრება“ სხვა შემთხვევაშიც ინფორმირებული ჩანს მმართველი დინასტიის წარმომადგენელთა ნათესაურ კავშირებში და არაერთგზის იძლევა ამ ხასიათის ცნობებს. თუ დასაწყისში მოტანილ ლეგენდარულ გენეალოგიას გამოვრიცხავთ (ჰაოსი, ქართლოსი... და მათი მემკვიდრენი), შეიძლება მივუთითოთ შემდეგზე: დინასტიის დამწყები ფარნავაზი არის მცხეთელი მამასახლისის სამარის ძმისწული (ქ'ც, I, 20), იგი ერთ დას ოვსთა მეფეს აძლევს ცოლად, მეორეს — ეგრისის მმართველ ქუჯის (იქვე, 24), ცოლი მას დურძუკელთაგან ჰყავს (იქვე, 25). მომდევნო მეფე საურმაგს ცოლი სპარსი ჰყავს, შეეძინება მისგან ორი ასული, რომელთაგან ერთს ათხოვებს მისი ცოლის ნათესავ მირვანზე, ხოლო მეორეს ცოლად ატანს ქუჯის ძეს (იქვე, 27). მესამე მეფე მირიანი თავის ქალს ათხოვებს სომხეთის მეფის არშაკის ძე არშაკზე (იქვე, 28). მეფე ბარტომი თავის ასულს მიათხოვებს ეგრისელი ქუჯის შვილიშვილ ქართამს, რომელსაც ოშვილებს კიდეც (იქვე, 32). ბარტომის შემდეგ გამეფებული მირვანი სამშვილდიდან გამოიყვანს მის ცოლს და შეირთავს (იქვე, 33). მეფე ადერკის

---

[4] ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლ. ნ. I, გვ. 102—103.

[5] იქვე, გვ. 103—104.

[6] მერვე მეფე ბარტომი ოშვილებს ქუჯის შვილიშვილ ქართამს (ქ'ც, I, 32), მისი შვილია მეთორმეტე მეფე ადერკი (ქ'ც., I, 33), ხოლო ამ უკანასკნელის შვილია ზემოხსენებული მეთორმეტე მეფე ქართამი (ქ'ც, I, 43).

ცოლად ჰყავს სომეხთა მეფის ასული (იქვე, 35). ადერკის ჰყავს ორი ვაჟიშვილი: ბარტომ და ქართამ (სწორედ ჩვენთვის საინტერესო ქუჯის შვილიშვილის შვილიშვილი) (იქვე, 43) და ა. შ. ძნელია დავუშვათ, რომ მთელი ეს ჩვენებანი წმინდაწყლის შენათხზია და რაიმე (წერილობით თუ ზეპირ) ტრადიციას არ ემყარება.

სულ სხვაა, როდესაც ძეგლი ცდილობს ქართლის ისტორია მსოფლიო ისტორიიდან ცნობილ დიდ მოვლენებს დაუკავშიროს და ქართლის ესა თუ ის მმართველი მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზზე კარგად ცნობილ ამა თუ იმ მოღვაწის თანამედროვედ დასახოს. ასე მაგალითად, აზო (აზონი) აქ ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვეა (ქ˘ც, I, 18), ფარნავაზი მცირეწლოვანი იყო, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დალაშქრა ქართლი (ქ˘ც, I, 20), გამეფების შემდეგ იგი „მსახურებდა ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა“ (იქვე, 25), ე. ი. სელევკიდების სამეფოს ხელისუფალთ („ანტიოქოს“ სახელი „ქართლის ცხოვრებაში“ სელევკიდების ზოგადი სადინასტიო სახელის სახითაა ნახმარი)[7]. ფარნავაზის მომდევნო მეფეების საურმაგისა და მირვანის მიმართაც ხაზი ესმევა მათ მორჩილებას სელევკიდებისადმი („მსახურებდა მეფესა ასურასტანისა (resp. „ასურასტანელთასა“) (ქ˘ც, I, 27,28). ადერკის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ მისი მეფობის „პირველსავე წელსა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე“ (ქ˘ც, I, 35).

იმავე „ქართლის ცხოვრებას“ მოეპოვება მეორე ცნობა, რომელიც სულ სხვაგვარად ათარიღებს ადერკის მეფობის ხანას. „ხოლო ამისვე ადერკის მეფობასა გამოჩნდა კუალად მეფობა სპარსეთისა, რამეთუ რადგან შესრულ იყო ალექსანდრე და განერყუნა სპარსეთი, აქა ჟამადმდე არღარა დაჯდომილ იყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილთა და ადგილთა იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა. მაშინ შეკრბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აჟღალან ბრძენი. მაშინ სომეხნი და ქართველნი იყვნეს მორჩილ აჟღალანისი სპარსთა მეფისა, და ვიდრე ადერკის მეფობამდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფედ... ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქვეყანა თჳსი“ (ქ˘ც, I, 43). აქ ლაპარაკია პართიის სამეფოს დაარსებასა და არშაკიდების დინასტიის გამეფებაზე, რაც, როგორც ცნობილია, ძვ. წ. 250 წ. მოხდა. შეუსაბამობა „ქართლის ცხოვრების“ დასახელებულ ორ ცნობას შორის, როგორც ირკვევა, გარკვეული რიგის წყაროებით სარგებლობიდან მოდის[8].

„ორმეფობის ხანის“ პირველ წყვილს („ბარტომ და ქართამს“) „ქართლის ცხოვრება“ უფარდებს ახ. წ. 70 წლის ცნობილ ამბავს — ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის აღებას[9]: „ხოლო ამათსა მეფობასა, — ნათქუამია იქ, — უესპასიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა“ (ქ˘ც, I, 44).

---

[7] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[8] მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 145—148. ამ ცნობის ინტერპრეტაციისათვის იხ. გ. მამულია, „ქართლის ცხოვრების“ წყაროს დადგენისათვის, „საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, XXXIII 1, 1964.

[9] აშკარაა თუ რატომ თვლის „ქართლის ცხოვრება“ მსოფლიო ისტორიიდან მისთვის ცნობილი ამ ამბის თანამედროვედ ქართამსა და ბარტომს — „მოქცევაჲ ქართლისაჲსი“ ხომ ნათქვამია, რომ მათ დროს „ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“ (თვით „მოქცევაჲ“, როგორც ზემოთ დავინახეთ, ებრაელთა პირველი ტალღის მოსვლას მცხეთაში ძვ. წ. 169 წლით ათარიღებს).

დაბოლოს, ქართლის გამაქრისტიანებელ მეფე მირიანის წინამორბედს ქართლის ტახტზე, მეფე ასფაგურს, „ქართლის ცხოვრება“ უკავშირებს რეალურად დაახლოებით ასი წლის წინათ მომხდარ ამბავს (ახ. წ. 224 წ.) — სასანიანთა დინასტიის დაფუძნებას ირანში: „ამის-ზე (ე. ი. ასფაგურის დროს. — გ. მ.) მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალანიანნი, რომელი იცნობების არდაბირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ (ქ’ც, I, 59).

ასე ახორციელებენ „ქართლის ცხოვრების“ ავტორ-რედაქტორები ქართლის ცხოვრების მისადაგებას მსოფლიო ისტორიისადმი — როგორც დავინახეთ, ქართლის ესა თუ ის მმართველი ცხადდება მსოფლიო ისტორიაში მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ამბების თანამედროვედ. ამრიგად არიან დასახელებულნი ალექსანდრე მაკედონელის, სელევკიდი მეფეების, სელევკიდების სამეფოს დაცემისა და სომხეთში სამეფოს შექმნის, ქრისტეს დაბადების, ირანში არშაკიდებისა და სასანიანთა დინასტიების დაფუძნების, დაბოლოს ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის აღების (უფრო ადრე ნაბუქოდონოსორის მიერ ამავე იერუსალიმის აღების — ქ’ც, I, 15—16) თანამედროვენი ქართლში.

ძნელია დავეჭვდეთ იმაში, რომ მსოფლიო ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ამბები ქრონოლოგიურად ქართლის ამა თუ იმ მეფეს დაუკავშირდა გვიან, თხზულების ავტორთა თუ რედაქტორთა ვარაუდების შესაბამისად. ამიტომაც მათი გამოყენება ქართლის ამა თუ იმ მეფის მმართველობის დროის დასათარიღებლად ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება. მაგრამ ამ რიგის მასალასთან შედარებით „ქართლის ცხოვრების“ ცნობები სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა ნათესაურ კავშირებზე ჩვენ უფრო ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვხედავთ მათი განზრახ შეთხზვის მოტივებს და, ამიტომაც, არ გამოვრიცხავთ მათ მომდინარეობას ადგილობრივი თუ უცხოური წერილობითი თუ ზეპირი საისტორიო ტრადიციიდან. ამიტომაც არის, რომ ზემოდასახელებული ცნობა ორმეფობის პერიოდის დამწყები მეფის ქარძამის (ქართამის) ქუჯის შვილიშვილის შვილიშვილობის შესახებ, ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია და გვიდასტურებს ქართლის ამ მმართველის და, მაშასადამე, მეფეთა სიების „ორმეფობის“ ხანის დათარიღებას ძვ. წ. II ს-ის 60-იანი წლებით, რის საბაბსაც, როგორც აღინიშნა, იძლევა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა მცხეთაში ებრაული კოლონიის ძვ. წ. 169 წელს, ამავე ქარძამის დროს, დაფუძნების შესახებ[10].

ქარძამის (ანუ ქარძამ-ბრატმანის) მეფობით როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ისე „ქართლის ცხოვრება“ იწყებს ე. წ. „ორმეფობის“ ხანას ქართლში (იბერიაში) და ჩამოთვლის 5—6 წყვილს მეფეებისას, რომელთაგან ერთი თითქოს მტკვარგაღმა, მცხეთაში, ხოლო მეორე მტკვარგამოღმა, არმაზში, მეფობდ-

[10] მართალია, ასეთი დათარიღებისას მეოთხე მეფე მირიანიდან ვიღრე მეთორმეტე მეფე ქარძამამდე განვლილი მცირე დროის მანძილზე (რამდენიმე ათეული წელი) მეფეთა დიდი რაოდენობა გვიგროვდება (ფარნაჯომ, არშაკ, არტაგ, ბარტომ, მირვან, არშაკ, ადერკი), მაგრამ შეიძლება ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამ პერიოდზე მოდის სხვადასხვა პრეტენდენტს შორის გააფთრებული ბრძოლები ტახტის გარშემო; ამ ბრძოლებში ერევიან სპარსელები და სომხები, გამართულ ბრძოლებში მეფეებს კლავენ (ფარნაჯომ, ბარტომ) და ხან ერთ პრეტენდენტს ვამენ ტახტზე, ხან მეორეს. მეხუთე მეფის ფარნაჯომის ძე მირვანი, მაგალითად, მხოლოდ მეცხრე მეფედ გვევლინება და ა. შ. (იხ. ქ’ც, I, 30—33).

ნენ ერთდროულად. რა თქმა უნდა, სწორი უნდა იყოს იმ მკვლევართა[11] მოსაზრება, რომლებიც თვლიან, რომ ამ „ორმეფობას" არ უნდა ჰქონდეს კავშირი ქვეყნის ორ სამეფოდ გაყოფასთან, არ უნდა გულისხმობდეს ამას, და სიის „მეორე მეფენი" სამეფოს „მეორე პირთ" ანუ სპასპეტებს უნდა წარმოადგენდნენ. მაგრამ ეგების სპასპეტების ესოდენ დიდი ხვედრითი წონა, აგრეთვე სტრაბონის ცნობილი მინიშნება, რომელიც აგრეთვე ძვ. წ. II ს-ის ვითარებას უნდა ასახავდეს, იბერიაში მეფის შემდგომ „მეორე პირის" შესახებ, რომელიც „მხედართმთავრობს და მთავარ მსაჯულს წარმოადგენს", აგრეთვე იბერიის ცენტრალური (სამეფო) ხელისუფლების ერთგვარ დასუსტებაზე მიგვითითებს. ეს კი ყველაზე უფრო შეიძლება ემთხვეოდეს იბერიის სისუსტისა და მეზობელი სომხეთის მიერ მისი შეზღუდვის პერიოდს (ძვ. წ. II ს-ის შუახანებიდან ძვ. წ. I ს-ის შუახანამდე)[12].

ამიტომაც არ უნდა იყოს სწორი „ქართლის ცხოვრება", რომელიც აღნიშნულ „ორმეფობას" ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან იწყებს (მეფე ადერკის შემდეგ, რომლის გამეფება თითქოს ქრისტეს დაბადების წელს დაემთხვა, ხოლო იმეფა მან 57 წელს — ქ'ც, I, 35). ზემოთქმული მონაცემების გარდა ჩვენ ამ პერიოდისათვის მოგვეპოვება სხვა მასალებიც ამ მონაკვეთზე იბერიის მმართველთა სიის გასაკონტროლებლად. ესაა უცხოურ, ბერძნულ-რომაულ წყაროებში, აგრეთვე ადგილობრივ, საქართველოში, აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში იბერიის მეფეთა მოხსენიებანი, რომლებიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, დაწყებული ძვ. წ. 65 წლიდან ვიდრე ახ. წ. II ს-ის მეორე ნახევრამდე ამ პერიოდის მეფეთა დამოუკიდებელი სიის შედგენის შესაძლებლობას იძლევიან. ამ გზით შედგენილი სია კი აგრეთვე არ ემთხვევა ქართულ წყაროებში „ორმეფობის ხანის" მეფეთა ჩამოთვლას და საერთოდ ქართული წყაროების მეფეთა სიაში, როგორც ჩანს, ვერ პოვებს შესატყვისს.

ეს სია შემდეგნაირად გამოიყურება:

ა რ ტ ა გ ი (მრავალგზის იხსენიება ბერძნულ-რომაულ წყაროებში, იბერიაში პომპეუსის ლაშქრობის (ძვ. წ. 65 წ.) ამბების აღწერაში.
(ხ ა რ ვ ე ზ ი — ერთი ან ორი მეფე?).

ფ ა რ ნ ა ბ ა ზ ი (მას იხსენიებს დიონ კასიუსი თავისი „რომის ისტორიაში" (XLIX, 24) ძვ. წ. 36 წ. ამბების აღწერისას).
(ხ ა რ ვ ე ზ ი — ერთი ან ორი მეფე?).

მ ი თ რ ი დ ა ტ ე (იხსენიებს დიონ კასიუსი — „რომის ისტორია", LVIII, 26, 1—4, — ახ. წ. 30-იან წლებში).

---

ერწო-თიანეთის ტერიტორიის რიგი ადგილები სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა, რიგი ადგილებისა — საეკლესიოს, მაგრამ მისი უმეტესი და საუკეთესო ფართობები თავად-აზნაურთა კუთვნილებაში იყო მოქცეული. ასე მაგალითად, ორხევი და ყუდრო ჩოლოყაშვილების ყოფილა, სიონი ჭავჭავაძეების. ჩოლოყაშვილების ყოფილა ღულელები, თოლენჯი და სხვა. თოლენჯში ადგილები ჰქონიათ ჭავჭავაძეებს, თრანში — ბარათაშვილებს, სიმონიანთხევში — ბულაჩაურში მცხოვრებ ხიმშიაშვილებს, გორანაში — ახმეტაში მცხოვრებ გარაყანიძეებს და ფარსადანიშვილებს და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ მიწების დიდ ნაწილზე ახმეტიდან იკვლივამდე ჩოლოყაშვილები ავრცელებდნენ თავის უფლებებს. შემდგომში, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თავადებისაგან შეუსყიდია ადგილები და არანაკლებ ექსპლუატაციას უწევდა გლეხობის გაღატაკებულ ფენებს. XIX საუკუნის პირველი ნახევრის კამერალური აღწერის მასალებში მითითებულია თავადები: ჩოლოყაშვილები, ჭავჭავაძეები, ყარალაშვილები, ტუსიშვილები, დავით მუხრანბატონი, შანშე და დავით ერისთავები და სხვები, რომელთა ხელშიც იყო ერწო-თიანეთის სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილი. მოსახლეობაც ასეთი კატეგორიით არის შესული ამ აღწერილობებში: სახელმწიფო გლეხები, საბატონო ყმები და ხიზნები[1].

როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებულ ფეოდალურ ორგანიზაციასთან.

---

[1] სსცია, ფონდი 254, საქ. № 1947, 2042.

ერწო-თიანეთის ტერიტორიიდან უნდა გამოვყოთ ივრის ხეობის სათავეები, არტნის საზოგადოება, სადაც ფეოდალიზმი ამ დონით არ იყო განვითარებული. მთხრობელთა გადმოცემით, თავადაზნაურობას მასზე ხელი არ მიუწვდებოდა.

ივრის ხეობის სათავეებში მდებარე სოფლებია: ბაბხისხევი, ხილიანა, ჯაბლევი, მაკასტახი, ყვარა, ბაჩალი, ხაშარი, საშუბი, ქურთისკარი, კორსავი, სოფლიონი, ღორღაში, არტანი (ზემო და ქვემო), ხუშხევი, თეთრაულები, გაღმასახევი, ოდახევა, ლიშო, დოლუჯაურები, კვერნაულა, მსხლოვანი. ყველა ეს სოფელი არტნის სამამასახლისოში იყო გაერთიანებული, ამჟამად პირველი 11 სოფელი დაცლილია და სახლები ნანგრევებადაა ქცეული. აღნიშნული მიკრორაიონი დასერილია ხეობებით, რომლებიც იორში ჩაედინებიან. ესენია: ბაბხისხეურა, ხათხეურის ხევი, აონის ხევი, ხაშრულა, კორსაულა, სოფლიონის ხევი, ლაშრის ხევი, ღორღაშურა, არტნულა, ქუშხეურა, ბოტახევის ხევი, სახეურა, ლიშოურა; და შემოჯარულია მთებით: ყვარას მთა, გარეჯა (ბაბხისხევის მთა), ქუდიელი. ღოლოიანა, ბეღელა, ხაშარი, საშუბის მთა, სოფლიონის მთა, არტნის მთა, შუალა გორა, ქუშხევის მთა, სახევის თავი, ჭიაურა, სხლოვანის მთა. ეს კუთხე სწორედ ამიტომაა მიჩნეული ივრისა და მისი შენაკადების ნაყოფად[2]. ნ. ხიზანაშვილი მას გვიხატავს მთებში ჩამჯდარ კოპწია ხეობად, სადაც მთა და ბარი ერთმანეთს სილამაზეში ეჯიბრებიან[3].

ივრის ხეობის სათავეებში ფშავის ორი თემიდან, ჭიჩოელთ და საგაბიდოუროს თემიდან გადმოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობდა. სოფლები: ბოდახევი, არტანი (ზემო და ქვემო), ღორღა, სახევი, თეთრაულები ჭიჩოელთ თემიდან გადმოსული ფშავლებით იყო დასახლებული, ხოლო სოფლები: ყვარა, ბაბხისხევი, სოფლიონი, ქურთისკარი, საშუბი, სხლოვანი, კორსავი, ლიშო და ხუშხევი მთლიანად საგაბიდოუროს თემიდან გადმოსახლებულ ფშავლებს ეკავათ. ხალხური მმართველობის სისტემა, გარკვეულ ნაწილში, თემური მმართველობის პრინციპებს ემყარებოდა. რაც შეეხება საზოგადოების განვითარებას, ის მიემართებოდა სოფლის თემის შლისა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით, მაგრამ ამ სოციალურ ძვრებს დიდი წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდა, თემი მთელი ძალით იბრძოდა თანაბარუფლებიანობის რღვევისა და რომელიმე მეთემის სოციალური აღზევების წინააღმდეგ. ამ მიმართებით, საინტერესოა ჩვენ მიერ თაღლაურის ციხესთან დაკავშირებით ჩაწერილი გადმოცემა.

არტანში არის კოშკი, რომელსაც თან ახლავს საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსი, ამჟამად მისი ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ეს ნაგებობათა კომპლექსი ვინმე თაგვა თაღლაურს ეკუთვნოდა და მას თაღლაურის ციხეს უწოდებენ. თაღლაურს ფშავლის ქალი ჰყოლია ცოლად ჭიჩოს თემიდან. გადმოცემით, ის ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა, „ცხვარ-ძროხიანი“, მის ციხესთან 8 კალო ყოფილა გამართული. როგორც ჩანს, თაღლაურს მოუნდომებია მთელ ივრის ხეობის სათავეებზე დაედო ხელი, გზა გადაუკეტავს და მასზე გამვლელს ბაჟს ახდევინებდა. გზაზე ჯაჭვი ჰქონდა გაბმული, გამვლელი მას წამოედებოდა და ციხეში ზარი ირეკებოდა. თაღლაურის ასეთი გაბატონება ფშავლებს არ მოსწონდათ და მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. შეთქმულებაში ჩართეს თაღლაურის ცოლის ძმისშვილი, რომელმაც დააზუსტა თუ როდის აპირებდა

---

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 179.

[3] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 95.

თაღლაური შირაქში წასვლას, გადავიდა ჭიჩოში, დარაზმა ხალხი, დაეცა მის სახლკარს და მთლიანად დაუწვრია, მხოლოდ ციხის დანგრევა ვერ მოუხერხებიათ, წაიღეს მთელი ავლა-დიდება, წაიყვანეს მისი ცოლი და ფშავის გზას გაუდგნენ. შირაქისკენ მიმავალ თაღლაურს გულმა უგრძნო მის თავს დატრიალებული უბედურება და უკან გამობრუნდა, დრო რომ არ დაეკარგა, სახლში არ შეუვლია, შეჩერდა კოპალის ხატთან, თავისი ციხის ბოლოში, დედას ისრები ჩამოატანინა და მომხდურებს დაედევნა. ფშაველები გადავიდნენ ფადლაურის მთას, თავი სამშვიდობოს იგრძნეს და დაისვენეს. აქ წამოეწია მათ თაღლაური. მან ზემოდან დახედა მინდორს, სადაც 30-მდე ფშაველი ისვენებდა და დაიძახა ჩემი ცოლის ძმისშვილი გამოვიდესო. მას თაღლაურმა გამოსვლისთანავე ესროლა ისარი და მოკლა, ამას მიაყოლა კიდევ 20 კაცი, წამოიყვანა თავისი ცოლი და უკან გამობრუნდა. უკან გამობრუნებულ თაღლაურს, რომელსაც ჯაჭვის პერანგი უკვე გახდილი ჰქონდა, შემოხვდა ერთი კოჭლი, გვარად მინდოდაური, რომელსაც ფშაველებისთვის ფეხი ვეღარ აეწყო და ჩამორჩენილიყო. ამ უკანასკნელმა ჯერ თავი მოიბეჩავა, შემდეგ კი თაღლაურს ზურგში ესროლა ისარი. ასე მოეღო ბოლო თაღლაურის ბატონობას. ამ გადმოცემის ვარიანტები, თავის დროზე, ჩაწერილი აქვთ ვ. ბარდაველიძეს[4] და თ. ოჩიაურს[5].

მოყვანილი გადმოცემიდან შეიმჩნევა, რომ თაღლაური იყო საზოგადოების დაბალი ფენიდან გამოსული, რომელსაც ცოლად ჰყავდა ასევე დაბალი ფენის წარმომადგენელი ფშაველის ქალი. თაღლაური მძლავრდება ეკონომიურად, იშენებს ციხეს, რაც მისი ღირსებისა და ძალის მატერიალური გამოხატულებაა. სწორედ ციხე-სიმაგრე ხდება იმის საფუძველი, რომ თაღლაური დგება ფეოდალური აღმავლობის გზაზე, სხვაზე ბატონდება, გზას თავისად აცხადებს და მასზე გასავლელ ბაჟს აწესებს. მაგრამ მას იურიდიულად ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული ყოველივე ამის უფლება. თემი დაუნდობლად ებრძვის თაღლაურს და ბოლოს უღებს მის აღმავლობას. ამ რიგის გადმოცემებთან დაკავშირებით, თ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ ისეთი ეკონომიურად აღზევებული პიროვნებები, როგორიც იყვნენ თაგვა თაღლაური, სულა და კურდღელა (ჩარგალში) და სხვა, თემს უპირისპირდებიან, რითაც მეთემეთა გულისწყრომას იმსახურებენ. მეთემეთა მხრივ ამ რეაქციას ხშირად თან სდევდა პირველთა ფიზიკური განადგურება[6]. ცალკეულ პირთა ასეთ აღზევებას და ამით საქართველოს მთიანეთში ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებას, ხელს უწყობდა საქართველოს ბარში განმტკიცებული ფეოდალური წყობა[7]. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ეკონომიურად აღზევებული თაღლაური იშენებს ციხეს. ციხე ხდება მისი ძლიერების მატერიალური გამოხატულება, რის საშუალებითაც დგება ფეოდალიზაციის გზაზე. მომხდურებმა კარგად იციან, რომ ციხის დანგრევა ნიშნავდა თაღლაურისათვის ფრთების შეკვეცას, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ და მხოლოდ სახლ-კარის დანგრევით კმაყოფილდებიან. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ციხე-კოშკი პირველყოვლისა, ფეოდალური კლასის ბატონობას ემსახურებოდა, ციხე იყო ამ კლასის ბატონობის იარაღი[8].

[4] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველებში (დღიური), ენიმკი-ს მოამბე, XI, თბ., 1941, გვ. 139.

[5] თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 122.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 129.

[8] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 88.

საქართველოს მთიანეთში კოშკის სოციალური ფუნქცია, მისი როლი საზოგაღოების სოციალური დიფერენციაციის საქმეში, კარგად ჩანს თუშეთის ეთნოგრაფიულ მასალაში. ავიღოთ ს. დიკლოს მაგალითი. ს. დიკლოს განაპირას, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდგარა ოთხი ციხე, რომელთაც ერთმანეთთან მტკიცე გალავანი კრავდა. ეს ციხეები სასოფლო იყო. შემდგომში, როდესაც ციხეებმა თავისი მნიშვნელობა დაკარგეს და, ალბათ, მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმაც მთის სოფელი მიატოვა, სოფელს ის დაუნგრევია და როგორც საერთო სასოფლო საკუთრება, ქვა კომლებზე გაუნაწილებიათ სამშენებლო მასალად. გარდა სასოფლოსი, ყოფილა საგვარეულო ციხეებიც. ციხეები ჰქონდათ ბექურიძეებს, ქურაძეებს, ქითიძეებს. ცხადია, აქაც ციხეებს აშენებდნენ ძლიერი, ეკონომიურად დაწინაურებული და ხალხმრავალი გვარები. ერთერთი მთხრობელის გადმოცემით, ციხიან გვარებს თავიდანვე ჰქონდათ დაკავებული მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამოსახლო და სახნავი ფართობები და სხვას აღარ ანებებდნენ.

ქითიძეები წარმოშობით ქისტები ყოფილან, მათ წინაპარს ჩაჩნეთის სოფელ ტერელოში კაცი მოუკლავს, დიკლოში მოსულა და ქურაძეებს შეკედლებია. ქურაძეებს ის ერთ-ერთ მარტოხელად დარჩენილ ქურაძის ქალის ოჯახში ჩაუსიძებიათ და თავისი გვარი მიუციათ. ქურაძე მაშინ ძლიერი გვარი იყო, ჰქონდათ საკუთარი ციხე და ჩასიძებული ქისტიც ყველა იმ სიკეთით და უფლებებით სარგებლობდა, რაც ქურაძეებს გააჩნდათ. შემდგომში ქისტის შთამომავლებს თავის წარმომავლობის შესაბამისად გვარიც გადაურქმევიათ. ამის შემდეგ იშენებენ ქითიძეები საკუთარ ციხეს. ქითიძეები, თავის მხრივ, ორ პატრონიმიულ ჯგუფად იყოფოდნენ — ჯაყოანთ და ოთარიანთ ჯგუფებად. შემდგომ ოთარის შთამომავლობა ოთარიძეებად დაეწერნენ და ქითიანთ ციხე ორი გვარის — ქითიძეების და ოთარიძეების საერთო საკუთრებაში დარჩა.

ქურაძეებს ხარ-ქვაბით შეჰყრია ვინმე რუსი, გვარად კარტუშოვი. ამ უკანასკნელს ქურაძის გვარი მიუღია, ხოლო მისი ნამდვილი გვარი მას და მის შთამომავლობას პატრონიმიულ სახელად შერჩენია. შემდგომში ამათაც დაიბრუნეს თავისი გვარი — კარტუშოვი, რაც ქართულში კ ა რ ტ უ შ ი ქ ო რ თ ო შ ად, ხოლო გვარი ქ ო რ თ ო შ ი ძ ე-დ გარდაიქმნა. გარდა აღნიშნულისა, ქურაძეებს ხარ-ქვაბით შემოუყრიათ ბეწუნაიძეები, შააძეები, ბათირიძეები, ვარდიძეები, ოსორაიძეები. ყველა ესენი თავის დროზე ქურაძეების საგვარეულოში ირიცხებოდნენ.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა ნათელს ხდის, თუ როგორ იზრდება გვარი, აფართოებს თავის რიგებს და რაზმავს მათ თავისი საგვარეულო კოშკის ირგვლივ, როგორ თანმიმდევრულად იკრებს ძალებს და უფლებებს. მთხრობლის (გაბრიელ იაკობის ძე ქითიძე, დაბ. 1906 წ.) გადმოცემით, ქურაძეების საგვარეულო იმდენად გაიზარდა, რომ მათ შუღლს ვერავინ გაუბედავდა. გვარს ყავდა თავისი უფროსი, მისი ძლიერების ხანაში გვარის მეთაური ყოფილა აბული ქურაძე, რომლის ნება-სურვილს ემორჩილებოდა გვარის ყველა წევრი. როგორც ჩანს, აბულის აუგია ციხე და შეუქმნია სოფელში ყველაზე ძლიერი საგვარეულო. არამცთუ გვარში, სოფელშიც აბულის სახელი ფრიად ავტორიტეტული ყოფილა. მიწების გადანაწილების დროს ქურაძეებს ვერავინ შეჰბედავდა: „თქვენი ადგილები საერთო გადანაწილების სიაში უნდა შევიტანოთო“, შეიძლებოდა თხოვნით მიემართათ აბულისათვის რაიმე დაეთ-

მოთ სოფლის რომელიმე წევრის დასაკმაყოფილებლად. ცხადია, ყოველივე ამას წინ უსწრებდა საგვარეულოს ეკონომიური აღზევება.

აბულის სიკვდილის შემდეგ ქურაძეების საგვარეულოს სათავეში უდგება მისი ხარ-ქვაბით შემოყრილი, ძმად მიღებული ქორთოში. მას თავის ძალით, შემართებით და სამშობლოსადმი ერთგულებით თანასოფლელთა საერთო სიყვარული დაუმსახურებია. მისი თავდადება ხალხს ლექსითაც კი შეუმკია, ამ ლექსის ერთ-ერთ სტროფში ნათქვამია: „დიკლოს აბულის ქორთოში ყამირობს ყანასავითა, მოსულსა მოძალადეებს აბრუნებს ნახირსავითა“. ერთ ხევსურულ ლექსში კი ვკითხულობთ: „აბულთ ქორთეშას დაღვნატრი გულდიდად დაჯდეს ჯარზედა“ და ა. შ.[9]. ამ ლექსშიც ქურაძეების გვარის მეთაური, გარეშე მტრებთან შეუდრეკელი მებრძოლი და თუშეთში დიდად ავტორიტეტული პიროვნება აბულის ქორთოში, კაიყმის ფარგლებს არ სცილდება. ქორთოშის სიკვდილის შემდეგ კი ქურაძეების საგვარეულო საბოლოოდ იშლება — საგვარეულოს თანდათანობით სცილდებიან ხარ-ქვაბით შეკედლებული ჯგუფები, რის შედეგადაც, მცირდება მათი რიგები და ძალას და გავლენას კარგავენ.

ამგვარად, ქურაძეების გვარი მტკიცედ დაადგა ფეოდალიზაციის გზას, მაგრამ ვერ მოასწრო ბოლომდე მისვლა. რაიმე საკითხის განხილვის დროს, მართალია, დაწინაურებული გვარის, მისი მეთაურის სიტყვას მეტი ანგარიში ეწეოდა, მაგრამ მისი სიტყვა არ იყო გადამწყვეტი, სოფელი არ თვლიდა სავალდებულოდ მათთვის ემუშავა ან რაიმე გადასახადი ეძლია. ამდენად, ეს გვარები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული თავისუფალ მეთემეთა რიგებიდან. არა მარტო დიკლოში, არამედ თუშეთში, ივრის ხეობის სათავეებში და საერთოდ, საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის მთელ რიგ კუთხეებში ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა ფეოდალთა კლასი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების სოციალური განვითარება სწორედ ამ გზით მიემართებოდა. სოფლის თემის ასეთი სიმტკიცე გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მარქსის დებულებას თემის დუალისტური ბუნების შესახებ. ამ განსაზღვრებაში ხაზგასმულია მიწაზე კოლექტიური საკუთრების თანაარსებობა კერძო საკუთრებასთან; დუალიზმის არსებობა მიწაზე ფეოდალური საკუთრების პირობებში, და მიწაზე სახელმწიფო საკუთრების არსებობის პირობებშიც, სადაც მიწაზე სათემო მფლობელობა უპირისპირდება მეთემეთა კერძო საკუთრებას შრომის იარაღებსა და მუშა საქონელზე[10]. მოყვანილი დებულება სავსებით შეესატყვისება ქართულ-კავკასიურ მასალას. როგორც ცნობილია, კავკასიის მთიანეთის ეკონომიური ცხოვრების სპეციფიკა არ ქმნიდა ფეოდალური ურთიერთობის სრულფასოვნად განვითარების საფუძველს. სწორედ ეს უსაფუძვლობა, თემის შიგნით დაწინაურებული ფენების სისუსტე და მოუმზადებლობა, შემდგარიყო ფეოდალიზმის მაღალ საფეხურზე, ხდება ქურაძეების საგვარეულოს დაშლისა და თაღლაურის ტრაგედიის მიზეზი.

ნეტ-ნაკლებად ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს მთიანეთშიც, კერძოდ, თაღლაურის ამბავთან დაკავშირებით გვაგონდება თუ როგორ ამოხოცეს ს. ღებში სამი ძმა, აზნაური არეშიძეები. ამით დაედო ზღვარი მთარაჭაში კერძო პირების ბატონობას. საყურადღებოა, რომ მთარაჭაში ტერმინი გლეხი, პირველ ყოვლისა, კომლის აღმნიშვნელია და არა

---

[9] ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ, თბ., 1970, გვ. 46.

[10] К. Маркс, Наброски ответа на письмо В. И. Засулич, К. Маркс и Ф. Энгельс, соч. изд. II, т. 91, გვ. 400.

გარკვეული სოციალური ფენის, ხოლო გლეხის სახელი პატრონიმიული სახელწოდების მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობის გაშლა ამჯერად შორს წაგვიყვანდა.

მოკლედ შევეხებით სვანეთს, რომელიც დასავლეთ საქართველოს კუთხეებიდან ყველაზე კარგადაა შესწავლილი არ შევუდგებით არც ამ კუთხესთან დაკავშირებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სისრულით მიმოხილვას, რადგან სვანეთის სოციალურ ურთიერთობათა საკითხების კვლევა არ წარმოადგენს ჩვენს ძირითად მიზანს.

სვანეთი, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — ყოველთვის დამოკიდებული იყო ბარზე, ბართან ინტენსიური ურთიერთობის არსებობას პირველ რიგში მოითხოვდა მისი მეურნეობის ძირითადი დარგი — მესაქონლეობა. აქედან არა მარტო მოსახლეობის ნამატი ჩამოდიოდა ბარში და მკვიდრდებოდა, მთის მოსახლეობაც იძულებული იყო ბარით ერჩინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ მთისთვის ბარი არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი, რომ სვანების ყოველი საქმიანობა მთისა და ბარის ურთიერთობაში უნდა იქნას განხილული, ფეოდალიზმმა ვერ შეაღწია სვანეთში. როგორც მკვლევარი განმარტავს, „მან მხოლოდ კიდეები მოაჭამა“, განვითარდა იქ, სადაც ბარულმა მეურნეობამ შეაღწია. თამარიც სვანებისათვის ფეოდალური მეფე კი არ იყო, არამედ სამხედრო დემოკრატიის მეთაური, სახალხო ბელადი და ამიტომაც დაიმკვიდრა განსაკუთრებული სიყვარული. ფშავხევსურთაგან ასევე იყვნენ მიღებული გიორგი ლაშა, ერეკლე და სხვები, რომლებიც მთიელებს არ ავიწროებდნენ, დიფერენცირებულად უდგებოდნენ მთასა და ბარს[11].

მართალია, სვანეთში სრულყოფილი სახით არ ჩამოყალიბებულა ფეოდალური ურთიერთობა, არც სადადიანო და არც სადადეშქელიანო სვანეთი არ იყო ბარის წყობის სრული იდენტური, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა ერთ წერტილზე გაყინული და არც მისი ყველა ნაწილი მდგარა განვითარების ერთ დონეზე[12]. ნ. ბერძენიშვილი სვანეთში გულისხმობს ისეთ საზოგადოებრივ წყობას, როგორსაც მთიულეთში გვისახავს „ძეგლის დება“ და ავლებს პარალელს ამ ორ კუთხეს შორის. სვანეთის სამეურნეო პირობები, აღნიშნავს მკვლევარი, უფრო მაღალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებს არ ქმნიდა; „სვანეთის ფეოდალიზმი“ გაუგებრობაა, რაც შეეხება დადეშქელიანებს, ისინი მიჩნეულია ისეთივე ვარგებად, როგორიც იყვნენ რიჩგვიანები, ჩარკვიანები, იოსელიანები და სხვა, მხოლოდ იყვნენ მათზე უფრო ძლიერნი. თემი ძლიერი გაერთიანება იყო და თემის მტეხელნი მოკლებული იყვნენ მათი გამარჯვებისათვის აუცილებელ პირობას[13].

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების თავისებურებები და ის განსხვავება, რაც ამ მიმართებით შეიმჩნევა სვანეთის სხვადასხვა ნაწილებში, კარგად აისახება დასახლების ფორმებში. დადგენილია, რომ მაშინ როდესაც ბალსზემო სვანეთში საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა ხევი, ბალსქვემო სვანეთში ამ უმცირესი გეოგრაფიული ერთეულის საცხოვრებელ და სამეურნეო მთლიანობაში შეინიშნება რღვევის ნიშნები, ხოლო ქვემო სვანეთში ხევი საბოლოოდ კარგავს ამ ერთიანობას

[11] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 425—427.

[12] იქვე; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.

[13] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 440.

და მას მხოლოდ ხევში შემავალი ცალკეული სოფლები ინარჩუნებენ. ამდენად, ქვემო სვანეთში ხევმა დაკარგა გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრების ერთობლიობა და ცალკეულ დასახლებულ ერთეულებად, სოფლებად დაიშალა, დასახლების ძირითად ერთეულს უკვე წარმოადგენდა არა ხევი, არამედ სოფელი; გლეხობის საცხოვრებელი ნაგებობებიდან, თავისი გაბარიტებითა და მდებარეობით, გამოიყოფოდა სოციალურად დაწინაურებული ფენების გარდაფხაძეებისა და გელოვანების სასახლეები. ყოველივე ეს ქვემო სვანეთის სოფელს აძლევდა ფეოდალურ სახეს[14].

ამგვარად, ხევმა თავისი სოციალური და სამეურნეო მნიშვნელობით, ყველაზე კარგად შემოინახა თავი ბალსზემო სვანეთში, თუმცა XIII—XIV ს-თვის აქაც შეიმჩნევა განსახლების მონოგენური პრინციპების რღვევა, სოფლის თემს რიგი მნიშვნელობისა უკვე დაკარგული აქვს. ამ პროცესის უფრო შორსწასულობა დგინდება ბალსქვემო სვანეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვემო სვანეთზე, სადაც ხევმა დაკარგა თავისი მაორგანიზებელი მნიშვნელობა და სოფელი ცალკე ფეოდალურ ერთეულად ჩამოყალიბდა[15], თუმცა ის ჯერ კიდევ არ იყო ბარული ფეოდალიზმის იდენტური.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების მხრივ საქართველოს მთიანეთი გამოირჩევა თავისებურებებით ბარის რაიონებისაგან და ისინი ფეოდალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ეს თავისებურებები ადრევეა შენიშნული და ასახული სპეციალურ ლიტერატურაში. ჯერ კიდევ ნ. ხიზანაშვილი მიუთითებდა, რომ კერძო ბატონს მთის ხალხზე ხელი არ ჰქონდა, მთის ხალხში ღრმად იყო გამჯდარი თავისუფლების სიყვარული და ადვილად არავის აპატიებდა მის ხელყოფას. მკვლევარს მოჰყავს მაგალითი, თუ ზურაბ ერისთავი როგორ შეეცადა ფშავ-ხევსურეთზე გაბატონებას და ერთხანს თითქოს კიდეც მიაღწია მიზანს, მაგრამ ამ ბატონობამ დიდხანს ვერ გასტანა, რადგან ფშავ-ხევსურების ბუნება ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ ერისთაობასა და ბატონობას[16]. ხალხური გადმოცემები დღესაც სათუთად ინახავს „კაიყმის“ მამუკა ქალუნდაურის ხსოვნას, რომელმაც დარაზმა ხევსურები და თავისი გმირული შემართებით თავისუფლება მოუპოვა ამაყი მთის შვილებს.

მთაში, მიუთითებს ნ. ბერძენიშვილი, შეიძლება სამხედრო დემოკრატიამდე ამაღლდეს საზოგადოება, მაგრამ ამას ვერ ასცდება[17]. ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო მხოლოდ ბარში შეიძლებოდა შექმნილიყო და აქვე გაჩენილიყო ქალაქები, როგორც ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრები, გამოწვეული იყო სოციალურ ურთიერთობათა იმ დაწინაურებული მდგომარეობით, რაც მთისგან განსხვავებით, ბარში არსებობდა[18]. ამ საკითხზე შეიძლება მივუთითოთ გ. მელიქიშვილის ნაშრომი, სადაც XII ს. საქართველოში, სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ, გამოჰყოფს სამ რეგიონს: ერთია ქართლი და მესხეთი (ტაო-კლარჯეთი), რომელიც ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე დაწინაურებული კუთხე იყო. მის გვერდით სა-

---

[14] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, 60.

[15] იქვე, გვ. 60—62. ზემოთ მოყვანილი დებულებები კიდევ ერთხელაა გაანალიზებული და დასაბუთებული ალ. რობაქიძის მომდევნო ნაშრომში — К вопросу о значении термина в а р г в сванском (იხ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 378).

[16] ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

[17] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 641.

[18] იქვე, გვ. 328.

ქართველოს მთიანეთი ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური ან ადრეკლასობრივი წინაფეოდალური წყობილების პირობებში ცხოვრობდა. ამ ორ რეგიონს შორის საშუალო პოზიციაში იმყოფებოდა ისტორიული აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და კახეთი. ამ კუთხეებში ფეოდალიზაციის პროცესი ნაკლებ ღრმად იყო წასული, ვიდრე ქართლსა და ტაო-კლარჯეთში, მწარმოებელი მოსახლეობა კარგა ხანს ინარჩუნებდა თავისუფალი მეთემის მდგომარეობას, სუსტად იყო განვითარებული მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობა[19].

მომდევნო შრომებში გ. მელიქიშვილმა განავითარა თავისი დებულება და წერს, რომ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა XIX ს. შუა ხანებშიც იდგა საზოგადოებრივი განვითარების ე. წ. ადრეკლასობრივ საფეხურზე. მთაში ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული კლასობრივი ანტაგონიზმი და კერძო საკუთრების ინსტიტუტი, მწარმოებელ საზოგადოებას შენარჩუნებული ჰქონდა პირადი თავისუფლება და საწარმოო საშუალებებზე საკუთრება, ხშირად კოლექტიური, სათემო საკუთრების სახითაც კი. მართალია, მთური ფეოდალიზმის საფეხურზე მდგომ საზოგადოებებში გამოიყოფა პრივილეგირებული ფენები, მაგრამ ისინი არ გამხდარან საწარმოო საშუალებათა და მწარმოებელთა მესაკუთრენი, ხალხის ექსპლუატაცია სახელმწიფო და სათემო ინსტიტუტების ფართო გამოყენებით სწარმოებდა. მიწაზე ჯერ კიდევ არ არსებობდა ფეოდალური საკუთრება და ამ ფაქტს თუ ჰქონდა ადგილი, იურიდიულად მაინც არ იყო გაფორმებული. ციტირებულ ნაშრომში მითითებულია ყაბარდოს მაგალითი, სადაც სოციალურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ ამ ყველაზე დაწინაურებულ კუთხეშიც კი, პრივილეგირებული ფენები „სოფლის მფლობელნი“ მონაწილეობას ღებულობდნენ სახნავი ნაკვეთების ყოველწლიურ გადანაწილებაში. ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელნი, მიწის გადანაწილების დროს თავისთვის იტოვებდნენ ერთ-ერთ ნაკვეთს, იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ ისინი ეკონომიურად ჯერ კიდევ მთლიანად არ იყვნენ გამოცალკევებული თემისაგან[20].

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთიანეთში, განსხვავებით ჩრდილო კავკასიის კუთხეებისა, სახელმწიფო კანონები მოქმედებდა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებას სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები აწესრიგებდნენ, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება, ძირითადად, საერთო პრინციპებს ექვემდებარებოდა და ბევრ ანალოგიასაც ვხვდებით.

როგორც აღვნიშნეთ, კავკასიის მთიანეთში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების თავისებურებები განსაზღვრა მთიელთა ეკონომიური ცხოვრების სპეციფიკამ. მთიელთა ეკონომიკის სიმწირე მნიშვნელოვანწილად არ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ზედმეტი პროდუქციის წარმოებისა და მწარმოებელთა ექსპლუატაციის გაღრმავებისათვის. გარკვეული ჯგუფები მაღალი საფეხურებისაკენ გზას იკვლევდნენ მეზობელ ტომებზე დაცემისა და საქონლისა და ტყვეების მოტაცების მეოხებით. სამხედრო ტყვეებში ისინი დიდძალ

[19] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 105.

[20] გ. მელიქიშვილი. მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 165.

გამოსასყიდს ღებულობდნენ, ან მიწაზე ამკვიდრებდნენ და მათზე თავიანთ უფლებებს ავრცელებდნენ. ასეთი ქველმოქმედი „ძლიერი გვარები“ ექსპლუატაციას უწევდნენ სხვა უფრო სუსტ გვარებს, რომელთაც დაცვა სჭირდებოდათ[21]. დადგენილია, რომ არათვისტომთა დატყვევების ინსტიტუტი კავკასიის მთიელთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული და ეს წარმოადგენდა დაქვემდებარებული წოდების ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს[22].

ზემოთ აღნიშნული გარემოება კარგადაა გამოკვეთილი მთაინგუშეთის ეთნოგრაფიულ მასალაში. ამ მასალის მიხედვით ინგუშეთში დასტურდება ეკონომიურად დიფერენცირებული საზოგადოება[23]. ტეიპები, რომლებიც ამა თუ იმ სოფელში ყველაზე ადრე მოვიდნენ და დაესახლნენ, თავიანთ უფლებებს ავრცელებდნენ მიწის დიდ ნაწილზე, ჰყავდათ სხვაზე მეტი საქონელი, გამოირჩეოდნენ მრავალრიცხოვნებით და, ცხადია, ეკონომიურ სიმძლავრესთან ერთად, ფიზიკური შესაძლებლობებითაც ზემოქმედებდნენ დანარჩენ მოსახლეობაზე.

მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია თავისებურად აისახა მატერიალური კულტურის ძეგლებში. საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი — სოფელ ლეჟგის მაგალითი. ს. ლეჟგში ცხოვრობდნენ ხუტი, კურსკი, ხარსი და ბექუ ტეიპები. აქედან ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი ხუტი ტეიპა იყო, ის ყველაზე ადრე მოსულა ლეჟგში და მთელი ადგილები მის კუთვნილებას წარმოადგენდა. ამ ტეიპის მაღალი პირამიდულსახურავიანი კოშკი სოფლის ცენტრალურ, ყველაზე ამაღლებულ ადგილას დგას და მთელ გარემოს ზემოდან დაჰყურებს, საცხოვრებელი კომპლექსი კი (6 ციხე-სახლის ნანგრევები) კოშკის წინ იშლება. ხუტი ტეიპას შემდეგ ლეჟგში კურსკი და ხარსი ტეიპები მისულან. ესენი შედარებით მცირერიცხოვანი და ღარიბი ტეიპები იყვნენ, მათ ორივეს ჰქონდათ დაბალი, დაუმთავრებელი კოშკები. რაც შეეხება მეოთხე, ბექუ ტეიპას, ის ყველაზე გვიან არის მოსული და მხოლოდ ერთი, ქვის ერთსართულიანი მიწურბანიანი სახლი ჰქონდა.

როგორც ირკვევა, დასრულებულ, პირამიდულსახურავიან კოშკებს მხოლოდ მრავალრიცხოვანი და ეკონომიურად მძლავრი ტეიპები აგებდნენ და მის მშენებლობაში ტეიპას ყველა წევრი მონაწილეობდა. ნათესაობა, ისინიც კი რომლებიც სხვა სოფლებში ცხოვრობდნენ, ამუშავებდნენ კუთხის ქვებს და კოშკის პატრონისათვის მიჰქონდათ საჩუქრად, რაც ყველაზე დიდ პატივისცემად და თანაგრძნობის გამოხატულებად ითვლებოდა. მცირერიცხოვანი სუსტი ტეიპები აგებდნენ მხოლოდ დაუსრულებელ კოშკებს — კოშკებს პირამიდული სახურავის გარეშე ან მარტო ციხე-სახლით კმაყოფილდებოდნენ. და ბოლოს, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ციხე-სახლის აშენებაც არ შეეძლოთ. ასეთი ტეიპები უმეტესად თითო ოჯახისაგან შედგებოდა და ახლო-მახლო ნათესაობაც არ ჰყავდათ. კოშკის აშენება, — სწერს ლ. სემინოვი, — გვარის ძლიერებისა და ერთსულოვნების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ კოშკის მშენებლობაში გვარის ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას, იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელსაც. წესის მიხედვით, ახლად მოსულებს კოშკის მშენებლობა

---

[21] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

[22] ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, თბ., 1973, გვ. 116.

[23] კონკრეტულ მაგალითებზე აღარ შევჩერდებით, რადგან ამაზე დაწვრილებითაა საუბარი ჩვენს აღრე გამოქვეყნებულ ნაშრომში (იხ. ბ. გამყრელიძე, მიწათსარგებლობის ფორმები მთაინგუშეთში, საისტორიო კრებული, II, თბ., 1971, გვ. 402).

განსაზღვრულ დროში, კერძოდ, ერთ წელიწადში უნდა დაემთავრებინათ, თუ ამ დროში ვერ ჩაეტეოდნენ, მშენებლობა წყდებოდა და კოშკი დაუმთავრებელი რჩებოდა[24]. ოჯახის გაყოფის დროს კოშკი არ იყოფოდა, იგი საერთო საკუთრებაში რჩებოდა, ახლად გამოყოფილი ოჯახები მის ირგვლივ ჯგუფდებოდნენ და სოფელში ქმნიდნენ ცალკე პატრონიმიულ უბანს.

ინგუშურ კოშკს, ვკითხულობთ მთაინგუშეთისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში, მარტო თავდაცვითი მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ ტეიპის ერთიანობისა და ღირსების გამოხატულებასაც წარმოადგენდა. კოშკის მშენებლობა იწყებოდა მაშინ, როდესაც ოჯახი გარდაიქმნებოდა მძლავრ ნათესაურ ორგანიზაციად, ასეთი დიდი მშენებლობისათვის იქნებოდა მომზადებული ეკონომიურად და მუშახელით. თუ ამ დროს სოფელში სხვა ტეიპებს უკვე ჰქონდათ კოშკები, სოფელი ახალმშენებლობის უფლებას იძლეოდა გარკვეული გარანტიით — მშენებლობა დამთავრებულიყო ერთ წელიწადში. თუ ეს პირობა ვერ შესრულდებოდა, კოშკი სამუდამოდ რჩებოდა დაუმთავრებელი, რაც მისი მფლობელი ტეიპის არასრულფასოვნების მაჩვენებელი ხდებოდა. ამასთან, იყვნენ ტეიპები, რომელთაც, არამცთუ ეკონომიური შესაძლებლობა, კოშკის აშენების უფლებაც არ ჰქონდათ. ეს შეზღუდვა პირველ რიგში ვრცელდებოდა ე. წ. მოსულ ტეიპებზე, რომლებიც იძულებული იყვნენ სხვა უფრო ძლიერ ტეიპას მიკედლებოდნენ და ცხადია, მათზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ[25]. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მთაინგუშეთის ციხე-კოშკები თვალნათლივ ასახავს სოფლის თემის რღვევის პროცესს.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ყველაზე ძლიერს, მრავალრიცხოვან ტეიპას ეწოდებოდა ო ზ დ ი, ყველაზე სუსტ და პატარა ტეიპას — ლ ე ი. ეს უკანასკნელი იყო ნატყვევარი, მონა, რომელსაც არავინ და არაფერი არ გააჩნდა. გამოიყოფა კიდევ ერთი — საშუალო ფენა ი ყ ი რ ტეიპა. მთხრობელთა გადმოცემით, ტყვეს ჩასვამდნენ ორმოში და იქ ამყოფებდნენ, ვიდრე პატრონი არ გამოისყიდდა. თუ ასეთი რამ არ მოხდებოდა, მფლობელს შეეძლო ტყვე გაეყიდა, ან სახლში დაეტოვებინა სამუშაოდ. საბოლოოდ ტყვეს აძლევდნენ ადგილს, სადაც ის ესახლებოდა და ქმნიდა საკუთარ მეურნეობას. მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომლებიც ტყვეებს და საქონელს იტაცებდა, მთაინგუშეთში ეწოდება ღ ე რ. ეს იყო ძლიერი ხალხი, რომელთაც ჰქონდათ პირამიდულსახურავიანი კოშკების აგების უფლება. ტყვეს სანამ გაყიდდნენ, ან პატრონი გამოისყიდდა, ეწოდებოდა ი ს რ, ხოლო როდესაც სამუდამოდ რჩებოდა საცხოვრებლად იქ სადაც მიიყვანეს, ხდებოდა ლ ე ი[26].

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოება ქმნიდა მთაინგუშეთში გვართა არათანაბარფარდოვნების შთაბეჭდილებას. ოზდის საპირისპიროდ, ლეიში ნაგულისხმევია საზოგადოების ყველაზე დაბალი, სხვაზე დამოკიდებული ფენის წარმომადგენლები, რომლებიც შეიქმნენ როგორც უცხო ტომის პირთა დატყვევების, ისე ადგილობრივთა დაყმევების გზით[27]. ამდენად, მთაინგუშეთში სა-

[24] А. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1932 годах, Грозный, 1963, გვ. 71.

[25] А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1868, გვ. 69.

[26] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ზ. ანჩაბაძისა და აღ. რობაქიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[27] Р. Харадзе, А. Робакидзе, Характер сословных отношений в горной Ингушетии, Кавказский этнографический сборник, II, Тб., 1968, გვ. 163.

ზოგადოებრივი ყოფა მიდიოდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით. თუმცა, მას ბოლომდე არ მიუღია სრულყოფილი, ჩამოყალიბებული სახე, დაწინაურებული ფენები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყოფილი თავისუფალი მეთემეებიდან, მათი უფლებები არ იყო იურიდიულად ფიქსირებული. ეს უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მთხრობლები და ხშირად წყაროებიც მიუთითებენ ინგუშეთში ხალხის თანაბარუფლებიანობაზე. მოგზაურობის დროს კ. განი შეხვედრია ერთ-ერთ ქისტს ცოტეშს ს. მუზოდან, რომელიც ყველაზე მდიდარ კაცად ითვლებოდა. მას ყავდა 500-მდე ცხვარი, 20 ძროხა და 8 ხარი, ჰქონდა განიერი გალავანი მაღალი კედლებითა და კოშკით. გარდა ამისა, მის სიმდიდრეს შეადგენდა რამოდენიმე ათასი მანეთი ფულად და შესანიშნავი იარაღი. მიუხედავად ასეთი სიმდიდრისა, ცოტეში თავის თავს მაინც არ უწოდებს თავადს, ჩვენ ყველა უზდენები ვართ, ამბობს ის, თავისუფალი როგორც მგელი, ერთმანეთისაგან განვსხვავდებით მხოლოდ მეტ-ნაკლები ქონებით[28].

ორიოდე სიტყვით შევეხოთ ოსეთის მთიანეთსაც. როგორც რ. ლეონტოვიჩი შენიშნავს, ოსეთში არ არსებობდა ხალხთა დაყოფა წოდებრივ ფენებად, აქ ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობდა. მართალია, გამოიყოფოდნენ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც თავს ძველი თავადური წარმომავლობისად თვლიდნენ და ხალხშიც ერთგვარი პატივისცემით სარგებლობდნენ, მაგრამ მათ მოწიწებით ეკიდებოდნენ არა განსაკუთრებული წარმომავლობისათვის, არამედ ძლიერების გამო. მათ არ ჰქონდათ არავითარი ხელისუფლება და ეწეოდნენ იმავე საქმიანობას, რასაც მოსახლეობის დანარჩენი ფენები[29]. ამიტომ იყო, რომ ოსეთის ყველა კუთხეში, რევოლუციამდეც კი ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმე გვარდებოდა სოფლის მოედანზე — ნიხასზე, სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადაც უპირატესობით ხნით უფროსები სარგებლობდნენ[30].

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში[31], ასევე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ ოსეთში — ქურთათისა და ალაგირის ხეობებში აქტიურად მიმდინარეობდა სოციალური დიფერენციაციის პროცესი, გამოიყოფოდა პრივილეგირებული ფენები — თ გ ხ ჩ ი ნ მ კ ა გ, ს ტ ი რ მ კ ა გ, რაც ნიშნავს ძლიერ გვარს, დიდ გვარს. ასეთი ყოფილა მაგ. არდონის ხეობის სათავეებში ბიგულოვი (ს. ცმი). ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, ეს გვარი ეპონიმის სახელს ატარებს, მათი შორეული წინაპრიდან ბიგულადან ჭომდინარეობს და ბერძნული წარმომავლობისაა. ისინი პირველნი დამკვიდრებულან პატარა ხეობა ცმიაქომში და მთელ მის ფართობებზე თავისი უფლებები გაუვრცელებიათ. შემდეგ ამ ხეობის სიღრმეში ბიგულოვების ნებართვით ესახლება ხურუმოვი, რომელიც მანამდე ბიგულოვთან მწყემსად მუშაობდა. ამის საფუძველზე ხეობაში ჩნდება ახალი დასახლებული ერთეული და ყალიბდება ს. თობორზა. როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთის გვერდით ცგას ძლიერი და

---

[28] К. Ган, Путешествие в страну пшавов, хевсур и ингушей (летом 1897 г.), Кавказский Вестник, № 6, июль 1900 г., გვ. 66.

[29] В. Леонтович. Адаты кавказских горцев, вып. II, Одесса, 1883. I.

[30] Б. Калоев, Осетины, Москва, 1967, გვ. 160; А. Магометов, Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе 1968, გვ 493; его же, Общественный строй и быт осетин (XVII—XIX вв.), Орджоникидзе, 1974, გვ. 86.

[31] Н. Бердзенов. Из записок об Осетии, Кавказ, 1852, № 67.

სუსტი გვარი, მაგრამ საკითხავია, ექსპლუატაციის ეს ფორმა არის იმ რანგში აყვანილი, რომ ვილაპარაკოთ ფეოდალურ ურთიერთობაზე? ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ფეოდალური წყობის საწყისი ეტაპია. მართალია, ხურუმოვი ბიგულოვთან დამოკიდებულ მდგომარეობაშია, ემსახურება როგორც მწყემსი, მაგრამ შემდგომ თავისუფლდება ამ მდგომარეობისაგან, იჩენს საკუთარ მეურნეობას და ისეთივე საზოგადოებრივი უფლებებით სარგებლობს როგორც ბიგულოვი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გვარს უცხო პირის მიღებისა და მისთვის სამოსახლო ადგილის გამოსაყოფად სოფლის დასტური სჭირდებოდა.

ქურთათის ხეობაში, ს. ლაცში ყველაზე დიდი, მრავალრიცხოვანი გვარები იყო დულაევი და თებიევი. ამ გვარებს სოფელში ჰქონდათ რამდენიმე კოშკი — გვარში შეშავალ პატრონიმიულ ერთეულებს. ს. კადათში თავდაპირველად კულოვები დამკვიდრებულან და დიდძალი ადგილებიც მათ სარგებლობაში იმყოფებოდა. მათ ზედა უბანში, სოფლის განაპირას აუგიათ ორი კოშკი სოფლის დასაცავად, კოშკი ჰქონიათ ქვედა უბანშიც. მთხრობლის გადმოცემით, ეს უკანასკნელი კულოვებს აუგიათ არა თავდაცვის მიზნით, არამედ საპატიოდ, გვარის ძლიერების მაჩვენებლად. როგორც ვხედავთ, კოშკი აქაც არის გვარის ძლიერების მატერიალური გამოხატულება.

დიფერენცირებული საზოგადოება აისახება საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსებშიც, მაგრამ ყოველივე ეს, როგორც მითითებულია ალ. რობაქიძის გამოკვლევაში, ვერ თავსდება სოციალური იერარქიის ჩარჩოებში, შეუძლებელია მათი ამა თუ იმ სოციალურ ფენაზე მიკუთვნება. ეს კომპლექსები მიუთითებენ მათი ჩამოყალიბების პროცესში სამხედრო-არისტოკრატიული წყობის არსებობაზე, რომლის ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა უცხოელთა ან თანატომელთა დატყვევება მოსახლეობის იმ ჯგუფის მიერ, რომელიც კლასობრივი დაწინაურების გზაზე იყო შემდგარი[32], მაგრამ ეს პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა.

განსხვავებით ქურთათისა და ალაგირის ხეობებისა, ფეოდალიზმი მნიშვნელოვნად განვითარდა დიგორსა და თაგაურში, რაც საზოგადოების სოციალ-ეკონომიური განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული ოსეთის აღნიშნული კუთხეების მჭიდრო ეკონომიურ კავშირს ისეთ ფეოდალურ სახელმწიფოებთან როგორიც იყო საქართველო და ყაბარდო[33]. ეთნოგრაფიული მასალა დიგორში გამოჰყოფს ორ ძირითად სოციალურ ფენას: ფეოდალთა კლასს — ბადელიატებს და დაბალ ფენას, ე. წ. შავ ხალხს საუადან. ამათგან გამოყოფილია დამოკიდებული ფენის რამდენიმე კატეგორია — ყუმაიაგები (ირონულად ქავდასარდი, ბადელიატების დაბალი წრის ქალთან შეძენილი შვილი), ქოსაგები. ეს იყო შინამოსამსახურე, მონა. მონის, ტყვის აღმნიშვნელად დამოწმებული გვაქვს ტერმინი უაცარ//ცაღაირაგ, როდესაც ის მიწაზე მიმაგრებული და საკუთარ მეურნეობას გაიჩენდა, ხდებოდა ქოსაგი. ლიტერატურაში მოხსენიებულია კიდევ ორი ფენა — ხეხესები და ადამიხატები[34], მაგრამ, მთხრობელთა გადმოცემით, ადამიხატი არის არა სო-

---

[32] А. Робакидзе, Г. Гегечкори, Формы жилища и структура поселения горной Осетии, Кавказский этнографический сборник, V, I, Тб., 1975, გვ. 69.

[33] А. Магометов, Общественный строй и быт осетин... გვ. 88.

[34] Б. Калоев, Осетины... გვ. 169; А. Магометов, Культура и быт осетинского народа... გვ. 404.

ციალური ფენა, არამედ ხალხის აღმნიშვნელი ტერმინი. ყველა დიგორელი იყო ადამიხატი.

საკმარისია ნახო ს. მახჩესკში ბადელიატების — აბესალოვების თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსი, რომ დარწმუნდე მათ ძლიერებაში. ეს კომპლექსი სოფლის ძირითადი დასახლებიდანაც განცალკევებულია, გაშლილია ბორცვზე და ზემოდან დაჰყურებს სოფელს, მთელ ხეობას, კონტროლს უწევს მის ყოველ პუნქტს. აბესალოვების ხელში იყო მოქცეული სასოფლო-სამეურნეო ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი და ექსპლუატაციას უწევდნენ სოფლის მოსახლეობას. საშიშროების შემთხვევაში აბესალოვების კოშკზე დანთებული ცეცხლი ნიშანს გადასცემდა დონიფარსში კანუკოვების კოშკს და აკაცში ტუგანოვების კოშკს, ეს უკანასკნელი — ფასნალში ქუბატოვების კოშკს და ა. შ. საყურადღებოა, რომ კანუკოვები ბადელიატები არ ყოფილან, მაგრამ ბადელიატებს ტოლს არ უდებდნენ, არ ემორჩილებოდნენ მათ.

მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა ნათლად მიუთითებს დიგორში ფეოდალური იერარქიის შორსწასულ პროცესზე. ეს ვისახება სოციალურ ტერმინოლოგიაში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში, საცხოვრებელ და თავდაცვით ნაგებობათა კომპლექსებში. მაგრამ განვითარების რა დონეს მიაღწია აქ საზოგადოებრივმა ურთიერთობამ? ამ საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, ჩვენც ვისარგებლებთ ამით და მივუთითებთ ერთ-ერთ მათგანზე, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლთა სოციალური ბუნების შესწავლასთან დაკავშირებით ალ. რობაქიძე ასკვნის, რომ აღნიშნული მატერიალური კულტურის ძეგლთა ფორმირების პროცესში **«был достигнут определенный уровень развития феодальных отношений, но он колебался в пределах ранних (Куртата) и недоразвитых (Дигора) форм в условиях активного бытования военно-аристократического уклада»**[35].

— აღსანიშნავია, რომ საზოგადოების განვითარების დონე და თავისებურებები აისახება ტოპონიმიკაშიც. როგორც დავინახეთ, ივრის ხეობის სათავეებში დამოწმებულია ტოპონიმები: სოფელი სოფლიონი, სოფლიონის მთა და სოფლიონის ხევი. გიორგი ბრწყინვალის სამართლის მიხედვით, მთიულეთში სოფლიონი საზოგადოების დაბალი ფენებია[36]. როგორც ჩანს, ესაა საზოგადოების ძირითადი მასა, მდაბიონი, თავისუფალი მეთემეები, რომელთა შორისაც თემის ერთობლიობის და სოციალური უთანასწორობის პროცესი, „ძეგლის დების“ პერიოდისათვის, საკმაოდ შორს იყო წასული. სწორედ აქ შექმნილმა მდგომარეობამ დააყენა დღის წესრიგში აღნიშნული ძეგლის შექმნის აუცილებლობის საკითხი. ადგილობრივი მოხელეები ცდილობდნენ ძალით დაემკვიდრებინათ მთიულეთში ფეოდალური წესები, მთის მოსახლეობა კი ყოველნაირად ცდილობდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას[37]. ამდენად, მითითებულია სპეციალურ გამოკვლევაში, „ძეგლის დება“ შედგენილი იყო მხოლოდ მთიულეთისათვის, სადაც თემური წყობილების ნიშნები და ჩვევები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შემორჩა და არ გამოდგებოდა საქართველოს სოციალურად და კულტურულად დაწინაურებული სხვა კუთხეებისათვის[38]. ეს ლოკალური თავისებურებანი ერთსა და იმავე ისტორიულ-ეთნოგრა-

---

[35] А. Робакидзе, Г. Гегечкори, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[36] ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 85.

[37] იქვე, გვ. 15.

[38] იქვე, გვ. 22.

ფიულ რეგიონში დიდხანს განაგრძობენ არსებობას. ასე მაგ., შემდგომშიც, XVIII ს. მეორე ნახევარში, საკანონმდებლო ძეგლები ცალ-ცალკე იქმნება არაგვის ხეობის მთისა და ბარის ნაწილებისათვის — „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“, სადაც ასახულია ის თავისებურებები საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაში, რაც ახასიათებდა მთასა და ბარს. ამჯერადაც მისი ძირითადი მიზანი იყო არაგვის ხეობის მთიანეთში თემური წყობილების ძლიერი გადმონაშთების დაძლევა და ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება. ამის გამო მისთვის დაწერილი კანონები არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო ბარზე და პირიქით, ბარის კანონებს ეწოქმედა მთაში.

სოციალური ტერმინის — სოფლიონისა და მასთან დაკავშირებული ტოპონიმის სწორად გაგებისათვის მნიშვნელობა აქვს მის ადგილს ამავე რიგის სხვა სოციალურ ტერმინთა შორის. იმავე გიორგი ბრწყინვალის სამართლის ერთერთ მუხლში სოფლიონი მოხსენიებულია ჰ ე რ ო ვ ა ნ ი ს შემდეგ[40]. ჰეროვანის სისხლიც სოლიდურადაა შეფასებული[41], მაგრამ მიუხედავად ამისა, ის არ არის მიკუთვნებული „ცალკე იურიდიულ წყობათა რიგს“. ჰეროვანნი იყვნენ მხოლოდ მდაბიო ხალხისაგან, სოფლიონისაგან გამორჩეული პირები, სოფლის ან თემის თავკაცები[42]. მაგრამ ვინ იყვნენ სოფლიონი, ან საერთოდ, მისი სახით რა საზოგადოებრივ ფენასთან გვაქვს საქმე ივრის ხეობის სათავეებში? ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ლეონტი მროველის ცნობა თუ როგორ გაემართა წმინდა ნინო ქართველ მთიელთა გასაქრისტიანებლად. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ „ერწო-თიანელთა... შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს“[43]. იგივე ადგილი ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან, სადაც ნათქვამია, რომ წმინდა ნინო „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედემს და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. ხოლო ყუარელთა რაჲ ესმა ესე შეშინდეს და თოშეთს გადაკრბეს“[44].

მოყვანილი ისტორიული წყაროების მიხედვით, იხაზება ერწო-თიანეთის მოსახლეობაც, გარკვეული ეთნოგრაფიული ერთეული ე რ წ ო-თ ი ა ნ ე ლ თ ა სახით. შეიძლება ამ ერთეულში ცალკეული ჯგუფების გამოყოფაც, ესენია ე რ წ ო ე ლ ნ ი (ქვედა ზოლში) და ყ ვ ა რ ე ლ ნ ი (ზედა ზოლში). ერწოელნი ანუ საერთოდ, ერწო-თიანელნი და ყვარელნი (ვფიქრობთ, ესეც ერწო-თიანელთა შემადგენელი ნაწილი იყო) იდეოლოგიურადაც არ იყვნენ ერთნაირი შეხედულების, თანაბრად ვერ აფასებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს. თუ პირველებმა მოწოდებისთანავე ნათელიღეს და ეზიარნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მეორენი შეშფოთებულნი ტოვებენ თავიანთ საცხოვრისს და თუშეთში იხევწებიან. საინტერესოა, შეიძლება თუ არა ზემოთ მოყვანილი ცნობებით ყვარელთა და ფხოველთა გაიგივება? ამაზე ეთნოგრაფიული მასალით გაგვიჭირდება პასუხის გაცემა. მაგრამ რომც არ გავაიგივოთ, მათი სოციალური წყობა ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული არ უნდა ყოფი-

---

[39] ი. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 37, 48; რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 21.

[40] ი. დ ო ლ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[41] ი ქ ვ ე, გვ. 81, 85, 108, 109, 115.

[42] ი ქ ვ ე, გვ. 85.

[43] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 126.

[44] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1951, გვ. 233.

ლიყო. ცხადია, თუ ქრისტიანობა, ფეოდალური კლასის ეს ახალი იდეოლოგია, ადვილად იკაფავდა გზას ერწო-თიანეთში, ივრის ხეობის სათავეებში და სხვა მთიელებში ის დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა.

რაც შეეხება ყვარას, დღეს ის ერთ-ერთი გეოგრაფიული პუნქტია ივრის ხეობის სათავეებში და ერთი სოფლით შემოიფარგლება, ამჟამად მიტოვებულია და ნანგრევებადაა ქცეული. ყვარაში შეიძლება ვიგულისხმოთ არა ერთი სოფელი, არამედ ყვარას თემიც და ყვარელნი მივიჩნიოთ მთელი ივრის ხეობის სათავეების მოსახლეობად. საკითხი ასედაცაა დასმული სპეციალურ ლიტერატურაში[45], მაგრამ ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა და აგვაცდენდა ჩვენს ძირითად მიმართულებას. ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ყოველგვარი ვარაუდის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ყვარა იყო ერთი სოფელი, ხოლო მის მოსახლეობას შეადგენდნენ ყვარელნი. ახლა გადავხედოთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების რა დონეზე იდგნენ ყვარელნი. ცხადია, თუ ისინი გაურბიან ქრისტიანობის გავრცელებას, ე. ი. ფეოდალიზმის შემოჭრას, იყვნენ თავისუფალი მეთემეები, ფეოდალური იერარქიის უმდაბლეს საფეხურზე მდგომი საზოგადოება, რომელიც სამართლის ძეგლებში სოფლიონის სახელითაა ცნობილი. ამას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სოფლიონი, როგორც მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორია, ცხოვრობდნენ არა მარტო მთიულეთში, რომლისთვისაც შეიქმნა „ძეგლის დება“, არამედ, მათი გავრცელების არეალი უფრო ფართო იყო, მოიცავდა საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებს და კერძოდ, ივრის ხეობის სათავეებს.

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ ივრის ხეობის სათავეებში დამოწმებული ტოპონიმი ს ო ფ ლ ი ო ნ ი, რაც ერთი სოფლის ფარგლებით, მისი მთითა და ხევითაა შემოსაზღვრული, უნდა იყოს ამ კუთხის ძველი მოსახლეობის სოციალური დონის ამსახველი.

დავუბრუნდეთ კვლავ თაღლაურის ციხეს. როგორც აღვნიშნეთ, ეს ციხე დგას ზემო არტანში, სოფლის თავში, სოფელში გამავალი მთავარი გზის სიახლოვეს და შემთხვევითიც არაა, რომ გაბუდაყებულმა თაღლაურმა სწორედ ამ გზას დაადო ხელი. თიანეთიდან ივრის ხეობის სათავეების სოფლებში, ან ზემოთ ნაჩვენები კომუნიკაციებით ფშავში თუ ალაზნის ხეობაში მიმავალი ამ გზას ვერ ასცდებოდა. ერთ-ერთი გზა კი სწორედ სოფლიონის მთას გადაივლიდა და ფშავისკენ მიემართებოდა. ამდენად, თაღლაური კვეთდა მთავარ არტერიას, აკონტროლებდა გზას, რომელიც თიანეთს აკავშირებდა მთასთან. თიანეთი კი როგორც ვიცით, მთიელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პუნქტს წარმოადგენდა — იგი ძველთაგანვე მათი საეჭრო ადგილი იყო, ხოლო საერთოდ — ერთ-ერთი მთაბარული სამეურნეო-კულტურული კომპლექსის მარეგულირებელი ცენტრი. მართალია, თაღლაურის ციხე გვიანფეოდალური ხანის ძეგლია და მისი პატრონის გაბუდაყება ქრონოლოგიურად დიდადაა დაშორებული იმ საზოგადოებას, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ ყვარელში (თუმცა ისიცაა ხაზგასასმელი, რომ სოციალურ ურთიერთობათა განვითარების დონით, სოფლიონი იყო ამ კუთხის შემდგომი დროის მოსახლეობაც), მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს არა ამ ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პროცესი, რომელიც ერთი ხა-

[45] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 183.

ზით მიემართებოდა, სოფლის თემის დაშლისა და ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პრინციპებს ემყარებოდა.

ამგვარად, მთამ, მიუხედავად ბართან მჭიდრო სოციალური და ეკონომიკური კავშირისა, მისი ისტორიის მთელ მანძილზე, მაინც შეინარჩუნა თავისებურება როგორც სოციალურ ურთიერთობათა განვითარების სფეროში, ისე სამეურნეო ყოფაში, რაც მესაქონლეობის წამყვან მნიშვნელობაში გამოიხატა. ეს თავისებურებები კარგად იჩენს თავს ივრის ხეობაში, თუ მის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, მთისა და ბარის სამეურნეო ურთიერთობის საკითხებს განვიხილავთ ვერტიკალური ზონალობის ჭრილში.

Б. В. ГАМКРЕЛИДЗЕ

К ВОПРОСУ О ТОПОНИМЕ «СОПЛИОНИ» В СВЕТЕ ЭТНОГРАФИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ

Резюме

Территория Эрцо-Тианети издревле представляла собой важный уголок восточной Грузии как в политическом, так и в хозяйственном отношениях. Иорское ущелье, где расположена эта территория, можно считать одним из горно-равнинных культурно-хозяйственных комплексов, где на протяжении веков складывались высокоразвитые формы хозяйства. Этнографический материал Эрцо-Тианети является ярким примером слияния хозяйственных отраслей гор и равнин, подтверждением той мысли, что в горах невозможно разведение скотоводства в больших масштабах, если оно не имеет прочной связи с равнинными районами, несмотря на то, что в горной полосе Грузии и северного Кавказа эта отрасль хозяйства была ведущей, высокоразвитой и традиционной.

Однако вышесказанное не означает, что общества, проживающие в горных и равнинных частях, стояли на одном уровне социального развития. Население горной части до недавнего времени сохранило своеобразные черты как в хозяйственном быту, так и в социальном отношении. Эти своеобразные черты выявлены и на территории Иорского ущелья. На территории Эрцо-Тианети, где мы имеем вполне сформированную феодальную формацию, можно выделить верховья названного ущелья, которые сохранили пережиточную форму первобытнообщинного строя; в этой зоне не мог возникнуть феодализм, хотя развитие общества шло по этому пути. Специфика экономической жизни общества в верховьях Иорского ущелья, как и в других районах горной полосы Грузии и северного Кавказа, не создавала условий для прибавочного производства продукции и углубления форм эксплуатации, т. е. для развития феодальных отношений в совершенном виде.

В верховьях Иорского ущелья нам удалось зафиксировать топоним Соплиони, который в памятниках грузинского права обозначает общество, стоящее на низшей ступени феодальной иерархии. Они были общинниками, в рядах которых происходило выделение привилегированных слоев населения, т. е. социальное развитие общества стояло на пути развития феодальных отношений. Можно считать, что топоним Соплиони в верховьях Иорского ущелья указывает на определенный уровень развития древнего населения этого уголка.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ

Г. А. ЧАЧАШВИЛИ

О ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ ПРЯДИЛЬНОЙ ТЕХНИКЕ

Изучение грузинской народной прядильной техники позволило установить, что в ряде районов горной Грузии для изготовления пряжи до последнего времени использовались два деривационных элемента культуры текстильного производства древней Грузии — веретено с подставкой и колесная прялка. Эти самобытные орудия труда являются звеном, связывающим народную прядильную технику с культурой текстильного производства древней Грузии, славившейся своими экспортными льняными изделиями еще в античном мире. Не случайно, что грузинской народной прядильной технике, характеризующейся множеством сложных трудовых навыков, обучались крестьянские девушки в семье с малых лет. Поэтому у них с самого детства вырабатывалась соответствующая сноровка в обращении с веретеном. В связи с этим представляют определенный интерес слова иностранного предпринимателя Маренаса, обращенные к графу Паскевичу (1830 г.): «По моему мнению, природные (т. е. кавказские — Г. Ч.) жители обучаются хорошо прясть в короткое время, тогда как потребно несколько лет в Европе, чтобы получить хорошую прядильщицу. Я видел в Нухе прекрасный шелк, пряденный армянами и мусульманами, которые в обучении были еще не более одного месяца. Грузины обучаются с подобной же легкостью»[1].

Как известно, в истории текстильного производства производительность труда прядильщиц всегда характеризовалась более низкими показателями, чем ткачей. По словам акад. С. Г. Струмилина в Англии до изобретения автоматического челнока (1732 г.) эта диспропорция была настолько велика, что одну ткачиху обслуживали 5—6 прядильщиц, работающих на самопрялках[2]. Разумеется, показатели производительности прядения на веретенах в домашнем производстве были еще ниже, чем и объясняется сохранение в быту грузин-горцев различных форм трудовой взаимопомощи при изготовлении пряжи длинными зимними вечерами.

В прядильной технике населения горной Грузии особое место занимало маленькое деревянное веретено под названием «картули титистари» (букв. грузинское веретено). В прошлом оно имело широкое распространение по всей Грузии и в зависимости от текстильных свойств волокна и характера изготовляемой ткани применялось как в сочетании с пряслицем, так и без него.

Небольшое легкое пряслице надевалось на нижнюю часть веретена при изготовлении низких номеров пряжи, в то время как при прядении высоких номеров пряслице не применяли. Чем ровнее и тоньше была пряжа, тем тоньше и глаже была ткань. Поэтому процессу прядения уделяли особое внимание при изготовлении как низких, так и вы-

---

[1] Акты, собранные Кавказской археологической комиссией (АКАК), т. VIII, стр. 207.

[2] С. Г. Струмилин, Царская мануфактура XVIII в. Крепостная мануфактура в России, ч. III, Ленинград, 1932, стр. 24.

соких номеров ткани. В обоих случаях применяли специальную деревянную подставку, на которую опиралось веретено нижним концом при вращении, в то время как верхний его конец висел на вытянутой нити. С помощью этого оригинального приспособления, служившего для отяжелевшего от намотанной пряжи веретена своеобразной точкой опоры, не только предохраняли нитку от частого обрыва, но и обеспечивали получение тонкой и ровной пряжи. Примечательно, что в странах Древнего Востока, славившихся ткацким производством (например, в Индии), с помощью аналогичных подставок получали очень высокие (150—400) номера пряжи для изготовления тончайших сортов хлопчатобумажной ткани.

В народной прядильной технике применяли оба известных способа изготовления нити — как левую, так и правую крутку. При ссучивании этих нитей в одну нить получалась ровная и прочная крученая пряжа, необходимая для основы. Различным сочетанием крученой пряжи и нитей левой и правой крутки в раппорте ткани обеспечивали разнообразие ее фактуры. Способ изготовления пряжи обусловливался прежде всего характером изготовляемой ткани, а качество самой пряжи — трудовыми навыками и соответствующими орудиями труда (веретено, пряслице, подставка, прялка и т.д.).

Веретена с пряслицем и подставкой известны в Грузии под разными наименованиями — «тар-квиристави» (Имерети), «чериа» (Мегрелия), «хелтари» (Аджария), «патара титистари» (Рача), «черичершда» (Сванети), «картули титистари» (Мтиулети) и т. д. В отличие от этих маленьких веретен, применявшихся для прядения нити, большие веретена с пряслицем вверху, но без подставки, предназначенные для изготовления крученой пряжи, назывались «грдзели тари» (букв. длинное веретено). В отдельных районах Грузии это же веретено применяли для прядения полугрубой шерсти, а также конопли, льна и т. д. Аналогичные большие веретена с различными крупными пряслицами имели большое распространение у многих народов Кавказа.

Особо следует отметить сванский способ изготовления сученой пряжи с большой высоты, при котором вращающееся веретено опускалось с крыши дома до земли. Аналогичный «высотный» способ кручения пряжи известен и у других народов Кавказа, в частности, у дагестанцев — богато орнаментированные высокие деревянные прядильные станки, которые в специальной литературе связываются с соответствующими изображениями древних албанских рельефов[3] и, видимо, относятся к общему фонду древней прядильной техники кавказских народов. В связи с этим представляет большой интерес и другое техническое изобретение древности — колесная прялка, применяемая для изготовления крученой пряжи и приводимая в движение вручную, либо с помощью водяной энергии.

Хотя колесные прялки в этнографической действительности Грузии и представлены во множестве форм, фактически все они однотипны и, несмотря на размеры, состоят из одних и тех же компонентов — деревянной подставки, колеса, привода (ремня) и рабочей части — горизонтально расположенного большого веретена. Величина колеса и скорость его вращения обусловливали интенсивность вращательного движения веретена в зависимости от характера изготовляемой пряжи. Таким образом, колесо прялки выполняло ту же функцию, что и

[3] Е. М. Шиллинг, Кубачинцы и их культура, М.-Л., 1949, стр. 31, рис. II. Ср. И. А. Орбели, Албанские рельефы и бронзовые котлы, сб. Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1939, стр. 301—326.

пряслице — регулировало число оборотов веретена. Это хорошо иллюстрируется на примере сванских веретен, для которых размер диаметра пряслиц увеличивается, либо уменьшается в зависимости от стадии изготовления пряжи; диаметр пряслиц сванских веретен, предназначенных для прядения нити, ссучивания пряжи и наматывания готового утка составляет соответственно 4, 8 и 16 см при длине веретен 28, 42 и 43 см. Возможно, этим объясняется столь большое разнообразие форм и размеров глиняных, каменных и костяных раскопочных пряслиц на территории древней Грузии, наблюдаемое еще с эпохи энеолита. В отличие от указанных пряслиц, ранний грузинский раскопочный материал по вполне понятным причинам почти не содержит остатков деревянных пряслиц и веретен. Исключение составляет пока что единственное раскопочное деревянное веретено с двумя пряслицами из знаменитого текстильного инвентаря Бедени, датируемое Г. Ф. Гобеджишвили эпохой ранней бронзы. Инженеры-текстильщики обратили внимание на то, что веретено из Бедени не только обнаруживает поразительное внешнее сходство с указанным грузинским веретеном с подставкой, бытовавшим у грузин-горцев, но и обладает теми же техническими качествами, что и последнее. Беденское веретено во всех точках своей оси обладает постоянным диаметром, что является необходимым условием для равномерного вращения. Ту же цель преследовали грузины-горцы при ручном изготовлении маленького веретена, главным качеством которого считалось его равномерное вращение вокруг своей оси.

Таким образом, первым материальным признаком изобретения веретена на территории древней Грузии следует считать появление в памятниках раннеземледельческой культуры первых пряслиц, получивших, по имеющимся материалам, широкое распространение с эпохи энеолита. Характерно, что прототип бытовавшего в горной Грузии маленького веретена появляется уже в грузинских раскопочных материалах эпохи ранней бронзы.

Учитывая все это, а также результаты лабораторного анализа большого количества найденных остатков ткани, в том числе и великолепных тексильных фрагментов из того же Бедени[4], можно предположить, что грузинские племена той эпохи достигли большого успеха в технике прядения и ткачества и для изготовления тонкой и ровной пряжи применяли веретено с подставкой. О том, какого высокого уровня достигла прядильная техника древней Грузии в ту эпоху, красноречиво говорят результаты сравнительного изучения текстуры раскопочной ткани и отпечатков текстильной керамики. Если в III тысячелетии до н. э. на фрагментах керамической посуды встречаются отпечатки низких номеров пряжи, наименьший из которых равен 6, то со II тысячелетия до н. э. в текстуре раскопочной ткани наблюдается тенденция к резкому повышению номера пряжи, достигающего в льняных изделиях 60. Те же данные свидетельствуют о применении в ткачестве крученой пряжи довольно высоких номеров, изготовляемых, видимо, на длинных веретенах с крупными пряслицами, но без подставки.

Однако вряд ли можно поддержать существующую гипотезу о наличии в Грузии той эпохи уже колесной прялки, в особенности до отделения текстильного ремесла от земледелия, хотя предпосылка к ее изобретению в виде веретена с подставкой давно была налицо. Специалисты по истории текстильной техники считают, что секрет изготовле-

[4] К. Исакадзе, Текстильное дело в Грузии, Тбилиси, 1970, стр. 126.

ния тончайших сортов пряжи в Индии заключался в применении маленького веретена с медным прялицем внизу и кокосовой подставкой[5]. Именно с этим веретеном с подставкой связывается изобретение самой механической прялки, первоначальной родиной которой считают Азию, в частности, Индию. Наряду с Индией, ручная прялка с древнейших времен была известна также в Китае и Японии. В античную эпоху, начиная с III в. до н. э., прялка получает широкое распространение в странах Европы, однако впоследствии здесь она предается забвению и вновь появляется с XIII—XIV вв. в процессе подъема текстильного производства в Европе и развития торговли со странами Востока.

В заключение следует отметить, что наличие в энтографической действительности Грузии таких двух самобытных элементов культуры текстильного производства древности, как маленькое веретено с подставкой и колесная прялка приобретает особое значение в свете изложенной концепции о происхождении последней от веретена с опорой. По всей вероятности, при наличии богатых ресурсов высококачественного текстильного сырья переход от ручного веретена с подставкой к механической прялке имел место в древней Грузии в первой половине первого тысячелетия до н. э. в процессе отделения ремесла от земледелия. Это техническое нововведение в прядильной технике, наряду с применением горизонтального ткацкого станка с ножным зевообразовательным механизмом и товарным навоем, резко подняло производительность труда в прядении и ткачестве и во многом способствовало расцвету общей культуры текстильного производства колхов в античную эпоху.

[5] Е. А. Цейтлин, Технический переворот в льнопрядении, М–Л., 1936, стр. 8.

Представил академик Академии наук Грузинской ССР
Г. С. Читая

ჟან-ლუი ბაკე-გრამონი

ოსმალები და საქართველო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში*

1469 წლიდან, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლასთან ერთად, იწყება ძნელბედობის პერიოდი; ჩვენამდე მოღწეულ ქართულ და სომხურ ქრონიკებთან ერთად[1] აღმოსავლური წყაროებიც ასახავენ იმდროინდელ მოვლენებს. თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებს ეს კარგად ესმით და ამიტომ სულ უფრო ხშირად მიმართავენ სეფიანთა ხანის სპარსულ წყაროებს, რათა ქრონოლოგიური სიზუსტით შეისწავლონ ეს ხანა[2]. მაგრამ თვით ხონდემირის, ჰასან რუმლუსა და ისქანდერ მუნშის ცნობები ფრაგმენტულია და ძუნწი, როცა საქმე ეხება ისტორიულ მოვლენათა თარიღებს. უფრო მეტიც, შაჰ-ისმაილ I-ის ზეობის უკანასკნელი 10 წელი, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, გადმოცემულია თავისუფალი თხრობით, მრავალი ფაქტის გამოტოვებით და იქმნება შთაბეჭდილება, რომ წყაროებში ფაქტები სახეშეცვლილადაა წარმოდგენილი.

ასევე ნაკლებადაა შესწავლილი ამ პერიოდის შესახებ არსებული ოსმალური წყაროები: მართალია, იქ შედარებით მცირე ადგილი ეთმობა საქართველოს ისტორიის საკითხებს, მაგრამ ეს მასალები მაინც საყურადღებოა ჩვენთვის. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, ეპისტოლური კრებულებიდან ამოღებული წერილები, მეორე მხრივ, მასალები, რომლებიც 1973 წელს გამოვლინდა თოფკაფის სასახლისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივებში. ამჟამად ეს მასალები მომზადებულია და ზოგიერთი დაიბეჭდა კიდეც. წინამდებარე წერილში კი შემოვიფარგლებით ზოგადი მიმოხილვით, აღვნიშნავთ მათ მნიშვნელობას იმ ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით, რომლებთანაც ეს დოკუმენტები უშუალოდაა დაკავშირებული.

*

* *

იაყუბ აყ-ყოიუნლუმ (1478—1490), მამამისის — უზუნ ჰასანის მაგალითისამებრ, ორჯერ იღამქრა ქართლსა და საათაბაგოში[3]. იმავე პერიოდში ახალ-

* ჟან-ლუი ბაკე-გრამონმა (ფრანგი ისტორიკოსი-თურქოლოგი) ეს ნაშრომი მოხსენების სახით წაიკითხა აღმოსავლეთმცოდნეთა XXX საერთაშორისო კონგრესზე ქ. მეხიკოში 1976 წელს (თარგმნილია ფრანგულიდან). სამწუხაროდ, ავტორი სრულებით არ იცნობს და არ ითვალისწინებს ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებს (რედ.).

[1] M. F. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'Antquité jusqu'au XIX siècle, traduit du géorgien, 5 vol., SPb., 1849—1858; მისივე, Collection d'historiens armeniens, 2 vol., SPb., 1874—1876.

[2] მაგალითად, ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966; აგრეთვე, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969.

[3] V. Minorsky, Persia in A. D. 1478—1490. An abridged translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarikh-i Alam-Ara-yi Amini, London, 1957, გვ. 50—53, 88—91, 120—121; A. Manvelichvili, Histoire de la Géorgie, Paris, 1951, გვ. 265—266.

გაზრდა უფლისწული სელიმი, ბაიაზეთ II-ის ძე, ტრაპიზონის ოსმალო გამგებელი, სალაშქროდ იწვევდა სამეგრელოსკენ, იმერეთისა და, აგრეთვე, საათაბაგოსკენ. ამ ლაშქრობებმა განაპირობეს იაყუბისა და სელიმის მიმოწერა სპარსულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთ წერილებში არ ეხებიან ამ ლაშქრობებს, ეს დოკუმენტები დასტურია იმ კარგი ურთიერთობისა, რომელიც იაყუბის სიცოცხლეში დამყარდა ოსმალეთის სახელმწიფო კარსა და თეთრბატკნიანებს შორის. ეს დაუთარიღებელი ოთხი წერილი[4] და აგრეთვე უფლისწულ სელიმის ცხოვრების ამსახველი სპარსული დოკუმენტები[5], ინგლისური თარგმანითა და შენიშვნებით გამოვაქვეყნეთ[6].

სამეგრელოსა და იმერეთისაგან განსხვავებით, რომელთაც სელიმი ებრძოდა ტრაპიზონიდან წასვლამდე, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგებთან, სახელდობრ, ქაიხოსრო ათაბაგთან (1498—1500) იგი მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა[7]. ჩვენ ვუშვებთ, რომ ათაბაგები იყვნენ ოსმალეთის სახელმწიფოს მოხარკენი; უფრო მეტიც, მის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ კიდეც. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მზეჭაბუკი, სელიმის მხარდაჭერით, აფართოებს თავის სამფლობელოს ტრაპიზონის ვილაიეთის მახლობლად მდებარე, გურიელისაგან მიტაცებული ჭანეთისა და აჭარის ხარჯზე[8]; იმავე დროს მზეჭაბუკი მარჯვედ იყენებს აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოში შექმნილ მძიმე მდგომარეობასა და არეულობას და იკავებს არტაანს, კოლას (პატარა არტაანი), ოლთისს, თორთუმსა და ისპირს[9]. სუსტ პოლიტიკოსს, მაგრამ ძლიერ ხელისუფალს თავის სამფლობელოში, მზეჭაბუკს, ჩანს, შეძლებია დაემყარებინა კარგი მეზობლური ურთიერთობა როგორც შაჰ-ისმაილთან, ასევე სელიმთან, ამ უკანასკნელის ტახტზე ასვლამდე და შემდგომაც[10]. ოსმალთა მხარდაჭერას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ქართლისა და იმერეთის მეფეები ცდილობდნენ საათაბაგოს ხელში ჩაგდებას.

---

[4] ზუსტად არ ვიცით როდის დაიბადა სელიმ I, 1466/7 (871) თუ 1470/I (875) წელს (S. Altunda ğ, Selim, I, Islâm Ansiklopedisi, fasc. 105, Istanbul, 1965, გვ. 423). სელიმი ტრაპიზონის გამგებელი გახდა ზოგიერთის აზრით, 1482 (887) წელს, მკვლევრების ნაწილი კი ვარაუდობს 1487 (892) წელს. (Çağatay Uluçay, Yavuz Sultan Selim nasil padisah oldu? Istanbul Universitesi Edebiyat Fakultesi Tarih Dergisi, IV/9, 1954, გვ. 74). ამ ოთხი წერილის შესწავლა საშუალებას მოგვცემს შედარებით ზუსტად დავადგინოთ თარიღები და განვსაზღვროთ იაყუბის ლაშქრობათა ქრონოლოგია.

საქართველოში იაყუბის შემოსევების ქრონოლოგიის შესახებ დაწვრილებით იხ. რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1964, გვ. 123—129 (რედ.).

[5] იაყუბის მიერ სელიმისათვის გაგზავნილი ორი წერილი, აგრეთვე ამ უკანასკნელის პასუხები მოყვანილია ჰეიდარ ჩელების ნაშრომში (Haydar Çelebî იხ. Ferîdûm Bey, Münşe'atü sselâtîn, I, Istanbul, 1277 (1858), გვ. 368—373, აგრეთვე თოფკაფის სასახლის მუზეუმის ბიბლიოთეკა, დოკუმენტი IV, 1955, ფ. 1—4 და № 1958, ფ. 93—94).

[6] Turcica, IX, 1977.

[7] M. F. Brosset, დასახ. ნაშრომი, ტ. II/I, გვ. 213.

[8] A. Manvelichvili, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.

[9] M. F. Kirzioğlu, Kars tarihi, 1, Istanbul, 1953, გვ. 507.

[10] მზეჭაბუკი სურსათით ამარაგებდა ოსმალთა ლაშქარს ჩალდირანის ლაშქრობის დასაწყისსა და ბოლოს. Haydar Çelebî, დასახ. ნაშრომი, გვ. 461 და 463. თავისი ერთგულების დასამტკიცებლად მან სელიმს შესთავაზა ისპირი.

/ თოფკაფის არქივმა შემოგვინახა სამი წერილი სპარსულ ენაზე, რომელთაც მზეჭაბუკი უგზავნის სელიმს. პირველ წერილში (E. 8309) მოხსენიებულია ვინმე იარალი-ბეგი, რომელიც შეუცვლია მანთაშ-ბეგს, ვითარცა ჰუთის (Hût) ციხესიმაგრის გამგებელს (ჩვენ ვერ შევძელით ამ ადგილის იდენტიფიკაცია და ვერც არსებულ ქრონიკებში მოვიძიეთ მსგავსი სახელი).

მეორე წერილი (E. 5846), რომელშიც აღწერილია შაჰ-ისმაილის მიერ ხორასანის აღება, შეიძლება დავათარიღოთ 1513 წლით. აქ საუბარია იმაზე, რომ თითქოსდა საათაბაგოს დიდი საფრთხე შეექმნა სეფიანთა მოსალოდნელი თავდასხმის გამო. სინამდვილეში კი ეს ჭორი გაავრცელა ჩუხურ-საადის (ერევნის ოლქის) გამგებელმა მზეჭაბუკის დაბნევის მიზნით, რათა იგი მოულოდნელად თავს არ დასხმოდა მას. უფრო მეტიც, სეფიანებმა თითქოს კიდევაც აიძულეს მზეჭაბუკი დაეთმო ისპირი.

/ მესამე წერილი (E. 8350) შეიძლება დავათარიღოთ 1515 წლის აგვისტო-სექტემბრით. იგი ასახავს იმ შეშფოთებას სეფიანთა კარზე, რომელიც გამოწვეული იყო ოსმალთა ლაშქრის თავმოყრით მათ საზღვართან. ჩვენი ვარაუდით, ამ დროს ანატოლიაში შეიკრიბა ჯარი დიდი ვეზირის სინან-ფაშას სარდლობით. ჩატარდა სამხედრო სამზადისი საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ თვით ეს ლაშქრობა კი ბოლოსდაბოლოს არ შედგა[11]. იმავე წელს ასეთივე ვითარება შეიქმნა ქერმანსა და ზულყადრიეში. სამივე წერილი უკვე გამოქვეყნდა[12]. /

მზეჭაბუკის მტკიცე პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ საათაბაგომ შეძლო თავი დაეღწია კონფლიქტისათვის, რომელიც დაიწყო 1514 წელს შაჰსა და სულთანს შორის. დაახლოებით 1515 წლის[13] შემოდგომაზე, ათაბაგის გადადგომამ სრულიად შეცვალა სიტუაცია. ტახტისათვის ბრძოლაში ყვარყვარე III (1515—1535) ქაიხოსრო I-ის ძეს დაუპირისპირდა ბიძამისი მანუჩარი (მზეჭაბუკის ძმა). ჰეიდარ ჩელებისა და ჰასან რუმლუს ქრონიკები მიგვაჩნია ძირითად წყაროდ, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს შემდგომი ვითარების შესახებ[14].

პირველ ხანებში მანუჩარმა შეძლო გაეძევებინა თავისი ძმისწული და გამხდარიყო მზეჭაბუკის სამფლობელოს სრული ბატონ-პატრონი. მაგრამ ყვარყვარემ არ დააყოვნა თავრიზს წასვლა, სადაც ზამთრობდა შაჰ-ისმაილი და გამოუცხადა მას მორჩილება, რათა სეფიანთა დახმარებით დაებრუნებინა თავისი სამფლობელო. შაჰმა კი ისარგებლა მომენტით, რათა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მანამდე ოსმალთა ხელთ მყოფი ტერიტორია და საქართველოში გაგზავნა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჩუხურ-საადის გამგებლის დივ-სულთან რუმლუს სარდლობით.

1516 წლის დამდეგს ყიზილბაშთა შეტევამ ყვარყვარეს საშუალება მისცა დაეკავებინა საათაბაგოს უდიდესი ნაწილი. მანუჩარმა კი თავი შეაფარა ბაიბურთს და სელიმს გაუგზავნა ელჩი დახმარების სათხოვნელად. მიუხედავად

---

[11] თოფკაფის არქივი, დოკუმენტი E. 8277.

[12] Jean-Louis Bacqué-Gramont et Chahryar Adle, Etudes turco-sefevides, V. Notes et documents sur Mzé Çabûk, atabag du Samtzkhe (1500—1515) et les Safavides, Le Monde Iranien et Islam, V, 1977.

[13] 1515 წლის 18 დეკემბერს (921 ჯ. 12 ზილკადა), ჰეიდარ ჩელები (დასახ. ნაშრომი, გვ. 473), ლაპარაკობს კრიზისზე, რომელიც მოჰყვა ათაბაგის ტახტისათვის ბრძოლას.

[14] Hasan-e Rumlu, A Chronicle of The Early Safawis being the Ahsanu't-tawarikh ed. C. N. Seddon, I, Baroda, 1931, გვ. 162—165.

იმისა, რომ სულთანი ეგვიპტეში სალაშქროდ ემზადებოდა, მან რუმის ჯარების ნაწილი მაინც გაგზავნა ბაიბურთის საზღვრების გასამაგრებლად (და არა მანუჩარის თხოვნის დასაკმაყოფილებლად). ბოლოს, 1516 წლის 23 ნოემბერს (922 წ. 26 შავვალი) იგი ჩავიდა დამასკოში და პირადად ეახლა სელიმს ბანაკში. დეკემბრის შუა რიცხვებში სულთანმა მანუჩარს უბოძა ფირმანი საათაბაგოს გამგებლად დანიშვნის შესახებ და გაგზავნა იგი ყიზილ აჰმედ-ოღლი მირზაბეგთან — ბაიბურთის სანჯაყ-ბეგთან, რომელიც ამ დროს ემზადებოდა ყვარყვარეს წინააღმდეგ სალაშქროდ. ბაიბურთის გარდა მის განკარგულებაში იყო ერზიჯანისა და თერჯანის[15] სანჯაყები. ამ ლაშქრობის თარიღი და ადგილი დაუდგენელია; ვიცით მხოლოდ ის, რომ 1517 წლის 29 აგვისტოს (923 წ. 11 შაბანი) კაიროში სელიმს მიუვიდა ცნობა, რომ მირზა-ბეგი და ისპირის ბეგი ყვარყვარემ დაამარცხა და მოკლაო[16]. ჩანს, რომ ამ უკანასკნელს დახმარება მიუღია დივ-სულთანისგან, რომელსაც თავისი ჯარი განლაგებული ჰყავდა ჩუხურ საადში და, როგორც სხვა წყაროებიდან ვიცით, მანვე დაარბია მანუჩარის სამემკვიდრეო ტაო[17]. მომდევნო წელს დივ-სულთანმა გაილაშქრა ქართლში და აიღო გორისა და სურამის ციხე-სიმაგრეები[18].

1517 წლის მარცხს არ მოჰყვა ოსმალთა კონტრშეტევა. ამრიგად, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვარი შავი ზღვისპირა მიდამოებში უშუალოდ ეკვროდა შაჰის ძალას დაუმორჩილებელ სამეფოს, რომელსაც იცავდა დივ-სულთნის ჯარი. ამისდა მიუხედავად, სელიმს კიდევ ჰყავდა თავისი მომხრეები საათაბაგოში. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ 1518 წლის 10 იანვარს (923 წ. 28 ზილ-ჰიჯეს) დამასკოში, ვინმე ქართველმა თავადმა ჭურცინამ გამოუცხადა მას მორჩილება და თხოვა ეცნო იგი ოსმალეთის ბეგად[19], თუნდაც თავის საკუთარ ტერიტორიაზე — თორთუმსა და აღჩა-ყალაზე. შესაძლებელია დავუშვათ[20], რომ იგი ითხოვდა საათაბაგოს ბეგის წოდებასაც, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყოფილიყო რაიმე ცდა მომდევნო წლებში ქვეყნის დაპყრობისა. დასაშვებია, რომ სელიმს, რომელსაც სიკვდილამდე (1520 წ.) მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი შაჰის წინააღმდეგ გადამწყვეტი ლაშქრობისა, ეს ფრონტი მიაჩნდა დამხმარედ სეფიანებზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად და აიძულებდა ყვარყვარეს მოქცეულიყო ოსმალთა გავლენის ქვეშ. კიდევ მეტიც, თავის ქვეყანაში განმტკიცების შემდეგ, ყვარყვარეს არაფერი გაუკეთებია ისეთი, რომ ოსმალეთის უკმაყოფილება გამოეწვია და ყოველნაირად ცდილობდა მისი თავდასხმის საშიშროების აცილებას. იმის შიშით, რომ სეფიანთა გავლენა დღითიდღე იზრდებოდა, ათაბაგი იძულებული შეიქნა ლოიალობა გამოეჩინა თავისი ორივე მეზობლის მიმართ. ეს კი მეტად საინტერესო ფაქტი გახლდათ, რადგანაც ქართლი და საათაბაგო, დაახლოებით ერთი სულისკვეთებით განწყობილნი, ქმნიდნენ ე. წ. სოლისებურად შეჭრილ ზონას ჩრდილოეთში, ქურთთა სამთავროების გასწვრივ სასაზღვრო რაიონში, სადაც ორივე სახელმწიფო უშუალო კონტაქტში იმყოფებოდა ერთმანეთთან. რაც შეეხება მანუჩარის დანიშვნას ღა

[15] Haydar Çelebi, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

[16] იქვე, გვ. 491.

[17] Hasan-e Rumlu, გვ. 167.

[18] იქვე, გვ. 168.

[19] Haydar Çelebi, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

[20] პრემიერ-მინისტრის არქივი, ფეკეტეს ფონდი, დოკუმენტი № 134.

შესაძლებელია, ქურცინასიც, საათაბაგოს ბეგებად, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელნი, ქვეყნის ხელახალი დაპყრობის შედეგად, მოიპოვებდნენ ისეთსავე ავტონომიას, როგორსაც ზულყადრიეს მემკვიდრე ამირი, ოსმალო გამგებელი შეჰსუვარ-ოღლი ალი-ბეგი, ან კიდევ როგორც ბითლისის, ჰიზანის, მიაფარიკინის და მეზობლად მდებარე ადგილების ქურთი ამირები. რაც შეეხება სეფიანებს, 1521 წელს მოწყობილი ლაშქრობა კახეთისა და ქართლის მეფეთა წინააღმდეგ დიე-სულთნის მეთაურობით, რომელსაც საბოლოოდ ყვარყვარეც შეუერთდა, კარგად გვიჩვენებს, რომ მიუხედავად თავისი ძლიერებისა, ყიზილბაშებს არ უცდიათ შეერთებინათ ქართული ტერიტორია, კმაყოფილდებოდნენ მორჩილების ფორმალური გამოცხადებით და ხარკის სიმბოლური აღებით.

ამრიგად, აღმოსავლეთში ოსმალეთის შესუსტებამ სულთან სულეიმან ბრწყინვალეს გამოჩენამდე, რომლის ზრახვები სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა მომდევნო წლებში, ყიზილბაშებს მისცა მოქმედების თავისუფლების შესაძლებლობა კავკასიის რაიონში.

*
* *

√ფექეტეს ფონდის დოკუმენტი № 134, რომელიც ინახება პრემიერ-მინისტრის არქივში და დღემდე გამოუქვეყნებელია, შეიცავს საყურადღებო მასალას საათაბაგოს ისტორიისათვის. როგორც ცნობილია, საათაბაგო დანაწილებული იყო 25 დიდი ფეოდალური „სახლის“[21] მრავალრიცხოვან ადგილობრივ თავადთა შორის. მიუხედავად მათ შორის არსებული მუდმივი მტრობისა, ისინი ემორჩილებოდნენ ათაბაგს. თურქულ ენაზე დაწერილი ეს ანონიმური დოკუმენტი, დეტალური და საკმაოდ ვრცელი (83 სტრიქონი), უნდა ეკუთვნოდეს სულეიმანის მეფობის[22] პირველ წლებს.

დოკუმენტი აღწერილობითი ხასიათისაა — მასში გადმოცემულია საქართველოს მისადგომ გზებზე მდებარე ამიდიდან (დიარბექირი) მოყოლებული ციხე-სიმაგრეებისა და ადგილობრივი ფეოდალების დახასიათება. ანონიმი ავტორი, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იცნობდა საქართველოს, ისტორიულ სამცხემდე, მაგრამ რაც შეეხება უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქართულ ტერიტორიას, მის შესახებ ნაკლებად გააჩნდა ცნობები. წერილის შემდგენელი ამ მხარეებს უთმობს მხოლოდ შვიდ სტრიქონს, თხრობა საკმაოდ ზერელეა და შეიცავს უხეშ შეცდომებს.

---

[21] K. Salia, Quelques pages de l'histoire de Géorgie, III, La Géorgie du Sud et Sud-Ouest, Tao-Klarjetie, foyer de la culture géorgienne. Samtzkhe-Saatabago. La Géorgie Turque, Bedi Kartlisa, XXXI, 1973, გვ. 164.

[22] შესაძლებელია, 1521 წელს, რადგან, ერთი მხრივ, სელიმი მოხსენიებულია უკვე როგორც გარდაცვლილი, მეორე მხრივ, მანუჩარი, ყვარყვარეს ბიძა მამის მხრივ და, ალბათ, მისი მეტოქე 1515—1517 წლებში, ეკლესიასაა შეფარებული, ე. ი. ცოცხალია. ამას გარდა, თუ დავუჯერებთ ერთ სპარსულ ქრონიკას (იხ. ალემ-არაიე საფავი, თეირანი, 1350 (1971), გვ. 583). მანუჩარი 1521 წლის ლაშქრობისას შეუერთდა დიე-სულთანს და მიუღია შიიტობა. თუმცა ეს ქრონიკა აბნეულად გადმოგვცემს ზოგიერთ ამბავს და ჭირს მისი გაგება; ზოგჯერ ავტორი თვითონ ამატებს, ზოგჯერ ამოკლებს, განსაკუთრებით როცა მოგვითხრობს შაჰ-ისმაილის ისტორიას. ვფიქრობთ, ის იძულებული იყო დაეწერა მისი ბიოგრაფია ისე, როგორც ამას მოითხოვდნენ XVII ს-ის სეფიანები. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მანუჩარი აქ დასახელებულია იმერეთის მეფედ იმ პერიოდში, როცა სინამდვილეში ბაგრატ III (1510—1565) მეფობდა (გვ. 582) და თითქოს მანუჩარს არ მიეღო მონაწილეობა დიე-სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეჭვს გარეშეა, აქ ლაპარაკია იმავე მანუჩარზე, რომელსაც ჩვენ ზემოთ შევხვდით.

ის, ვინც იცნობს ოსმალთა მოხსენებითი ბარათების პრაგმატიზმს, დარწმუნდება, რომ ასეთი დოკუმენტი განკუთვნილი იყო ლაშქრობის მომზადებისათვის, თუმცა არც ის იყო გამორიცხული, რომ ეს ლაშქრობა არ შემდგარიყო. მხედველობაში გვაქვს 1521 წლის ამბები, როცა ყვარყვარე, სეფიანთა შიშით, დაუკავშირდა ოსმალებს, რათა განეახლებინა მათთან ურთიერთობა და მიეღო მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის შემდგენელი თავს იკავებს ათაბაგისა და დოკუმენტში მოხსენიებული ქართველი თავადების მდგომარეობის შეფასებისაგან. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ამ დროისათვის ოსმალები მათდამი მტრულად არ იყვნენ განწყობილი. დასაშვებია კიდეც, რომ დოკუმენტის შემდგენელი ქართველი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, წერილი მეტად მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ მასში მოცემულია საათაბაგოს ადმინისტრაციული დაყოფა, ქვეყნის ყველაზე უფრო გავლენიანი თავადების დახასიათება და მათ ნათესაურ ურთიერთობათა სურათი. ამ ტიპის ოსმალური დოკუმენტები სხვაც მრავალი გვხვდება, მაგრამ რამდენადაც ეს წერილი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჩვენთვის, ამიტომ მოვამზადეთ გამოსაქვეყნებლად[23].

*

* *

დასასრულ, შევჩერდეთ თოფკაფის არქივის ხუთ დოკუმენტზე, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს სამთავროებისა და მათი ურთიერთობის შესახებ ოსმალეთის სამეფო კართან სელიმ I-ის ზეობის და სულეიმან I-ის ტახტზე ასვლის დროისათვის. ეს დოკუმენტებიც ჩვენი რედაქციით მომზადდა გამოსაქვეყნებლად[24].

დოკუმენტი E. 6668 წარმოადგენს წერილის ასლს, გაგზავნილს ვინმე იბაშირის მიერ თავისი მამისადმი — ქურციინასადმი, რომელიც პირადად ხლებია სელიმს დამასკოში 1518 წელს, რასაც ადასტურებს პრემიერ-მინისტრის არქივის დოკუმენტებიც. იბაშირი თხოვს მამას, აცნობოს ოსმალეთის კარს, რომ უზბეგებმა ყიზილბაშები დაამარცხეს. ეს დოკუმენტი მეტად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ის წარმოგვიდგენს ქართველ თავადს, ვითარცა ოსმალეთის სამეფო კარის ინფორმატორს სეფიანთა საქმიანობის შესახებ. ამ როლში უფრო გვიან გამოდიოდნენ ქურთი ბეგები.

დოკუმენტი E. 8277 წარმოადგენს სელიმის ბრძანებას, გაგზავნილს ზულყადრიეს ბეგის შეჰსუვარ-ოჯლისადმი. სულთანი მას ავალებს თავის ტერიტორიაზე ლაშქრის შეკრებას და გაგზავნას დიდ ვეზირ სინან-ფაშასთან, რათა ამ უკანასკნელს გაერთიანებული ძალით განეხორციელებინა საქართველოზე თავდასხმა. ამ ბრძანების შედეგად[25], რომლის თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 1515 წლის 21—30 აგვისტო (921 წლის რაჯაბის მეორე დეკადა), პრაქტიკულად არ დაწყებულა არავითარი საომარი მოქმედება.

---

[23] Jean-Louis Bacqué-Grammont, Etudes turco-safavides, IV. Une description ottomane du Saatabago vers 1520, Bedi Kartlisa, XXXVI, 1978.

[24] Jean-Louis Baqué-Gramont, Études turco-safavides, VI. Notes et documents sur les Ottomans, Les Safavides et la Géorgie au temps de Selim I- er. იბეჭდება Le Cahiers du monde russe et Sovietique, 1979.

[25] გამოქვეყნებულია ფაქსიმილე იხ. Selâhettin Tansel, Javuz Sultan Selim, Ankara, 1969, გვ. 121, 122.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მზეჭაბუკი, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა სელიმთან, ამ პერიოდში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, და რადგანაც აქ რომელიმე სხვა ქართული სამთავრო არ უნდა იყოს ნაგულისხმები, ამიტომ გაუგებარია მიზეზი ლაშქრის შეგროვებისა. შესაძლებელია, ეს კეთდებოდა აღმოსავლეთ ანატოლიის საზღვრის გასამაგრებლად სეფიანთა მოსალოდნელი თავდასხმის ასაცილებლად, იმ დროისათვის, როცა ბიიკლი მეჰმედ-ფაშამ ილაშქრა დიარბექირში და ამიდი აიღო.

✓დოკუმენტი E. 7296 ეკუთვნის შადი ფაშას, რომელიც სელიმ I-ის დროს ორჯერ იყო რუმის ბეგლარბეგად. წერილში ყვარყვარე ნახსენებია როგორც საათაბაგოს ხელისუფალი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ წერილი დაიწერა 1517 წლის 12 ოქტომბერს (რამადანი 923 წ. 26) შადი-ფაშას მეორედ დანიშვნის შემდეგ[26]. სხვა მოვლენები (შაჰ-ისმაილის დაბანაკება ზამთრად ყუმში, სეფიანთა ჯარების გაგზავნა ბაღდადს[27], ოსმალთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის გამო) საშუალებას გვაძლევს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტები დავათარიღოთ 1520—21 წლის ზამთრის პერიოდით. რაც შეეხება საქართველოს, შადი-ფაშა მოგვითხრობს ვინმე ხახულარის — ზაქარიას შვილის, და მისი ხუთი აზნაურის შეპყრობის ამბავს იბაშირის მიერ, რომელზედაც საუბარი გვქონდა ზემოთ. ვგებულობთ, რომ შადი-ფაშას ადრე მიუღია ოსმალეთის მთავრობისაგან ბრძანება, დაებრუნებინა ან აეძულებინა იბაშირი დაეთმო ტყვეები. მაგრამ ყვარყვარეს ბრძანებით ამ უკანასკნელს მხოლოდ ხახულარი გაუთავისუფლებია. ეს დოკუმენტი ფარდას ხდის ზოგიერთ გაუგებარ ამბავსა და მოვლენას. ნათლად ჩანს, რომ ქართველი თავადები მდგომარეობისდა მიხედვით, ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ ერთმანეთისათვის ოსმალები, სეფიანები და თავიანთი ათაბაგი. აქვეა ლაპარაკი მანუჩარისა და ყვარყვარეს კონფლიქტზე; ამ უკანასკნელს, სხვადასხვა საშუალებით, შეძლებია წაერთმია ბიძისთვის ოლთისის მხარე და გაეძევებინა იგი ივანესთან, რომელიც პრემიერ-მინისტრის არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით მანუჩარის შვილი ყოფილა.✓

დოკუმენტი E. 6678 ეკუთვნის ბაიბურთის სანჯაყბეგს ფაიკ-ბეგს და შინაარსის მიხედვით, შედგენილი უნდა იყოს ზემოთ განხილული წერილის დაწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ. აქ ლაპარაკია ჯანბერდი ღაზალის დამარცხებასა და გარდაცვალებაზე 1521 წლის თებერვალი, აგრეთვე უზბეკთა თავდასხმაზე ჰერათზე 1521 წ. 24 აპრილი (927 წ. 16 ჯუმადი ულ-ავვალი)[28]. ფაიკ-ბეგი იტყობინება, რომ ბაიბურთში ჩასულა ყვარყვარეს ელჩი, რომელმაც აუწყა ოსმალებს თავისი პატრონის მორჩილება და მათი გულის მოგების მიზნითა და ერთგულების ნიშნად, შესთავაზა დაეპყროთ ავნიკის ციხე-სიმაგრე, რომელიც წარმოადგენდა სეფიანთა სამფლობელოს ზემო არაქსზე, ოსმალეთის საზღვრის ახლოს, ჩობანის ხიდის რაიონში. ათაბაგი ითხოვდა აგრეთვე სულთნისაგან დახმარებას ზოგიერთი თავისი ურჩი ვასალის დასამორჩილებლად იმ პირობით, რომ შემდეგში გადასცემოდა ოსმალეთს მათი ტერიტორია. ფაქტობრივად გასაგებია, რომ შაჰის მორჩილებაში ყოფნამ მოთმინება დაუკარგა ყვარყვარეს და თავგამოდებით ცდილობდა უფრო ადრე მიეღო ოსმალთა მფარველობა, ვიდრე დივ-სულთანი დაიწყებდა ქართლის, კახეთისა და თვით მის წინააღმდეგ ლაშქრობას.✓

[26] Haydar Çelebi, დასახ. ნაშრომი, გვ. 493.

[27] ხონდემირი, ჰაბიბ ოს-სიჰარ, თეირანი, 1333 (1954), გვ. 567.

[28] Hasan-e Rumlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

დასასრულ, დოკუმენტი E. 5822 დავით X-ის (1505—1524) მიერ შედგენილი სპარსული წერილია, რომელიც ქართლის მეფემ გაუგზავნა ოსმალეთის ხელისუფალთ. თარიღის დადგენა სიძნელეს არ ქმნის, რადგან აქ ლაპარაკია შაჰ-ისმაილის ქორწინებაზე შირვანშაჰ შეიხ იბრაჰიმის ქალიშვილთან. აქვე საუბარია ხალილულაჰ, ბ. შეიხისა და შაჰის ქალიშვილის შეუღლებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა მარაღას მიდამოებში 1520 წლის ბოლოს; დახასიათებულია, აგრეთვე, ხორასნის გამგებლის ამირ-ხან მოვსელუს მაშინდელი მდგომარეობა; ის კი, როგორც ვიცით, ამ თანამდებობიდან გადააყენეს 1521 წელს. წერილში აგრეთვე ლაპარაკია, რომ შეუძლებელი გახდა ოსმალო ჯაშუშის ვინმე ახმედის გაპარება შირვანს, ქართლის გავლით, ვინაიდან სეფიანებმა ყვარყვარეს მეშვეობით გაიგეს მისი თბილისში ჩამოსვლა, დაემუქრნენ მეფეს ქართლის განადგურებით იმ შემთხვევაში, თუ ჯაშუშს არ გასცემდნენ. აქ კი ნათლად ჩანს ქართლის მეფის პოზიცია, რომლის საზრუნავს, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ქართველი გამგებლისა, შეადგენდა ის, რომ არც შაჰი და არც სულთანი მასზე განაწყენებული არ დარჩენილიყვნენ. ამ განზრახვით მან საზღვარზე დააჭერინა ვიღაც ყიზილბაში, რომელიც ძალიან ჰგავდა ოსმალო ჯაშუშს, მოაკვეთინა თავი და ტანსაცმელთან ერთად გაუგზავნა საბუთად შაჰს, ხოლო თვით ჯაშუში აჰმედი საღსალამათი დააბრუნა ოსმალეთში იმ საბაბით, რომ შეუძლებელი გახდა ბაქოსკენ მისი გატარება.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავით მეფის მიერ გადატანილი სიძნელეები აშკარად გაზვიადებულია, მაგრამ მეფეს უთუოდ ეშინოდა, მის მოქმედებას არ მოჰყოლოდა ყიზილბაშთა რეპრესიები ქართლში.

ამრიგად, თურქეთის არქივების ეს გამოუქვეყნებელი დოკუმენტები საყურადღებო მასალას შეიცავს XVI ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. აქვე უნდა დავძინოთ, რომ რამდენიმე ფრაგმენტული ცნობა, რომლებიც გვხვდება იმავე ხანის ვენეციურ რელაციებში, აზუსტებს ამ მონაცემებს და გვეხმარება მოვლენათა ქრონოლოგიის დადგენაში; უეჭველია, რომ ამ საკითხზე შედგენილი სხვა თურქული დოკუმენტები კიდევ რჩება გამოსავლენი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს მომავალში მათ შემოტანას სამეცნიერო მიმოქცევაში.

ЖАН-ЛУИ БАКЕ-ГРАМОН

ОСМАНЫ И ГРУЗИЯ В ПЕРВОЙ ЧЕТВЕРТИ XVI ВЕКА

Резюме

В 1973 году Жан-Луи Баке-Грамон в Стамбульских архивах Премьер-министра и дворца Топ-капи выявил важные документы (на турецком и персидском языках), проливающие свет на историю турецко-грузинских отношений в первой четверти XVI века.

Часть этих материалов уже опубликована, остальные подготавливаются автором к печати. В статье дан общий обзор этих документов с краткими комментариями и пояснениями тех событий, к которым они непосредственно относятся.

Эти материалы, дополняющие и уточняющие сведения грузинских источников, имеют важное значение для изучения ряда вопросов грузино-турецких отношений в данную эпоху.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

И. Н. ШЕРВАШИДЗЕ, Г. М. НУРЗАЙ

ПУШТУНСКАЯ «ИСТОРИЯ, ОБСЫПАННАЯ ДРАГОЦЕННОСТЯМИ» О ГЕОРГИИ XI И ЕГО ГРУЗИНСКИХ ВОИНАХ

В конце XVII —начале XVIII вв., ввиду ряда сложных социально-политических обстоятельств царю Картли Георгию XI пришлось служить интересам дома иранских Сефевидов. Наместник Кандахара и главнокомандующий иранскими войсками (кызылбашами и грузинскими отрядами) в Афганистане — Георгий XI (он же Шахнаваз-хан, а также Горгин-хан) нашел свой конец во вверенной ему стране. Там же было перебито немало грузинских воинов в столкновении с повстанцами-аборигенами, движимыми Мир-Вайсом, вождем национально-освободительного сопротивления афганских племен.

При освещении этих драматических событий, например, авторы «Очерков истории Грузии», т. IV, преимущественно ссылаются на справку И. Ханвея, явно неравнодушного, в свою очередь, к донесениям миссионера Т. Крузинского, а справка о гибели Георгия XI заимствована ими у Вахушти[1].

Круг этих нарративных источников может быть расширен на базе исторического сочинения начала XVIII в. Tārīx-i murassa' Афзал-хана, современника повстанческих движений в Кандахаре в 1709 г. Копия этого источника из частной коллекции У. Белью в. лондонском каталоге пуштунских рукописей представлена паспортом S.O.A.S.Ms. 1395[2].


Вот что говорится в Tarīx-i muraṣṣa' на стр. 838 — 840:

«Мир-Вайс происходит из племени гильзаев Кандахарской области, из гильзайской внутриплеменной ветви хотак. Он был сардаром Кандахара. Этот пост ему дал падишах [Ирана]. Он некоторое время был сардаром Кандахара, но [однажды] заместитель [падишаха] в Кандахаре послал жалобу [на него] падишаху. Падишах вызвал Мир-Вайса к себе [в Исфахан] и одно время он находился при [шахском] дворе. Мир-Вайс просил дозволения на возвращение на родину, но [разрешения] от падишаха не получил. Тогда он просил дозволения на посещение Мекки. Эта его просьба была удовлетворена. Он отправился в Мекку. Возвратился через Сефахан, но падишаха не увидел (т. е. в Иран не вернулся), а прибыл к гильзаям и взял в руки сардарство [своего племени]. Однако [Мир-Вайс] страшился моголов. В Кандахаре заместителем [падишаха] был Шахнаваз-хан Гурджи. В Кандахаре находились [также] грузины и кызылбаши. Говорят, что Шахнаваз-хан и его люди, грузины, сильно притесняли и кызылбашей

---

[1] См. Очерки истории Грузии, т. IV. Грузия с начала XVI до 30-ых годов XIX века, Тбилиси, 1973, стр. 400—402 (на груз. яз.).

[2] См. Catalogue of Pashto Manuscripts in the Libraries of the British Isles, by the Late James Fuller Blumhardt, M. A. and D. N. Mackenzie, M. A., Ph. D. London, 1965, стр. 44—46.



и пуштунов. [В это время] Шахнаваз-хану нужно было подавить [восстание] белуджей. Он отправил свое войско к белуджам. Шахнаваз-хан обратился за помощью к гильзаям Мир-Вайса. Мир-Вайс собрал гильзаев и кызылбашей Кандахара, объявив, что [пришло] время [когда можно] напасть на них (на Шахнаваз-хана и его ставку). Мир-Вайс отправил ответ Шахнаваз-хану: «Выступай!» Основная часть войска Шахнаваз-хана сражалась против белуджей. Он вышел навстречу Мир-Вайсу с небольшой частью [войска] и так был убит Шахнаваз-хан. Они (повстанцы) напали на Кандахар. В [этой] схватке погибло небольшое число гильзаев. Захватив Кандахар, гильзаи убили три тысячи грузин. Турки и кызылбаши Кандахара были пощажены. Войско Шахнаваз-хана, посланное им в Белуджистан, узнав об этом событии, вернулось, но видя свое бессилие, направилось в Мешхед и Герат. Вся казна и богатство Кандахара перешли в руки Мир-Вайса. Семья Шахнаваз-хана была помилована и отправлена [в Иран]. Кызылбаши Кандахара [тоже] были помилованы и вместе с семьей [Шахнаваз-хана] выпровождены [из страны]. Когда происходили эти события, в Индустане умер Аурангзеб и [на царство] воссел Бахадур-шах»[3].

Прежде всего показательна следующая неоднозначность интерпретации одних и тех же событий в упомянутых материалах:

По «Очеркам истории Грузии» (т. IV) Мир-Вайс во время своей неволи в Исфахане, скомпроментировав перед шахом Георгия XI, получил разрешение на въезд на родину. Мир-Вайс заманил Георгия XI к себе на пир и вероломно убил его. Вместе с Георгием XI было убито 2000 грузинских воинов.

По Tarīx-i murassa' Мир-Вайс под предлогом паломничества в Мекку бежал в Кандахар. Георгий XI погиб в столкновении с повстанцами. Вместе с Георгием XI было убито 3000 грузинских воинов.

Конечно, судить об аутентичности информации Афзал-хана — в компетенции историков-ориенталистов. Но тем не менее она может оказаться полезной, хотя бы в плане перекрестной перепроверки фактов, касающихся последнего периода жизни и гибели на чужбине Георгия XI и его грузинских воинов.

---

[3] За консультации при переводе настоящего отрывка из Tarīx-i murassa авторы выражают признательность доц. З. Н. Калининой и проф. Н. А. Дворянкову.

Представил академик Академии наук Грузинской ССР
С. С. Джикия

გელა გამყრელიძე

ვანის მთისძირის ახალაღმოჩენილი აღრეული შუასაუკუნეების ნაგებობა

სოფ. მთისძირი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა მხარეს, ვანისა და სამტრედიის რაიონების საზღვარზე, ვანის ძველი ნაქალაქარიდან რამდენიმე კილომეტრზე. მთისძირის ტერიტორიიდან არქეოლოგიურად ყველაზე საინტერესოა ადეიშვილების გორა[1]. 1977 წ. ადეიშვილების გორის თავზე შევისწავლეთ 615 კვ. მ. ფართობი. პლატო დაფარული იყო ხშირი, გაუვალი ბუჩქნარით.

ქვემოთ მოცემულია კულტურული ფენების აღწერა თანმიმდევრულად — ზემოდან ქვემოთ (გათხრის მიმდინარეობის მიხედვით).

I — კულტურული ფენა წარმოდგენილია ე. წ. გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეების კულტურული ნაშთებით. ამ კულტურული ფენის სიღრმე 1,30 მ აღწევს, ხოლო ზოგან 0,35 მ-ზე წყდება მიწის ზედაპირიდან. დედაქანი (თირი) ხანდახან თითქმის მიწის ზედაპირზეა ამოსული. ამ კულტურული ფენის კორდოვანი საფარი მოყვითალო-შავი ფერისაა, წვრილი კენჭების მინარევით; შიგ გვხვდება კერამიკული ნაშთებიც. კორდოვანი საფარის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა კირხსნარიანი კედლების ნაშთები. აქ ნიადაგი ისევ მოყავისფრო-შავი ფერისაა.

II — კულტურული ფენა, რომელიც მდებარეობს I კულტურული ფენისა და დედაქანს (თირი) შორის, ხასიათდება ელინისტური და ე. წ. ადრეანტიკური ხანის მცირე რაოდენობის ნაშთებით. მისი სისქე ზოგჯერ 30 სმ-ს აღწევს. ნიადაგი I კულტურულ ფენასთან შედარებით უფრო მოშავო ფერისაა და კენჭებს არ შეიცავს.


პირველ კულტურულ ფენაში დადასტურდა კირხსნარით ნაგები შენობის ნაშთები in situ მდგომარეობაში. არქეოლოგიური კვლევის დროს გამოირკვა, რომ ნაგებობის შენებაში ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია — ქვა (ქვიშაქვა, რიყის, კირქვა, თირისქვა), ზოგჯერ კი — თეთრი მარმარილო, აგური, კრამიტი. კირხსნარი გამოყენებულია როგორც შემაკავშირებელ მასალად, ასევე კედლის შესალესად და იატაკის გასაკეთებლად. რიყის ქვები მდ. რიონის ჭალიდან არის მოტანილი, თირის ქვა და ქვიშაქვა კი ადგილობრივად არის მოპოვებული, ხოლო კირქვა (თეთრი ქვა) და თეთრი მარმარილო სხვა ადგილიდან არის მოტანილი, რადგან მთისძირის ახლომახლო მათი არსებობა არ შეინიშნება. შესაძლოა კირქვა შემოტანილი იყოს დაბლაგომიდან ან ინაშაურიდან, სადაც ის დიდი რაოდენობით მოიპოვება.


კორდოვანი საფარის აღების შედეგად გამოვლინდა ნაგებობის კონტურები, რომლის შემდგომმა შესწავლამ ცხადყო, რომ საქმე გვაქვს შენობის ორ სამშენებლო პერიოდთან.

---

[1] გ. გამყრელიძე, მთისძირის არქეოლოგიური ძეგლები, კრებ. „ვანი III", თბ., 1977, გვ. 58—70.

ნაგებობა ოთხკუთხაა და შედგება ორი სხვადასხვა ზომის სათავსისაგან. აღმოსავლეთი სათავსის შიდა ფართობია 5,50 მ × 21,00 მ = 115,50 კვ. მ., ხოლო დასავლეთი სათავსის შიდა ფართობი — 5,50 მ × 5,50 მ = 30,25 კვ. მ. ნაგებობა თითქმის ზუსტადაა ორიენტირებული ქვეყნის მხარეების მიხედვით — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 43 სმ-ს არ აღემატება (სურ. 1, 2).





შენობას სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს. ადეიშვილების გორა, რომელზედაც ეს ნაგებობა იდგა, რამდენადმე წინ არის წამოწეული ასეთივე გორების რიგიდან და, ერთი მხრივ, აკონტროლებს მდ. რიონის ხეობის კარგა მოზრდილ ნაწილს, ხოლო, მეორე მხრივ, — მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ ერთ-ერთ გზას ჰკრავს.

ნაგებობის ჩრდილოეთი მხარე შედარებით მეტადაა დანგრეული, რომელიც მიწის დაცურების შედეგადაა ჩაშლილი (საფიქრებელია, რომ ამ გორაზე და მის ფერდობებზე ნაგებობების მოზრდილი კომპლექსი იყო განლაგებული). განსაკუთრებით დაზიანებულია შენობის კუთხეები, ხოლო კედლები საგრძნობლად არის დეფორმირებული.

ნაგებობის ფუნდამენტის ქვები, მეტი სიმტკიცისათვის, ჩაწყობილია კლდოვან დედაქანში (თირი) ამოჭრილ ბუდეებში[2]. ქვები ბუდეებში გაჭედილია კირხსნარის საშუალებით.

სამხრეთი კედლის ფუნდამენტი 29,40 მ სიგრძისაა. იგი თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი. ამ კედლის სიგანე 1,00 მ-ია. კედელი და მისი ფუნდამენტი ფლეთილი ქვითაა ნაგები. ფლეთილი ქვების ამ წყობაში გამოირჩევა ფასადის მხარე, სადაც ქვები შედარებით სწორი მხრითაა დალაგებული. ინტერიერის ბხარეს კი უფრო უსწორმასწორო წყობა შეიმჩნევა. ამ კედლის წყობაში ძირითადად ქვიშაქვაა ნახმარი, ხოლო რიყის ქვები და სხვა ჯიშის ქვები უფრო ნაკლებად ჩანს. სამხრეთი კედლის დასავლეთი მხარე (ბოლო 6 მ) ამოყვანილია დიდი ქვებით. მაგალითად, ყველაზე დიდი ქვის ზომაა — 1,12 მ×1,00 მ. ეს ქვა მართკუთხედებიანია და გათლის კვალი არ ეტყობა. კედლის სხვადასხვა კომპონენტის დასაკავშირებლად გამოყენებულია კირხსნარი. კირხსნარში კირის ცოტა რაოდენობაა ნახმარი, ამიტომ კირხსნარით დაკავშირებული ქვების წყობა ადვილად იშლება. კედლის ზოგიერთ მონაკვეთში იმდენად მცირე რაოდენობითაა კირხსნარი ნახმარი, რომ მისი არსებობა საერთოდ არ შეიმჩნევა. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ინტერიერის მხარეს, დასაწყისიდან 1,50 მ-ზე დადასტურდა კონსოლის მსგავსი რამ.

ნაგებობის დასავლეთი კედლის ფუნდამენტი 7,50 მ სიგრძისაა, ხოლო სიგანე აქაც 1,00 მ-ია. ამ კედლის აშენებისას, როგორც ჩანს, უფრო ბევრი კირხსნარია ნახმარი, რადგან კედელი მისგან გადათეთრებულია. სხვა მხრივ ეს კედელი სამხრეთი კედლისაგან ნაკლებად განსხვავდება. შედარებით კარგადაა შემორჩენილი დასავლეთი კედლისა და ჩრდილოეთი კედლის კუთხე. აქ შიდა კუთხის გასაკეთებლად სპეციალურად გამოთლილი ქვაა ნახმარი. ჩრდილოეთი კედლის ფუნდამენტის 29,40 მ სიგრძიდან შემორჩენილია მხოლოდ 16,00 მ. ამ კედლის დანარჩენი ნაწილი ჩაშლილია დაბლა და ფუნდამენტის კლდოვან დედაქანში ამოჭრილი ბუდეებიღა შეიმჩნევა. ჩრდილოეთი კედლის სიგანეც 1,00 მ-ია. ეს კედელი დიდად არ განსხვავდება სამხრეთი კედლისაგან, თუ არ ჩავთვლით დიდ ქვებს, რომლებიც აქ ნაკლებადაა გამოყენებული.

შენობის აღმოსავლეთი კედელი ზომებით ისეთივეა, როგორიც დასავლეთი კედელი (სიგრძე 7,50 მ, ხოლო სიგანე — 1,00 მ.). ამ კედლის შენებაში სხვა კედლებისაგან განსხვავებით უფრო მეტი რიყის ქვაა ნახმარი. კედლის შუა ნაწილში დატანებულია შესასვლელი, რომელიც პატარა დერეფანში შედის. ეს დერეფანი წარმოდგენილია ორი კედლის ნაშთებით, რომლებიც ებჯინება აღ-

[2] ამ მხრივ ის იმეორებს ვანის ნაქალაქარის და თვით ადეიშვილების გორის ანტიკური ხანის ნაგებობის სამშენებლო ტრადიციებს.

მოსავლეთის დიდ კედელს. მათი სისქე 50,50 სმ-ია, ხოლო სიგრძე 1,80 მ (ცალ-ცალკე). მათ შორის არის პატარა დერეფანი, რომლის ფართობი 1,80 მ× ×1,60 მ=2,88 კვ. მ-ია. სამხრეთი კედლიდან ეს პატარა დერეფანი 1,40 მ-ითაა დაცილებული, ხოლო ჩრდილოეთი კედლიდან 1,50 მ-ით. დერეფანში დადასტურდა 2,35 კვ. მ. ფართობზე კირხსნარიანი (ჰიდრავლიკური იატაკი. იატაკის სისქე 11 სმ-ია. იატაკი არის მოვარდისფრო-თეთრი, რადგან კირხსნარს დამატებული აქვს კერამიკული ფხვნილი. გათხრის დროს იატაკზე აღმოჩნდა აგურისა და ღარიანი, გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტის ნატეხები. საერთოდ, ნაგებობის შესწავლისას 400-მდე აგურის და 500-მდე კრამიტის ფრაგმენტი ვიპოვეთ. ხერხდება მათი ტიპებად დაყოფა[3]. ფრიად საინტერესოა, რომ აგურისა და კრამიტის ნაშთები აღმოჩნდა კირხსნარიანი იატაკის ქვემოთაც. ისინი არეული იყო იატაკის ქვეშ ფიქსირებულ ღორღნარევ მიწაში, რომელიც იატაკის შემზადებას წარმოადგენდა. ეს ფაქტი ორ სამშენებლო პერიოდზე მიუთითებს. ამასვე უჭერს მხარს აღმოსავლეთის სათავსში სამხრეთის კედელზე მიდგმული ძლიერ დაზიანებული კედლის საძირკველი. ის აღმოსავლეთი კედლის პარალელურია და მისგან 4,00 მ-ითაა დაცილებული. კედლის ნაშთის სისქე 0,80 მ-ია. ამ კედლის შენებაში კირხსნარი თითქმის სულ არ არის ნახმარი. ეს კედელი ზედმეტად გამოიყურება ნაგებობის გეგმაზეც. საფიქრებელია, რომ კედელი პირველ სამშენებლო პერიოდს ეკუთვნის, როცა მეორე სამშენებლო პერიოდის იატაკისთვის ღორღიანი მიწა მოასწორეს, ეს კედელი ღორღში მოყვა. ამგვარად, ნაგებობაში სრულიად აშკარად გამოიყოფა ორი სამშენებლო პერიოდი.

აღმოსავლეთის სათავსის აღმოსავლეთი კედლის ინტერიერის მხარეზე შერჩენილია კირხსნარიანი შელესილობა. შელესილობა მოვარდისფრო-თეთრია. მოვარდისფრო ელფერი კერამიკული ფხვნილის შერევის შედეგადაა მიღებული. ნაგებობის მთელ შიდა ფართობში შეინიშნება დანახშირებული ძელების კვალი. ისინი, ალბათ, გადახურვის კონსტრუქციაში გამოიყენებოდა.

შენობა აღმოსავლეთით გრძელდებოდა, რადგან ამ მიმართულებით აღმოჩნდა 3,50 მ-მდე სიგრძის კედლის ნაშთები. დანარჩენი დანგრეულ-ჩაშლილია გორის ფერდობებზე. ასეთივე მდგომარეობაშია შენობის სამხრეთით მდებარე ნაგებობები. სამხრეთი კედლის შუა ნაწილთან, ფასადის მხრიდან 40 სმ-ის დაშორებით, საძირკვლის დონეზე აღმოჩნდა ქვევრი. ეს ადგილი ჩანგრეულია, და ქვევრი მთლიანად მოჩანს ჭრილში. შესაძლოა, ქვევრი აღმოჩენილი ნაგებობის გვერდზე შენობაში იყო ჩადგმული, რომელიც მიწის ეროზია-გადაადგილების შედეგად დანგრეულ-დაცურებულია დაბლა ადეიშვილების გორის ფერდობებზე.

ადეიშვილების გორის წვერის პლატოს ნაგებობამ და მისმა კულტურულმა ფენამ საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა მოგვცა. მათში განსაკუთრებით სჭარბობს კერამიკული ნაშთები.

1. ნაგებობასთან ვიპოვეთ თიხისაგან გაკეთებული არქიტექტურულ-დეკორაციული დეტალის ფრაგმენტი — ინვ. № 07:6:76:399. მისი კეცის თიხა მოწითალო-ყავისფერია; კეცში შეიმჩნევა კირქვის და პიროქსენის წვრილი ნამცეცები. საერთოდ, მისი თიხა დამახასიათებელია მთისძირის კერამიკისათვის; სისქე — 27 მმ. მასზე რელიეფურად არის გამოსახული ყლორტების მსგავსი ორ-

[3] სამშენებლო კერამიკაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნაშენტი, რაც აკროტერიუმის პრიმიტიულ ფორმას წააგავს. ეს არქიტექტურული დეტალი, ალბათ, შენობის კუთხეების დასამშვენებლად გამოიყენებოდა.

2. მთისძირის არქეოლოგიური შესწავლის დაწყებიდანვე მიწის ზედაპირიდან აკრეფილ მასალაში თუ სადაზვერვო თხრილებში ხშირად გვხვდებოდა კრამიტების ნატეხები. მთისძირში დადასტურებულია როგორც ელინისტური ხანის, ასევე ე. წ. გვიანანტიკურ ადრე შუა საუკუნეების კრამიტები. ელინისტური ხანის კრამიტის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი[4]. შემდგომი პერიოდის კრამიტებს კი ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, რადგან ნაგებობა, რომელიც ამ კრამიტით იყო გადახურული, ამჟამად უკვე გათხრილია.

შენობის კირხსნარიან იატაკზე და მის ქვეშ დადასტურებული კრამიტის ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შენობის ორ სამშენებლო პერიოდში სხვადასხვანაირი კრამიტი გამოიყენებოდა.

1) კირხსნარიან იატაკზე აღმოჩენილი მეორე სამშენებლო პერიოდის კრამიტის ნაშთები წარმოადგენს ბრტყელ, გვერდებაკეცილ კრამიტის ფრაგმენტებს. კრამიტებს ოდნავ ტრაპეციული მოყვანილობა აქვს და შედარებით დაკვეთრებულ მხარეზე, აკეცილ გვერდებზე მხრებისმაგვარი ამოჭრილები აქვს. ზოგ შემთხვევაში კრამიტებს გარეთა მხარეზე სიგრძივ დაუყვება დაბალი რელიეფური ქედები. მათ შორის მანძილი 1,5 სმ-დან 2 სმ-მდე მერყეობს. კრამიტის გადანაკეცები ჭრილში ოთხკუთხაა და მათი სიმაღლე 4,5 სმ-დან 2,0 სმ-მდე მერყეობს. კრამიტების კეცი ძირითადად მუქი ვარდისფერია და ეტყობა მინარევები. მინარევებში ყველაზე მეტი რაოდენობით შეიმჩნევა კირქვისა და პიროქსენის წვრილი ნამცეცები. კრამიტის კეცი ხშირ შემთხვევაში კარგად არის გამომწვარი, ემჩნევა ხის ყალიბის კვალი. მეორე სამშენებლო პერიოდის, ფენაში ღარიანი (კალიპტერი) კრამიტი არ აღმოჩენილა.

2) პირველ სამშენებლო პერიოდში ორი ტიპის კრამიტს ვხვდებით — ამ კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩნდა ჯატაკის ქვეშ, მიწა-ღორღიან ნიადაგში, რომელიც იატაკის შემზადებას წარმოადგენდა. **ა.** ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტები გამოირჩევა მასიურობით. ამგვარი კრამიტი უფრო ხშირია მთისძირის ანაკრეფ არქეოლოგიურ მასალაში, ვიდრე მეორე სამშენებლო პერიოდის ტიპის კრამიტები. ისინი უფრო დიდებია, ვიდრე იატაკზე დაცვენილი კრამიტები და ზომით დაახლოებით უტოლდება ელინისტური ხანის კრამიტებს. მათი თავისებურებაა ის, რომ გადანაკეცი ჭრილში სამკუთხედისნაირია. გადანაკეცი ბოლომდე სწორად მოდის. მისი სიმაღლე 4,2 სმ-დან 6 სმ-მდე მერყეობს, სისქე — 1,8 სმ-დან 2,5 სმ-მდე. კრამიტის ფრაგმენტების ზედაპირი სადაა: არ ჩანს არც რაიმე დამღა და არც რაიმე სხვა ნიშანი. **ბ.** ღარიანი (კალიპტერი) კრამიტის ფრაგმენტები ცოტაა, სულ 8 ცალი. ღარიანი კრამიტიც ფრიად მასიურია. მისი ერთი ბოლო მკვეთრად დავიწროვებულია, ხოლო მეორე ბოლოზე შეიმჩნევა ოდნავი შესქელება. კრამიტს თანაბარი მორკალვა არა აქვს.

გ. ნაგებობის პირველი სამშენებლო პერიოდის ფენაშივე ვიპოვეთ ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტები (ინვ. № 07:6:77:57). კრამიტიდან შემორჩენილია მხოლოდ გადანაკეცი და ძირის პატარა ნატეხი. გადანაკეცი ჭრილში მოსამკუთხედოა. ყველაზე უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ კრამიტის კეცი სინოპურია. ის გამოირჩევა პიროქსენის მსხვილი ნამცეცებით და ბოიისფრო-ნაცრისფერი კეცით. რადგან გადანაკეცის ფორმის (სამკუთხა) მი-

[4] დაწვრილებით იხ. „ვანი III", გვ. 69.

ხედვით ის ელინისტური ხანის სინოპურ კრამიტს არა ჰგავს და თანაც ადრეული შუა საუკუნეების კულტურულ ნაშთებთან არის ნაპოვნი, საფიქრებელია, რომ ე. წ. გვიანანტიკური ხანის იმპორტთან უნდა გვქონდეს საქმე. ამდენად, ამ ნატეხის პოვნა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა პირველი სამშენებლო პერიოდი ე. წ. წინარე ადრეულ შუა საუკუნეებს თუ არა, ადრეული შუასაუკუნეების დასაწყისს მაინც მიეკუთვნება.

ა და ბ ტიპის კრამიტები დამზადებულია ერთნაირი თიხისაგან. თიხა კარგადაა განლექილი, მაგრამ ზოგან მაინც შეიმჩნევა მინარევები — კირქვა და უწვრილესი კენჭები. კეცი ხშირად არათანაბრად არის გამომწვარი. ამ ტიპის კრამიტებსაც ეტყობათ ყალიბის კვალი. შეიმჩნევა ხის ყალიბის ფიცრის ზოლების ანაბეჭდი.

როგორც არქეოლოგიური მასალის, ისე წერილობითი წყაროების მიხედვით ახლა ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ელინისტურ ხანაში კრამიტს უკვე ფართოდ იყენებდნენ. კრამიტის ნაშთები აღმოჩენილია დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ არქეოლოგიურ ძეგლზე[5].

როგორც ჩანს, ადრეულ შუასაუკუნეებში კრამიტი ძირითადად გამოიყენებოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შენობების გადასახურად. კრამიტით იყო გადახურული საფორტიფიკაციო ნაგებობები, მაგალითად, ვარდციხეში[6], ვაშნარში[7], ბიჭვინტაში[8], ყულევში[9].

ადრეული შუასაუკუნეების კრამიტი ჩამოჰგავს ანტიკური ხანის კრამიტს[10]. ეს მოსაზრება ადეიშვილების გორის წვერის ნაგებობის იატაკის ქვეშ ნაპოვნ კრამიტებზეც ვრცელდება. ხსენებული კრამიტი ფორმით და განსაკუთრებით კი თავისი მასიურობით წააგავს მთისძირშივე დადასტურებულ ელინისტური ხანის კრამიტებს. მეორე სამშენებლო პერიოდის მხრიანი კრამიტები კი როგორც ფორმით, ისე სიდიდით უფრო შორს დგას ელინისტური ხანის კრამიტებისაგან.

3. ნაგებობაში და მის შემოგარენში აღმოჩენილია 400-მდე აგურის ფრაგმენტი. მიუხედავად ამისა, აგურის წყობა ნაგებობის შემორჩენილ კედლებში არსად არ გვხვდება. აგურის ფრაგმენტები აღმოჩნდა, როგორც იატაკის დონეზე, ასევე მის ქვემოთაც.

აგურები ძირითადად ერთნაირია, მაგრამ მათში მაინც შეიძლება ორი ტიპის გამორჩევა, რაც დამოკიდებულია უფრო მათ ზომებსა და გაფორმებაზე, ვიდრე მოყვანილობაზე.

---

[5] ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 143; ჯ. ჯღამაია, სამშენებლო კერამიკის წარმოება ადრეფეოდალური ხანის საქართველოში, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 278—291; თ. უვახიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია", თბ., 1957, გვ. 127; А. И. Болтунова, Описание Иберии в «Географии» Страбона, Вестник древней истории, М., 1947, № 4, გვ. 142—160.

[6] ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარი ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", II, თბ., 1947, გვ. 84—105.

[7] В. А. Леквинадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე", XXII-B, თბ., 1961, გვ. 138—167.

[8] „დიდი პიტიუნტი", თბ., 1975, გვ. 101—104; ო. ღამბაშიძე, ბიჭვინტის ციხე-ქალაქის მეოთხე კოშკის გათხრის შედეგები, „დიდი პიტიუნტი", II, თბ., 1977, გვ. 120—144.

[9] ნ. ხოშტარია, სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, „საქ. სსრ მეცნ. აკად მოამბე", 1946, № 1—2, გვ. 81.

[10] ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 283.

ა. კვადრატული ფორმის აგური, რომელსაც კუთხეებიდან ურთიერთგადამკვეთი ორ-ორი ღარი დაუყვება. მისი სისქე 4 სმ-დან 5 სმ-მდე მერყეობს, ხოლო სიგრძე-სიგანე უფრო ხშირად 23 სმ×23 სმ-ია. ბ. შედარებით უფრო მოგრძო აგურია, რომლის სიგრძეც ზოგჯერ 30 სმ-ს აღწევს. მოგრძო აგური, როგორც წესი, უღარებოა.

აგურებს ეტყობა, რომ ხის ყალიბშია ნაკეთები, რადგან მათზე ხის ანაბეჭდები შეიმჩნევა. ზოგ აგურს კი ხელით შესწორების კვალიც ემჩნევა. ხელითვე აკეთებდნენ, ალბათ, ურთიერთგადამკვეთ ღარებსაც.

საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული შუასაუკუნეების შენობებში აგური ნახმარია მხოლოდ როგორც დამხმარე საშენი მასალა. იგი გამოყენებულია V—VI სს. საფორტიფიკაციო ნაგებობების კედლის ე. წ. „opus mixtum"-ისებურ წყობაში — მაგ.: შორაპანი, სკანდე, ვარდციხე, ტოლები და სხვ. სამწუხაროდ, ადეიშვილების გორის წვერის ნაგებობაში აგურის წყობა არ დადასტურდა; საფიქრებელია, რომ აგური საერთოდ ცოტა იყო ნახმარი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრებისათვის აგური არ იყო ძირითადი სამშენებლო მასალა. გამოყენების მხრივ ქვა იდგა პირველ ადგილზე[11].

ადეიშვილების გორის წვერის ნაგებობაში ნანახი აგურების (ბ) ტიპი დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს ადრეულ შუასაუკუნეების ძეგლებზე: ბიჭვინტა[12], ინკიტის ტბა[13], ოჩამჩირე[14], ვაშნარი[15], ტოლები[16], ვარდციხე[17], შორაპანი[18], სკანდე[19] და სხვ. ხოლო (ა) ტიპის კუთხეებიდან ურთიერთგადამკვეთი ორ-ორ ღარიანი აგური კი განსაკუთრებით ახ. წ. V—VII სს. ფენებისთვის არის დამახასიათებელი[20].

В берлинском гимне Пта говорится: «О ты, который восходишь как Ра! О ты, который произошел как Хепри, который находится между жителями горизонта!»[55].

В XVII главе «Книга мертвых» Атум говорит о себе: «Я — Атум в собственном восхождении. Я был один, когда произошел в Нуне. Я — Ра, когда он поднялся впервые. Я — великий бог, который сотворил себя в Нуне и который сделал так, что его имена стали богами... Я — Атон, который пребывает в собственном диске, или Ра, в своем восхождении на небо. Я — вчера. Я — тот, кто знает сегодня. Я — Бенбен[56], который есть в Иуну (т. е. в Гелиополе).

Сейчас невозможно точно установить, когда произошла дифференцировка понятий души и изображения, т. е. когда приобрела душа флюидность и подвижность, но несомненно одно — синкретизм, как одна из собственностей египетской религии и египетского религиозного мышления, мог сформироваться лишь после этого[57].

Разными были причины, толкавшие на создание синкретических единиц, разными были и сами синкретические соединения.

Самыми древними случаями применения синкретизма в египетской религии являются отождествления локальных богов с космическими[58]. В Гелиополе местный хтонический бог Атум был сопоставлен с солярным божеством Ра и с Гором, который в силу политических условий стал очень популярен в качестве национального бога, под эгидой которого разрозненные номы объединились в два обширных государства; в результате произошло совмещение в одном божестве свойств, первоначально присущих трем разным типам богов — местному, кос-

---

[50] т. е. в стране умерших.

[51] A. Gardiner, Hymns to Amon from a Leiden papyrus, XV, ZÄS, 42. Leipzig, 1905, стр. 43.

[52] H. Kees, Der Götterglaube im alten Ägypten, Berlin, 1956, стр. 157.

[53] Dendérah, II, 45C.

[54] A. Gardiner. Hymns to Amon ... XV, стр. 26.

[55] W. Wolf, Ptahhimnus..., стр. 34.

[56] т. е. священный обелиск.

[57] S. Morenz, указ. соч., стр. 154.

[58] Фр. Каменецкий, указ. соч., стр. 5.

мическому и национальному. Так в Египте впервые была создана идея великого универсального бога[59].

В мемфисской теологии синкретизм играет совершенно другую роль — мемфисские жрецы впервые применили метод синкретизма именно для систематизации и преодоления множественности. Это — первая в египетской религии попытка преодолеть множественность[60].

С этой точки зрения особенно интересны строки 48 — 52а, где благодаря синкретическому сопоставлению Пта с другими богами, множественность сведена до единичности. Если в приведенном выше примере из XVII главы «Книги мертвых» Атум величественно объявляет, что «его разные имена стали богами», Мемфисская теология демонстрирует обратное — все остальные боги как бы объявлены разными именами Пта. А. Гардинер первый заметил, что здесь собраны и представлены в качестве единства все боги, олицетворяющие созидательные силы[61].

В Египте, где множественность и единичность были как два полюса, синкретизм разряжал напряжение между ними, т. к. благодаря сопоставлениям видимые образы различных богов возводились к одному общему пра-духу[62]. Образ мемфисского Пта является блестящим примером такого пра-духа. Мемфисские жрецы нашли идеальный способ «примирения» множественности и единства.

Модель мемфисской теологии могла послужить трамплином для окончательной победы монотеизма в Египте; однако специфика египетской религии состояла именно в ее двустороннем развитии — одновременно в сторону монотеизма и политеизма; для нее было органично именно мирное сосуществование этих двух тенденций; тот же синкретизм, являющийся таким идеальным методом для трансформирования множественности в единство, одновременно предоставлял массу возможностей для создания бесчисленных новых единиц путем бесконечного сопоставления разных отдельных богов.

Двойственность развития египетской религии видна и в мемфисском тексте. Наряду с обоснованием идеи единственности демиурга с характерным для египетских текстов невозмутимым примирением несовместимых на первый взгляд понятий, мы читаем о «богах» во множественном числе, которых Пта сотворил и распределил по их культовым местам: «Он создал богов, он сотворил города, он основал номы, он распределил богов по своим культовым местам, он установил их дань, он основал святая святых их храмов, он сделал тела их согласно желанию их. Так вошли боги в свои тела из всякого дерева, из всякого камня, из всякой глины... Произошли они из него»[63].

Л. Браун заметил, что монотеизм никогда не смог победить в Египте, и тенденция к монотеизму так и осталась всего лишь тенденцией, т. к. была вызвана скорее политическими причинами, а не органичными потребностями египетской религии[64]. Действительно, религиозная и политическая власти в Египте настолько переплетались, что верховная власть не мыслилась без поддержки собственной религиозной идеологии. Создание каждой новой идеологии в Египте всегда было связано

[59] Фр. Каменецкий, указ. соч., стр. 8.
[60] H. Junker, указ. соч., стр. 20.
[61] A. Gardiner, цит. по книге H. Junker, указ. соч., стр. 19.
[62] H. Bonnet, указ. соч., стр. 20.
[63] Мемфисский текст, строки 60—61.
[64] L. Browne, This Bellieving World, N. Y.,; § 1926, стр. 77, 81.

с политическими изменениями в стране. Мемфисский трактат не является исключением.

Так как «небесное царство» в Египте должно было быть зеркальным отражением земного и наоборот, то считалось само собой разумеющимся, что «первым» и «единственным» среди богов должен был стать бог — покровитель того города, чьи номархи завоевывали верховную власть в стране. Мемфисская теология преследовала именно такую цель.

До объединения Египта верхнеегипетскими фараонами и провозглашения Мемфиса политическим центром страны район Мемфиса был малонаселенной болотистой местностью, и локальные боги не могли иметь почитателей за его пределами[65]. При таких обстоятельствах новоиспеченной столице, конечно, трудно было соперничать с древнейшим Гелиополем, а самопопулярному тогда Пта — с великим гелиопольским Атумом и с его эннеадой. Мемфисские жрецы очутились перед проблемой провозглашения и утверждения Мемфиса новым идеологическим центром страны, а мемфисского бога — верховным богом египетского пантеона. При таких обстоятельствах совершенно естественно, что основной удар мемфисцев должен был быть направлен против Гелиополя и гелиопольской космогонии. Они должны были создать универсальный образ бога-творца, рядом с которым должны были померкнуть древние, уходящие корнями вглубь веков гелиопольские божества.

Надо сказать, что мемфисцы блестяще справились со своей задачей; как результат их стараний была создана новая теология, которая знаменует новую веху в развитии египетской религиозной мысли. Огромным шагом по сравнению с Гелиополем является не только компилятивный образ самого Пта, но и метод, которым он создает свою вселенную.

Пта творит методом произнесения слова. Слова эти — «то, что сердце (т. е. разум) думает и то, что язык приказывает»[66]. Все вещи первоначально существуют идеально, в разуме (ib, кзз. t) создателя. Реально они начинают существовать после того, как обретают форму божественного слова, т. е. громко произносятся богом. Бог (в данном случае Пта) является высшим разумом. Мир и все сущее пребывали как мысль в его разуме, и эта мысль нуждалась лишь быть изреченной в слове, чтобы принять конкретную форму воплощенной реальности. Подобный метод является безусловным прогрессом по сравнению с гелиопольским натуралистическим методом творения, где Атум-Ра выплевывает богов или же рожает их методом самооплодотворения. В папирусе британского музея 10188 солнечный бог, описывая период до начала творения, говорит о себе: «Я еще не выплевывал Шу, я еще не выплевывал Тефнут»[67]. В другом тексте мы читаем, что бог-творец соединил свое семя с собственным телом, чтобы сотворить яйцо внутри своего святого «Я»[68].

Если слову приписывалась творческая активность, то сердце (т. е. разум), в котором рождалась идея, мысль и язык, произносящий эту мысль вслух, обожествлялись. С этой точки зрения интересен фрагмент из папируса Харрис, где о Пта говорится следующее: «Тот, ко-

---

[65] H. Junker, указ. соч., стр. 6—7.

[66] Мемфисский текст, строка 56.

[67] H. Grapow, Die Welt vor der Schöpfung, ZÄS, 67, 1931, стр. 34.

[68] A. Gardiner, Hymns to Amon... VIII, стр. 17.

торый сотворил небо как нечто, сотворенное сердцем»[69]. В египетском тексте здесь после иероглифа, обозначающего сердце, стоит иероглиф бога, что указывает на то, что в данном случае разум воспринимается как божественное начало. Детерминатив бога после иероглифа сердца мы встречаем и в берлинском гимне Пта, когда о Пта говорится, что «он создал себя сам, когда еще никакое создание не было создано, он создал землю согласно своему сердцу (разуму)»[70].

Подобная идентичность «бога» и «разума» видна в мемфисской теологии, где в параллельных местах попеременно встречается или «создал Пта», или «создали разум и язык», т. е. получается, что сердце и язык = бог =Пта. Все сущее создается посредством «мысли сердца, приказанной языком»[71] — боги, люди, все живое и неживое, и даже такие абстрактные понятия, как «закон» «наказание», «любовь» и т. д.

Следовательно, обожествленный разум бога-творца и мысль, существующая идеально как продукт божественного разума, признаны единственным творческим началом, существующим в природе. Создавая свою теологию, мемфисские жрецы отыскали конкретный путь, следуя которому они достигли, с некоторыми ограничениями, философской концепции мира.

«Конечно, оригинальный культ Пта имел не большую связь с подобными философскими понятиями, чем ранние греческие боги с позднейшей философской интерпретацией их функций»[72]. Несомненно, что мемфисская теология является спекуляцией жрецов, которая была «навязана» Пта. Она была чересчур абстрактна, чтобы завоевать популярность в народе и стать народным культом. Хотя идеология Мемфиса являлась официальной государственной идеологией в течение нескольких веков, смутный образ абстрактного божества, творившего разумом, обретающим реальность в столь хрупкой форме существования, как слово, не мог заслонить всепоглощающий образ великого светила. Гелиопольские жрецы постепенно восстановили свои права, и с приходом к власти V династии великий Ра опять засиял на центральном троне египетского пантеона. Однако достижения мемфисских жрецов не пропали даром. Благодаря тому же синкретизму Пта, присутствуя сначала в образе Ра, а затем в образе Амона, «навязал» их культам достижения мемфисцев в области развития религиозного мышления.

---

[69] Erichsen. Pap. Harris, 1, стр. 49 (цит. по книге M. Sandman-Holmberg, The God Ptah, Lund, стр. 45).

[70] W. Wolf, Ptahhimnus, указ. соч., стр. 18.

[71] Мемфисский текст, строка 56.

[72] G. Breasted, указ. соч., стр. 53.

Представил отдел древней истории Института истории, археологии и этнографии им. А. И. Джавахишвили.

ბესარიონ ჯორბენაძე

სამეთუნეო ჭურები სოფელ თრანში

ერწოს ველის სოფ. თრანში (თიანეთის რაიონი) მდ. თრანულას მარჯვენა ნაპირას, ე. წ. ოდინაანთნასახლარზე, 1965 წელს, პლანტაჟის დროს, აღმოჩნდა მოწითალოდ გამომწვარი თხელკედლიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები[1]. მათ შორის იყო ორი მთელი მილიანი ჭინჭილა[2].

1969 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ერწო-თიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. რამიშვილი) სადაზვერვო-გათხრები ჩაატარა ოდინაანთნასახლარზე[3].

ადგილი ოდინაანთნასახლარი ოდნავაა დაქანებული მდ. თრანულასკენ. აღნიშნული ადგილი ადრე ტყით ყოფილა დაფარული.

აღმოჩენის ადგილას გაიჭრა[4] თხრილი (ზომა 6,3×5,0 მ), რომელიც მიმართული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ (სურ. 1).

თხრილის აღმოსავლეთით ნაწილობრივ გამოვლინდა საძირკვლის დონეზე შემორჩენილი კედელი (ზომა 6,1×1,3 მ), რომელიც დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. კედელი ნაგები იყო რიყის ქვით, ტალახით და შედგებოდა ორი პირი წყობისგან შუაში ხურდა ქვით.

ამ კედლის პარალელურად, 0,9 მ დაშორებით გამოვლინდა მეორე კედლის მცირე ნაშთი, რომელიც შედგებოდა მსხვილი რიყის ქვების ერთმაგი წყობისგან.

---


[1] ცნობა მოგვაწოდა სოფ. თრანის მცხოვრებმა ვ. არაბული.

[2] ბ. ჯორბენაძე, ფეოდალური ხანის ახლად აღმოჩენილი ძეგლები ერწოს ველზე, XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოკლე ანგარიშები), თბ., 1967, გვ. 75—76 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

[3] Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Л. В. Асатиани, Л. Н. Кобаидзе, Эрцо-Тианетская экспедиция, Археологические открытия 1969 года, М., 1970, გვ. 368—369; რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. ასათიანი, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 93 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი); რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 1, გვ. 147, სურ. 2.

[4] გათხრებში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფმა. კერამიკული საწარმო აზომა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორმა ლ. რჩეულიშვილმა,. საველე ფოტოფიქსაცია შეასრულა ლ. ქობაიძემ, კამერალური — ვ. ასტახოვმა და რ. ჩიქოვანმა. სამხატვრო სამუშაო შეასრულა ნ. თოფურიძემ. თიხის ჭურჭლები აღადგინა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის უფროსმა მხატვარ-რესტავრატორმა თ. ჯავახიშვილმა.

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა ოვალური ორმო (ზომა 1,8×1,3 მ) გარშემოვლებული მცირე ზომის რიყის ქვებით. მასში აღმოჩნდა თიხის მარაგი, რაც საშუალებას იძლევა ვარაუდისათვის, რომ ორმო გამოიყენებოდა თიხის შესანახად ან დასალბობად. ამდაგვარი ორმოების არსებობა დამოწმებულია ეთნოგრაფიული მასალებით. ჭიდა კახეთში მას „სტოლას“ უწოდებენ[5].



M 1:25

სურ. 1. კერამიკული საწარმოს გეგმა

ამავე დანიშნულების ნაგებობები აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების ბიჭვინტის კერამიკულ ქურასთან[6] და ქერსონესში, ნაესადგურის რაიონში. XI—XII სს კერამიკული სახელოსნოს გათხრისას[7].

ზემოთ აღნიშნულ კედლებს შორის გამოვლინდა ოვალური მოყვანილობის დამწვარი ნიადაგი (ზომა 1,0×0,8 მ). ამ ადგილის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა

[5] ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, თბ., 1949, გვ. 26.

[6] რ. ფუთურიძე, ბიჭვინტის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, ძიდი პიტიუნტი, თბ., 1975, I, გვ. 157.

[7] А. И. Романчук, Гончарная мастерская XI—XII вв в Херсонесе, Античная древность и средние века, Свердловск, 1971, сб. 7, გვ. 120 (Уральский государственный университет, Ученые записки № 112, Серия историческая , вып. 22).

თიხის ჰურჭლის ნატეხები, სამფეხა სადგრები, ხის ნახშირის და წიდის ნაშთები, გაწითლებული ნიადაგი. მთლიანი გასუფთავების შედეგად გამოვლინდა თიხატკეპნილი იატაკი, რომლის ჩრდილო ნაწილი მოკირწყლული იყო წვრილი ქვებით. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვქონდა სამეთუნეო ქურის ნაშთთან, რომლის კონსტრუქციის დადგენა ვერ მოხერხდა. ჩანს, ქურა თავის დროზე ყოფილა დანგრეული, ხოლო პლანტაჟის დროს უფრო დაზიანდა.

პირველი ქურის ნაშთისგან ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩნდა შედარებით უკეთ შემონახული მეორე ქურა. მისგან შემორჩენილი იყო საცეცხლურის ქვედა ნაწილი, რომელიც გეგმაში მართკუთხა მოყვანილობისაა, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით. საცეცხლურის კედლები შედგებოდა ერთიმეორესთან მიჯრით მიდგმული სხვადასხვა ზომის რიყის ქვებისგან, ხოლო იატაკი ნაწილობრივ რიყის ქვით იყო მოფენილი და შელესილი ყოფილა თიხით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია შელესილობის ნაშთი. საცეცხლურს „შეშის შესაკეთებელი კარები“[8] სამხრეთ-დასავლეთიდან ჰქონია. მის წინ გამოვლინდა სამფეხა სადგრები და თიხის ჰურჭლის ნატეხები. საცეცხლურის წინ დადასტურდა წვრილი ქვებით მოკირწყლული მცირე მოედანი. საცეცხლურის კედლის ქვები და მიწა მის გარშემო დიდი სიმხურვალის გამო გაწითლებული იყო. ქურის იატაკი ოდნავ დაქანებული ყოფილა დასავლეთისკენ. საცეცხლურის შიდა სიგრძე — 1,05 მ, სიგანე — 0,9 მ. აღმოსავლეთი კედლის სისქე — 0,12 მ, ჩრდილოეთი — 0,15 მ, სამხრეთი — 0,1 მ. მოკირწყლული მოედნის ნაშთის სიგრძე — 1,2 მ, სიგანე — 1 მ.

კერამიკული საწარმო დაფუძნებული ყოფილა კლდოვან ნიადაგზე. ქურის ნაშთები დაფარული იყო მიწის ფენით, რომლის სისქე არ აღემატებოდა 0,5 მ (სურ. 2).



სურ. 2. კერამიკული საწარმოს ხედი ჩრდილოეთიდან

თრანში გათხრილი მეორე ქურა საცეცხლურის ნაშთის მიხედვით კონსტრუქციულად ორსართულიანი უნდა ყოფილიყო და მიეკუთვნება ქურების ე. წ. „ვერტიკალურ ტიპს“[9].

[8] ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა..., გვ. 35.

[9] Э. К. Кверфельдт, Керамика Ближнего Востока, Л., 1947, გვ. 18.

ორსართულიანი ჭურები თავის არსებობას ანტიკური ხანიდან ითვლიან[10] და თითქმის არსებითი ცვლილებების გარეშე გვხვდება შუა საუკუნეების ყველა პერიოდში[11].

საქართველოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით ორსართულიანი ჭურები დღემდეა შემორჩენილი[12].

არქეოლოგიური კვლევა-ძიებით აღმოსავლეთ საქართველოში შუა საუკუნეების კერამიკული წარმოების ნაშთები, სადაც გამოვლენილია ორსართულიანი ჭურები, გათხრილია თბილისში[13], დმანისში[14], ახალსოფელთან[15] და ჟინვალში[16].

თრანის მეორე ჭურისგან მარტო საცეცხლურია შემორჩენილი ნაწილობრივ და მხოლოდ ანალოგიური მასალებით შეიძლება დავადგინოთ, რომ ისიც

---

[10] В. Ф. Гайдукевич, Античные керамические обжигательные печи, Известия Государственной Академии истории материальной культуры, М.-Л., 1934, вып. 80, გვ. 104—108; М. М. Трапш, Древний Сухуми, Труды, Сухуми, 1969, т. 2, გვ. 81, 225, 235, 313; О. Х. Бгажба, Очерки по ремеслу средневековой Абхазии, Сухуми, 1977, გვ. 9; ა. აფაქიძე, სამეფო ქალაქი ქართლისა, „ძეგლის მეგობარი", 1977, 46, გვ. 11.

[11] Б. А. Рыбаков, Ремесло древней Руси, М., 1948. გვ. 342—353; А. Л. Якобсон, Средневековый Херсонес (XII—XIV вв),Материалы и исследования по археологии СССР, М.-Л., 1950, № 17, გვ. 153—166; А. Л. Якобсон, М. Я. Чореф. Гончарные печи VIII—IX вв в юго-западном Крыму, Археологические открытия 1971 года, М , 1972, გვ. 378; Г. И. Ионе, Гончарные печи древнего Мингечаура, Краткие сообщания Института истории материальной культуры, М.-Л., 1949, вып. 24, გვ. 42—50; Н. В. Минкевич-Мустафаева, Раскопки гончарных печей на городище Орен-Кала, Материалы и исследования по археологии СССР, М.-Л., 19 9, № 67, გვ. 174—185; А. М. Беленицкий, И. Б. Бентович, О. Г. Большаков, Средневековый город Средней Азии, Л., 1973, გვ. 49—51.

[12] ლ. ბოჭორიშვილი, ქსნის ხეობის კერამიკა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1947, ტ. XIV-B, გვ. 419; მისივე, ქართული კერამიკა..., გვ. 31; ც. კაკაბაძე, თიხის ნაწარმის გამოსაწვავი ჭურები იმერეთში, XXI სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ანოტაციები. თბ., 1973, გვ. 19—21 (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი); Ц. А. Какабадзе, Шрошская керамика (по этнографическим материалам) Автореферат. дисс. на соискание учен. степени кандидата ист. наук, Тб., 1973, გვ. 10—11.

[13] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1955, ტ. 1, გვ. 132—144; მისივე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 373; ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება XI—XIII სს საქართველოში, თბ., 1956, გვ. 13—14; მ. მიქაშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX—XIII სს), თბ., 1969, გვ. 73—74; ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961, გვ. 25—26; გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს., თბ., 1977, გვ. 123, 134—135.

[14] ვ. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965—1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965—1967წწ. ანგარიშები), თბ., 1969, გვ. 59.

[15] ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1975, გვ. 87—89.


[16] Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, З. А. Каландадзе, М. Г. Маргвелашвили, И. Д. Циклаури, В. В. Чихладзе, М. Г. Глонти, В. О. Асланишвили, К. Б. Церетели, Ц. Ш. Ломидзе, М. Вачнадзе, Г. М. Рчеулишвили, Исследования в Жинвали, Археологические открытия 1976 года, М., 1977, გვ. 480.

ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. სხვა არავითარი მასალა ქურის ზედა ნაწილის აღნაგობის შესახებ არ მოგვეპოვება.

თრანის მეორე ქურა თავისი კონსტრუქციით ემსგავსება ზემოთჩამოთვლილ ქურებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თრანის ქურები შედარებით მცირე მოცულობისაა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ იქ წარმოებდა მცირე ზომის ჭურჭლის გამოწვა.

თბილისში, სამასი არაგველების სახელობის ბაღის ტერიტორიაზე გათხრილი XII—XIII სს. კერამიკული სახელოსნოს მიხედვით თრანის ქურებს ამავე პერიოდს მივაკუთვნებთ. ამაზევე მეტყველებს თრანის ქურების პროდუქცია, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძირითადად XII—XIII საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი.

თრანის ორივე ქურის ნანგრევებში აღმოჩენილია თიხის სამფეხა სადგრები, რომლებიც სამეთუნეო წარმოების ერთ-ერთ უტყუარ საბუთს წარმოადგენს. სულ აღმოჩენილია 17 სადგარი (№ 256, № 668—683), რომელთა შორის მთელებიცაა და ნაკლულებიც.



სურ. 3. თიხის სამფეხა სადგარი

სადგარი (№ 671) სამფეხა (სურ. 3) გამომწვარი მოყავისფრო, ბრტყელი ზედაპირით. თითოეულ შვერილზე წაწვეტებული კონუსური ფეხებით და სანახევროდ შებოლილი. კეცი მკვრივია, თიხა შეიცავს ქარსის მინარევს. სიმაღლე — 3,5 სმ. ერთი შვერილის სიგრძე (ცენტრიდან) — 4 სმ.

ამ ტიპის სადგრები გვხვდება თითქმის ყველა სამეთუნეო წარმოებაში[17].

[17] ო. ჯაფარიძე, „განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1955, ტ. 1, გვ. 94; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში..., გვ. 141, 149, ტაბ. IV; ი. გძელიშვილი, ო. ტუშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები..., გვ. 67, ტაბ. 26, № 139; ვ. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965—1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში..., გვ. 58; Р. Рамишвили, В. Джорбенадзе, З. Каландадзе, В. Николаишвили, М. Маргвелашвили, Г. Рчеулишвили, В. Чихладзе, И. Циклаури, В. Асланишвили, М. Глонти, К. Церетели, И. Бакрадзе, Археологические изыскания в Арагвском ущелье, Полевые археологические исследования в 1974 году, Тб., 1976, გვ.

თრანის ქურების მაგალითით ირკვევა, რომ საშეხა სადგრები სამეთუნეო წარმოებაში არა მხოლოდ მოჭიქული ჯამების გამოსაწვავად გამოიყენებოდა, არამედ სხვა შემთხვევებშიც. მით უმეტეს, რომ მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები, არც ქურაში და არც უშუალოდ ქურის გარშემო თრანში არ აღმოჩენილა.

თრანის კერამიკული საწარმოს პროდუქცია ძირითადად წარმოდგენილია სამი ტიპის ჭურჭლით: **1.** მილიანი ჭინჭილები, **2.** ხელადები და **3.** სურები.

ჭურჭლებს შორის სჭარბობენ ჭინჭილები (№№ 259, 262, 264—265. 685—687, 697, 699), რომელთაგან ორი მთელია.

ჭ ი ნ ჭ ი ლ ა (სურ. 4) მოწითალოდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი, ნისკარტიანი პირით, მომრგვალებული ბაკოთი, მაღალი ყელით. ჭურჭელს აქვს ოვალურსფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. თავმორკალული ბრტყელღეროიანი ყური მიძერწილია შუაყელსა და მუცელზე. მხრის საზღვარზე დაძერწილი აქვს მრგვალი მილი. ყელს ფუძესთან შემოუყვება წვრილი წიბო. ჭინჭილა, ყურის ძირის დონეზე და მუცელზე, შემკულია ორ-ორი წრიული ნაჭდევით. მუცელზე ემჩნევა სიგრძივი მოყავისფრო, პრიალა, წვრილი „ნაცვილი“ ზოლები. თიხა მინარევებიანია, გამომწვარია კარგად. სიმაღლე —



სურ. 4. ჭინჭილა (№ 265)

75; А. Л. Якобсон, Художественная керамика Байлакана (Орен-Кала), Материалы и исследования по археологии СССР, М.-Л., 1959, № 67, გვ. 287; А. А. Калантарян, К вопросу о способах изготовления керамики в средневековой Армении, Археологические памятники феодальной Грузии, თბ., 1974, ტ. II, გვ. 284, ტაბ. 4.

15,5 სმ, მუცლის დმ — 10 სმ, ძირის დმ — 6,7 სმ. პირის სიგრძე — 3,6 სმ, სიგანე — 3,5 სმ. ბაკოს სისქე — 0,2 სმ. ყელის სიმაღლე — 4,6 სმ, დმ — 3 სმ. ყურის სიმაღლე — 7 სმ, სიგანე — 1,4 სმ, სისქე — 1,1 სმ. მილის სიგრძე — 3 სმ, დმ — 1,3 სმ. კეცის სისქე — 0,5 სმ.

მილიან ჭინჭილებს მრავალი ანალოგიები მოეპოვება.

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის XII—XIII სს. მასალებში[18] არის თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებთაც გვერდზე გამოყვანილი აქვთ მილი (ლულა). საყურადღებოა, რომ დმანისის მილიან ჭურჭელს ყელში გაკეთებუ-



სურ. 5. ხელადა (№ 689)

ლი აქვს დახვრეტილი ცხრილისებური ტიხარი, რომელიც, ალბათ, ფილტრის როლს ასრულებდა.

რუსთავის ნაციხარზე, XI—XIII სს. მრავალრიცხოვან კერამიკულ ნაწარმთა შორის არის მილიანი ხელადა, რომელიც თავისებური დანიშნულების ჭურჭელი უნდა ყოფილიყო[19].

---

[18] ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება..., გვ. 22, ტაბ. IX, სურ. 10, 15, 16; მ. გოჩიაშვილი, მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი დმანისიდან, არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977, გვ. 127, ტაბ. XX, 3.

[19] მ. ჩხატარაშვილი, რუსთავის შუა საუკუნეთა მოუჭიქავი კერამიკის ერთი თავი-

მილიანი ჭურჭელი აღმოჩენილია თბილისში, რომელსაც გამთხრელები „ჩაიდნისებურ ჭურჭელს“ უწოდებენ[20].

თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება მილიანი ჭურჭლები, რომელთა შორის არის ცისფრად მოჭიქულიც[21]. ჩანს, ამ ტიპის ჭურჭლები მოჭიქულ ჭურჭელთა შორისაც ყოფილა გავრცელებული.

თელავში გამოვლენილი შუა საუკუნეების წითელკეციან კერამიკას შორის არის წერნაქიანი მილიანი ჭინჭილაც[22].

ძველი გავაზის მრავალსართულიანი (X—XVII სს) სამაროვნის შესწავლისას აღმოჩენილია თხელკედლიანი ცალყურა ჭურჭელი ჩაიდნისებური ნისკარტით, რომელიც შედარებულია რუსთავში აღმოჩენილ დაახლოებით ამ ტიპის XI—XII სს სპილენძის ჭურჭელთან[23].

მილიანი ჭურჭლის ნატეხები, მათ შორის მთელიც, გამოვლენილია ჟინვალის ნაქალაქარის XII—XIII საუკუნეების ფენებში[24].

ანალოგიური ჭურჭლები ნაპოვნია შუა საუკუნეთა ნაქალაქარების სათანადო ფენებში: ორენ-ყალაში[25], კაბალაში[26], დვინში[27], ქერსონესში[28] და სხვ.

მილიანი ჭურჭლები, ოღონდ განსხვავებული ფორმის, აგრეთვე ცნობილია ბულგარეთში, XI—XII სს კერამიკულ ნაწარმს შორის[29].

ამ ბოლო დროს საქართველოში გვიანი შუა საუკუნეების ძეგლების თხრი-

---

სებური სახეობა, „მაცნე“, 1964, № 5, გვ. 167, ტაბ. I, სურ. 1; მომდევნო წლებშიც რუსთავის ნაციხარზე აღმოჩნდა მილიანი ჭურჭლები (1959 წ.—№ 463, 1964 წ.—№ 3592, 1965 წ.—№ 5720, 5946 — 6545).

[20] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ო. ტ უ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები..., გვ. 35, 63, ტაბ. XXIII, № 83.

[21] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კერამიკული წარმოება..., გვ. 28, 60, 68, ტაბ. XXXI, I; ტაბ. LXXI, 6, 9; ტაბ. LXXII, 4, 5.

[22] ც. ჩ ი ქ ო ი ძ ე, ქალაქ თელავის ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1969, I, გვ. 42—43, 154, ტაბ. IX, 2.

[23] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ახალსოფლის არქეოლოგიური ექსპედიცია (1970-71 წწ. ანგარიში), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, თბ., 1974, III, გვ. 127—128, სურ. 11; მ ი ს ი ვ ე, ძველი გავაზი..., გვ. 56, ტაბ. LXV.

[24] იხ. ჟინვალის ნაქალაქარის X და XVII უბნების ხელმძღვანელის მ. მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს, ანგარიშები (ხელნაწერები).

[25] А. Л. Я к о б с о н, Раскопки на городище Орен-Кала в 1953—1955 гг, Материалы и исследования по археологии СССР, М.-Л., 1959, № 67, гг. 134, сур. 103, 104; Г. М. А х м е д о в, Неполивная керамика Орен-Кала IX—XIII вв., Материалы и исследования по археологии СССР, М.-Л., 1959, № 67, гг. 210, 212, 214, таб. XI,1, 2.

[26] О. Ш. И с м и з а д е, О раскопках в Кабале на территории южной части городища в 1960 г., Материальная культура Азербайджана, Баку, 1964, т. V, гг. 91, таб. II, 2, таб. X, 8.

[27] К. К а ф а д а р я н, Город Двин и его раскопки, Ереван, 1952, I, гг. 187, сур. 160.

[28] Сводный отчет о раскопках в Херсонесе объединенной экспедиции в 1963—1964 гг., Античная древность и средние века, Свердловск, 1971, сб. 7, гг. 9, сур. 13 (Уральский государственный университет, Ученые записки № 112, Серия историческая, вып. 22).

[29] И. Щ е р е в а, Принос към проучването на средновековната керамика в България XI—XII вв), «Археология», София, 1977, № 3, гг. 11—12, сур 4.

სას აღმოჩნდა მილიანი ჭურჭლებიც[30]. ამ ტიპის ჭურჭლები ავრეთვე დამოწმებულია ეთნოგრაფიულ სინამდვილეში[31].

მილიანი ჭურჭლები, ალბათ, გამოიყენებოდა წყლის და ღვინის სასმელად.

თრანის მილიანი ჭურჭლები მოყვანილობით და შემკულობით განსაკუთრებით ემსგავსებიან ნაქალაქარების XI—XIII საუკუნეთა ფენებში აღმოჩენილ ჭურჭლებს, რაც ოდინაანთნასახლარის დანარჩენ არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად საშუალებას გვაძლევს ისინი საიმედოდ დავათარიღოთ XII—XIII საუკუნეებით.



სურ. 6. ხელადა (№ 691)

ზემოთ მოყვანილი ანალოგიური მასალებიდან ჩანს, რომ მილიანი ჭურჭლები შუა საუკუნეებში გავრცელებული ყოფილა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ერწოში ჩატარებული კვლევა-ძიებით დასტურდე-

---

[30] ალ. კალანდაძე, ალ. ბოხოჩაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 16 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი); თ. არჩვაძე, თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წყრნაქიანი ჭურჭელი, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1974, II, გვ. 179—180, ტაბ. VII.

[31] ს. ბედუკაძე, ნ. რეხვიაშვილი, ლ. მოლოდინი, მ. ჩართოლანი, გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური კერამიკა, თბ., 1964, გვ. 79, ტაბ. XII, I; ს. ბედუკაძე, კერამიკა, მოჭიქული ჭურჭელი, თბ., 1964, ტაბ. IV, 3; ც. კაკაბაძე, ყურმილიანი ჭურჭელი, „ძეგლის მეგობარი", 1976, 42, გვ. 49—50.

ბა, რომ მილიანი ჭურჭლების წარმოება შუა საუკუნეებში (XII—XIII სს) არ ყოფილა უცხო ქართული მეთუნეობისათვის.

ჭურჭლების მეორე ჯგუფს წარმოადგენს ყურიანი ხელადები (№№ 684, 689, 690—692, 694—696, 698, 700, 702, 707), რომლებიც ძირითადად ერთი ტიპისაა, თუმც პირის, მუცლის და ყელის მოყვანილობის მიხედვით მათ შორის შეინიშნება რამდენიმე სახესხვაობა.

ხ ე ლ ა დ ა (სურ. 5) მოწითალოდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი სამტუჩა პირით, მომრგვალებული ბაკოთი, შემაღლებული ცილინდრული ყელით, ოვალურსფერული მუცლით და ბრტყელი ძირით. თავმორკალული ბრტყელი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. ყელს ფუძესთან შემოუყვება წვრილი წიბო. მხრის ქვემოთ, ყურის ძირის დონეზე და მუცელზე შემოუყვება ორორი წრიული ნაჭდევი. მუცელზე ემჩნევა სიგრძივი მოყავისფრო, პრიალა წვრილი ზოლები. თიხა მინარევიანია, გამომწვარია კარგად. სიმაღლე — 16,7 სმ, მუცლის დმ — 14,4 სმ, პირის სიგანე — 4,9 სმ. ყელის სიმაღლე — 4,6 სმ. დმ — 4 სმ. ყურის სიმაღლე — 7,8 სმ, სიგანე — 1,7 სმ, სისქე — 1,2 სმ. კეცის სისქე — 0,5 სმ.




სურ. 7. ხელადა (№ 694)

ხ ე ლ ა დ ი ს (სურ. 6) ზედა ნაწილი, ყურით, ყელპირის გარეშე, მოწითალოდ გამომწვარი, სფერული მუცლით. თავმორკალული ბრტყელღეროიანი ყური მიძერწილი ყოფილა პირსა და მუცელზე. მხარზე შემოუყვება სამი წრიული ჰდე, ხოლო მუცელზე — ერთი. თიხა წვრილმინარევიანია, გამომწვარია

კარგად. მუცლის დმ — 16 სმ. ყურის სიმაღლე — 10 სმ, სიგანე — 2 სმ, სისქე — 1,7 სმ. კეცის სისქე — 0,5 სმ.

ხ ე ლ ა დ ი ს (სურ. 7) ყელ-ყურის ნაწილი მოწითალო-ყავისფრად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირით, მომრგვალებული ბაკოთი, მაღალი, ცილინდრული ყელით. თითქმის მრგვალგანივკვეთიანი ყური თავით მიძერწილია პირის ქვემოთ და ბოლოთი მხარზე. ყელს ზედა ნაწილში და ფუძესთან შემოუყვება წვრილი წიბო. ყელზე ეჩჩნევა სიგრძივი მოყავისფრო, პრიალა, წვრილი ზოლები. თიხა ქარსიანია, გამომწვარია არასრულად. პირის დმ — 6 სმ. ყელის სიმაღლე — 9,5 სმ, დმ — 5 სმ. ყურის სიმაღლე — 9,5 სმ, სიგანე — 1,5 სმ, სისქე — 1,3 სმ. კეცის სისქე — 0,4 სმ.




სურ. 8. ხელადა (№ 690)

ხ ე ლ ა დ ი ს (სურ. 8) პირ-ყელის ნატეხები, მოწითალოდ გამომწვარი, შემსხვილებული ბაკოთი, ღარისებური, ზემოთ აზნექილი ტუჩით, მრგვალგანივკვეთიანი მომაღლო ყელით, ყურის ნაშთით. ხელადას ყელზე, ბოლოში შემოუყვება წიბო, ხოლო ზედა ნაწილში, ტუჩის ორსავე მხარეს, მიძერწილია თიხის „ყურისებური“ სამკუთხა შვერილები. მათ შორის, ტუჩის ქვემოთ, თიხის კონუსური „ნისკარტისებური“ შვერილია. მუცელი შემკული ჰქონია სამი წრიული ჭდეთი და სიგრძივი, მკრთალი, მოყავისფრო, პრიალა, წვრილი ზოლებით. თიხა ქარსიანია, გამომწვარია კარგად. ყელის სიმაღლე — 5,2 სმ, დმ — 3,1 სმ. პირის სიგანე — 3,8 სმ. კეცის სისქე — 0,5 სმ.

ხელადებს შორის შედარებით მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს სამტუჩაპირიანი ჭურჭლები. ამ ტიპის ხელადები და დოქები მრავლად გვხვდე-

ბა აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების განათხარ ძეგლებს შორის: თბილისში[32], რუსთავში[33], ივრის სიონში[34] და სხვ.

ჟინვალის ნაქალაქარზე[35] და მის მიდამოებში გათხრილ დეგებიანების ორ



სურ. 9. სურა (№ 688)

[32] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები..., გვ. 59, ტაბ. XIX, 16; გვ. 60, ტაბ. XIX, 33; გვ. 63, ტაბ. XXIII, 80, 82; 85; გვ. 70, ტაბ. XXVIII, 180.

[33] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, თბ., 1958, გვ. 108; მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, რუსთავის შუა საუკუნეთა მოუჭიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა..., გვ. 167.

[34] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, სიონი, თბ., 1970, I, გვ. 94—95, ტაბ. XXIX, 303.

[35] მ. მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ჟინვალის „ნაქალაქარი", ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1975, გვ. 40—41.

ნასოფლარზე და ხერთვისის ციხეზე XII—XIII საუკუნეების ფენებში გამოვლენილია სამტუჩა ხელადების ნატეხები[36], რომლებიც ემსგავსებიან თრანის ნაწარმს.

მეტად თავისებურ ტიპს წარმოადგენს ცალყურა ხელადა, რომლის ყელი შვერილებითაა შემკული, ხოლო ტუჩი აწეულია ზევით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჭერჭლის ყელ-პირის ნაწილში მოცემულია ფრინველის სტილიზებული გამოსახულება.

თიხის ჭურჭლის ყელ-პირის ამდაგვარი შემკულობა ფიქსირებულია ჯავახეთის ახალქალაქის XI—XII სს ფენაში[37].

ჟინვალის ნაქალაქარის XVII უბანზე 1977 წელს აღმოჩნდა თეთრკეციანი ხელადის ყელ-პირის ნატეხი (09—77—XVII—24)[38], რომელიც თავისი მოყვანილობით ძალიან ემსგავსება თრანის ჭურჭელს. ჟინვალური ჭურჭელი გამოვლენილია XIII ს-ის ფენაში, რომელიც დათარიღებულია რუსუდან დედოფლის მონეტით.

თრანის კერამიკულ საწარმოში აღმოჩენილი ყურიანი ხელადებიც ზემოთ მოყვანილი ანალოგიური მასალებით თარიღდება XII—XIII საუკუნეებით.

თრანის ქურის ნაწარმის მესამე ჯგუფში გაერთიანებულია სურები (№№ 688, 693, 701).

ს უ რ ა (სურ. 9) მოწითალოდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი პირით, მომრგვალებული ბაკოთი, მაღალი ცილინდრული ყელით, დაბალი სფერული, ოდნავ ბიკონუსური მუცლით, ბრტყელი ძირით. ყელს ზედა ნაწილში და ფუძესთან შემოუყვება წვრილი წიბო. სურის მუცელს შემოუყვება სამი ჭდე და შემკულია სიგრძივი, მოყავისფრო, პრიალა, წვრილი ზოლებით. თიხა მინარევებიანი, გამომწვარია კარგად. სიმაღლე — 19,5 სმ, მუცლის დმ — 12 სმ, ძირის დმ — 7,5 სმ. პირის დმ — 5 სმ. ყელის სიმაღლე — 9,5 სმ, დმ — 4,7 სმ. კეცის სისქე — 0,5 სმ.

ამ სურებს ჯერჯერობით უშუალო ანალოგია არ მოეძებნება. მაგრამ ამდაგვარი მაღალყელიანი ყურიანი ხელადა აღმოჩნდა 1977 წლის გათხრების დროს ჟინვალის ნაქალაქარის XVII უბანზე, XIII ს-ის მასალებს შორის.

თრანის კერამიკული საწარმოს პროდუქცია ზოგად მსგავსებას იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილ ანალოგიურ მასალებთან. მაგრამ მათ მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებთ, რაც აღნიშნული სახელოსნოს დამახასიათებელ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს (ტექნოლოგია, მასალა, მოყვანილობა და სხვ.).

თრანის კერამიკა გამოირჩევა დამზადების ტექნოლოგიის ერთფეროვნებით. ყველა ჭურჭელი გამომწვარია მოწითალოდ (მეტ-ნაკლები გამოწვის სისრულით), თხელკედლიანია, თიხა მინარევიანია. ჭურჭლები გამოყვანილია მორგვზე. ერთნაირი აქვთ შემკულობის ხერხებიც: ყელს და მუცელს შემოუყ-

---

[36] გ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, VII, XXII და XXIV უბნებზე მუშაობის ანგარიშები (ხელნაწერები); მ ი ს ი ვ ე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ხერთვისის კოშკთან, ჟინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1957, გვ. 44.

[37] ცნობა მოგვაწოდა ჯავახეთის ახალქალაქის გამთხრელმა ე. ჯ ა ნ დ ი ე რ მ ა. აგრეთვე იხ. ე. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1966, გვ. 63—67.

[38] მასალა მოგვაწოდა ჟინვალის ნაქალაქარის XVII უბნის ხელმძღვანელმა მ. მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა.

ვება წიბო და ჭდეები, ზედაპირი შემკულია სიგრძივი, მოყავისფრო, პრიალა წვრილი ზოლებით.

სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები ისეთ დიდ მსგავსებას იჩენს ერთმანეთთან (ცეცხ სისქე, ფერი, შემკულობა), რომ მათი გარჩევა ხერხდება მხოლოდ ჭურჭლების ცალკეული დეტალებით. შესაძლებელია ეს ნაწარმი ერთი ხელოსნის მიერ იყოს ნაკეთები.

საწარმოს ტერიტორიაზე თხრის დროს და საერთოდ ოდინაანთნასახლარზე აღმოჩნდა მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნატეხები (ჯამები, ქოთნები, ქილები, დერგები, კოკები, ქვევრები და სხვ.), რომლებიც ალბათ წარმოადგენდნენ მეთუნეების ყოფით საგნებს. აღნიშნული კერამიკა აგრეთვე დამახასიათებელია XII—XIII საუკუნეებისათვის.

ახლად გამოვლენილი კერამიკული საწარმო მიეკუთვნება ნასოფლარს, რომელიც მის სამხრეთითაა განფენილი. ამ ნასოფლარზეა გალავანშემოვლებული პატარა ხატის ნანგრევები ცნობილი „მიხეილთჯვარის“ სახელწოდებით.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილი და გათხრილი ქურები წარმოადგენენ მცირე ნაწილს იმ საწარმოო უბნისა, რომლის შესწავლა მთლიანად ვერ მოხერხდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამეთუნეო წარმოების ამ ადგილას დაარსებას ხელს უწყობდა კარგი ბუნებრივი პირობები: ოდინაანთნასახლარის სიახლოვეს უხვადაა ჭურჭლისათვის საჭირო თიხები, იქვე ჩამოდის თრანულას ხევი, ხოლო საწვავი კი უხვად მოიპოვება მიმდებარე ტყეში.

ამრიგად, თრანის ქურების სახით ივრის ხეობის ზემო წელში პირველად იქნა შესწავლილი სამეთუნეო წარმოება, რომლის პროდუქცია გამოირჩევა კარგი ხარისხით და მრავალფეროვნებით.

თხრის პროცესში გაირკვა, რომ ქურები ნასოფლართან ერთად, ალბათ, დაიქცა მონღოლების ერთ-ერთი შემოსევის დროს. როგორც ჩანს, უბედურება მაშინ დაატყდა სოფელს, როდესაც კერამიკულ ქურიდან გამომწვარი ჭურჭელი ჯერ კიდევ არ იყო ამოღებული. ამიტომაც თიხის ნაწარმი ქურებთან ერთად ადგილზე იყო ჩალეწილი დიდი რაოდენობით.

თრანის ქურების შესწავლით შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მეთუნეობის ცნობილ ცენტრებს მიემატა კერამიკული წარმოების კიდევ ერთი ახალი კერა.

В. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

ГОНЧАРНЫЕ ПЕЧИ СЕЛЕНИЯ ТРАНИ

Резюме

В 1966 году в сел. Трани (долина Эрцо, Тианетский район) на правом берегу р. Транула, в местечке Одинаант насахлари при глубокой вспашке были обнаружены обломки глиняных сосудов.

В 1969 году Эрцо-Тианетская археологическая экспедиция (руководитель — старший научный сотрудник Р. М. Рамишвили) Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили провела разведочные раскопки в местечке Одинаант насахлари.

Была заложена траншея разм. 6,3×5,0 м. В восточной части выявлен фундамент стены (рис. 1, 2), состоящей из двухсторонней булыжной кладки, заполненной битым камнем. Параллельно этой стене обнаружен остаток еще одной стены.

В юго-западной части траншеи выявлена овальная яма (разм. 1,8×1,3 м), обложенная булыжными камнями (рис. 1). Такие ямы, предназначенные для хранения или приготовления глины, зафиксированы этнографическими данными в Кахети (Л. И. Бочоришвили) и раскопаны в Бичвинте (Р. В. Путуридзе) и Херсонесе (А. И. Романчук).

Между этими стенами выявлен обожженный глинобитный пол (рис. 1) овальной формы (разм. 1,0×0,8 м), где найдены обломки глиняных сосудов, подставки-треножники, остатки древесного угля и шлака. Видимо, здесь был остаток сильно разрушенной керамической печи.

Рядом найдена сравнительно лучше сохранившаяся вторая печь (рис. 1). Выявлено основание топочной камеры, прямоугольное в плане, со слегка закругленными углами. Стены и частично основание топочной камеры состояли из булыжных камней. Устье топочной камеры находилось в юго-западной стороне. Внутренняя длина топочной камеры — 1,05 м, ширина — 0,9 м. На основании этнографических (Л. И. Бочоришвили, Ц. А. Какабадзе) и археологических материалов (Г. А. Ломтатидзе, И. А. Гзелишвили, О. В. Ткешелашвили, В. В. Джаларидзе, А. М. Апакидзе, Л. А. Чилашвили, Р. М. Рамишвили, В. Ф. Гайдукевич, Б. А. Рыбаков, А. Л. Якобсон, М. Я. Чореф, Г. И. Ионе и др.) можно предположить, что эта печь была двухъярусной и принадлежала к так называемым «вертикальным типам» (Э. К. Квирфельдт).

Среди развалин двух печей обнаружено семнадцать глиняных подставок-треножников (рис. 3).

Продукция Транского керамического производства представлена сосудами трех типов (рис. 4—9): 1) кувшины с ручкой и втулкой на боку — «чинчила», 2) кувшины с ручкой — «хелада» и 3) кувшины без ручки — «сура». Среди кувшинов с ручкой выделяются сосуды с трегубым горлом и приподнятым сливом.

Транская керамика выделяется однообразием технологии изготовления. Все кувшины небольшого размера, красноватого обжига, тонкостенные, изготовлены на гончарном круге. Глина с примесью. Горло и тулово сосудов окаймлены рельефными полосками и углублениями, а поверхность украшена коричневатыми вертикальными лощеными тонкими линиями. Обломки разных сосудов так схожи (толщина сосудов, цвет, украшение), что они должны быть изготовлены одним мастером.

На основании аналогичных материалов, найденных в Дманиси, Рустави, Тбилиси, Телави, Дзвели Гавази, Сиони (Иорское ущелье), Ахалкалаки (Джавахети), Жинвали, Орен-Кале, Кабале, Двине, Херсонесе, Болгарии и др. транская керамика датируется XII—XIII вв. Соответственно к этому же периоду относятся и обжигательные печи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებამ.

დისკუსია და განხილვა

ირაკლი ანთელავა

ერთხელ კიდევ XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის

ჟურნალ „მაცნე“-ს 1977 წლის მეოთხე და მომდინარე წლის პირველ ნომრებში გამოქვეყნდა დ. გოგოლაძის წერილი „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის საკითხისათვის“, რომელიც წარმოადგენს ჩვენი თითქმის ამავე სათაურით გამოსული მონოგრაფიის რეცენზიას. ავტორი მთლიანად უარყოფს წიგნში წამოყენებულ ყველა დებულებას და ცდილობს საკუთარი, განსხვავებული თვალსაზრისი განავითაროს. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, წარუმატებლად. ორ თაბახზე მეტი მოცულობის წერილში არ არის არც ერთი სიტყვა გამოკვლევის დადებით მხარეებზე, რაც კარგად მეტყველებს მის არაობიექტურ და ტენდენციურ ხასიათზე[1].

* * *

ავტორი უარყოფს ჩვენს დებულებას საგლეხო საკუთრების ზრდის შესახებ XVIII ს-ის საქართველოში და წერს, რომ „სინამდვილეში ვითარება პირუკუ იყოო“ (გვ. 200). თან დასძენს: ამის სისწორეს ქვემოთ დავამტკიცებთო. მაგრამ „ქვემოთ“ ჩვენ ვერაფერი ვნახეთ და დებულება არსებითად დაბეჭდილად დარჩა. ჩვენ მიერ მოტანილ სტატისტიკას გლეხთა ნასყიდი მიწების ზრდის შესახებ ის უპირისპირებს მხოლოდ ზოგად მსჯელობას, რაც, თავისთავად, ცხადია საქმეს ვერ შველის, მიზანს ვერ აღწევს. რა ხასიათისაა მაინც ეს ზოგადი მსჯელობა? რა ფაქტებსა და მოვლენებს ასახელებს დ. გოგოლაძე? მას თავისი მოსაზრების დამამტკიცებელ მთავარ არგუმენტად მოჰყავს ეგრეთწოდებული ბეითალმანობის წესის არსებობა საქართველოში. ამ წესის თანახმად, უმემკვიდროდ (ე. ი. უძეოდ) გარდაცვლილი გლეხის უძრავ-მოძრავი ქონება მისი ბატონის განკარგულებაში გადადიოდა. არც ქვრივი, არც ქალიშვილები და არც ახლო ნათესავი ქონების მემკვიდრედ არ ითვლებოდნენ. ამაზე დაყრდნობით დ. გოგოლაძე წერს, რომ „ფეოდალიზმის დროს ყოველგვარი ნასყიდი ბეითალმანი მებატონე ფეოდალის ხელში გადადის“[2]. ამ კანონმა, — აგრძელებს ის, — განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა საგლეხო საკუთრებას ოსმალობა-ყიზილბაშობის დროსო (1723—1735; 1735—1747 წწ.), როდესაც გაჩნდა აუარებელი ამოწყვეტილი და უპატრონოდ დარჩენილი მამული. „მიტოვებული და ამოწყვეტილი საგლეხო მიწები — ვლეხთა ბეითალმანი (უპატრონო) ადგილ-მამულები, უსყიდი და ასევე ნასყიდი, მათ მებატონე ფეოდალთა უშუალო საკუთრებაში გადადიოდა... ფეოდალები დაცარიელებულ, უპატრო-

---

[1] ამის დამადასტურებელი ისიცაა, რომ ჩვენს წიგნზე, როგორც მოგეხსენებათ, გამოქვეყნდა არაერთი დადებითი რეცენზია (იხ. „მაცნე“, № 2, 1977; „ეკონომისტი“, № 9, 1977; „ცისკარი“, № 2, 1978).

[2] „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1977, გვ. 201.

ნო-ბეითელმან საგლეხო მიწებს, — უსყიდსა და ნასყიდს — საკუთრივ თავიანთ მიწებს (ფეოდალურ დომენებს) უერთებდნენ... ამის გამო, ბუნებრივია, მოცემულ ხანაში, XVIII საუკუნეში, დიდად შემცირდა გლეხთა მიწათმფლობელობა... პარალელურად დიდად გაიზარდა ფეოდალური მიწის მფლობელობა, მისი მასშტაბი, საკუთრივ საბატონო მიწების ფართობის სფერო... გაიზარდა მებატონე-ფეოდალთა მონოპოლიური მფლობელობა მიწაზე“[3].

ციტირებული ადგილი რამდენიმე შენიშვნას იმსახურებს. პირველი, ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს ქართლში (კერძოდ, ქვემო ქართლში) დაკარგული მიწების ერთი (ცხადია, მეტი) ნაწილი ისედაც თავადაზნაურების საკუთრებას შეადგენდა და გლეხს ის მხოლოდ სარგებლობის უფლებით ჰქონდა მიცემული. ამიტომ ასეთი მიწების გადასვლა მებატონის ხელში, ცხადია, არც ერთი კვადრატული მეტრით არ ადიდებდა მის მიწათმფლობელობას, არ ამცირებდა გლეხთა ნასყიდი მიწების რაოდენობას, სწორედ იმ მიწებისა, რომელზედაც ლაპარაკია ჩვენს წიგნში საერთოდ და იქ მოტანილ შესაბამის ცხრილში — კერძოდ. მეორე, დ. გოგოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს უპატრონოდ დარჩენილ გლეხთა ნასყიდი მიწების კატასტროფულად შემცირების ფაქტს. ეს შესაძლებელია ნაწილობრივ სწორიც იყოს საქართველოს ზოგი კუთხის (მაგალითად, ქვემო ქართლის) მიმართ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგანაც სრულიად გამორიცხულია, რომ ერთი რაიონიდან აყრილი და მეორეში გადასული გლეხი თუნდაც მცირე ხნით უმიწოდ დარჩენილიყო. ამ უკანასკნელის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო სარგებლობის პირობით აღებულ ფეოდალურ მიწებს, არამედ ნასყიდ მამულებსაც. თანაც ეს ვარაუდი კი არ არის, არამედ ფაქტია. ამას ადასტურებს მიწების ყიდვა-გაყიდვის ჩვენი ცხრილი. ამ ცხრილიდან მკაფიოდ ჩანს, რომ სოფლის მშრომელ მოსახლეობას (სულ არაა მნიშვნელოვანი, თუ რომელი კუთხიდანაა ის) არც აღნიშნული ძნელბედობის ხანაში შეუწყვეტია ძირითადი საწარმოო საშუალების — მიწის შესყიდვა. თანაც, ვინ იცის, აყრილმა გლეხმა იქნებ მეტი იყიდა კიდეც, ვიდრე დაკარგა აყრის შედეგად, მით უმეტეს, რომ მთავრობაც გარკვეულად ხელს უწყობდა გლეხის დაბინავებას, ეკონომიურ მოღონიერებას. მესამე, რატომ სდუმს და არაფერს ამბობს დ. გოგოლაძე იმ ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ, რომელიც ალავერდელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა და ერეკლე II გაატარეს ბეითალმანობასთან დაკავშირებით სწორედ ყიზილბაშური ხანის დამთავრების უმალ. პირველმა მათგანმა 1749 წელს დაამტკიცა დებულება, რომლითაც თავის სამფლობელოში აკრძალა უმემკვიდრეოდ გარდაცვლილ ყმათა მამულების ხსენებული წესით გადაცემა. ალავერდელმა ეპისკოპოსმა უძეო გლეხის ქონების კანონიერ მემკვიდრედ მისი ქვრივი და ქალიშვილები გამოაცხადა[4]. მალე იგივე გააკეთა ერეკლე მეორემაც თავის სახასო მამულებში. მეფის მიერ დამტკიცებულ განჩინებაში აღიარებულია გლეხის ქვრივისა და ქალიშვილების უფლება გარდაცვლილი ქმრისა და მამის ნაჭირნახულებზე[5].

მართალია, არც ალავერდელისა და არც ერეკლეს განწესებას არ ჰქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედი კანონის ძალა და ხასიათი, მაგრამ მათ, ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მაინც დიდი მნიშვნელობა“[6] ენიჭე-

[3] „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1977, გვ. 206—207.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. III, გვ. 811—812.

[5] იქვე, ტ. II, გვ. 412—413.

[6] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 403.

ბოდა, რადგანაც „უეჭველია კახეთის სხვა ფეოდალებიც“ იძულებული იქნებოდნენ მიებაძათ ამ ორი უდიდესი მფლობელისათვის“[7].

ამრიგად, ბეითალმანობის წესი, რომელიც დ. გოგოლაძის აზრით, ასე კატასტროფულად ამცირებდა საგლეხო საკუთრებას, მალე საგრძნობლად შეიზღუდა. უბეოდ გარდაცვლილი გლეხის ქონების მემკვიდრედ ქვრივისა და მისი ქალიშვილების აღიარება ნასყიდი მიწების ფეოდალური შეზღუდულობიდან გამოსვლისა და მათი სტატუსის ბურჟუაზიული გზით განვითარების მაჩვენებელი იყო.

კიდევ ერთი შენიშვნა ბეითალმანობასთან დაკავშირებით. დ. გოგოლაძე, გატაცებული ჩვენი დებულების უგულვებელყოფის სურვილით, ყურადღებას ამახვილებს საკითხის მხოლოდ ერთ მხარეზე — გლეხთა საკუთარი მიწების მებატონეთა ხელში გადასვლაზე ბეითალმანობის წესით. მაგრამ გამორიცხული ხომ არც მეორე ტენდენცია იყო — „ამოწყვეტილი“ მამულების პატრონებისათვის მიწების დაბრუნებისა. „ძველადვე, — ნათქვამია ერეკლე II-ის 1773 წლის სიგელში გოგიბედაშვილისადმი, — ჩვენის ტახტის მოსამსახურენი ყოფილხართ და სახასო ყმანი. ამას წინათ შენ ლეკთაგან დატყვევებულ იყავ და უთრუთიშვილი ციცოშვილი გივი წამოდგა და ამოვარდნილის მამულობის მიზეზით შენის მამულის ბოძებას დაგვეაჯა და ჩვენც უბოძეთ. მაგრამ ამას უკან შენ ტყვეობიდამ მოხვედი და ისევ შენის სამკვიდროს მამულის წყალობას დაგვეაჯენით და გიბოძეთ და ისევ შენ და შენი ბიძაშვილი ჩვენს სახასოდ ყმად დაგდევით შენის მამულითა. და უთრუთის შვილს გივს ჩვენგან ბოძებული შენის მამულის და შენის შვილების და ბიძაშვილის წყალობის ფარვანი რომ აქუს, ის ფარვანი წიგნითა ამით დაგვირღვევია და გაგვიბათილებია“[8].

ეს საბუთი, რომელიც, როგორც ჩანს, ქვემო ქართლს ეხება, ერთი მხრივ ადასტურებს დასახელებულ მხარეში ბეითალმანობის წესის არსებობას, მაგრამ, მეორე მხრივ, იმის მკაფიო მაჩვენებელია, რომ აღნიშნული წესის გამოყენებისას მთავრობა, გამომდინარე ხაზინის ინტერესებიდან, ცდილობდა მინიმუმამდე დაეყვანა ამჟამად ჩვენთვის საინტერესო მოვლენის უარყოფითი შედეგები.

დასასრულ, ბეითალმანობის წესით მამულებს ღებულობდნენ (როგორც ალავერდელი ეპისკოპოსისა და ერეკლე II მიერ გატარებულ რეფორმამდე, ისე მერეც) არა მარტო მებატონეები, არამედ არაიშვიათად გლეხებიც. აი, ამის ერთი მაგალითი: ეს გახლავთ 1790 წლის პაპუნა მარიამისშვილის არზა. „ჩემო ხელმწიფევ, — ნათქვამია იქ, — გორს რომ გიახელ, ღთნ თქვენი მოწყალება ნუ მოაკლოს თაყინაშვილს ზაალსა, ბეითალმანი იპოვნა... (და მომცა თქვენის ნებართვით)... მე იმ ადგილზედ დიდი ჯაფა გავწიე, კლდე გამოვკაფე და ერთი სახლი ავაშენე ჩემი ხარჯით. ახლა მუდამ მე მემუქრებიან და გამოგდებას მიპირობენ. ამ მოწყალებას ვითხოვ: ყმა თქვენი ვარ და ბეითალმანი თქვენი ყმისა არის და ამდენი დანახარჯი მაქვს მე, შეძლება არა მაქვს, რომ ან თქვენ მოგართვათ ფეშქაში ან თქვენ მოხელებსა, ნუღარავის შემახვეწებ იმ მცირე ადგილს, წყალობა მიყავით და სამუდამოდ მიმსახურეთ“[9].

არზას თან ახლავს დარეჯან დედოფლის შემდეგი შინაარსის ოქმი: „დედოფალი დარეჯანი გიბრძანებ ამ არზის პატრონო: შენ რომ ეს ადგილი გითხოვ-

[7] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 403.

[8] სსცია, ფ. 1448, საბ. 1031.

[9] სსცია, ფ. 1149, საბ. 957.

ნია, შენგან აშენებულიც არის, შენც ჩვენი ყმა ხარ, ეგ ადგილიც ჩვენი ყმის ბეითალმანი ყოფილა, შენთვის გვიბოძებია, მაგის მოცილე ვერავინ გეყოლება. გორის მამასახლისო, შენც ასე იცოდე"[10].

ეს საბუთები, ისე როგორც სქოლიოში ტექსტის მოუტანლად დასახელებული, აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ ბეითალმანობის წესის მოქმედების რაიონებშიც ამოწყვეტილი გლეხის მამულს ყოველთვის ბატონი კი არ ეუფლებოდა. ხშირად ის სოფლის მშრომელ მოსახლეობას ეძლეოდა და ამდენად მისი ხელიდან არ გადიოდა.

რომ დავამთავროთ მსჯელობა ბეითალმანობის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. გოგოლაძე ცალმხრივად უდგება ამ მოვლენის შეფასებას, გვერდს უვლის მასთან დაკავშირებული საკითხების მთელ კომპლექსს, ქმნის არასწორ სურათს, რის გამოც ვერ ამტკიცებს დასამტკიცებელს და მიზანი მიუღწეველი რჩება.

მეორე არგუმენტი, რომელსაც დ. გოგოლაძე ასახელებს ჩვენი დებულების საწინააღმდეგოდ, არის ჩვენ მიერ გამოყენებული სტატისტიკური მეთოდის უვარგისობა, უკეთ, მისი არასწორად მომარჯვება. იგი იწუნებს ამ მეთოდს და მიაჩნია, რომ მის გამოყენებას მკვლევარი სრულიად საწინააღმდეგო დასკვნამდე მიჰყავს, ვიდრე ჩვენს წიგნშია მოცემული. ჩვენი გაანგარიშებიდან, მისი სიტყვით, ფეოდალურ საკუთრებაზე გლეხების შეტევას ადგილი ჰქონდა არა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, არამედ პირველ ნახევარში. „მაშასადამე, — ნათქვამია დ. გოგოლაძის წერილში, — აღნიშნული დასკვნა ფეოდალური მიწის მფლობელობის შემცირებისა და რღვევის შესახებ ი. ანთელავას თავისი მეთოდის მიხედვით, უნდა გადაეტანა XVIII ს-ის I ნახევარში. მის მიერ შედგენილი სქემა დიამეტრალურად ეწინააღმდეგება და უარყოფს მისსავე დასკვნებს"[11]. და კიდევ: „ი. ანთელავას დასკვნები — XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოში გლეხთა კლასის „შეტევის" შედეგად ფეოდალური მიწისმფლობელობის შემცირებისა და რღვევის შესახებ, ჩვენი აზრით, არ არის სწორი. სინამდვილეში ვითარება პირუკუ იყო"[12].

ეს შენიშვნა, ისე როგორც სხვა, მცდარია. საქმე იმაშია, რომ ჩვენი დასკვნა XVIII ს-ის საქართველოში გაყიდული მიწების 65%-ის გლეხების ხელში გადასვლის წესახებ, რომელიც სათანადო ცნობების შემცველ 310 საბუთზეა დამყარებული, დ. გოგოლაძემ საუკუნის ნახევრებს მიუყენა და ამით დიდი შეცდომა დაუშვა. ამ გზით მან „დაამტკიცა", რომ XVIII ს-ის პირველ ნახევარში გლეხები უფრო უტევდნენ ფეოდალურ საკუთრებას, ვიდრე მეორეში. შეცდომა აქ ის არის, რომ აღნიშნული პროცენტი მთელს საუკუნეს ეხება და ამდენად არ არის არავითარი საფუძველი ის საუკუნის ნახევრებზე გავავრცელოთ (ცალ-ცალკე). იგივე ითქმის 3,6 დღიურ მიწაზე, რომელიც მოდიოდა თითო სიგელზე საშუალოდ XVIII საუკუნეში საერთოდ და არა მის რომელიმე მონაკვეთზე. ამიტომ ამ საშუალო მაჩვენებლის გამრავლება საბუთების რაოდენობაზე საუკუნის პირველსა და მეორე ნახევარში (ცალ-ცალკე) უსაფუძვლოა და ამ გზით სწორი სურათის მიღება შეუძლებელია.

---

[10] იქვე. შდრ. ხელნაწერთა ინსტ., ფონდი Qd, საბ. 6741ა; სსცია, ფონდი 1448, საბ. 4260.

[11] „მაცნე", ისტორიის სერია, 1977, № 4, გვ. 199—200.

[12] იქვე.

დ. გოგოლაძე შეცდომაში შეიყვანა ნასყიდობის სიგელების შედარებითმა სიმრავლემ (1303) ჩვენთვის საინტერესო საუკუნის პირველ ნახევარში, ვიდრე მეორე ნახევარში (813 სიგელი). ეტყობა, რეცენზენტმა ვერ გაითვალისწინა, რომ ამ შემთხვევაში საბუთების რაოდენობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ვერ გაითვალისწინა, კერძოდ ის, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, მიუხედავად ნასყიდობის სიგელების შედარებითი სიმცირისა, გაცილებით მეტი მიწის ფართობი იქნა შესყიდული. ჩვენ გარკვეული მიზეზების გამო[13] გაანგარიშება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელ საუკუნეზე გავაკეთეთ და არა მის ნახევრებზე[14]. მაგრამ რაკი დ. გოგოლაძემ აქედან ვერ გამოიტანა სწორი დასკვნა, იძულებული ვართ მასალები საუკუნის ნახევრების მიხედვით დავაჯგუფოთ და დავამტკიცოთ ჩვენი დებულების სიზუსტე ფეოდალურ საკუთრებაზე გლეხების შეტევის შესახებ სწორედ XVIII ს-ის მეორე ნახევარში.

იმ 310 საბუთიდან, რომლებშიც აღნიშნულია გაყიდულ-შესყიდული მიწების ფართობი, XVIII ს-ის პირველ ნახევარზე მოდის 147, ხოლო მეორეზე — 113 (დანარჩენი 50 საბუთი XVIII ს-ისა არის, მაგრამ კონკრეტული თარიღი არ უზის და ამიტომ ჩვენ ამჟამად ანგარიშში არ შეგვაქვს). 147 საბუთით 1700—1750 წლებში სულ 393,5 დღიური მიწა ჩანს გაყიდული: ფეოდალების მიერ 144 დღიური (36,6%), გლეხების მიერ — 249,5 დღიური (63,4%), რომლიდანაც ფეოდალებმა შეიძინეს 189 დღიური ან 48,0%, ხოლო გლეხებმა — 204,5 დღიური ან 52,0%. რაც შეეხება 1751—1800 წლებს, აქ შემდეგი სურათი იხატება. აღნიშნული წლების 113 საბუთით შესყიდული 537,5 დღიური მიწიდან გლეხებმა შეიძინეს 443,5 დღიური ან 82,5%, ხოლო ფეოდალებმა — 94 დღიური ან 17,5%. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ თითო სიგელზე მოდიოდა: პირველ ნახევარში დაახლოებით 3 დღიური (393,5:147 — დაახლ. 3 დღიურს), ხოლო მეორეში — 5 დღიური (537,5 დღიური:113 — დაახლ. 5 დღიურს). თუ ამ მონაცემებს შესაბამისად საუკუნის ნახევრებზე გავავრცელებთ, ჩვენ წინ ასეთი სურათი გადაიშლება: XVIII ს-ის პირველ ნახევარში სულ (ორივე წოდების მიერ) შესყიდული იყო 3909 დღიური მიწა (1303 სიგელი×3 დღიურზე), რომლიდანაც ფეოდალებმა შეიძინეს 48,0% ან 1876 დღიური, ხოლო გლეხებმა — 52,0% ან 2033 დღიური. მეორე ნახევარში ორივე წოდებამ შეისყიდა სულ 4065 დღიური (813×5 — 4065 დღიური). აქედან ფეოდალებმა 17,5% (ან 717 დღიური) და გლეხებმა — 82,5% ან 3348 დღიური.

ამრიგად, მოტანილი მასალა ნათელყოფს, რომ XVIII ს-ის პირველ ნახევარში გლეხები ვერ უტევენ ფეოდალურ საკუთრებას[15]. მეორე ნახევარში კი მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობაა: გლეხები იძენენ მთელი დათარიღებული სიგელებით (113) შესყიდული მიწების (537,5 დღიური) 82,5% (ან 443,5 დღიურს)[16].

---

[13] უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ მიერ შესასწავლი ნასყიდობის სიგელების საერთო რაოდენობაში (2390) 274-ს კონკრეტული თარიღი არ უზის (თუმცა ყველა XVIII საუკუნისაა) და ამიტომ შეუძლებელი გახდა მათი საუკუნის ამა თუ იმ ნახევრისათვის მიკუთვნება.

[14] ასეთი რამის გაკეთება კი, ვფიქრობთ, ნამდვილად საჭირო იყო.

[15] მართალია, XVIII ს-ის პირველ ნახევარში გლეხებმა ყველა 1303 საბუთით 157 დღიურით (2033—1876=157) მეტი მიწა შეიძინეს, ვიდრე ფეოდალებმა, მაგრამ ისინი მაინც ვერ უტევდნენ ფეოდალურ საკუთრებას, რადგანაც მათ იმავე პერიოდში გაყიდეს უფრო მეტი, სახელდობრ 331 დღიურით (3909 დღიურის 63,4%—2364 დღიურს;—2364—2033=331 დღიურს).

[16] სხვანაირად რომ ვთქვათ, გლეხებს მთლიანად შეუძენიათ მათი კლასობრივი მოძმის მიერ XVIII ს-ის მეორე ნახევარში გაყიდული მიწები (232,5 დღიური) და ფეოდალების მიერ რეალიზე-

მაშასადამე, გაანგარიშებამ XVIII ს-ის ნახევრების მიხედვით ცალ-ცალკე არამცთუ დაადასტურა ჩვენი დასკვნის სისწორე 1750—1800 წლებში ფეოდალური საკუთრების შერყევის შესახებ, არამედ ბევრად უფრო დამაჯერებელი გახადა იგი.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდი არ არის უნაკლო, მაგრამ უკეთესი შესაძლებლობის არარსებობის ვითარებაში იგი რჩება ჰეშმარიტების დაახლოებით დადგენის თითქმის ერთადერთ გზად. თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებულია შედარებით მცირე მასალის მონაცემების დიდ მასშტაბზე გავრცელება[17], ზოგადი დასკვნების გაკეთება, რადგანაც მთავარია არა იმდენად მოვლენის რაოდენობრივი მხარე, რამდენადაც ამ მოვლენის განვითარების ხასიათი. საკმარისია დავასახელოთ ცნობილი მეცნიერი ი. კოვალჩენკო, რომელმაც 289 კომლობრივი აღწერის მონაცემები მიუყენა 50 ათას მემამულეთა მეურნეობას და შეისწავლა მათი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა. «В распоряжении автора, — წერს ის,—имелось около трехсот (ზუსტად, როგორც თვითონ აღნიშნავს მეორე ადგილას, 239—ი. ა.) подворных описей, охватывавших около двухсот различных имений. Если учесть, что до сих пор в научный оборот введены подворные описи всего по нескольким имениям изучаемых районов, число привлеченных (нами) подворных описей может показаться весьма значительным. Однако в действительности оно крайне невелико, поскольку на изучаемой территории в это время (ე. ი. XIX ს-ის პირველ ნახევარში—ი ა.) насчитывалось свыше 50 тыс. помещичьих имений. Делеко не полными данными пришлось пользоваться и при характеристике ряда других вопросов. В итоге возникла альтернатива— либо делать обобщенные заключения, не будучи уверенным в их основательности, либо отказаться от обобщенных заключений и ограничиться описанием имеющихся данных»[18].

მეცნიერმა მაინც, ცხადია, პირველი გზა აირჩია, განაზოგადა შედარებით მცირე მასალა, რამაც საშუალება მისცა მას «проанализировать внутренний строй крепостной деревни на значительно более широкой фактической основе, чем это делалось до сих пор»[19].

რეცენზენტი სათანადოდ ვერ აფასებს ნასყიდი მიწების მნიშვნელობას, ამცირებს ამ მოვლენის როლს იმის გამო, რომ ფეოდალიზმის დროს, როგორც თვითონ წერს, გლეხის საკუთრება არასრული, შეზღუდული საკუთრებაა. ფეოდალურ ხანაში, ცხადია, გლეხის საკუთრება სრული არ იყო არსად და ყველა ნიშნით ბურჟუაზიულ საკუთრებას ვერ უტოლდებოდა. მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ მას არ გააჩნდა ახალი ურთიერობის დამახასიათებელი მკაფიო ნიშნები და გლეხის სარგებლობაში მყოფი ფეოდალის მიწები თანაბარი იყო უფლებრივად? ქართული სამართლის ძეგლები ხაზგასმით აღნიშნავენ ნასყიდის განსაკუთრებულ იურიდიულ მდგომარეობას. „სხვარიგად რომ ბატონმა ყმას გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“, ნათქვამია

ბული ფართობის (ე. ი. 305 დღიურის) 69% ან 211 დღიური (443,5 დღიური — 232,5 დღიური = 211 დღიურს).

[17] დ. ჯოგოლაძე ამას დიდ ღირებულად გვითვლის.

[18] И. Д. Ковальченко, Русское крепостное крестьянство в первой половине XIX века, М., 1967, გვ. 52.

[19] იქვე, გვ. 36.

ვახტანგის სამართლის 160-ე მუხლში. იესე ბარათაშვილიც ხომ არაორაზროვნად წერს, რომ ქვეყანაში... ნასყიდობის მოშლა ძნელი შემოსაღებიაო[20]. რამდენი საბუთია ჩვენს განკარგულებაში, რომლებიც მკვეთრად მიჯნავენ ნასყიდ მიწას წმინდა ფეოდალური მიწისაგან. იგი არ იბეგრება, იყიდება არსებითად თავისუფლად, აკრძალულია მისი ძალით მიტაცება-მითვისება მებატონის მიერ და ა. შ. განა ყოველივე ეს გვიან ფეოდალურ ხანაში არ აძლევდა მას ბურჟუაზიული საკუთრების ნიშნებს? ნასყიდობის ინსტიტუტის ამ განსაკუთრებული მდგომარეობით აიხსნება ის ძლიერი სურვილი, რომელსაც იჩენდა ქართველი (და არა მარტო ქართველი) გლეხი მიწის შესყიდვის საქმეში. მიწის გადასვლა გვიანფეოდალურ ხანაში არაპრივილეგიური წოდების ხელში კი არის ანტიბატონყმური ხასიათის მოვლენა, რომელიც, მიუხედავად ერთგვარი შეზღუდულობისა, ხელს უწყობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძვლების შერყევას და ახლის განვითარებას. სწორედ ასეა ეს მოვლენა შეფასებული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. აი რას წერს, მაგალითად, პროფ. ი. დ. კოვალჩენკო რეფორმის წინარე ხანის რუსეთის შესახებ, რუსეთისა, სადაც, როგორც ცნობილია, ნასყიდობის ინსტიტუტი ბევრად უფრო შეზღუდული იყო (იქ გლეხი მიწას მებატონის სახელზე იძენდა), ვიდრე საქართველოში: «Приобретение покупных земель крестьянами, хорошо обеспеченными надельной землей, подтверждает вывод о том, что одним из ведущих мотивов покупки земли было стремление крестьян к расширению своего хозяйства, к развитию торгового земледелия. Однако этот мотив покупки земли был далеко не единственным, а нередко даже и не главным. Одним из важнейших мотивов покупки крестьянами земли было стремление освободиться, хотя бы частично, от крепостнического наделения землей и связанной с ним эксплуатаций»;[21] ავითარებს რა ამ აზრს, იგივე ავტორი წერს: «Следовательно, покупка крестьянами земли была в изучаемый период (ე. ი. XIX ს-ის პირველ ნახევარში — ი. ა.) одним из путей обеспечения производственно-экономической независимости крестьянского хозяйства от крепостнического наделения средствами производства»[22].

კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოთქმული აზრი ნასყიდი მიწების როლის შესახებ XVIII ს-ის რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა რღვევის საქმეში მეორე ცნობილი მეცნიერის პროფ. ნ. რუბინშტეინის მიერ. «Надельное землевладение, — ვკითხულობთ მის ნაშრომში, — определяло границы крестьянского хозяйства при феодализме. Сдвиги в хозяйстве и в экономическом строе общества вели к фактическому изменению поземельных отношений. Возникающая крестьянская аренда и покупка земли ломают и искажают тесные рамки надельного землепользования. Социально-экономическая основа этих сделок лежит в растущем расслоении крестьянства, ведущем к выделению зажиточной верхушки, «заживных» или «капиталистых», крестьян, по терминологии того времени, с одной стороны, и скудных крестьян — с другой»[23].

[20] იესე ბარათაშვილი, ანდერძი, გვ. 42.

[21] И. Д. Ковальченко, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

[22] იქვე, გვ. 273.

[23] Н. Л. Рубинштейн, Сельское хозяйство России во второй половине XVIII века, М., 1957, გვ. 39.

და კიდევ. «Таким образом, — ასკვნის ნ. რუბინშტეინი, — если с одной стороны происходит подтачивание феодальной дворянско-помещичьей собственности, то, с другой стороны, налицо также углубляющееся нарушение крестьянского надельного землепользования, на которое опирается феодальное землевладение и феодальный экономический строй»[24].

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ვფიქრობთ, საჭიროა მეტად დაუფიქრდეს დ. გოგოლაძე თავის ღასკვნებს, გადასინჯოს და შეცვალოს ისინი. შესაცვლელია, მაგალითად, მისი დებულება იმის შესახებ, რომ მიწის ნასყიდობის პროცესის გახშირებით და ფეოდალთა მიწების ნაწილის გლეხთა ხელში გადასვლით, ნასყიდის არასრული საკუთრების გამო, „წარმოების ფეოდალური წესი... სრულიადაც არ იცვლება“[25], რომ ნასყიდი მიწები მთელ შუა საუკუნეებში, მათ შორის XVIII საუკუნესა და XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაშიც, „ფეოდალურ ურთიერთობას ემსახურება“[26], მას უმაგრებს ზურგს. რომ მიწების გლეხთა ხელში გადასვლას, ე. ი. ფეოდალური საკუთრების შეზღუდვის (сужение) ეს ფორმაცია დანგრევისაკენ არ მიჰყავდა (ლაპარაკია გვიანფეოდალურ პერიოდზე) — ეს ახალი დებულება გოგოლაძეს ეკუთვნის. დ. გოგოლაძე, ეტყობა, საერთოდ უარყოფს, როგორც ვნახეთ, საყოველთაოდ მიღებულ მარქსისტულ დებულებას ბურჟუაზიული საკუთრების სწორედ ფეოდალიზმის წიაღში ჩასახვისა და გარკვეულ დონემდე განვითარების შესახებ.

ამრიგად, სავსებით სწორია (თეორიულადაც და ფაქტობრივადაც) ჩვენს წიგნში განვითარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ნასყიდი მიწები გვიანფეოდალურ საქართველოში წარმოადგენდა არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის საფუძვლების დამანგრეველ ძალას, რომელსაც ქვეყანა თანდათანობით ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრებისკენ მიჰყავდა.

დ. გოგოლაძე დარწმუნებულია, რომ XVIII ს-ის საქართველოს სოფლის ცხოვრებაში კაპიტალისტური (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის მხრივ... არავითარ ძვრებს ადგილი არ ჰქონია. პირიქით, აშკარად შეიმჩნეოდა დაცემა ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკისა[27].

ჩვენს ნაშრომში მოტანილი მასალა სასაქონლო წარმოების გაფართოების, ვაჭრობისა (საშინაო და საგარეო) და მრეწველობის (მანუფაქტურული ტიპის) დაწინაურების, ახალი ქალაქების წარმოშობის, დაქირავებული შრომის გამოყენების (მათ შორის სოფლის წარმოებაში), ფულადი რენტის ხვედრითი წონის ზრდის, გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის ჩასახვის, ანტიბატონყმური მოტივების წარმოშობა-გაძლიერებისა და სხვათა შესახებ იმის მკაფიო მაჩვენებელია, რომ განსახილველი ხანის საქართველოში მიმდინარეობდა პროგრესული ძვრები და მას არ ჰქონდა დაკარგული შინაგანი განვითარების უნარი.

დ. გოგოლაძეს, ჩანს, დაავიწყდა, რომ ეს აზრი სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის დამკვიდრებულია და არაერთი მეცნიერის მიერ გაზიარებული. ჩამოთვლის რა ზემოთ დასახელებულ და ზოგ სხვა ხასიათის მოვლენებს XVIII ს-ის საქართველოში, ნ. ბერძენიშვილი ასკვნის: „ყველაფერი ეს, რა

---

[24] Н. Л. Рубинштейн, დასახ. ნაშრომი, გვ. 49. შდრ. გვ. 72 და სხვ. — იმავე საკითხზე იხ. А. В. Фадеев, Очерки экономического развития степного предкавказья в дореформенный период, М., 1957, გვ. 185.

[25] „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4, გვ. 202.

[26] იქვე.

[27] იქვე, გვ. 194.

თქმა უნდა, ფეოდალურ-თავადურ ქვეყანას აღარ ეგუებოდა და ამზადებდა პირობებს იმ პოლიტიკური ნახტომისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა გაქრობას გადაერჩინა"[28].

ნ. ბერძენიშვილის რედაქციითა და მონაწილეობით გამოსულ „საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოს იმ განყოფილებაში, სადაც მოცემულია ჩვენთვის საინტერესო ხანის ეკონომიური მდგომარეობის დახასიათება, ნათქვამია: „XVIII საუკუნის თბილისელ ვაჭრებს შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც 50 000 მანეთზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ. საგრძნობლად გაიზარდა იმ დროს სავაჭრო კაპიტალის როლიც. სავაჭრო კაპიტალი ხელს უწყობდა საქონლის მიმოქცევის გაფართოებას და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთიმეორესთან დაკავშირებას. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი კიდევ უფრო აძლიერებდა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დიფერენციაციას — მისი ერთი ნაწილის გაჩანაგებას და მდიდარი ზედაფენის გამოყოფას. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, ძირს უთხრიდა ფეოდალურ წყობას და ამზადებდა ნიადაგს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის"[29].

„ამრიგად, — ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეოთხე ტომში, — XVIII საუკუნის 40—80-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი აქვს ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებას, ხდება მისი ახალი შინაარსით გამდიდრება, ვითარდება ხელოსნური წარმოება, ფართოვდება საშინაო და საგარეო ვაჭრობა და საქალაქო ცხოვრება. მრეწველობაში ისახება კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტები... სოფლის მეურნეობაშიც ამ დროს გარკვეული ცვლილებები ხდება: ღრმავდება გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია, იზრდება თავისუფალ მწარმოებელთა რიცხვი, მატულობს გლეხთა ფულადი გადასახადები..., მწვავდება გლეხთა ექსპლოატაცია, ხდება საბატონო მეურნეობების შემდგომი გაფართოება... ზოგიერთ მეურნეობაში იყენებენ დაქირავებულ შრომას და სხვ. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართლ-კახეთის ეკონომიური ცხოვრება შეუჩერებელი აღმავლობის გზით მიდიოდა"[30].

ლაპარაკია რა თავისუფალ გლეხთა ფენის გაჩენაზე XVIII ს-ის საქართველოში, იმავე ნაშრომში ნათქვამია: „ასეთი გლეხების რიცხვის გამრავლება ფეოდალური დამოკიდებულების თანდათანი შეზღუდვისა და მისი შლის პროცესზე მიუთითებდა"[31].

და კიდევ, „თავისუფალთა ფენა საერთო გლეხურ მასებში შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მას ერეკლეს დროს ზრდა-განვითარების პერსპექტივები ჰქონდა. იგი ახალისებდა ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ყმა გლეხობას და ბატონყმობის რღვევის პროცესზე, ისე როგორც ახალი საზოგადოების წინამძღვარ მოვლენებზე მიუთითებდა"[32].

ყოველივე ამას ეძახის დ. გოგოლაძე XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების უძრაობას.

დასასრულ, არ შეიძლება არ შევახსენოთ დ. გოგოლაძეს, რომ ის ადრე, ჩვენი მონოგრაფიის გამოსვლამდე, თვითონ იზიარებდა აზრს საგრძნობი ძვრე-

[28] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 177.

[29] ნ. ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 365.

[30] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 553—554.

[31] იქვე, გვ. 555.

[32] იქვე, გვ. 559 (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — ი. ა.).

ბის შესახებ ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს ცხოვრებაში. აცნობს რა საზოგადოებას ს. კაკაბაძისა და გრ. ნათაძის შეხედულებებს აღძრულ საკითხზე, დ. გოგოლაძე წერს: „როგორც ვხედავთ, პროფ. ს. კაკაბაძეს და პროფ. გ. ნათაძეს უეჭველად სწორად ესმით ის გარემოება, რომ XVIII საუკუნე საქართველოსათვის ეს არის გარდატეხის ხანა, რომ ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას უნდა გამოეწვია სოციალ-ეკონომიური ძვრები — უნდა დარღვეულიყო ფეოდალური ურთიერთობა და ახალი ხანა შემოსულიყო“[33].

როგორ შევუთანხმოთ ციტირებულ ადგილას ჩამოყალიბებული აზრი მის მიერვე კანონმდებლის ტონით გამოთქმულ შეხედულებას, რომ XVIII ს-ის საქართველოში „არავითარ ძვრებს ადგილი არ ჰქონია“[34], რომ იქ, პირიქით, „აშკარად შეიმჩნეოდა დაცემა ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკისა“[35]. როგორ ახერხებს დ. გოგოლაძე, რომელიც უარყოფს ფეოდალური საკუთრების შერყევის ფაქტს XVIII ს-ის საქართველოში, გამოაცხადოს ეს საუკუნე გარდატეხის ხანად ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში?

დ. გოგოლაძე, როგორც ვნახეთ, უარყოფს ფეოდალიზმის წიაღში ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვისა და ბურჟუაზიული საკუთრების გაჩენა-განვითარების ფაქტს. ყოველივე ეს გამორიცხული და შეუძლებელი იყო თურმე იმიტომ, რომ მაშინ, ფეოდალიზმის დროს, არ არსებობდა პირადად თავისუფალ გლეხთა ფენა. „ფეოდალიზმის დროს, — წერს ის, — სოფლად ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩანასახების გაჩენისათვის საჭიროა ბატონყმური სოფელში ყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებულ, პირადად თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის წარმოქმნა და გლეხთა ამ ფენის შეუზღუდავი კერძო, ბურჟუაზიული საკუთრება წარმოების ძირითად საშუალებაზე — მიწაზე. ეს მოვლენა — პირადად თავისუფალ და მიწის სრულ მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის გაჩენა... მოხდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში“.

აქ ყველაფერი, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც ვნახეთ, მცდარადაა წარმოდგენილი. მცდარია, მაგალითად, ავტორის აზრი თავისუფალ გლეხთა ფენის არარსებობის შესახებ ფეოდალურ ხანაში საერთოდ. სინამდვილეში კი ასეთი ფენა არსებობდა გვიანფეოდალური ხანის ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთსა და საქართველოში. პირველ მათგანზე ამჟამად არაფერს ვიტყვით, ხოლო მეორეზე დავასახელებთ მ. დუმბაძის წერილს „თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში“[36] და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომს, რომლის მეთერთმეტე თავის ერთი ქვეპარაგრაფი სწორედ ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმია მიძღვნილი და ასეა დასათაურებული: „თავისუფალ მიწათმფლობელ-მოლაშქრეთა ფენის წარმოქმნა“[37] XVIII ს-ის საქართველოში. დასახელებულ ნაშრომებში, კერძოდ პირველ მათგანში, პირდაპირაა ნათქვამი, რომ ავტორის მიერ მოტანილი საბუთები „საკმაოდ ნათელს ხდის თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა ფენის არსებობას

---

[33] დ. გოგოლაძე. სამთამადნო სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966, გვ. 166.

[34] „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4, გვ. 194.

[35] იქვე, გვ. 194—195.

[36] იხ. კრებული „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 385—398.

[37] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 555—559.

ბატონყმურ საქართველოში და მის შედარებით რიცხობრივ გამრავლებას XVIII ს-ის მეორე ნახევარში[38].

მეცნიერები არა მარტო აღნიშნავენ თავისუფალი მწარმოებლის (გლეხების, ხელოსნების) არსებობის ფაქტს გვიანფეოდალური ხანის საქართველოში, არამედ მოაქვთ ამის დამადასტურებელი სათანადო კონკრეტული მასალაც. პროფ. შ. მესხიას მონაცემებით, მაგალითად, ასეთი, ბატონყმური ურთიერთობისაგან თავისუფალი, მწარმოებლები ყოფილან ქალაქ თბილისში და, რაც მთავარია, მათ ზრდა-განვითარების ტენდენცია ჰქონდათ. მათი ხვედრითი წონა უდრიდა: XVIII ს-ის 80-იან წლებში 15,67%, 1803 წელს — 19,24%, ხოლო 1807—1808 წლებში — 36,63 პროცენტს[39].

მცდარია ამ საკითხთან დაკავშირებული დ. გოგოლაძის მეორე შეხედულებაც, თითქოს გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია, გლეხური ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული საკუთრების ჩასახვა შეუძლებელია ფეოდალურ ხანაში თავისუფალ გლეხთა ფენის არარსებობის გამო. პირადი თავისუფლება, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა, მაგრამ ის სრულებით არ იყო აუცილებელი, რომ ჩასახულიყო ბურჟუაზიული საკუთრება და გაჩენილიყვნენ ბურჟუა გლეხები. ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ პირდაპირ მიუთითებს, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის უმსხვილესი ფაბრიკანტები, ყველა ეს კუვაევები, ფოკინები, ზუბკოვები, კოკუშკინები, ბობროვები და სხვები იყვნენ ყმა-გლეხები, რომლებმაც დააგროვეს დიდძალი კაპიტალი, გახდნენ მსხვილი მრეწველები და უზარმაზარი თანხის გადახდით მიიღეს პირადი თავისუფლება[40]. გლეხმა გრაჩოვმა, ნარმის დამამზადებელი მანუფაქტურის პატრონმა ივანოვოში, თავის გამოსასყიდად გადაიხადა ზღაპრულად დიდი თანხა — 130 ათასი მანეთი[41]. სავა მოროზოვმა მებატონე რიუმინს 17 ათასი მანეთი მისცა (1820 წ.) და ამ ფასად ბატონყმობის უღელს დააღწია თავი[42]. 1861 წლის რეფორმამდე ივანოვოში თავი გამოისყიდა 50 ყმა-გლეხმა, რაშიც მათ ერთი მილიონი მანეთი გადაიხადეს[43]. თავადი შახოვსკი (კოსტრომის გუბერნია) უფრო „ზომიერი“ აღმოჩნდა — მან ყმობიდან განთავისუფლებული ორი გლეხის ოჯახს „მხოლოდ“ 10 ათასი მანეთი გამოართვა[44].

შეიძლება მსგავსი მაგალითების გამრავლება, მაგრამ მოყვანილიც, ვფიქრობთ, საკმარისია ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, იმის დასამტკიცებლად, რომ გლეხის კულაკად ან კაპიტალისტად გადასაქცევად, გლეხური ბურჟუაზიის წარმოსაშობად სრულებითაც არ არის აუცილებელი მისი (გლეხის) პირადი თავისუფლება. ყველა ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითში ყმურ მდგომარეობაში მყოფი გლეხი ჯერ გახდა ბურჟუა და მერე გამოისყიდა თავი, მიიღო პირადი თავისუფლება.

---

[38] „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, გვ. 398.

[39] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1957, გვ. 160—161.

[40] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3.

[41] С. Окунь, Очерки истории СССР, конец XVIII — первая четверть XIX века, 1956, გვ. 9.

[42] იქვე.

[43] იქვე.

[44] იქვე.

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოდ არაა საკმათოდ მიჩნეული, რომ გლეხური ბურჟუაზიული საკუთრებისა და თვით ბურჟუაზიის ჩასახვა-განვითარება ხდება სწორედ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ბატონობის პირობებში, როდესაც სოფლის მშრომელი მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია პირადად თავისუფალი. «Классовое расслоение крестьянства, — წერენ თავიანთ კოლექტიურ შრომაში ისტორიკოსები ე. ინდოვა, ა. პრეობრაჟენსკი და ი. ტიხონოვი, — означает формирование в среде основного трудящегося класса-сословия феодальной формации, двух классовых групп, слоев будущего капиталистического общества— предпролетариата и буржуазии. Этот процесс происходил в определенный исторический период — в эпоху генезиса капитализма (XVII — первая половина XIX века)... По своему характеру классовое расслоение представляет собой в зародышевой форме капиталистическое разложение крестьянства, о котором писал В. И. Ленин применительно к России второй половины XIX века»[45]. და კიდევ: «Классовое расслоение в России совершалось при господстве крепостничества, при монополии дворянского землевладения»[46].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დ. გოგოლაძის აზრი იმის შესახებ, რომ „ფეოდალიზმის დროს სოფლად ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩანასახების გაჩენისათვის საჭიროა ბატონყმურ სოფელში ყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებულ, პირადად თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის წარმოქმნა“[47], მცდარია და სინამდვილეს არ შეეფერება.

შემდეგი შენიშვნა რეცენზენტისა, რომელსაც მიზნად დაუსახავს ყველა ჩვენი დებულების უარყოფა (მას ოდნავადაც არ აფიქრებს ამ უარყოფის საბუთიანობა, მთავარია უარყოს ყველაფერი, თუნდაც ცარიელი სიტყვებით), შეეხება წიგნის იმ თავს, სადაც ლაპარაკია ცვლილებებზე ფეოდალური ურთიერთობის სოციალურ საფუძვლებში. აქ ის გამოყოფს სამ საკითხს. პირველი — საბატონო გლეხთა ბრძოლა სამეფო (სახელმწიფო) უწყებაში გადასვლისათვის, მეორე — ერეკლე II 1765 წლის კანონი ტყვედყოფილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მესამე — ბატონყმობისაგან გლეხთა თავდახსნის მიმდინარეობის მასშტაბი.

პირველ საკითხზე ჩვენს წიგნში ნათქვამია: „სოფლის მშრომელი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების მიღწევა... მხოლოდ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობიდან მისი განთავისუფლებით შეიძლებოდა. მიუხედავად დიდი და მრავალმხრივი დაბრკოლებისა, რომელთანაც დაკავშირებული იყო ამ ურთიერთობიდან თავის დაღწევა, ყმური მოსახლეობის მცირე ნაწილი... მაინც ახერხებდა ამას. ვისთვისაც ეს შეუძლებელი იყო... ცდილობდა რაღაც ნაბიჯი მაინც გადაედგა თავისუფლე-

[45] Е. Индова, А. Преображенский, и И. Тихонов, Проблема классового разложения крестьянства периода феодализма в свете трудов В. И. Ленина о развитии капитализма в России, კრებულში «Ежегодник аграрной истории Восточной Европы», Рига, 1963, გვ. 12-13.

[46] იქვე, გვ. 13.

[47] „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4, გვ. 194.

ბის მოსაპოვებლად. ასეთ ნაბიჯად კი ქართველ გლეხს სახელმწიფო (სამეფო, სახაზინო) უწყებაში გადასვლა ესახებოდა. მართალია, ამ უწყებაში გადასვლა რადიკალურად ვერ სცვლიდა მის მდგომარეობას, მაგრამ რამდენადმე მაინც აუმჯობესებდა მას. სახელმწიფო (სამეფო) უწყების კაცს, როგორც წესი, შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდა და უკეთესი მატერიალური ცხოვრების პირობებიც. სწორედ ამით იყო შეპირობებული XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის ქართველ გლეხთა მოძრაობა კერძო მებატონისაგან თავის დაღწევისა და სამეფოდ გადაქცევისათვის"[48]. და კიდევ: „მოტანილი მასალა... საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ დიდი იყო გლეხების სურვილი კერძო მებატონისაგან სამეფო უწყებაში გადასვლისა, რაც, მართალია, არ ათავისუფლებდა გლეხს ფეოდალური დამოკიდებულებისაგან, მაგრამ ერთგვარ შეღავათს მაინც აძლევდა და გარკვეულ ნაბიჯს წარმოადგენდა სრული თავისუფლების მოპოვების მიმართულებით. ამდენად, სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეს მოძრაობა საბოლოო ჯამში ანტიფეოდალური ხასიათისა იყო და ძველი წყობილების დანგრევის პროგრესულ საქმეს უწყობდა ხელს. მოძრაობის მეტ-ნაკლებად ფართო მასშტაბი კი იმის მოწმობა იყო, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარში ბატონყმურ ურთიერთობას რამდენადმე წყალი ჰქონდა უკვე შემდგარი"[49].

როგორც ვხედავთ, ჩვენი ნაშრომიდან მოტანილ ამ დებულებებში ხაზგასმითაა ლაპარაკი, რომ სამეფო უწყებაში გლეხის გადასვლით რადიკალურად არ იცვლებოდა მისი მდგომარეობა და რომ აღნიშნული აქტი წარმოადგენდა მხოლოდ ერთ ნაბიჯს სრული თავისუფლების მოპოვების მიმართულებით. ეს დებულება აბსოლუტურად სწორია და მასზე ჩვენ ხელს არ ავიღებთ თვით დ. გოგოლაძის გამოსვლის შემდეგაც კი. აქვე უნდა შევნიშნოთ: თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სამეფო (სახელმწიფო) უწყებაში გადასვლა საბოლოო ჯამში ანტიბატონყმური მოძრაობა იყო, ფეოდალური ურთიერთობის შერყევას უწყობდა ხელს და თავისუფლების მოპოვების მიმართულებით გადაგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, გამოთქმული აქვთ ნ. ბერძენიშვილს, მ. დუმბაძეს, ივ. სურგულაძეს[50]. აღნიშნულ ავტორთა ნაშრომები დასახელებულია ჩვენს წიგნში ამ საკითხზე მსჯელობისას, მაგრამ დ. გოგოლაძემ, რომელიც ჭეშმარიტებისა და საქმის ნამდვილი ვითარების დადგენით არაა დაინტერესებული, ამას ყურადღება არ მიაქცია, არც კი იფიქრა ჩაეხედა მითითებულ ადგილებში. „რომ გლეხობა მასობრივად მიისწრაფოდა სახაზინო ფონდში გადასასვლელად, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — ეს მოვლენა იმის უეჭველი მოწმობა იყო, რომ ფეოდალურმა ურთიერთობამ დრო მოჭამა, ხოლო ბურჟუაზიული ურთიერთობა კარზე იდგა. გლეხთა ასეთი მოძრაობა წარმოადგენდა გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ ძირითად მოვლენას"[51], „სახასო (სამეფო — ი. ა.)

[48] ი. ანთელავა, XVIII საუკუნის სოციალ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 185.

[49] იქვე, გვ. 190.

[50] აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეს თვალსაზრისი ძალიან მკაფიოდაა გატარებული ჩვენს მონოგრაფიაში «Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века» (Сухуми, 1955, გვ. 80—154). და თუმცა ამ გამოკვლევაზე დ. გოგოლაძემ გამოაქვეყნა რეცენზია (იხ. „მნათობი", 1958, № 7), მაგრამ არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ ეს შეხედულება მცდარია, მას ამ ფრიად დადებით რეცენზიაში არ დასცდენია.

[51] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 315).

და საეკლესიო ყმათა რიცხვის ზრდა კი, როცა იგი საბატონო ყმათა ხარჯზე ხდებოდა, — ვკითხულობთ მ. დუმბაძესთან, — უდავოდ გარკვეული მნიშვნელობის მოვლენა იყო. იგი ფეოდალთა შეზღუდვას და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას უწყობდა ხელს; ამდენადვე ეს პროცესი ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევას აახლოებდა. სახასო და საეკლესიო გლეხებში ქონებრივი დიფერენციაცია შედარებით უფრო, ვიდრე საბატონო გლეხებში, თავდახსნა-აზატობის უკეთეს პერსპექტივებს ქმნიდა“[52].

ასევე ფიქრობს ივ. სურგულაძეც[53].

თვითონ დ. გოგოლაძეც წერს, რომ სამეფო (სახაზინო) უწყების გლეხები შედარებით უკეთეს ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მაგრამ, სამწუხაროდ, აქედან ვერ გააკეთა სათანადო დასკვნა[54]. განა შედარებით უკეთესი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის მოპოვება არ ნიშნავდა ნაბიჯის გადადგმას სრული თავისუფლების მიღწევის მიმართულებით? ამაზე დადებითი პასუხის გაუცემლად შეუძლებელია იმ ძლიერი ლტოლვის ახსნა, რომელსაც ამჟღავნებდნენ საბატონო გლეხები სამეფო უწყებაში გადასვლისათვის. შრომისა და ცხოვრების უკეთესი პირობების მჭონე სამეფო გლეხები უფრო დაუბრკოლებლად და ადვილად ებმებოდნენ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში, საბაზრო ურთიერთობაში, სასაქონლო წარმოებაში, რითაც, თავისთავად ცხადია, ხელს უწყობდნენ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძვლების (ნატურალური მეურნეობის რღვევა და სხვ.) მოშლას. რატომ ეუცხოვა დ. გოგოლაძეს ეს აზრი, ჩემთვის სრულებით გაუგებარია. ის საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული დებულებაა როგორც ქართულ, ისე რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში[55].

ამ საკითხის განხილვისას დ. გოგოლაძე უშვებს კიდევ ერთ შეცდომას, როდესაც სამეფო უწყებაში გადასვლისათვის ბრძოლას მიიჩნევს მთელი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ მოვლენად. სინამდვილეში ის მასშტაბური და კვალის დამმჩნევი გახდა მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან. საკმარისია ითქვას, მაგალითად, რომ ექვ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“-ს პირველსა და მეორე ტომში მოთავსებული XV—XVII საუკუნეების 124 საბუთიდან არც ერთში არ არის ლაპარაკი სოფლის მშრომელი მოსახლეობის სამეფო უწყებაში გადასვლაზე. იგივე ითქმის ნ. ბერძენიშვილის პუბლიკაციაზე — „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. ამ პუბლიკაციაში, მის პირველ ტომში, გამოქვეყნებული XV—XVII საუკუნეების 174 საბუთიდან არც ერთში არ არის ფიქსირებული გლეხის სამეფო უწყებაში გადარიცხვისათვის ბრძოლის შემთხვევა.

---

[52] მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში, იხ. კრებ.: „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 389.

[53] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 125.

[54] დ. გოგოლაძე, რომელსაც ამ საკითხში (ისე როგორც ბევრ სხვა საკითხში) მტკიცედ შემუშავებული თვალსაზრისი არა აქვს, ორი ერთმეორეს საწინააღმდეგო შეხედულებას ავითარებს. ერთგან წერს: სახელმწიფო (სამეფო) გლეხები შედარებით უკეთეს ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობაში იყვნენო („მაცნე“, № I, 1978, გვ. 165, ხოლო ოთხი-ხუთიოდე სტრიქონის შემდეგ კი მათ უფლებრივად ჩვეულებრივ ყმა-გლეხებს უწოდებს (იქვე). არა, პატივცემულო კრიტიკოსო, ისინი არ იყვნენ ჩვეულებრივი ყმა-გლეხები.

[55] Н. М. Дружинин, Государственные крестьяне и реформа П. Д. Киселева, т. I, М.-Л., 1946, გვ. 38.

დაუსაბუთებელია დ. გოგოლაძის მსჯელობა გლეხთა თავდახსნის პროცესის ადგილის, მასშტაბისა და მნიშვნელობის შესახებაც. აქაც იგი არაერთ შეცდომას უშვებს. ამათ რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, მისი აზრი ისეთი კანონის არარსებობის შესახებ, რომელიც „ყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხს პირად თავისუფლებას შეუნარჩუნებდა"[56]. რუსეთში ასეთი რამ იყოო, წერს ის, და ასახელებს 1803 წლის კანონს „თავისუფალ მხვნელ-მთესველთა შესახებ"[57]. რეცენზენტი, ეტყობა, არ იცნობს აღნიშნული კანონის ტექსტს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იტყოდა, რომ მთავრობის ეს დადგენილება საიმედოდ იცავდა თავდახსნილის პირად თავისუფლებას. მასში (კანონში) არ არის არც ერთი სიტყვა განთავისუფლებულის ხელმეორედ დაყმევების აკრძალვის შესახებ. ჩანს, დ. გოგოლაძეს დაყმევების თავიდან აცილების პირობად მიაჩნია ის, რომ ხსენებული კანონის გამომყენებელი გლეხი პირად თავისუფლებასაც იძენდა და მიწასაც. მაგრამ განა საქართველოში სხვაგვარი ვითარება იყო? ნუთუ სერიოზულად ფიქრობს დ. გოგოლაძე, რომ ჩვენს ქვეყანაში არ იყო კანონი, რომელიც ხელს უწყობდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის დამოკიდებული მდგომარეობიდან განთავისუფლებას და ამ თავისუფლების შენარჩუნებას? რა თქმა უნდა, იყო და ის სპეციალისტებისათვის ცნობილია. ვახტანგ VI სამართლის 260-ე მუხლი არა მარტო უფლებას აძლევს გლეხს თავი დაიხსნას, არამედ ისეთ მომენტებსაც ითვალისწინებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებაში. ითვალისწინებს რა თავის გამოსყიდვის საბუთის დაკარგვისა და მებატონეთა მიერ ამ გარემოების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, კანონმდებელი თავდახსნილის სასარგებლოდ მოწმეების ჩვენებითაც კმაყოფილდება. „ესეც იქმნების, — ნათქვამია დასახელებულ მუხლში, — რომე წიგნი არა ჰქონდეს და მოწამე კი ჰყვანდეს, კაის მოწმის პირითაც დაიჯერების, რომე თავი გამოეხსნას". დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნშიც, რომელიც XVIII ს-ის საქართველოს სინამდვილეს ასახავს, არის არაერთი მუხლი, რომელიც იცავს ყმობიდან განთავისუფლებულს, მის ახალ მდგომარეობას. ასეთია, კერძოდ, 38-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „უკეთუ კაცმან ნასყიდი კაცი ანუ ტყვე ანდერძითა ანუ უანდერძოთ გაანთავისუფლოს, მაშინ ნურა რომელი შვილთაგანი, გინა მონათესავეთაგანი იკადრებს დაპატრონებად მისა"[58].

მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ნასყიდი მიწების ხელუხლებლობის დაცვას. საქართველოში გლეხი, როგორც ცნობილია, არა მარტო სარგებლობდა მესაკუთრული უფლებებით, არამედ კანონი იცავდა ამ უფლებებს. „თუ კაცმან, — ნათქვამია ვახტანგის სამართალში, — მამული, საქონელი თუ პირუტყვი (იყიდოს), დიაღ ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის. და თუ ბატონი გაუწყრების. სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება, მაგრამ ბატონსაც მართებს: სხვაგვარად რომ ბატონმა ყმას გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს"[59].

ყოველივე ამის შემდეგ დ. გოგოლაძე აცხადებს: „საქართველოში არ არსებობდა კანონი, რომელიც „ყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხს პირად

[56] „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 1, გვ. 167.

[57] იქვე.

[58] „სამართალი ბატონიშვილის დავითისა", დ. ფურცელაძის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 28.

[59] ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თბ., თ. ენუქიძის გამოცემა, 1955, მუხ. 160.

თავისუფლებას შეუნარჩუნებდა"-ო[60]. რა ფასი აქვს ახლა ამას? უნდა ისიც ითქვას, რომ გლეხს თავისუფალ მდგომარეობას კანონი ვერ შეუნარჩუნებდა, თუკი ამისთვის ქვეყანაში არ იყო სათანადო სოციალ-ეკონომიური პირობები. მას შეეძლო ამ საქმისათვის ხელის შეწყობა ან მისი დაბრკოლება, არც მეტი, არც ნაკლები.

დ. გურგენიძე დეკლარაციულად აცხადებს, რომ „სპორადულად აქა-იქ გაჩენილ თავდახსნილ გლეხს კვლავ ნთქავდა ბატონყმობა, რადგან ასეთი ერთეული გლეხები თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდნენო"[61]. მსგავსი რამის თქმაც მასალის უცოდინარობით და მისი არასაფუძვლიანი შესწავლითაა გამოწვეული. რეცენზენტი და, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისის ზოგი სხვა დამცველიც. მთავარ არგუმენტად აყენებს დაყმევების სიგელების შედარებით სიმრავლეს. ასეთი საბუთების რაოდენობა მართლაც რომ ბევრია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი დასახელებული მოსაზრების დასამტკიცებლად. საკითხის გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ ყმობის სიგელების მხოლოდ მცირე ნაწილშია ფიქსირებული თავისუფალი ადამიანის დაყმევება. საბუთების დიდ უმრავლესობაში კი ლაპარაკია ძველი, „უკანონოდ" შეწყვეტილი, ყმობის განახლებაზე, მის აღდგენაზე, რაც, ცხადია, არ ადიდებს ყმური მოსახლეობის რაოდენობას, არ წარმოშობს ახალ ბატონყმურ ერთეულს. აი ბევრიდან ამის ერთი მაგალითი. ეს არის მათოზა სარქისაშვილის ყმობის წიგნი, დაწერილი რევაზბეგ სარდლის სახელზე 1759 წელს. „ესე ბატონყმობის წიგნი (მოგეც) მე... სარქისაშვილმა მათოზამა, — ნათქვამია იქ, — თქვენ ბატონს ჩემს სარდარს რევაზბეგს, ასე რომ მე თქვენი მკვიდრი ყმა ვიყავი და ცოტა ხანს კახეთში ხიზნად წავედი... მერმე სხვის სიტყვითა თქვენგან შევშინდი და ვეღარ გიახელ, გემალებოდი მაგრამ თქვენის ყმობისაგან ან სად დავიმალებოდი და ან სად უნდა თქვენ წაგსვლიყავი. მე ჩემის ნებით მოვედი და ისევ თქვენ შემოგეხვეწე და თქვენც თქვენის მღრთის გულისათვის შემიწყნარეთ და შემირიგეთ... ახლა თქვენ ჩემი მწყალობელი ბატონი ბრძანდებით და მე თქვენი მოსამსახურე ყმა"[62].

ახალი ყმობის წარმოშობად არ ჩაითვლება შემთხვევები, რომლებშიც დადასტურებულია ტყვეობაში მოხვედრილი გლეხის ამ მდგომარეობიდან მისი დამხსნელის ყმობაში შესვლის ფაქტი (თუკი, რა თქმა უნდა, იგი მანამდეც ყმა იყო). იგივე ითქმის ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც გლეხი თავისავე ბატონს უთანხმდებოდა ყმობის უფრო დაბალ ფორმაზე. „სხვა ილაჯი არა მაქვსა რამე, მაინც თქვენ გემსახურებოდით, ავდექ (და) ჩემი თავი ნასყიდობით მოგართვი" — ვკითხულობთ ერთ საბუთში[63].

მოტანილი მასალიდან, ვფიქრობთ, ნათელია[64], რომ დაყმევების პროცესის მასშტაბის განსაზღვრა-დადგენისას არ იქნება სწორი მკვლევარმა ბატონყმობის ყველა სიგელი ჩააგდოს სათვალავში. უკანასკნელიდან უნდა გამოირიცხოს საბუთები, რომლებშიც ფიქსირებულია ძველი, „უკანონოდ" შეწყვეტილი ყმობის განახლების, ერთი ბატონის მეორით შეცვლის, ყმის დამოკიდებულების

---

[60] „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 1, გვ. 167.

[61] იქვე, გვ. 168, შდრ. გვ. 174.

[62] სსცა, ფონდი 1450, დაეთ. 15, საბ. 105.

[63] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, გვ. 227.

[64] დაწვრილებით იხ. ჩვენი წერილი „დაყმევების პროცესის მასშტაბის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში", „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 2.

შედარებით მსუბუქი ფორმიდან უფრო მძიმე ფორმაში გადასვლის ფაქტები და სხვ. ახალი ყმობის წარმოშობის, თავისუფალი მწარმოებლის დაყმევების დამადასტურებელ საბუთად, როგორც წესი, გამოდგება მხოლოდ ისეთი, რომელშიც მითითებულია, რომ ყმობაში შემავალი, ადრე თავდახსნილი, პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ ვერ მოახერხა თავისუფლების შენარჩუნება და ისევ დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამ ტიპის საბუთებში ასევე აღინიშნებოდა, რომ ყმობაში შესულს გააჩნია თავდახსნილობის წიგნი და კიდევაც უდგენს მას ახალ ბატონს[65].

თუ მკვლევარი გაითვალისწინებს ყოველივე ამას, იგი სრულიად ბუნებრივად მივა დასკვნამდე დაყმევების პროცესის ბევრად უფრო ნაკლები მასშტაბის შესახებ XVIII ს-ის საქართველოში, ვიდრე ეს დ. გოგოლაძეს ჰგონია.

რეცენზენტი ეჭვმიუტანლად წერს, რომ იგი მასალის „შესწავლის შედეგად"(?) მივიდა დასკვნამდე, რომ „XVIII საუკუნეში გლეხთა თავდახსნის შედარებით უმნიშვნელო რაოდენობრივი ფაქტები მთელი ქვეყნისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ მოვლენის ამდენივე ფაქტს, შეიძლება მეტსაც, ადგილი ჰქონდა ადრეც, XVII საუკუნეში, და ასევე მანამდეც"[66]. პირდაპირ საოცარია, რომ ერთი და იგივე ავტორი, ერთსა და იმავე წერილში, ერთსა და იმავე საკითხზე ახერხებს ამდენი ერთიმეორის გამომრიცხველი აზრის გამოთქმას. ნუთუ დ. გოგოლაძემ არ უნდა იცოდეს, რომ ბატონყმური ურთიერთობიდან გლეხთა თავდახსნა-განთავისუფლებას როგორც მეტ-ნაკლებად მასობრივ და სოციალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მოვლენას არ შეიძლებოდა ადრეულ ხანაში (XVII საუკუნეში და მანამდე) ჰქონოდა ადგილი, რადგანაც ის ანტიბატონყმური მოძრაობაა და მისი წარმოშობა დაკავშირებულია ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვასთან. ის გვიანფეოდალური ხანის მოვლენაა[67]. დ. გოგოლაძე კი, როგორც წერილიდან ჩანს, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს XIX ს-ის პირველ ნახევარში ათავსებს[68].

დ. გოგოლაძე სუბიექტური სოციოლოგიის გავლენით თავდაყირა აყენებს ობიექტურ სოციალ-ეკონომიური განვითარების პროცესს. მას ჰგონია, რომ ჯერ ბურჟუაზიული საკუთრების იურიდიული ნორმები იქმნება და შემდეგ, მის საფუძველზე ვითარდება ბურჟუაზიული ურთიერთობა. ჩვენი რეცენზენ-

---

[65] ასეთი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო იყო ყმობაში შესვლის დროს. „ხოლო იქმნების, რომელ ყმა სხვისა მივიდეს სხუასა თანა, რომლისა არა ჯერ -არს მიღება თვინიერ თავისუფლების წერილისა, მებატონისაგან მიცემულისა" (იხ. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გვ. 15).

[66] „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 1, გვ. 167.

[67] მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის..., გვ. 386, 398.

რომ გლეხთა თავდახსნა-განთავისუფლება სწორედ XVIII საუკუნიდან (განსაკუთრებით მის მეორე ნახევრიდან) გახდა საგრძნობი და რომ ადრე იგი არც კი შეინიშნებოდა, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან. ექვ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი"-ს პირველსა და მესამე ტომში (თბ., 1920) მოთავსებული XV—XVII საუკუნეების 124 საბუთიდან არც ერთში არ არის დადასტურებული გლეხის ყმობიდან განთავისუფლების შემთხვევა. მეტ-ნაკლებად იგივე სურათი იშლება. ნ. ბერძენიშვილის პუბლიკაციის მიხედვით. „დოკუმენტებში საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", მის პირველ ტომში, გამოქვეყნებულია XV—XVII საუკუნეების სულ 174 საბუთი აქედან ყმობიდან თავდახსნას ეხება მხოლოდ 4 (№№ 46, 105, 135, 519). ამ ოთხიდან ნამდვილ თავდახსნილობას ადასტურებს 3 (№№ 46, 135 და 519). ერთში კი თავდახსნასთან არც კი გვაქვს საქმე, რადგანაც ყმა ერთი ბატონისგან გამოიხსნა მეორე ბატონმა თავის სასარგებლოდ.

[68] „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 1, გვ. 167.

ტი ასე მსჯელობს: „სპორადულად აქა იქ გაჩენილ თავდახსნილ გლეხს კვლავ ნთქავდა ბატონყმობა, რადგან ასეთი ერთეული გლეხები თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდნენ, ამასთან ფეოდალურ-ბატონყმური სამართალი კანონით, რაც მთავარია, არ უშვებდა გლეხთა ბურჟუაზიულ საკუთრებას მიწაზე“[69].

დ. გოგოლაძემ უნდა იცოდეს, რომ იურიდიულად, კანონით გაფორმებული ბურჟუაზიული საკუთრება არც გვიან ფეოდალური ხანის დასავლეთ ევროპაში არსებობდა. მთელ მსოფლიოში ფეოდალური საკუთრების რღვევის თავდაპირველი და უმთავრესი გამოხატულება მესაკუთრე გლეხების (მათ შორის მცირე რაოდენობით გაბურჟუების გზაზე დამდგარი გლეხების) გამრავლება იყო და ჩვენს ნაშრომშიც ამ პროცესის პირველი ეტაპის დაწყებაა დასაბუთებული. რეცენზენტი კი იმ მოტივით, რომ ქართული ფეოდალური სამართალი არ უშვებდა მიწაზე ბურჟუაზიულ საკუთრებას, უარყოფს XVIII ს-ის საქართველოში გლეხურ, პარცელარული საკუთრების არსებობის ფაქტსაც.

XVIII საუკუნეში თავისუფლებამოპოვებულ გლეხთა საერთო რაოდენობა ჩვენს წიგნში მიახლოებით 450 კომლითაა განსაზღვრული. ამ რაოდენობიდან 200 კომლი 1755 წლის ყვარლის ოპერაციაში მონაწილე გლეხია, რომელიც ერეკლემ და მამამისმა გააზატ-გაათარხნეს. ამათი შეყვანა ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებულ გლეხთა რიცხვში დ. გოგოლაძეს შეცდომად მიაჩნია, რადგანაც ისინი, მისი სიტყვით, „უფლებრივად ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხები კი არ იყვნენ, არამედ გადასახადებისაგან ნაწილობრივ თუ მთლიანად გათარხნებული“[70]. მართალია, ამასთან დაკავშირებით შედგენილ ქართლისა და კახეთის მეფეების, თეიმურაზისა და ერეკლეს სიგელებში არ არის ნათქვამი, რომ ბრძოლაში მონაწილე ყმები საერთოდ თავისუფლდებოდნენ დამოუკიდებელი მდგომარეობიდან, მაგრამ მისი შინაარსიდან ჩანს, რომ არსებითად სწორედ ასეთი აქტი განხორციელდა. ყვარლის გმირ გლეხებს არა მარტო მისცეს მიწები[71], არამედ სრულიად გაანთავისუფლეს ყოველგვარი სამეფო-საბატონო და სამეფო-სახელმწიფო გადასახადებისაგან. „ამისათ (ე. ი. თავდადების. — ი. ა.) საჯილდოოთ, — ვკითხულობთ ერთ მათგანში — ასე გაგა(ა)ზატეთ... რომე არაფერი საჩვენო გამოსაღები — არა თეთრი, არა საური, (არა) სალიანი, არა კოდის პური, არა სამასპინძლო, (არა) საკლავი, (არა) ღვინო (არა გეთხოვებოდეს)... ასე გაგათარხნეთ“[72]. ამ პედანტურად ზუსტი ჩამოთვლიდან ნათლად ჩანს, რომ საქმე გვაქვს სამეფო ყმების გადასახადებისაგან არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად განთავისუფლებასთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, 1755 წელს 200 კომლმა გლეხმა მიიღო სოლიდური მიწის ფართობი (ორ-ორი საკომლო თითოეულმა) და მთლიანად თავი დააღწია ყოველგვარ სამეფო გადასახადო ვალდებულებას. ასეთი გლეხები ფაქტიურად თავისუფალნი იყვნენ, მათ ყმობას ჰქონდა წმინდა ფორმალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიმბოლური ხასიათი. ამიტომ, ვფიქრობთ, სამართლიანად წერს მ. დუმბაძე, რომ „ალყის გარღვევაში მონაწილე გლეხთაგან ყველამ (მათ შორის ბრძოლაში და-

---

[69] „მაცნე“, ისტორიის სერია, 1978, № 1, გვ. 168, 175.

[70] იქვე, გვ. 165.

[71] ყვარლის ციხის ოპერაციაში მონაწილე გლეხიო, გამოუცხადებიათ მეფეებს, მიიღებს „ოთხს თუმანს, ორს საკომლო მამულსა და სითარხნეს“ (პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, II, 1958, გვ. 463).

[72] სსცია, ფონდი 1448, საბ. 2326.

ღუპულთა ოჯახებმა)... თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა უფლებები ძიიღო"-ო[73].

ამრიგად, აქაც ყველაფერი რიგზეა და დ. გოგოლაძე ამაოდ გაისარჯა.

ჩვენ ვეთანხმებით რეცენზენტს, რომ 450 კომლი, რომლებმაც თავი დააღწიეს ბატონყმურ ურთიერთობას, თავისთავად არ არის ძალიან ბევრი. ძალიან ბევრი არც 900 კომლია, რომლებმაც, ჩვენი დაშვებით[74], თავისუფლება მოიპოვეს XVIII ს-ის საქართველოში. მაგრამ არ შეიძლება მას ანგარიში არ გაეწიოს ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების დახასიათებისას, რადგანაც ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას გადამწყვეტია არა იმდენად რაოდენობრივი მომენტი, რამდენადაც მისი განვითარების ტენდენცია. კამათობდა რა ნაროდნიკებთან რეფორმის შემდეგდროინდელი კუსტარული მრეწველობის ბუნების შესახებ, ვ. ი. ლენინი წერდა: „იქნებ თქვან, რომ ამ შემთხვევაში საერთოდ მეტად დიდია დაქირავებულ მუშათა პროცენტი? მაგრამ საქმე ის არის, რომ აქ მნიშვნელოვანია სრულიად არა აბსოლუტური ციფრები, არამედ ურთიერთობა, რომელსაც ისინი ააშკარავებენ, ურთიერთობა, რომელიც არსებითად ბურჟუაზიულია და ასეთად რჩება ბლიერ გამოხატულ ბურჟუაზიულობის დროსაც და სუსტად გამოხატულ ბურჟუაზიულობის დროსაც"[75].

აქვე ზედმეტი არ იქნება შევახსენოთ კრიტიკული წერილის ავტორს, რომ არც 1803 წლის კანონს დაუქცევია ქვეყანა, არც მას მოჰყოლია ძალიან საგრძნობი შედეგები. საკმარისია ითქვას, რომ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მეფობის მთელი 25 წლის განმავლობაში ხსენებული კანონის ძალით თავისუფალ გლეხთა კატეგორიაში გადავიდა სულ 47133 მამრობითი სქესის ყმა ან ყმური მოსახლეობის მხოლოდ 0,5 პროცენტი[76]. მიუხედავად ასეთი მიზერული პროცენტისა, კანონი თავისუფალ მხვნელ-მთესველთა შესახებ შეფასებულია სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც მთავრობის მერყეობის, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევისა და განვითარების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული ურთიერთობის წინაშე აშკარა უკანდახევის მაჩვენებელი ფაქტი.

ზემოთქმულიდან ჩანს, დ. გოგოლაძის არც ერთი შენიშვნა, დაკავშირებული გლეხთა თავდახსნა-განთავისუფლების პრობლემასთან, სინამდვილეს არ შეეფერება და ამიტომ, ცხადია, მათ ანგარიში არ შეიძლება გაეწიოს[77].

გლეხთა თავდახსნა-განთავისუფლების პრობლემასთან დაკავშირებით დ. გოგოლაძე იხილავს ერეკლე II 1765 წლის კანონს ტყვეყოფილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და გამოთქვამს, რა თქმა უნდა, ჩვენი დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებას. მისი აზრით, ტყვეობიდან საკუთარი ძალე-

---

[73] მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის..., გვ. 393.

[74] რადგანაც გლეხთა თავდახსნა-განთავისუფლების საბუთები ჩვენამდე სრულად არაა მოღწეული და მოღწეულიც ჩვენ სრულად ვერ აღვნუსხეთ, შესაძლებლად მივიჩნიეთ 450 განთავისუფლების შემთხვევის ორჯერ გადიდება. დ. გოგოლაძე ამ ხერხს გვიწუნებს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.

[75] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 247.

[76] С. Б. Окунь, Очерки истории СССР, конец XVIII — первая четверть XIX века, Ленинград, 1956, გვ. 129.

[77] ეს დასკვნა ვრცელდება იმ „წინააღმდეგობაზეც" რომელშიც, მისი აზრით, „მადანაშაულებს" დ. გოგოლაძე დაყმევების პროცესის მაჩვენებელი პროცენტის საუკუნის ნახევრების მიხედვით გაანგარიშებისას. რეცენზენტის მიერ მოგონილი წინააღმდეგობა ადვილად იხსნება ჩვენი წიგნის სათანადო ადგილის (გვ. 93) სრული და ობიექტური წაკითხვით.

ბით თავდახსნილი და სამშობლოში გამობრუნებული გლეხი საერთოდ კი არ თავისუფლდებოდა ყმური მდგომარეობიდან, არამედ მხოლოდ თავისი ბატონისაგან. მას უფლება ჰქონდა თავის ბატონს არ მისვლოდა, მაგრამ უსათუოდ ვინმეს ხელქვეითობაში უნდა შესულიყო. ეს მცდარი აზრია და ჩვენ მას ვერ გავიზიარებთ. ამ საკითხზე გამოქვეყნებული გვაქვს სპეციალური წერილი[78] და ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ვურჩევთ დ. გოგოლაძეს გულდასმით წაიკითხოს ის, ჩაუფიქრდეს იქ მოტანილ მასალას და გააკეთოს ობიექტური დასკვნა. აქ მხოლოდ დავასახელებთ დავით ბატონიშვილის „ობოზრენიდან" ერთ მუხლს, რომელშიც ნათქვამია: „Когда будет взят в плен человек несвободного состояния и сам собою возвратит свою свободу, а за прежним помещиком остаться не пожелает, суть в лице своем свободен, по установлению царя Ираклия»[79].

ვფიქრობთ, ბატონიშვილმა უკეთ იცოდა საქმის ვითარება, ვიდრე დ. გოგოლაძემ. ის კი, როგორც ვნახეთ, ლაპარაკობს საკუთარი ძალითა და სახსრებით სამშობლოში დაბრუნებული გლეხის ყმობიდან საერთოდ განთავისუფლებაზე. სხვანაირად აღნიშნულ კანონს ის წარმატება არ ექნებოდა, რაც მას სინამდვილეში წილად ხვდა.

ჩვენ განვიხილეთ დ. გოგოლაძის შენიშვნები, რომლიდანაც, როგორც ვნახეთ, არც ერთი არ არის მიღება-გაზიარების ღირსი.

И. Г. АНТЕЛАВА

ЕЩЕ РАЗ О ХАРАКТЕРЕ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ В XVIII ВЕКЕ

Резюме

В статье отстаиваются основные положения, развитые автором в своей монографии «К вопросу о характере социально-экономического положения Грузии в XVIII веке» (Тб., 1977 г.). Привлечением некоторых новых материалов доказывается правильность главного тезиса упомянутой книги о заметных сдвигах в жизни страны в XVIII столетии, в особенности во второй его половине (переход большей части проданной земли в руки крестьян, ослабление в силу этого экономической базы феодального строя, освобождение части крестьян от крепостной зависимости и др.). Они, по мнению автора, способствовали разрушению основ феодально-крепостнической системы и подготавливали почву для буржуазных отношений в будущем.

[78] ი. ანთელავა, ერეკლე II 1765 წლის კანონი ტყვეყოფილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში, თბ., 1976, გვ. 401—408.

[79] დავით ბაგრატიონი, „Обозрение...», თბ., 1959, გვ. 365, მუხ. 867.

ზაზა ალექსიძე

ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკული წარწერების თარიღისათვის

ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკული წარწერები ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ რ. შმერლინგმა X საუკუნით დაათარიღა, როდესაც ისინი ძეგლის სხვა კომპონენტებთან ერთად კომპლექსურად შეისწავლა[1]. ფრესკული წარწერები გრაფიკის თვალსაზრისით ახლოს დგანან ხელნაწერ წიგნებთან, ამიტომ განსვენებული მეცნიერის დასკვნაში გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, ამგვარი ძეგლების სტილისტურ-დეკორატიული თავისებურებების კვლევით მიღებული დიდი გამოცდილება.

ჩვაბიანის წარწერები სათანადო აპარატითა და გამოკვლევით პირველად ვასუნ წელს გამოაქვეყნა ეპიგრაფისტმა ვ. სილოგავამ, რომელმაც ისინი XI საუკუნით, ბაგრატ IV-ის ზეობით (1027—1072), დაათარიღა. ბუნებრივია, რომ ახალი თარიღის დასასაბუთებლად ნაშრომში მოცემულია როგორც პალეოგრაფიული, ისე ენობრივი (ორთოგრაფიული) და შინაარსობრივი საფუძვლები. წინამდებარე წერილში განხილული იქნება ყველა მათგანი ცალ-ცალკე იმავე თანმიმდევრობით, როგორც ავტორს აქვს მოცემული.

1. ვ. სილოგავას ამოსავალი დებულებაა: „ასომთავრული ფრესკული წარწერების პალეოგრაფიული ნიშნები მსგავსია ასომთავრულით ნაწერი ხელნაწერი წიგნების პალეოგრაფიული ნიშნებისა". ამიტომ იგი ჩვაბიანის ეკლესიის ფრესკული წარწერების გრაფიკას ილ. აბულაძის პალეოგრაფიული ალბომის მიხედვით უდარებს მ ხ ო ლ ო დ ხელნაწერი წიგნების გრაფიკას.

1. 1. მართალია, ფრესკული წარწერებისა და ხელნაწერი წიგნების პალეოგრაფიული ნიშნები ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ ისინი სრულიად არ განსხვავდებიან. ამიტომ ფრესკული წარწერების პალეოგრაფიული დახასიათებისას პ ი რ ე ლ რ ი გ შ ი ი ს ე ვ თ ა რ ი ღ ი ა ნ ფ რ ე ს კ უ ლ წ ა რ წ ე რ ე ბ ს უ ნ დ ა მ ი ვ მ ა რ თ ო თ და მხოლოდ ამის შემდეგ მოვუხმოთ ხელნაწერ წიგნებს.

1. 2. ფრესკული წარწერა შორიდან წასაკითხად არის განკუთვნილი. იგი კედლების შეკუმშულობასაც ემსახურება, ამიტომ მოსალოდნელია, რომ უფრო მეტი დეკორატიულობით იქნება შესრულებული, ვიდრე ხელნაწერი წიგნების ტექსტები. რადგან ასეა, ფრესკული წარწერების პალეოგრაფიული დახასიათებისა და დათარიღების დროს ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა უ ნ დ ა მ ი ე ქ ც ე ს წ ი გ ნ ე ბ ი ს ს ა ზ ე დ ა ო ა ს ო ე ბ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ა ს. განსახილველ წერილში ეს მომენტიც უგულებელყოფილია.

2. ვ. სილოგავას მიხედვით, ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის „წარწერებისათვის დამახასიათებელია მაღალი დუქტუსი. X ს-ის და უფრო ადრინდელი ხანის წერილობით ძეგლებში ასომთავრული დამწერლობის დუქტუსი დაბალია და მრგვალი (ილ. აბულაძე, პალ. ალბომი, ტაბ. 18—22), ხოლო XI საუკუნიდან

[1] Р. Ш м е р л и н г. Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 234.

[2] ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში: კრ. „სვანეთი", თბ., 1977, გვ. 46—50, ტაბ. 80—84.

დუქტუსი მაღლდება, როგორც ეს მაგალითად 1033 წლის მესტიის ოთხთავშია (იქვე, ტაბ. 26)".

2. 1. რადგან ავტორი შეგვპირდა, რომ ჩვაბიანის წარწერებს ხელნაწერი წიგნების ტექსტების წერის მანერასთან შეადარებდა, ჩვენც ჩავხედოთ ლიტერატურას, რა აზრია გამოთქმული „დუქტუსთან" დაკავშირებით. რ. შმერლინგი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ქართული ხელნაწერის გაფორმების საკითხები IX—XI საუკუნეებში, წერს: «Перелом, отмечающий переход от одной фазы стиля к другой, намечается, исходя из наличного скудного материала, уже во второй половине IX века... Тенденция к созданию компактной строки влечет за собой суживание буквы и придание ей не столько округлого, сколько прямоугольного очертания, обеспечивающего возможность более тесной постановки рядом стоящих букв и композиционного сочетания их очертаний. Потребность в выработке нового художественного облика страницы рождает изменение пропорций буквы, как заглавной, так и в тексте. Простая по начертанию, заглавная буква выделяется резко преувеличенной протяженностью своего стержня; прием удлинения вертикальных стержней букв, спускаемых под строку, — порой — до пересечения с верхней линией ниже расположенной строки, — уже в 60-ые годы IX века намечает путь, приводящий в дальнейшем к изощренным преувеличениям декоративно трактуемого письма»[3].

2. 2. რატომ აიღო მაინცდამაინც მესტიის 1033 წლის ოთხთავი ავტორმა „მაღალი" და „დაბალი" დუქტუსებისათვის ქრონოლოგიურ მიჯნად? პალეოგრაფიულ ალბომში, რომლითაც ის სარგებლობს, მესტიის ოთხთავი შემთხვევით არის მოხვედრილი X ს-ის ნიმუშებს შორის. 27-ე ტაბულიდან 38-ეს ჩათვლით კვლავ X და X—XI სს-ის ძეგლებს ეთმობათ. ავტორს ეს 11 ტაბულაც რომ გადაესინჯა, ე. წ. „მაღალი დუქტუსით" ნაწერ ბევრ ტექსტს ნახავდა. მარტვილის ოთხთავი, საფოციქულო, ქსნის ოთხთავი, S—405 და სხვ. არც VII საუკუნით დათარიღებული ხანმეტი ლექციონარი ჩანს უფრო დაბალი დუქტუსით ნაწერი, ვიდრე ჩვაბიანის წარწერები.

2. 3. ვნახოთ ახლა, რას გვაძლევენ ამავე თვალსაზრისით ფრესკული წარწერები ატენის სიონში. ჩვენ აქ მხოლოდ ისეთ წარწერებზე მივუთითებთ, რომელთა მონახაზები ან ფოტოები ცნობილი იყო განსახილველი წერილის გამოქვეყნებამდე. 759 წლის სტეფანოზ მამფალის წარწერა, 837 წლის გუარამავრ დედოფლის წარწერა, 885 წლის სუმბატ აშოტის ძის წარწერა შესრულებულია ისეთივე, ან უფრო მაღალი დუქტუსით, როგორითაც ჩვაბიანის წარწერები[4]. აღარ ვლაპარაკობთ აქვე ამოკაწრულ 906 და 945 წლის წარწერებზე.

3. „დამწერლობის დეკორატიული ხასიათი: კიდურწერტილოვნება და კიდურწაისრულობა. ეს მოვლენა ქართულ წერილობით ძეგლებში XI საუკუნის დასაწყისიდან იჩენს თავს. მუჟალის (ჩვაბიანის — **ზ. ა.**) წარწერების ასოთა კიდურები წერტილოვანია, ხოლო № 3 წარწერის პირველი სტრიქონის სიტყვაში „უ(ფალ)ო" დაქარაგმებული ფორმით („ო˘ო") ორივე ონი კიდურწაისრუ-

[3] Ренэ Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XI вв., Тб., 1967, გვ. 53—54.

[4] იხ. თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 14—16, 19—20, 36; გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, სურ. 3—7.

ლია. ზუსტად ასეთივე მოხაზულობითაა გადმოცემული ონი ასევე დაწერილ („ო˝ო“) ამავე სიტყვაში („უფალო“) 1033 წლით დათარიღებულ მესტიის ოთხთავში“.

3. 1. მიუხედავად დაპირებისა, ამ დებულების ჩამოყალიბებისას ავტორი ჩანს, ლაპიდარულ წარწერებს გულისხმობდა და არა ხელნაწერ წიგნებს (ანალოგიისათვის იგი რომ სხვა ფრესკულ წარწერებს არსად არ იყენებს, ამაში უკვე დავრწმუნდით). ასე რომ არა ყოფილიყო, რ. შმერლინგისა და ე. მაჭავარიანის სპეციალური გამოკვლევებით მას კარგად ეცოდინებოდა, რომ ხელნაწერი წიგნების ტექსტთა დეკორატიული შემკულობა და საზედაო ასოების დეკორატიული გამოყვანა უკვე IX საუკუნიდან იწყება[5].

6. 2. „კიდურწერტილოვნება“ როგორც დამათარიღებელი საშუალება, ფრესკულ წარწერებსა და ხელნაწერი წიგნების ტექსტებს არ გამოადგებათ. აქ ისევ ლაპიდარული წარწერების გრაფიკაში აღრევასთან გვაქვს საქმე. თითქმის არ არსებობს მელნით ან სხვა საღებავით შესრულებული რამდენადმე მსხვილად გამოსახული ტექსტი კიდური წერტილების გარეშე და ამ მხრივ ჩაბიანის წარწერებს არავითარი თავისებურება არა აქვთ. „კიდურწერტილოვანია“ ყველა XI საუკუნემდელი ფრესკული წარწერა ატენის სიონში, რომელიც შორიდან დასანახად არის გამოსახული.

რაც შეეხება № 3 წარწერის „კიდურწაისრულ“ ო-ნს, აქ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ საზედაო ასოსთან: იგი ტექსტის პირველი ასოა და ამასთანავე „უფალ“ სიტყვის ინიციალი. ამავე ტექსტის სხვა არც ერთი ო-ნი კიდურწაისრული არ არის, თუმცა გამომცემელი გვარწმუნებს, რომ „ო˝ო“-ში („უფალო“) ორივე ო-ნი კიდურწაისრულიაო. საზედაო ასოთა შორის კი, როგორც ე. მაჭავარიანის მიერ გამოქვეყნებული ტაბულიდან კარგად ჩანს, როგორც ო-ნი, ისე სხვა გრაფემები უკვე X საუკუნეში კიდურწაისრულიც გვხვდება და კიდურყვავილოვანიც. ასეთსავე საზედაო ასოზე მიუთითებს თვითონ ვ. სილოგავაც, როდესაც ილ. აბულაძის პალეოგრაფიული ალბომიდან მესტიის ოთხთავს იმოწმებს, თორემ იმავე ოთხთავში სხვა ყველა ო-ნი, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ისრის გარეშეა დაწერილი.

4. ვ. სილოგავას აზრით, ჩაბიანის ეკლესიის ფრესკულ წარწერებს XI საუკუნით ათარიღებს „ბანისა და განის ქუსლის გადმოცემა „რთული“ კაუჭით (შდრ. პალეოგრაფიული ალბომი, ტაბ. 39—40, ურბნისის ოთხთავი XI ს-ის პირველი ნახევრისა), მაშინ, როდესაც X ს-ის და უფრო ადრინდელი ხანის წერილობით ძეგლებში ბანისა და განის ქუსლი სადა და „მარტივი“ მოხაზულობისაა“.

4. 1. პალეოგრაფიული ალბომიდან შესადარებლად ურბნისის ოთხთავი ნებისმიერად არის აღებული. დავანებოთ თავი იმას, რომ ეს ძეგლი თარიღიანი არ არის და ანალოგიისათვის მკაცრ საყრდენად არ გამოდგება. იმავე ალბომის საშუალებით თუ გადავხედავთ 864 წლის სინურ მრავალთავს (ტაბ. 11, 12), 897 წლის ადიშის ოთხთავს (ტაბ. 13), 936 წლის ჯრუჭის ოთხთავს (ტაბ. 14), 977 წლის „საცისკრო სახარებათ“ (ტაბ. 18), 979 წლის Sin. 38-ს, X ს-ის მეორე

[5] რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—81; ე. მაჭავარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V—XIII სს.): კრ. „მრავალთავი“, II, თბ., 1973.

ნახევრით დათარიღებულ ბერთისა და მარტვილის ოთხთავებს, ვნახავთ, რომ ბ-ანსა და გ-ანს ისეთივე ტიპის ჭუსლები აქვთ, როგორც ჩვაბიანის წარწერებში, ან კიდევ გაცილებით უფრო „რთული“.

4. 2. იმის დასადგენად, თუ როგორ იწერებოდა ბ-ანისა და გ-ანის კაუჭი XI საუკუნემდელ ძეგლებში, ამდენი შრომის დახარჯვა არც იყო საჭირო. ამისათვის სრულიად საკმარისი იქნებოდა, გადაგვეხედა ივ. ჯავახიშვილის, ილ. აბულაძის ან ე. მაჭავარიანის შრომებისათვის დართულ ქართული ანბანის განვითარების ტაბულისათვის. ვნახავდით, რომ „რთული კაუჭი“, ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, თითქმის ყველა ხელნაწერ ძეგლში გვხვდება და მათ შორის VII ს-ის ხანმეტ ლექციონარშიც. გვხვდება იგი ლაპიდარულ წარწერებშიც კი (მცხეთის ჯვრის VI ს-ის წარწერები, ვეჟან ატენელის VIII ს-ის წარწერა), სადაც ყველაზე ნაკლებ იყო მოსალოდნელი.

4. 3. ჩვაბიანის ფრესკული წარწერებისათვის საანალოგიოდ ჯობდა ისევ ფრესკული წარწერებისათვის მიგვემართა. სხვა მაგალითებს თავი რომ დავანებოთ, 853 წლის ბუღა თურქის წარწერა ატენის სიონში რამდენჯერმეა გამოცემული და მკითხველს ადვილად შეუძლია დარწმუნდეს, რომ ამ წარწერის ბ-ანსა და გ-ანს შეუდარებლად უფრო „რთული კაუჭის“ მქონე ჭუსლები აქვთ, ვიდრე იმავე გრაფემებს ჩვაბიანის წარწერებში.

5. „პალეოგრაფიული ნიშნებიდან ყურადღებას იქცევს № 2 წარწერის მე-5 სტრიქონში თავშეკრული შინი. ამ წარწერაში შინის ასეთი სახით გადმოცემა (მაშინ როდესაც იგი თავგახსნილია ამავე წარწერის მე-2 და მე-7 სტრიქონებში, ყველა შემთხვევაში № 1 წარწერაში) ანაქრონიზმს წარმოადგენს. მართლაც, თავშეკრული შინი დამახასიათებელია V—VIII სს. ქართული დამწერლობისათვის, მაგრამ თავშეკრული შინი, ისევე როგორც შეკრული ბანი, ყარი და ჯიე, ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, მოგვიანო ხანის (X და X—XI სს.) წარწერებშიც დასტურდება (იხ. ურბნისის სიონის წარწერები, ჭყონდიდის ტაძრის დასავლეთ ფასადის წარწერა, ბურნაშეთის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის წარწერა და სხვ.). ამდენად, შინის ერთ შემთხვევაში თავშეკრული გადმოცემა მუჟალის წარწერების რამდენადმე ადრეული დათარიღებისათვის საფუძველს არ გვაძლევს“.

5. 1. მართალია, „შინის ერთ შემთხვევაში თავშეკრული გადმოცემა მუჟალის წარწერების რამდენადმე ადრეული ხანით დათარიღების საფუძველს არ გვაძლევს“, მაგრამ, როდესაც თარიღებში არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, უფრო ადრინდელ ხანას ავგარჩევინებს.

5. 2. თავშეკრული ბ-ანი, ყ-არი და ჯ-იე XI ს-ის წარწერებში ჯერ არავის დაუდასტურებია. ავტორს თავისი თარიღის დასასაბუთებლად სჭირდება X ს-ის გამორიცხვა, ამიტომ ბუნდოვანი მითითება, ასეთი გრაფემები X და X—XI სს-ში გვხვდებაო, მას არაფერს არ აძლევს.

5. 3. ვ. სილოგავას მიერ მითითებული წარწერებიდან არც ერთი არ არის XI საუკუნისა. ურბნისის სიონის ის წარწერა (და არა წარწერები), რომელშიც თავშეკრული ბ-ანი, ყ-არი და ჯ-იე გვხვდება, მისი გამომცემლის მიერ დათარიღებულია V საუკუნით[6]. მართალია, თვითონ ვ. სილოგავამ სტუდენტობის

წლებში წარუმატებლად სცადა ამ წარწერის გადათარიღება, მაგრამ X საუკუნეზე შორს თვითონაც არ წასულა.

5. 4. თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ თავშეკრული შ-ინი სადმე შეგვხვდეს XI ს-ის წარწერაში, ისევე, როგორც იგი დადასტურებულია ერთ XV ს-ის წარწერაში, მაგრამ X საუკუნისაგან განსხვავებით ეს უკვე ნამდვილი რუდიმენტი იქნება. X საუკუნეში ამ ტიპის გრაფემა იშვიათი არ არის. იგი ხელნაწერ წიგნთა საზედაო ასოებშიც გვხვდება.

6. გამომცემლის აზრით, ჩვაბიანის წარწერებს XI საუკუნით ათარიღებს „უნის დაწერილობა სხვადასხვა სახით. X ს-ის და უფრო ადრინდელი ხანის წერილობით ძეგლებში უ-ნი, როგორც წესი, ყოველთვის გადმოცემულია **Ⴓ** გრაფიკული ნიშნით. XI საუკუნიდან ეს წესი ირღვევა და უ-ნი გადმოცემულია სხვადასხვა სახით: **Ⴓ**, **Ⴋ**, **Ⴝ**. უნის დაწერილობის სამივე ფორმა დასტურდება მუჟალის წარწერებში (იხ. № 1 წარწერაში: „მოგოჳცა“, „ოჳმჯობესად“, „სჳლსა“, № 2 წარწერაში: „შეონდე“, „სჳლსა“, მარჯჳნ̃ით“, № 3 წარწერაში: „ო(ფალ)ო“, „სოფევათა[ო]“ „შეონდე“, „სოლსა“, „მარჯონ̃[ით]“).

6. 1. „ო(ფალ)ო“ სიტყვის ქარაგმიანი („ო˝ო“) ფორმა არგუმენტად მოსატანი არ არის, ვინაიდან უ-ნის მეორე გრაფემა (ჳ-იე) ქარაგმაში იგულისხმება: „ო(ჳფალ)ო“. ასე ქარაგმდებოდა ეს სიტყვა ყოველთვის: შდრ. VI—VII სს-ის ქართულ-ებრაული პალიმფსესტი (პალეოგრაფიული ალბომი, ტაბ. 9), 864 წლის სინური მრავალთავი (იქვე, ტაბ. 11), 885 წლის აშოტ სუმბატის ძის წარწერა ატენის სიონში (ატენის სიონის წარწერები, გვ. 19), ანალოგიურად ქარაგმდებოდა სახელი „იესუ“ („ი˝ჳ“), ოღონდ აქ უკვე უ-ნის პირველი გრაფემა ო-ნი ყვებოდა დაქარაგმებულ ნაწილში. ასეა სწორედ ეს სიტყვა დაქარაგმებული ჩვაბიანის № 3 წარწერაში, მაგრამ მკვლევარს იგი, კიდევ კარგი, XI საუკუნით დამათარიღებელ არგუმენტად არ მოუტანია „ო˝ო“-ს გვერდით.

6. 2. მთავრული უ-ნის წერის წესის დარღვევის ასეთი ზუსტი დათარიღება ლიტერატურაში სხვაგან არსად შეგვხვედრია და, როგორც ჩანს, პრიორიტეტი ამ საკითხშიც ვ. სილოგავას ეკუთვნის. სამწუხაროდ, ეს საპასუხისმგებლო დებულება მასალით შემაგრებული არ არის, მით უფრო, რომ სპეციალურ ლიტერატურაში სხვაგვარი შეხედულებაა გამოთქმული.

ჭილ-ეტრატის იადგარში, რომელიც პალეოგრაფიულ ალბომში IX—X სსით არის დათარიღებული, უ-ნის ო-ნით გადმოცემის უამრავი შემთხვევა გვხვდება. მართალია, ძეგლის გამოცემის პალეოგრაფიულ აღწერილობაში ნათქვამია, რომ ხელნაწერი XI ს-ის დასაწყისზე ადრინდელი არ უნდა იყოსო, მაგრამ იქვე, პარაგრაფში „ოჳ-ს გადმოცემა ო-თი“ ვკითხულობთ: „მსგავსი ფაქტები იმდენად ბევრია, რომ შეუძლებელია ესენი გადამწერის შეცდომებს მივაწეროთ. საგულისხმოა, რომ ასეთი რამ მეტ-ნაკლებად IX—XI საუკუნეების სხვა ძეგლებსაც ახასიათებს“. ამის შემდეგ ავტორი იმოწმებს სათანადო მაგალითებს ტექსტებიდან. ამავე ხელნაწერში დადასტურებულია უმარცვლო უ-ნის ჳ-თი გადმოცემის მრავალი შემთხვევა[8].

---

6 ნ. შოშიაშვილი, ურბნისის ძველი ქართული წარწერები: „პალეოგრაფიული კრებული“, I, თბ., 1965.

7 ვ. სილოგავა, V ს-ის ქართული ეპიგრაფიკის ზოგიერთი საკითხი: თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კრებული, ტ. 10, თბ., 1970, გვ. 91—97.

8 ჭილ-ეტრატის იადგარი, თბ., 1977, გვ. 239—241.

6. 3. სულ ეხლახან ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 907 წლით დათარიღებული სინური პატერიკის ნაწილი, რომელშიც ასომთავრული უ-ნის გადმოცემის ყველა ის შემთხვევა გვხვდება, რომელთა არსებობაც „X ს-ის და უფრო ადრინდელი ხანის წერილობით ძეგლებში“ ვერ წარმოუდგენია ვ. სილოგავას: „აღასრჳლოს“, „თჳ“ „ოჳქეთჳ“, „ოჳქვეთჳ“, „გეოფლოს“, „ნჳ“, „იდჳმალ“ და მისთ[9].

ამის შემდეგ, ალბათ, აღარ არის საჭირო ვაჩვენოთ, რომ იგივე ორთოგრაფიული მოვლენა დადასტურებულია X ს-ის სომხურ ეპიგრაფიკაშიც, ხოლო ქართული ტოპონიმი „უფლისციხე“ — „ოფლიცხე“ ფორმით გვხვდება 982—986 წლების სომხურ წარწერაში ატენის სიონის კედელზე[10].

7. ვ. სილოგავა გვარწმუნებს, რომ ჩვაბიანის წარწერების X ს-ით დათარიღებას გამორიცხავს კიდევ ერთი ორთოგრაფიული წესი: „შჱნ“ ძირის სიტყვებში ჱ-ს ნაცვლად ე-ს დასმა. X საუკუნემდე ეს წესი წერილობით ძეგლებში მტკიცედ არის დაცული და მხოლოდ XI საუკუნიდან იწყება მისი რღვევა (იხ. № 1 წარწერაში — „აღვაშენეთ“ და № 2 წარწერაში „აეშენა“).

7. 1. სინ. 86-ის აღწერილობაში ნ. მარი წერდა: „Против отнесения (этой рукописи. — **З. А.**) в более древнее время, чем X век, говорит орфографический ее облик, именно невыдержанность в употреблении ѣ (часть заменяется вульгарным э и в склонении и в спряжении, и в корне, напр. аэашенa)».

როგორც ვხედავთ, ნ. მარს ѣ>е დათარიღებული აქვს X საუკუნით. სხვაგვარი თარიღი ლიტერატურაში არა გვხვდება და ამ მოვლენის დასაწყისის XI საუკუნეში გადატანა საჭირო საბუთებით უნდა იყოს შემაგრებული.

7. 2. 996 წლის ჭყონდიდის (მარტვილის) წარწერაში სიტყვა „აეშენა“ მოცემულია სწორედ იმ ფორმით, როგორც გვხვდება ჩვაბიანის წარწერებში“ — „აეშენა“[12].

8. მას შემდეგ, რაც „პალეოგრაფიული და ორთოგრაფიული ნიშნებით“ ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის წარწერები XI საუკუნეში გადაიტანა, ავტორი შეეცადა ამ თარიღის კიდევ უფრო დავიწროებას: „წარწერის მე-10 სტრიქონში ლევკასის ფენის აცვენის შედეგად მთლიანად გადასულია „აფხაზთა მეფის“ სახელი. იმ ფართობის მიხედვით, რომელზედაც ეს სახელი ეწერა, ივი გადმოცემული იყო ოთხი ასოთი. XI საუკუნეში მეფე, რომლის სახელი დაქარაგმებული ფორმით იწერებოდა ოთხი ასოთი და, რომელიც ატარებდა „აფხაზთა მეფის“ ტიტულს, უნდა იყოს ბაგრატ IV (ბ̃გრტ). მისი მეფობის წლების მიხედვით შეიძლება წარწერები 1027—1072 წწ. დავათარიღოთ“.

8. 1. ჩვენ ზემოთ ყველგან მხოლოდ პირობითად ვამბობდით, ესა თუ ის პალეოგრაფიული ან ფონეტიკური მოვლენა ავტორის მიხედვით XI საუკუნით თარიღდებაო. სინამდვილეში ვ. სილოგავამ, მართალია, სცადა ჩვაბიანის ფრესკული წარწერების X საუკუნით დათარიღების უარყოფა, მაგრამ, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ ისინი, მიუხედავად ამდენი მსჯელობისა,

---

9 შ. დვალი, ლ. ჯღამაია, მეათე საუკუნის პატერიკის (Sin—35) ერთი ფრაგმენტის შესახებ, კრ. „მრავალთავი“, თბ., 1978, გვ. 77—80.

10 ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978, გვ. 53.

11 И. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, გვ. 153.

12 M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, VII, გვ. 12; ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, თბ., 1914, გვ. 39.

მას ფაქტიურად საერთოდ დაუთარიღებელი დარჩა. ყველა პალეოგრაფიული და ფონეტიკური მოვლენა, რომლებიც გამომცემელმა ჩვაბიანის წარწერებში დაინახა, მისი აზრით XI საუკუნეში იწყება, მაგრამ XI საუკუნეში ხომ არც ერთი მათგანი არა მთავრდება! მაშასადამე, წარწერების შესრულების ზედა საზღვარი მას ჯერ არ დაუდგენია და არც იმის უფლება მოუპოვებია, რომ „მეფე, რომლის სახელი დაქარაგმებული ფორმით იწერებოდა ოთხი ასოთი და, რომელიც „აფხაზთა მეფის“ ტიტულს ატარებდა“, მაინცადამაინც XI საუკუნეში ეძებოს.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ჩვაბიანის ფრესკული წარწერები, მართლაც, XI საუკუნით თარიღდება. მაინც გაუგებარი რჩება „XI საუკუნეში მეფე, რომლის სახელი დაქარაგმებული ფორმით იწერებოდა ოთხი ასოთი და, რომელიც ატარებდა „აფხაზთა მეფის ტიტულს“, რატომ უნდა იყოს აუცილებლად ბაგრატ IV (1027—1072) და არა ბაგრატ III (974—1014). ნაშრომში ხომ ცდაც არ არის იმის ჩვენებისა, რომ ჩვაბიანის წარწერების დამახასიათებელი პალეოგრაფიული და ორთოგრაფიული ნიშნები მხოლოდ XI ს-ის 20-იანი წლებიდან ჩნდება ქართულ მწიგნობრობაში. პირიქით, „დამწერლობის დეკორატიული ხასიათის“ („კიდურწერტილოვნება და კიდურწაისრულობა“) შესახებ ავტორს ნათქვამი აქვს, რომ „XI ს-ის დასაწყისიდან იჩენსო თავს“.

8. 2. არც ერთ წარწერაში ან დოკუმენტში ბაგრატ IV მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულით არ მოიხსენიება. იგი მხოლოდ აფხაზთა მეფე არ იყო, ამიტომ თუ უბრალოდ „მეფედ“ არ იწოდება, ყველგან მოხსენიებულია ისეთი ტიტულატურით, რომელშიც ქართველთა სუვერენიც იგულისხმება: „მეფეთა მეფე“, „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, „აფხაზთა მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსი“, „მეფეთა მეფე და სევასტოსი“.

მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულით ჩვეულებრივ, მოიხსენიება ბაგრატ III, რომელიც 1001 წლამდე მარტოოდენ ამ პატივს ატარებდა. ამიტომ თუ კი ჩვაბიანის № 1 წარწერაში მაინცადამაინც ბაგრატ მეფის სახელი უნდა აღდგეს, გაცილებით მეტი იქნება ალბათობა ბაგრატ III-ის სასარგებლოდ, ხოლო წარწერა 978—1001 წლებით დათარიღდება.

ამრიგად, ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკულ წარწერებში არ არის არც ერთი ისეთი მონაცემი, რომელიც უარყოფდა მათ დათარიღებას X საუკუნით. გამომცემლის ყველა არგუმენტი უკლებლივ ბაცდარია.

З. Н. АЛЕКСИДЗЕ

О ДАТИРОВКЕ ФРЕСКОВЫХ НАДПИСЕЙ СПАССКОЙ ЦЕРКВИ СЕЛА ЧВАБИАНИ

В специальной литературе фресковые надписи Спасской церкви села Чвабиани (Верхняя Сванетия) были датированы X веком (Р. Шмерлинг). В последнее время сделана попытка датировать надписи XI веком (В. Силогава). В настоящей статье показана несостоятельность аргументации (как по палеографическим и орфографическим, так и по содержательным признакам), направленной против датировки указанных надписей X веком.

ზურაბ რატიანი

საკარგავი*

ივ. ჯავახიშვილით დაწყებული და თანამედროვე მკვლევრებით დამთავრებული, საკარგავის რაობის გარკვევას არა ერთი მეცნიერი ცდილა, მაგრამ ამ საკითხზე ერთი, უცილობლად დასაბუთებული აზრი, ქართულ ისტორიოგრაფიაში, დღეისათვის მაინც არ არსებობს. აღიარებულად ითვლება შემდეგი დებულება: საკარგავი არის ფეოდალური მიწისმფლობელობის პირობითი ფორმა — ძირითადად სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიღებული წყალობა, ხოლო მოსაკარგავე არის ის, ვინც ასეთ მიწას ფლობს და ეს მოვლენა ადრეფეოდალური ხანისათვის არის დამახასიათებელი.

შ. მესხიამ სპეციალურ ნაშრომში[1] დეტალურად განიხილა საკარგავის შესახებ არსებული მოსაზრებანი და ყველა მათგანი მიუღებლად მიიჩნია. ვფიქრობთ, წინამორბედი მკვლევრების თვალსაზრისთა შეფასებაში შ. მესხია მართალია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რიგ მეცნიერთა ცალკეული დაკვირვებანი უთუოდ სწორია.

თვით შ. მესხიას ძირითადი დასკვნები შემდეგია: „საკარგავი“ XI—XIII სს. ქართულში ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა — „საკარგავი“ ნიშნავდა როგორც სამოხელეოდ, საგამგეოდ, საშმართავად გაცემულ გარკვეულ ტერიტორიას, ქალაქს, ასევე სარგოს, ფულად გასამრჯელოს; „საკარგავის“ ასეთი ორგვარი მნიშვნელობა შემთხვევით არ შეიძლება წარმოშობილიყო და იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ საკარგავად მიღებული ტერიტორიის, ქალაქის თუ სახელოს გამგებლობა, ე. ი. მოხელეობის ეს სახე სარგოთი, რენტით, ძირითადად ფულადი სარგოთი ნაზღაურდებოდა“[2].

„ამრიგად, ისე როგორც „საკარგავი“, ასევე „მოსაკარგავეც“ XI—XIII საუკუნეებში ხმარებული ტერმინია, რაც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ „საკარგავი“ და „მოსაკარგავეობა“, როგორც სამოხელეო ინსტიტუტი სწორად მხოლოდ იმ პერიოდში არსებობდა და იმ დროისათვის არის დამახასიათებელი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „მოსაკარგავე“, არა როგორც მიწის მფლობელი, არამედ როგორც ხელისუფლების მფლობელი (მქონებელი) X ს-ის დასასრულისა და XI ს-ის დამდეგისათვის წარმოქმნილი ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის პირმშოა“[3].

უეჭველად მართალია შ. მესხია, როცა გამორიცხავს საკარგავის არსებობას ადრეფეოდალურ ხანაში; ოღონდ, აქ საჭიროა მცირე დაზუსტება, კერძოდ, არსებული წყაროების მიხედვით საკარგავი იხსენიება არა XI—XIII, არამედ XI—XIV საუკუნეებში[4]. შ. მესხიამ, გარდა ერთისა, ყველა წყარო განიხილა,

---

* წაკითხულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესიაზე, 1977 წლის 29 მარტს.

[1] იხ. შ. მესხია, XI—XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან („საკარგავის“ მნიშვნელობისათვის), კრებ.: XII ს-ის საქართველოს იტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 171—210. საკითხის ისტორიოგრაფია — იქვე, გვ. 176—186.

[2] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 203—204.

[3] იქვე, გვ. 206.

[4] ასეა, რადგან ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, სადაც საკარგავია ნახსენები, აღბუღას

სადაც საკარგავი და მისგან ნაწარმოები ტერმინებია დამოწმებული. მან თითქმის მიაკვლია კიდეც საკითხის სწორ გადაჭრას, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი დასკვნები დაზუსტებას საჭიროებს.

საქმე ისაა, რომ თვით ტერმინი „საკარგავი“ ზუსტად არა აქვს განმარტებული შ. მესხიას. აი, რას წერს იგი: „კარგი რიგსა ჰქვიან და საკარგავი — ყოველს გასარიგებელს“ — ნათქვამია ვახტანგ VI-ის თარგმანში“. „საკარგავი“ — გასარიგებელია“, განმარტავდა ს.-ს. ორბელიანიც“.

„ვეფხისტყაოსანში“ ხმარებული ტერმინ „საკარგავის“ ამგვარი მნიშვნელობა სადავო არ ყოფილა ვეფხისტყაოსნის შემდეგდროინდელ გამომცემელთათვისაც და ამიტომ XIX—XX სს. თითქმის ყველა გამოცემაში „საკარგავი“ ამგვარადვე იყო განმარტებული. დავასახელებთ მხოლოდ უმთავრესს: „საკარგავი — გასარიგები“ — განმარტებულია ვეფხისტაყოსნის 1841 წ. გამოცემაში. „საკარგავი — სამართავი, საგამგებლო“ — განმარტავდა დ. კარიჭაშვილი. ასევე ესმოდა ეს ტერმინი ს. კაკაბაძესაც — „საკარგავი — საგამგებლო“... „საკარგავი — სამმართავად და საუფროსოდ“ ესმოდა იუსტ. აბულაძესაც. კ. ჭინჭინაძემ კი სავსებით გაიმეორა დ. კარიჭაშვილის განმარტება „საკარგავი — სამართავი, საგამგებლო“.

„ვეფხისტყაოსნის ზემოხსენებულ გამომცემელთათვის საკარგავი გასარიგებელს, სამართავს, გასამგებლოს „საგამგებლოს“, საუფროსოს ნიშნავს“[5].

სამწუხაროდ, შ. მესხიას ვერ შეუნიშნავს განსხვავება, ერთი მხრივ, „ყოველს გასარიგებელსა“ და „გასარიგებს“, ხოლო, მეორე მხრივ, „სამართავს“, „საგამგებლოს“, „სამმართავსა“ და „საუფროსოს“ შორის.

„რიგი განწესებასავით“[6], — განმარტავს საბა, „რიგი წესი, განწესება, გარიგება, კარგი განკარგულება“[7], — გვიხსნის ნ. ჩუბინაშვილი. „გასარიგებელი“ ხომ „რიგიდან“ არის ნაწარმოები, მაშასადამე, „გასარიგებელი“ ყოფილა გასაწესებელი, ანუ ის, რაც უნდა გაწესდეს, გარიგდეს, დაწესდეს, ანუ ობიექტი, რომელზეც რაიმე წესი უნდა გავრცელდეს.

„გასარიგებელი რაც უნდა გაარიგონ ან გარიგდეს. 1. რიგზე გასაწყობი, დასარიგებელი. 2. მოსაწესრიგებელი, მოსაგვარებელი. გასარიგებლად გარიგებისათვის, გარიგების მიზნით“[8], — ვკითხულობთ განმარტებით ლექსიკონში.

მაშასადამე, „გასარიგებელი“ ანუ „გასარიგები“ არის რაიმე ობიექტი, ის, რაც უნდა გაარიგონ ან გარიგდეს რაიმე წესის ანუ რაიმე რიგის მიხედვით; აქედან, ცხადია, „ყოველი გასარიგებელი“ არის ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება გარიგების ობიექტი იყოს, ანუ „საკარგავი“ არის გარიგების ნებისმიერი ობიექტი, ანდა „საკარგავი“ არის ყოველი „გასარიგებელი“.

ახლა ვნახოთ, როგორ განმარტავს იგივე ლექსიკონი „საგამგებლოს“, „სამართავს“ და „საუფროსოს“:

„საგამგებლო 1. გამგებლობასთან დაკავშირებული, გამგებლობისათვის განკუთვნილი, გამგებლობისა. სამფლობელო, საბრძანებელი. 2. უწყება“[9].

რედაქციით გვაქვს შემორჩენილი, აღბუღა კი, როგორც ცნობილია, XIV ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა.

[5] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 171—172.

[6] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, გვ. 283.

[7] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 335.

[8] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1951, გვ. 1099.

[9] იქვე, ტ. VI, თბ., 1960, გვ. 527.

„სამართავი 1. რითაც მართავენ, აწესრიგებენ, რითაც რეგულირება წარმოებს. 2. რაც უნდა მართონ“[10].

„საუფროსო უფროსისათვის განკუთვნილი, რაც უფროსს ერგება, — უფროსისა. რაც ვისიმე უფროსობაში, გამგებლობაში იმყოფება“[11].

როგორც ვხედავთ, „გასარიგებელი“ ანუ „გასარიგები“ სხვაა და „საგამგებლო“, „სამართავი“ და „საუფროსო“ — სხვა; ამიტომ, ცხადია, ამ ტერმინების გაიგივება შეცდომაა; მაგრამ აქ ისიც აღსანიშნავია, რომ „საგამგებლო“, „სამართავი“ და „საუფროსო“ თვითონ შეიძლებოდა „ყოველი გასარიგებელის“ — საკარგავის კერძო სახე ყოფილიყო, მაგრამ, მაშინაც კი, მათი გაიგივება საკარგავთან არ შეიძლება, რადგან ეს ტერმინები „ყოველი გასარიგებელის“ — საკარგავის მხოლოდ ნაწილს მოიცავენ.

ვფიქრობთ, მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის მიერ 1841 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ „საკარგავი, — გასარიგები“ სწორედ გასაწესებლის აზრით არის განმარტებული და არა „სამმართავის“ ან „საგამგებლოს“ ანდა „სამართავისა და საუფროსოს“ შინაარსით. ვგონებ, ამ აზრის სისწორეს ემოწმება ნ. ჩუბინაშვილისეული განმარტება: „საკარგავი გასარიგები (ვეფხისტყ. 331), სახელო“[12]. ლექსიკოგრაფს გარკვევით აქვს ნათქვამი: საკარგავი — ზოგადად გასარიგები, ანუ გასაწესებელი რამ, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში — ვეფხისტყაოსნის 331-ე სტროფში კი ეს გასარიგები — გასაწესებელი არის სახელო ანუ თანამდებობაო (ლაპარაკია ამირბარობის სასაკარგაოდ სარიდანისათვის მიცემაზე).

ამრიგად, საბას: „საკარგავი გასარიგებელი“, ვახტანგ VI-ის: „კარგი რიგსა ჰქვიან, ახლა რომ ვეძახით, იმას არა ჰქვიან და საკარგავი — ყოველს(ს) გასარიგებელს“[13], მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის: „საკარგავი — გასარიგები“ და ნ. ჩუბინაშვილის „საკარგავი გასარიგები“, სრულიად გარკვევით განმარტავენ ტერმინ „საკარგავის“ მნიშვნელობას: „საკარგავი არის ნებისმიერი ობიექტი, რაზეც ხდება რაიმე გარიგება ორ სუბიექტს შორის.

ვფიქრობთ, ახლა როცა გაირკვა ტერმინ „საკარგავის“ მნიშვნელობა, ძნელი აღარ უნდა იყოს იმის დადგენაც, თუ რა და რა სახის გასარიგებელი — საკარგავი შეიძლებოდა არსებულიყო ფეოდალურ საქართველოში.

„საკარგავი“, „მოსაკარგავე“ და „სასაკარგაო“ დამოწმებულია XI—XIV სს. ძეგლებში, ესენია: დიდი სჯულისკანონი, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, მატიანე ქართლისა, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, ვეფხისტყაოსანი (საკარგავი); გიორგი II-ის, თამარისა და რჩონის სიგელები, დავითის ისტორიკოსი და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი (მოსაკარგავე) და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი (სასაკარგაო). სხვა ძეგლებში ამ ტერმინთა ხსენება დადასტურებული არ არის, რაც ბუნებრივია, არ გამორიცხავს დღეისათვის უცნობ ძეგლებში მათ არსებობას.

პირველად პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის (1084 წ.) ცნობა მოვიტანოთ: „განვაყენებ ამისგანცა და რაჲთურთით არა მივსცემთ მიშუებასა, ვითარმცა აღმოსავლეთისა გინა დასავლეთისა მონასტერსა წესისამებრ წინამძღუარმან საკარგავი მისცა ვის ძმათაგანსა მონაგებთაგან მონასტრისათა, ანუ

[10] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 689.

[11] იქვე, გვ. 837, 838.

[12] ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 344.

[13] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, თბ., 1937, გვ. 381.

გლეხი, ანუ მიწაჲ, ანუ ვენაჯი, ანუ ბოსტანი, გინა თუ სხუაჲ რაჲცა რაჲ ესევითარი, რაჲთა არა დაიკჱსნას ერთობაჲ ძმათაჲ.

ეგრეთვე გასყიდვასა და განიჭებასა ვისსაცა პირსა არა უწამებთ და ამას ყოვლისა სიმტკიცითა ვამცნებთ, რომელი ესე ნუ იყოფინ ყოფად ოდესვე, გარნა გლეხთა ხოლო მიეცემოდეს საკარგავი, რომელნი ეკლესიასა ჰმსახურებდნენ და თანა ნადებსა თჳსსა გარდაიკდიდნენ"[14].

აქ საკარგავის, ანუ გასარიგებელი ობიექტის შემდეგი სახეებია ჩამოთვლილი: გლეხი, მიწა, ვენახი, ბოსტანი, „გინა თუ სხუაჲ რაჲცა რაჲ ესევითარი", ანუ მონასტრის მონაგებთაგან ნებისმიერი რამ.

როგორც ვხედავთ, წყარო ჩამოთვლის საკარგავის — ყოველი გასარიგებელის კერძო ფორმებს და არ განმარტავს რა პრინციპით ხდება მათი გარიგება, ანუ საკარგავი რა პირობით გაიცემოდა. ეს წყარო იმითაცაა საგულისხმო, რომ ძმობის წევრებს (სასულიერო პირთ) უკრძალავს საკარგავის ქონებას, ხოლო ეკლესიის მომსახურე გლეხებს (საერო პირთ) საკარგავის ქონების უფლებას აძლევს. წყარო იმასაც ასაბუთებს, თუ რატომ ადგენს ასე: „რაჲთა არა დაიკჱსნას ერთობაჲ ძმათაჲ". ისიც აღსანიშნავია, რომ გლეხთათვის საკარგავის გაცემის შემთხვევაში, გლეხის სასაკარგაოდ მიცემა გამორიცხულია, რადგან კანონით გლეხს გლეხი არ ეკუთვნოდა.

შემდეგ, „დიდ სჯულისკანონში" (XI ს-ის დასასრული XII ს-ის დასაწყისი) ვკითხულობთ: „ხოლო მეათორმეტე განწესებაჲ მისვე პირველისა ნაწილისა ნეაბრონთაჲსაჲ ბრძანებს, ვითარმედ უკუეთუ ვიეთნიმე მოყუასნი განდგნენ ეკლესიით, სხუანი ნაცვლად დადგომილნი მათსავე მას გამოსაზრდელსა მიიღებდედ და ნუ გარე-მოაქცეველ მიმღებელობასა მას მინიჭებულთასა. ხოლო უკეთუ ნაკლულოვანებდნენ საკარგავები მჳთი, აღრიცხუვით გამგეთა განეჩინებოდედ, რაითა გამოსაზრდელისა მიმცემელობაჲ მიერ იქმნებოდეს"[15].

აქ საკარგავი განმარტებულია ერთი სიტყვით — გამოსაზრდელით, გამოსაზრდელი კი ნიშნავს ყოველივე იმას, რაც მონასტერში შემდგარ სასულიერო პირს ეძლეოდა მონასტრის პატრონისაგან (სურსათი, ტანისამოსი, ფული და სხვ.).

აქაც საკარგავი გასარიგებელი, ანუ ობიექტია, ხოლო წყაროდან ჩანს, რომ ეს საკარგავი — გამოსაზრდელ პიროვნებას მხოლოდ პირადი სარგებლობის უფლებით ეძლევა სასულიერო პირად შედგომის სანაცვლოდ.

„მატიანე ქართლისას" შემდეგი ცნობა აქვს დაცული: ბაგრატ IV-საგან დამარცხებულმა განძის ამირა ფადლონმა გაქცევით უშველა თავს, მას წინ შემოეყარა ერთი ქართველი და აი, ამ ქართველს ეხვეწება ფადლონი: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვეცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი და ნუ შემიწამებ; გარდამიყვანე მინდვრად და წამომყევ თანა"[16].

აქ ნათქვამია, ოღონდ გადამარჩინე და რასაც გინდა მოგცემო, ანუ ჩემი გადარჩენისათვის მიიღე ჩემგან ოქრო, ვერცხლი და კიდევ ბევრი რამეო, ცხადია, გარდა ოქრო-ვერცხლისა აქ შეიძლება ვიგულისხმოთ, ფული, ნებისმიერი განძი. საკარგავის გასარიგებელის პრინციპი აქ ასეთია, ერთი პიროვნება

---

[14] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, III, თბ., 1970, გვ. 93—94.

[15] დიდი სჯულისკანონი, თბ., 1957, გვ. 158, 159.

[16] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის, მიერ, I, თბ., 1955, გვ. 311.

სთავაზობს მეორეს გარიგებას ფასეულობაზე — ესაა საკარგავი, გარიგების ობიექტი, გასარიგებელი, და სანაცვლოდ სთხოვს გადარჩენას.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 45-ე მუხლით (ვახტანგისეული ნუსხა, ე. ი. პირველწყაროსთან უახლოესი): „საკარგავისა გასყიდვა ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებელად, და ვისცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგვნოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა. ამას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავისაგან სყიდვასა". იგივე 45-ე მუხლი, ფეიქრიშვილისეული ნუსხით: „მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონისა დაუმოწმებლად, და ნახევარი ფასი მსყიდველსა სარეგუნოდ დაუშავდეს. ამაშიგან მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდვასა"[17].

აქვე მოვიტანოთ 55-ე მუხლიც (ვახტანგისეული): „არცა უმტერო კაცი კაცისა მამულისა გამოთხოვნას ემართლების, არცა სასყიდლად, არცა სასაკარგაოდ პატრონისაგან. თუ იყიდოს, ოდესღაცა მემამულემან მოიკითხოს, მიწა დაუდვას უმიზეზოდ და ფასი ამღებელს სთხოვოს". იმავე მუხლით (ფეიქრიშვილისეული): „და თუ ადგილი მემამულისა გამოითხოოს, არა ემართლების; არცა სასყიდლად ბატონისაგან. თუ იყიდოს, როდისაცა მემამულემან მოიკითხოს, დაუდვას უმიზეზოდ და ფასი ამღებელსა სთხოოს"[18].

45-ე მუხლით (ვახტანგისეული) პატრონის უმოწმებლად იკრძალება საკარგავის გაყიდვა. იმავე 45-ე მუხლში (ფეიქრიშვილისეული) საკარგავი შეცვლილია მამულით. მამული რომ სხვაა და საკარგავი სხვა, ამას მტკიცება არ სჭირდება, აქ კი საგულისხმო ის არის, რომ ვინც საკარგავი მამულით შეცვალა, მან იცოდა, რომ იქ (იმ კერძო შემთხვევაში და არა საერთოდ!) საკარგავი მიწას გულისხმობდა და არა სხვა რაიმეს. ეს რომ ასეა, ამაში 55-ე მუხლი გვარწმუნებს. ეს მუხლი უშუალო კავშირშია წინა — 54-ე მუხლთან (ვახტანგისეულით) „თუ კაცმან კაცის მიწა გააკაცრიელოს გინა ნაშრომითა, გინა ნაგებითა, გინა ნარგევითა, ანუ ობლობისათვის, ანუ გარდახვეწისათვის, რა მემამულემან მოიკითხოს, დაჭირვას არას ემართლების, ნაქმრის ფასი მისცეს და ადგილი მემამულესვე მართებს".

იგივე, 54-ე მუხლი (ფეიქრიშვილისეული): „თუ კაცმან კაცისამან მამული გააკაცრიელოს რგვითა ანუ ნაგებითა, ობლობისა და გარდახუეწისათჳს. რომე მამული მან მოიკლოს, დაჭირვასა არას ემართლების — ნახევარი ფასი მისცეს და ადგილი მემამულეს"[19].

ვახტანგისეული ნუსხის 54-ე მუხლში ნახსენები „მიწა" არის მამული, ეს გარკვევით ჩანს ტექსტიდან, იმავე ხელნაწერის 55-ე მუხლში კი პირდაპირ მამული სწერია. ამ ორივე მუხლის დებულება ასეთია: თუ ნებისმიერმა კაცმა, სულერთია, იქნება ეს დიდებული, აზნაური, მსახური თუ გლეხი, ასევე ნებისმიერი კაცის მამულში რაიმე შრომა გასწიოს, ე. ი. ისარგებლოს იმ მამულით, როცა მამულის პატრონი მოიკითხავს, იმ შრომის გამწევმა კაცმა თავისი შრომის საფასური უნდა აინაზღაუროს მემამულისაგან და მამული პატრონს დაუბრუნოს. მას არა აქვს უფლება ითხოვოს ეს მამული სასყიდლად ანდა სასაკარგაოდ (აქაც არაა განმარტებული, რა პირობებს, რა სახის უფლება-მოვალეობას გულისხმობს ეს მიწის სასაკარგაოდ გამოთხოვნა).

საერთოდ, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით, მამული არის მიწის ის ძი-

[17] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 441.

[18] იქვე, გვ. 445.

[19] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 445.

რითადი კატეგორია, რომლის გაყიდვის და სასაკარგაოდ გაცემის შედეგად წარმოიშობა ნასყიდი და საკარგავი მიწები. ცხადია, თუ მიწის პატრონი საკარგავს მოუშლის მოსაკარგავეს, ამ პატრონისათვის ეს ყოფილი საკარგავად გაცემული მიწა ისევ მამული იქნება.

იმავე ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით შეიძლება ასეთი ანალოგია მოვიტანოთ: ისე როგორც მკვიდრი გლეხი არის ძირითადი კატეგორია, რომლისგანაც არიან წარმოშობილნი დანარჩენი კატეგორიები — ნასყიდი, თავდაწერილი, თავდაუწერელი, მომართებული და ყველა ეს კატეგორიები თავის ძველ პატრონთან დაბრუნების შემთხვევაში კვლავ მკვიდრად ირიცხებიან, ასევეა მამულიც, მისგან წარმოიშობა მიწისმფლობელობის ყველა სხვა კატეგორია და მათი მოშლის შემთხვევაში მიწა კვლავ პატრონის მამული ხდება.

ახლა ვნახოთ, რატომ კრძალავს კანონი საკარგავის, ე. ი. გარკვეული პირობით აღებული მიწის გაყიდვას პატრონის უმოწმებელად?

სასაკარგაოდ მიწის გაცემა ხომ გარკვეულ პირობას გულისხმობს, მოსაკარგავე ამ მიწით სარგებლობის სამაგიეროდ მიწის პატრონს რაიმე სამსახურს უწევს (განსახილველი მუხლებიდან სრულებით არ ჩანს, რომ ეს სამხედრო სამსახური იყო). ამიტომ მიწის პატრონი ვიდრე არ დარწმუნდება, რომ საკარგავის მყიდველი ისევე არ შეასრულებს მოსაკარგავეს მოვალეობას, ცხადია, იგი საკარგავის გაყიდვის უფლებას არავის მისცემს. მაგრამ თუკი პატრონი დარწმუნდება, რომ საკარგავის ახალი მფლობელი — მოსაკარგავე შეასრულებს თავის მოვალეობას, მაშინ, ბუნებრივია, იგი საკარგავის გაყიდვას არც აკრძალავს. ეს კარგად ჩანს 45-ე მუხლიდან: „საკარგავისა გასყიდვა ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად"... აქედან ჩანს, რომ პატრონისა მოწმობით კი საკარგავის გაყიდვა შესაძლებელი ყოფილა.

ამრიგად, როგორც სხვა, ისე ეს წყაროც ადასტურებს, რომ საკარგავის ერთი სახეობა მიწაც ყოფილა, უფრო ზუსტად საკარგავი არის მიწა, რომელიც მოსაკარგავეს ეძლევა პირობით მფლობელობაში. მაგრამ რადგან საკარგავი მამულიდან გაიცემოდა, ხოლო მამული თვითონ იყო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიღებული მიწა — ფეოდალური საკუთრება, ამიტომ, ცხადია, საკარგავი — მიწა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ აღარ გაიცემოდა, რადგან ის, ვინც მიწას სასაკარგაოდ იღებდა, უკვე იყო სამხედრო მოსამსახურე. გარდა ყოველივე ეხისა, ცხადია.

45-ე, 54-ე და 55-ე მუხლებიდან ისიც გარკვევით ჩანს, რომ მოსაკარგავე ერთი გარკვეული სოციალური კატეგორია არ ყოფილა. მოსაკარგავე შეიძლებოდა ყველა ყოფილიყო, გლეხით დაწყებული და დიდებულით დამთავრებული.

საგულისხმოა, მოსაკარგავესა და მსახურის მიწისმფლობელობის შედარება. მოსაკარგავეზე უკვე ვთქვით. მსახურის შესახებ მოვუსმინოთ ვახტანგ ბატონიშვილის „განჩინება ბარისა და მთიურთა აღგილთა" (1782 წ.) მე-13 მუხლს: „მსახური თავის მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ, რომ ის მამული, ჩვენი სამსახურის სანუქფოთა აქეს მიცემული. თუ ან გაჰყიდის და ან იყიდის ვინმე, გამსყიდველსაც და მსყიდველსაც ავად მოვეპყრობით: იმ მამულსაც წავართმევთ და თავის სამკვიდრო მამულზედაც კელს ავაღებინებთ, რადგან მსახურთ მამული, ვინც ჩვენნი მსახურნი იქნებიან იმათთვის არის განწესებული, სხვათ არ მიეცემა"[20].

[20] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, I!, თბ., 1965, გვ. 452.

განსხვავებით მოსაკარგავესაგან, მსახურს საერთოდ ეკრძალება იმ მაბულის გაყიდვა, რომელიც მას მსახურობის სანუქფოთ აქვს მიცემული. ცხადია, თავის დროზე, კერძოდ, თუნდაც იმავე ბექას დროს, მსახური შეიძლებოდა ერთდროულად მოსაკარგავეც ყოფილიყო, უფრო ზუსტად, ბევრი მსახური მოსაკარგავეც იყო და ეს მსახური — მოსაკარგავე ფლობდა სამი კატეგორიის მიწას (იმ შემთხვევაში, როცა გარიგება მიწაზე ხდებოდა და არა ხელზე, ფულსა თუ სხვა ფასეულობაზე): 1. სამკვიდრო მამული, 2. სამსახურის სანუქფო მამული, 3. საკარგავი. სამართალი მსახურს არც სამკვიდრო მამულის გაყიდვას უკრძალავს და არც საკარგავის გაყიდვას (ცხადია, გარკვეული წესის დაცვით!), მაგრამ მსახურს ეკრძალება სამსახურის სანუქფო მამულის გაყიდვა. რატომ? იმიტომ, რომ ეს სამსახურის სანუქფო მამული მისი წოდების — მსახურობის საფუძველია. თუ ეს გაყიდა, მსახურობაც მოეშლება. ეს სანუქფო მამული გადადის მემკვიდრეობით მანამ, სანამ მემკვიდრეები ასრულებენ მსახურის მოვალეობას. სანუქფოს გაყიდვის აკრძალვით კანონი მსახურის წოდებრივ სიმყარეს იცავს. საკარგავის გაყიდვა კი მის წოდებრიობას არაფერს აკლებს, საკარგავი მხოლოდ ერთი პიროვნების ფარგლებში მოქმედებს.

ამრიგად, მსახური სამსახურის სანუქფო მამულს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაჰყიდდა, მაგრამ მემკვიდრეს კი გადასცემდა — ისიც მსახური იყო. იგივე მსახური საკარგავს პატრონის ნებართვით კი გაჰყიდდა, მაგრამ მემკვიდრეს ვერ გადასცემდა, — ის მოსაკარგავე არ იყო. ცხადია, მსახურის მემკვიდრეს შეეძლო მამისეული საკარგავი ეშოვა პატრონისაგან, მაგრამ ეს უკვე პატრონზე იყო დამოკიდებული და არა მემკვიდრეობითობაზე.

ამრიგად, ბექას სამართლის 45-ე, 54—551-ე მუხლებით საკარგავი არის რაიმე გარიგების საფუძველზე პირობით სარგებლობაში გაცემული მიწა. მოსაკარგავე არის ის პიროვნება, ვინც საკარგავს პირადად ფლობს. მოსაკარგავეს შეეძლო თავისი ხელით დაემუშავებინა საკარგავი — როცა იგი გლეხი იყო; სხვა შემთხვევაში, ცხადია, საკარგავს მოსაკარგავეს ყმაგლეხი ამუშავებდა — დიდებულის, აზნაურის, მსახურის.

თვითონ ის ფაქტი, რომ არც ერთი წყარო საგანგებოდ არ განმარტავს თუ რა სახის გარიგება ხდებოდა ამა თუ იმ გასარიგებელზე — საკარგავზე არის უეჭველი მოწმობა იმისა რომ, გარიგების პრინციპი ყოველთვის ერთი იყო, ნებისმიერ გარიგება ხდებოდა ორ სუბიექტს შორის და რის სანაცვლოდაც არ უნდა მიეღო საკარგავი — გასარიგებელი ობიექტი პიროვნებას, ეს საკარგავი მას მხოლოდ პირადად ეკუთვნოდა და არა მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ასეთია ყველა არსებული წყაროს არსი ამ საკითხზე.

შემდეგ, „ვისრამიანი“ ასე ახსენებს საკარგავს: „რამინმაო კუირა ერთი ამულს დაჰყო ლაშქართა გუერდით. ყოველთა დღეთა დიდებასა ემატებოდა, იხარებდა, გასცემდა, სუმიდა, ჭელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულება და სამსახური მოიმატა, რომელ დიდი და გუარიანი კაცი იყო, როსტომისა ტომი, ტაბარისტანი მას უბოძა, ბასთანელსა როჰამს; და რე ქალაქი ბეჰროზს უბოძა, ადრინდელი მოყვარე იყო მისი. თუით რამინ და ვისი ოდეს გარდაიხუეწნეს მოაბადისაგან ცეცხლისა ფიცებისა შიშითა, მაშინ მისსა მივიდეს რე ქალაქს და მან კარგად უმასპინძლა და ხუაშიადიცა კარგად შეუნახა, და ამისა მუქაფად თუით იგი რე ქალაქი უბოძა. კარგის მოქმედობა კაცისა ესრე არ წაკდების. გურგანი ადინას უბოძა და გაადიდა, იგიცა ძუელი მოყუარე იყო და მოეჭირვა მათისა სამსახურისათუის. ამირსპა-

სალარობა ვიროს უბოძა და მსახურთუხუცესობა — შეროს, გუარიანნი იყვნენ და ორინივე ტანნი ვისის ძმანი იყვნეს და ვისის სიყუარულითა კარისაგან აღარ გაუშვნა. რა ესე საქმე დაიურვა, თუითო ქუეყანა თუითოსა აზნაურსა მისცა და თუითო ქალაქი — თუითოსა ყმასა"[21].

ეს წყარო გარკვევით გვეუბნება, რომ საკარგავი ხელმწიფესაც ჰქონია და დიდებულსაც, რომ შესაძლებელი ყოფილა საკარგავის მომატება — გაზრდა, და უთუოდ მოკლებაც — შემცირება.

აღსანიშნავია, თუ რას აძლევს თვით რამინს ამ საკარგავების გაცემა — მომატება, ამაზეც წყარო პირდაპირ გვპასუხობს: „ჴელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულობა და სამსახური მოიმატა. წყაროდან ჩანს, რომ საკარგავი ყველაზე არ გაიცემოდა, იგი მხოლოდ პატრონის ერთგულსა და დამსახურებულს, ე. ი. პირადი სამსახურით, პირადი თავდადებით გამორჩეულს მიეცემოდა. წყარო იმასაც გვისაბუთებს, თუ რატომ, რა დამსახურებისათვის მიიღო საკარგავი ამა თუ იმ პირმა და ამ დასაბუთებისას ზოგად პრინციპად აცხადებს: „კარგის მოქმედობა კაცისა ესრე არ წაჴდების".

ამრიგად, „ვისრამიანით", საკარგავი ანუ გასარიგებელი შემდეგია: ქვეყნები, ქალაქები, სახელოები.

უკვე განხილული წყაროებიდან გარკვევით ჩანს, რომ საკარგავი, მართლაც, „ყოველი გასარიგებელი" ყოფილა, ანუ გარიგების ნებისმიერი ობიექტი.

„ამირანდარეჯანიანში" საკარგავი ორჯერ იხსენიება. ერთგან ასეა: ბასრელ ამირას ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ბუმბერაზი მოუკლა არაბთა მეფის ბუმბერაზმა და როცა მესამე ბასრელი ბუმბერაზი გაემზადა არაბ ბუმბერაზთან შესაბმელად: „ეგრე უბრძანა ამირამან ბასრელმან: „ძმაო, ნუღარა გახვალო! ამა კაცთად ღმერთსა ძლევა მიუცემია, შენ აღარა მოგაკვლევინებო". მან ეგრე მოახსენა: „მე თქვენი საკარგავი ოქრო მიჭამია, ჩემი ხელი ომი არის, აწ გავალ ომად მისად, ნუთუ ძმათა ჩემთა სისხლი ვაზღვევინო"[22]. მართლაც, ბასრელი ბუმბერაზი უყოყმანოდ შეებრძოლა და შეაკვდა მტერს. რატომ? იმიტომ, რომ, მისი ხელი, ანუ საქმე, ომი იყო. პატრონი მას აძლევდა ყველაფერს, რაც მისი კატეგორიის კაცის — ბუმბერაზის ანუ ჭაბუკის ანუ რაინდისათვის იყო საჭირო, სანაცვლოდ კი იგი კისრულობდა პატრონის ინტერესების იარაღით დაცვას, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. ამრიგად, ამ შემთხვევაში, საკარგავი ანუ გასარიგებელი არის ოქრო. როგორც ვხედავთ, აქ ოქროს და არა მიწის სანაცვლოდ კისრულობს სამხედრო სამსახურს პიროვნება.

მეორედ „ამირანდარეჯანიანი" საკარგავს მაშინ ახსენებს, როცა მზეჭაბუკი ექვს ჭაბუკს ყმად შეიწყნარებს. მაშინ, მზეჭაბუკმა ამ თავის ექვს ახალ ყმასო, ვკითხულობთ წყაროში: „საბოძვარი და საკარგავი უბოძა"[23].

საბოძვარი ნიშნავს ნებისმიერი მატერიალური ფასეულობის ისეთ გადაცემას ერთი პირისაგან მეორე პირზე, რომ მეორე პირი — ის, ვინც მიიღო ეს საბოძვარი, უშუალოდ მის სანაცვლოდ არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს. საკარგავი კი ამ წყაროთი პირდაპირ პატრონ-ყმობის საფუძველია; ე. ი. საკარგავის აქ ოქროს სანაცვლოდ ერთი პიროვნება (აქ ექვსი) ეყმო მეორეს. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ აქ საკარგავის პრინციპით ყმად ერთი პიროვნება

[21] „ვისრამიანი", თბ., 1962, გვ. 294.
[22] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბ., 1969, გვ. 101.
[23] იქვე, გვ. 156.

შედის და არა ამ პიროვნების მთელი ოჯახი, ცხადია, თუ ეს საკარგავი მოეშლება, ეს პიროვნება ყმაც აღარ იქნება ამ პატრონისა.

ვეფხისტყაოსნის იმ სტროფი, სადაც დღეს მიიჩნევენ (საიუბილეო, გამოცემა 1966, 311-ე სტრ.), რომ „საკარგავად“ უნდა ეწეროსო, ვახტანგ VI-ს ასე ესმოდა:

„ერთი სამეფო საკარგყმო: უბოძა ამილბარობა:
თვით ამილბარსა ინდოეთს: აქუს ამირსპასალარობა:
მეფე რა დაჯდა არა სჭირს: ქელისა მიუმცდარობა:
და: სიად პატრონია მართოდენ: არა აქუს კეისარობა:.“

ამ სტროფის სწორად გაგებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ინდოეთის სამეფოთა და, კერძოდ, ტარიელის მამის, სარიდანის ამბავი. რუსთაველი, ტარიელის პირით, ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: ინდოეთის შვიდი სამეფოდან ექვსი ფარსადანს ეპყრა და ერთი — მამაჩემს, სარიდანსო. ფარსადანი ხომ მეფეთა-მეფე და ყოველი სიკეთით შემკობილი, უძლიერესი პიროვნება იყო, მაგრამ სარიდანიც დამოუკიდებელი მეფე გახლდათ, უძლიერესი პიროვნება და ესეც ყოველი სიკეთით შემკობილიო. და აი, ამ, ყოველმხრივ ბედნიერ მეფეს — სარიდანს თავისი ნება-სურვილის თანახმად (და არა ვინმეს ძალდატანებით!), თვითონ მოსურვებია და გადაუწყვეტია ფარსადანის ქვეშევრდომობაში შესვლა. რა თქმა უნდა, რუსთაველმა მშვენივრად იცოდა, რომ არც ერთი დამოუკიდებელი მეფე თავის დამოუკიდებლობას, — კეისრობას, თავისი ნებით, ძალდაუტანებლად არავითარ შემთხვევაში არ დათმობდა (და რომ არც ერთ ასეთ მეფეს თავისით არ დაუთმია იგი, ამას რუსთაველის წინარე ეპოქის საქართველოს ისტორია ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს), მაგრამ ნათქვამით რუსთაველს უნდოდა ხაზი გაესვა იმისათვის, რომ ყოველი ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწე განმსჭვალული უნდა იყოს ქვეყნის ერთიანობის იდეით და იღვწოდეს ამ ერთიანობისათვის. სარიდანის შეწყნარებით ხომ სრულად ინდოეთი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა, და აი, ისეთ გონიერ, ბრძენ მოღვაწეს, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს ქვეყნის ერთიანობის იდეას, თუნდაც საკუთარ დამოუკიდებლობაზე ხელის აღებით, რა ელის გაერთიანებულ სახელმწიფოში, ამას გვაცნობს რუსთაველი.

სარიდანის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა:

„ფარსადან შეჰქმნა ზეიმი, ამა ამბისა მცნობელმან.
შესთვალა: „ღმერთსა მადლობა შევსწირე ხმელთა მფლობელმან;
რადგან ეგე ჰქმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მპყრობელმან
აწ მოდი, ასრე პატივ-გცე, ვითა ძმამან და მშობელმან“.

რაში გამოიხატა ეს პატივისცემა? იმაში, რომ ფარსადანმა სარიდანს მისი დამსახურებისათვის: „ერთი სამეფო საკარგყმო უბოძა ამირბარობა“. ე. ი. ის, რაც სამეფო იყო, მეფის ღირსი, მეფეს რომ ეკადრებოდა, აი, ის საკარგყმო უბოძა. სარიდანი ხომ ისევ მეფეა, ფარსადანს მისთვის არც მეფობა ჩამოურთმევია და არც სხვა რამ. დამოუკიდებლობაზე სარიდანმა ხომ თვითონ აიღო ხელი და სანაცვლოდ, სანუქფოდ ფარსადანი მას აძლევს ისეთ რაიმეს, რაც მის — სარიდანის მეფობას ეკადრება. ეს სამეფო საკარგყმო არის ამირბარობა.

ტერმინი „საკარგყმო“ ვეფხისტყაოსნის ოცამდე ხელნაწერშია დადასტურებული (ზოგანაა „საკარგყმოდ“).

ვფიქრობთ, არსებითად, საკარგავი და საკარგყმო რომ ერთი და იგივე

შინაარსის მცნებებია ეს თვით ვეფხისტყაოსნიდან ჩანს ყველაზე გარკვევით; სახელდობრ, ის, რაც სარიდანმა მიიღო, როგორც საკარგყმო, მისი გარდაცვალების შემდეგ მის შვილს — ტარიელს ეძლევა, როგორც მისეული — სარიდანისეული საკარგავი, ანუ მამის ნაქონები საკარგავი:

„ასი ებოძა საჯურჭლე, ებრძანა ახდა შავისა,
ბოძება მისეულისა, სრულისა საკარგავისა:
შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა".

ასე, რომ ამირბარობა ჯერ ნახსენებია, როგორც საკარგყმო, შემდეგ კი, როგორც საკარგავი. საკარგავი ვიცით, რომ არის ის, რაზეც ხდება გარიგება რაიმე პირობით. ასეა თვით რუსთაველთანაც, ფარსადანი აძლევს ტარიელს სახელოს — ამირბარობას — ესაა გასარიგებელი ობიექტი და ტარიელი ამის მერე კისრულობს იმ სამსახურს, რაც ამირბარს ევალება. მაგრამ პირველ შემთხვევაში, ჯერ სარიდანი შეეწყნარება ფარსადანს და მხოლოდ ამის მერე ღებულობს იგი ამირბარობას, როგორც საკარგყმოს, ე. ი. სარიდანი იმიტომ კი არ შეეწყნარა ფარსადანს, რომ თითქოს იცოდა, მაინც და მაინც ამირბარობას მივიღებო, არა, სარიდანი, ასე ვთქვათ, უანგაროდ, ყოველგვარი გარიგებისა და გასარიგებელი ობიექტის გარეშე შეეწყნარა ფარსადანს. თავის მხრივ, ცხადია, ფარსადანს შეეძლო ამირბარობაც ებოძებინა სარიდანისათვის და სხვა რაიმეც. ასე, ოომ იქ, სადაც რუსთაველი ამირბარობას საკარგყმოდ წარმოგვიდგენს, ეს ამირბარობა არ არის გარიგების ობიექტი, არამედ არის ჯილდო, პატივისცემა იმ პიროვნებისა, რომელმაც დიდი და საგმირო საქმე ჩაიდინა, ხოლო იქ, სადაც რუსთაველი ამირბარობას საკარგავად ახსენებს, ეს ამირბარობა სწორედ გასარიგებელი ანუ გარიგების ობიექტია. ვგონებ, გაირკვა ის არაარსებითი ნიშანი, რითაც საკარგყმო და საკარგავი ერთმანეთისაგან განსხვავდება: საკარგყმო არის ჯილდო რაიმე ღირსეული საქციელისათვის, საკარგავი კი — გასარიგებელი ობიექტი. სხვაობა საკარგყმოსა და საკარგავს შორის იმიტომ არის არაარსებითი, რომ არსებითად საკარგყმოც იმავე გარიგების პრინციპს იცავს, ოღონდ პირუკუ, აქ ჯერ პიროვნება კისრულობს რაიმე ვალდებულებას და მხოლოდ ამის შემდეგ ღებულობს საკარგყმოს — ფაქტიურად გარიგების ობიექტს, გარეგნულად ჯილდოს, საკარგავი კი, როგორც ვიცით, ჯერ გარიგების ობიექტს გულისხმობს და მხოლოდ ამის შემდეგ გარიგებას ამ ობიექტზე.

საკარგყმოს ამგვარ გაგებას, ვგონებ, ემოწმება ქართული ხალხური პოეზიის მონაცემები. ასე მაგალითად, ხევსურეთში ჩაწერილ ლექსში ვკითხულობთ: „საკარგყმო ვის მივსცათ, ხირჩლაო, შენ მეტს ვინ სცემდა ხმლითაო?"[24]. ასევე ხევსურულ ლექსში ნათქვამია: „ხევსურეთ სახელ აღარ ას, არც ხალიზნია ცდისანი, მაშალეს საკარგყმოები, კოშნ აღარ უდგან რვლისანი"[25]. ლექსების ციკლში, შიოლა ღუდუშაურის შესახებ, ასევე გვხვდება საკარგყმო: „საკარგყმო დადგეს ხევსურთა: შიოლას ვინ სცემს ფარზედა?" ანდა: „ჯარი საკარგ-ყმოდ დადვიან, — ვინც ურეკებდა ფარზედა"[26].

მოყვანილი მაგალითებისა და, საერთოდ, ხალხური ტრადიციის მიხედვით საკარგყმო არის ჯილდო იმ ყმისა, რომელიც სხვებზე მეტად გამოიჩენს თავს,

[24] ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970, გვ. 48.
[25] იქვე, გვ. 50.
[26] ქართული ხალხური სიტყვიერება, II, თბ., 1961, გვ. 57.

რაიმე გმირობას ჩაიდენს. ასე, რომ საკარგუმოს რაობა რუსთაველთან და ხალხურ პოეზიაში ერთნაირია.

შეიძლებოდა საკარგუმოზე მსჯელობის დამთავრება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტროფის განხილვა, სადაც საკარგუმო იხსენიება.

ვფიქრობთ, ვახტანგ VI-ს ეს სტროფი სავსებით სწორად ჰქონდა გამართული. მისი წაკითხვით გამოდის, რომ ის სამეფო ანუ მიფის ღირსი საკარგუმო, ე. ი. ჯილდო, რომელიც ფარსადანმა სარიდანს უბოძა, არის ამილბარობა, ხოლო ინდოეთში ამილბარის ხელთაა ამირსპასალარობაო. აქ აღსანიშნავია, რომ ამას ტარიელი — ინდოელი ეუბნება არაბ ავთანდილს. ავთანდილმა იცის რას ნიშნავს ამირსპასალარი, მაგრამ მისთვის უცნობია ამილბარის ანუ ამირბარის მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ უხსნის ტარიელი, რომ ის, რასაც არაბეთში ამირსპასალარი ჰქვია, ინდოეთში ამირბარად იწოდებაო. ეს რომ ასეა, ამაში მესამე ტაეპი გვარწმუნებს: „მეფე რა დაჯდა, არა სჭირს ხელისა მიუმცდარობა“ (და არა „მეფედ რა დაჯდა“, რადგან მეფობა სარიდანისათვის არავის ჩამოურთმევია. ასევე სწორია „მიუმცდარობა“ და არა „მიუმწვდარობა“). გარკვევით არის ნათქვამი, სარიდანმა მიიღო ერთი — მეფის ღირსი საკარგუმო და ეს საკარგუმო არის ამირბარობაო. მესამე ტაეპში ნახმარი „ხელისა“ — (მხოლობითშია) სრულიად გარკვევით გვეუბნება, რომ სარიდანმა ერთი ხელი, ერთი თანამდებობა მიიღო და არა რამდენიმე. სარიდანმა რომ ნამდვილად ერთი თანამდებობა -- ამირბარობა მიიღო, ამაში იქიდანაც ვრწმუნდებით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ტარიელს წილად ხვდა:

„ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა:
„შენ გქონდეს ამილბარობა, ქმნა მისვე საურავისა“.

ანდა:

„მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად,
არ მომეშვნეს, დავმორჩილდი თაყვანი ვეც ამილბარად“.

ან კიდევ:

„ამილბარი ეარ, ხელმწიფე სრულად ინდონი მმონებენ“.

ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, რუსთაველთან საკარგუმო და საკარგავი ნიშნავს ხელს, თანამდებობას, კერძოდ, ამირბარობას. ამიტომ ცდებიან, როცა ამტკიცებენ, თითქოს ფარსადანმა სარიდანს უბოძა სამი რამ: 1. — ერთი სამეფო, 2. — საკარგუმო, 3. — ამირბარობა. ნამდვილად კი სარიდანს ებოძა მხოლოდ და მხოლოდ ამირბარობა, და ეს ამირბარობა თვითონ იყო მეფის საკადრისი საკარგუმო, ანუ საკარგავი.

ახლა ტერმინ ამირბარის შესახებ. ეს ტერმინი დიდი ხანია სხვადასხვანაირად აქვთ გაგებული მკვლევრებს, უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით: „ამირბარი იყო „დიდებულთაგან უპირველესი... განაგებდა კარის შინაგანაწესს... თვალყურს ადევნებდა... ჯარის დაფინანსებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. ხშირად ჯარის სარდლობისა და ამირბარის თანამდებობები ერთ პიროვნებას ეკავა“[27]. მანამდე კი ამირბარი ზოგის გაგებით ამირა „მთავარი ჯმელისა“ იყო, ან „ზღვათა სარდალი, ადმირალი“, ან კიდევ „სახლთუხუცესი, სარდალი“[28]. ჯ. გიუნაშვილმა, ვფიქრობთ, არსებითად სწორი დასკვნები მო-

[27] ჯ. გიუნაშვილი, ამირბარი, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1975, № 4, გვ. 100.
[28] იქვე, ჩვ. 95.

გვცა, მაგრამ საკუთრივ რუსთაველთან ამირბარის მნიშვნელობა კიდევ უფრო ზუსტად არის განმარტებული:

„ერთი სამეფო საკარგყმო, უბოძა ამირბარობა,
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“.

აქედან გარკვევით ჩანს, რომ ინდოეთში (ცხადია, პოემის მიხედვით) ყოველთვის და ყველა ამირბარს ჰქონდა ამირსპასალარობა, ანუ „ჯარის სარდლობისა და ამირბარის თანამდებობები ერთ პიროვნებას“ ხშირად კი არა, ყოველთვის ეკავა, და რაც მთავარია, ეს არ ყოფილა ორი სხვადასხვა თანამდებობა, ეს იყო ერთი — ერთადერთი თანამდებობა — ამირბარობა, რაც ინდოეთში ნიშნავდა იმას, რასაც არაბეთში ამირსპასალარობა. მტკიცება იმისა, რომ ამირბარი „თვალყურს ადევნებდა... ჯარის დაფინანსებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს“, სრულიად ზედმეტია, რადგან უმაღლესი მთავარსარდლის მოვალეობა თავისთავად გულისხმობს ყოველივე ამას და კიდეკ მეტსაც. ასე, რომ სავსებით სწორია სულხან-საბა: „ამირბარი — სპასპეტი, სპასალარი, ტრიბონი, სტრატილატი, მჭედართ მყუანებელი, მხედართ მოუძღუარი, მჭედართ მთავარი ლაშქართ თავნი არიან, რომელნიმე უმაღლესი და რომელნიმე შემდგომი“[29].

ამრიგად, შეწყნარებულ სარიდანს ფარსადანმა უბოძა ამირბარობა ანუ ამირსპასალარობა და ეს უბოძა, როგორც საკარგავი, მაგრამ ისეთი საკარგავი, რომელიც კარგ ყმას, გამორჩეულს ღირსეული, საგმირო საქმისათვის ეკუთვნის, ანუ უბოძა, როგორც საკარგყმო. ცხადია, თავისი მეფობა სარიდანსავე დარჩა, მაგრამ მან ნებით ხელი აიღო კეისრობაზე — თვითმპყრობელობაზე — დამოუკიდებლად მეფობაზე.

ვფიქრობთ, ასეთია ვანხილული სტროფის სწორი გაგება.

ახლა ის წყაროები განვიხილოთ, სადაც „მოსაკარგავეა“ დამოწმებული; პირველი ასეთი ძეგლია გიორგი II-ის 1072 წლის სიგელი შიომღვიმისადმი. საბუთის ის ნაწილი, სადაც მოსაკარგავენი იხსენიება, ვფიქრობთ, ასე უნდა წავიკითხოთ: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩვუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა — მემამულეთა და მოსაკარგავეთა — ციხისთავთა, ჯევისუფალთა, მანდატურთა, შურტათა, ჩინებულთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბრძანებასა ამას“[30].

დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო, რომ ამ საბუთით ორგვარი აზნაური არსებულა — აზნაური მემამულე და აზნაური მოსაკარგავე. აზნაური მემამულე გაგებული იყო, როგორც ყმა-მამულის მემკვიდრეობით მფლობელი, ხოლო აზნაური მოსაკარგავე, როგორც ყმა-მამულის სამოხელეოდ, სამართავად მფლობელი. ამ აზრის მიმდევრებს, სამწუხაროდ, მხედველობიდან გამორჩათ აზნაურობის მთავარი, ძირითადი ნიშანი — მემკვიდრეობითობა ანუ მემამულეობა. ის, ვინც ყმა-მამულს მემკვიდრეობით არ ფლობდა, არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა აზნაური. ეს იმდენად უეჭველი პირობაა, რომ მისი მტკიცება სრულიად ზედმეტია. ამიტომ, მტკიცება იმისა, თითქოს აზნაური მოსაკარგავე მხოლოდ და მხოლოდ სამოხელეოდ ანუ სამართავად

[29] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 25.
[30] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 11.

ფლობდა ყმა-მამულსო, სრულიად უსაფუძვლოა. მაგრამ ამის გამო თვითონ აზნაურ მოსაკარგავეთა საერთოდ ურყოფა არ შეიძლება. მოსკარგავენი აზნაურებიც იყვნენ, დიდებულებიც, მსახურებიც, გლეხებიც და თვით მეფეებიც კი. ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა მათს ძირითად სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას ემატებოდა მოსაკარგავეობა და არა მხოლოდ მოსაკარგავეობის სახით. ამიტომ, ჩვენს წყაროში ერთმანეთს დაპირისპირებული „მემამულეთა“ და „მოსაკარგავეთა“ ასე უნდა გავიგოთ: მემამულეთას წინ ჩამოთვლილია მეფენი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი, აზნაურნი, ე. ი. ყველა ის, ვისაც მემკვიდრეობით, მემამულეობით უჭირავს თავისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, მოსაკარგავეთა შემდეგ კი ჩამოთვლილია მოხელენი, რომელთაც პირადად, გარიგებით, საკარგავის პრინციპით უჭირავთ თანამდებობანი, ესენია — ციხისთავნი, ხევისუფალნი, მანდატურნი და შურტანი.

ამრიგად, გიორგი II-ის სიგელში „მემამულენი“ არის მის წინ ჩამოთვლილი კატეგორიების მსაზღვრელი, ხოლო „მოსაკარგავენი“ მის შემდეგ ჩამოთვლილი კატეგორიების მსაზღვრელი და, ამ შემთხვევაში მემამულეობა ნიშნავს სახელოს მემკვიდრეობითობას, მოსაკარგავეობა — არამემკვიდრეობითობას.

მოსაკარგავეს ახსენებს დავითის ისტორიკოსიც: „ხოლო (დავითმა) განათავისუფნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“[31].

აქედან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელს მონასტრები და ხუცესნი ყოველგვარი გამოსაღებისაგან გაუთავისუფლებია და ამ გამოსაღებთა ამკრებნი კი მოსაკარგავენი ანუ ისეთი მოხელენი ყოფილან, რომლებიც ამ თანამდებობას არა მემკვიდრეობით, არამედ მხოლოდ პირადი გარიგების პირობით ფლობდნენ.

თამარ მეფის 1201 წლის სიგელი შიომღვიმისადმი, ასევე ახსენებს მოსაკარგავეს: „და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან, დიდმან ანუ მცირემან, აზნაურმან, გინა ერისაგანმან, ჭელისუფალმან ანუ უჭელისუფლომან, მონაზონმან ან მოსაკარგავემან, მოძღუარმან და ანუ კრებულმან დააკლოს, შეცვალოს...“[32]

აქ ნახსენები მოსაკარგავე ანალოგიურია ზემოთ განხილული პეტრიწონის ტიპიკონის მოსაკარგავისა, ორივეგან ეს არის მონასტრის მომსახურე საერო პიროვნება.

მოსაკარგავე იხსენიება 1259 წელს კახა თორელის მიერ გაცემულ რკონის სიგელშიც: „და უკეთუ ვინმე ესე ჩემგან გაგებული და შენსა სამკუიდრებელსა შემოწირული შეცვალოს და შლად ჭელყოს და შენსა სამკუიდრებელსა გამოაკუას: ანუ მემამულემან ვინ, ანუ მოსაკარგავემან, რამან გინდა გუარმან კაცმან — შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო რკონისაო, რისხვით აღიძარ მას ზედა...“[33]

ეს საბუთი მემამულისა და მოსაკარგავის დაპირისპირების იმავე პრინციპს იცავს, რასაც გიორგი II-ის 1072 წლის სიგელი, იქაც და აქაც ერთმანეთს უპირისპირდებიან მემამულე, ე. ი. მემკვიდრეობით და არა მემამულე, ე. ი. არა მემკვიდრეობით, ანუ მხოლოდ პირადი სარგებლობის უფლებით აღჭურვილი ქვეყნის მოქმედნი.

---

[31] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 363.

[32] ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1955, გვ. 34.

[33] იქვე, გვ. 64.

ასე გვესმის იმ წყაროთა შინაარსი, სადაც საკარგავი, საკარგყმო, სასაკარგაო და მოსაკარგავე იხსენიება.

დასასრულ, ვნახოთ, განხილული წყაროების მიხედვით საკარგავისა და სასაკარგაოს რა და რა ფორმები გვხვდება და ვის ეწოდება მოსაკარგავე:

საკარგავი — გარიგების ობიექტი: **1.** პეტრიწონის ტიპიკონი: გლეხი, მიწა, ვენაჯი, ბოსტანი, გინა თუ სხვაჲ რაჲცა რაჲ ესევითარი. **2.** დიდი სჯულის კანონი: გამოსაზრდელი, ანუ სურსათი, ტანისამოსი, ფული და სხვ. **3.** მატიანე ქართლისა: ოქრო, ვერცხლი და საერთოდ ნებისმიერი განძეულობა, მაგ., ფული, ძვირფასი თვლები და სხვ. **4.** ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი: მიწა. **5.** ვისრამიანი: ქვეყნები — ტაბარისტანი, გურგანი, „თითო ქვეყანა“, ქალაქები — რე ქალაქი, „თითო ქალაქი“, სახელოები — მსახურთუხუცესობა, ამირსპასალარობა. **6.** ამირანდარეჯანიანი: ოქრო. **7.** ვეფხისტყაოსანი: სახელო — ამირბარობა.

სასაკარგაო: **1.** ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი: მიწა.

მოსაკარგავე: **1.** გიორგი II-ის სიგელი შიომღვიმისადმი, 1072 წლისა: ციხისთავი, ჯევისუფალი, მანდატური, შურტა. **2.** დავითის ისტორიკოსი: მონასტერთა და ლავრათაგან გამოსაღებთა ამკრები მოხელენი. **3.** თამარ მეფის სიგელი შიომღვიმისადმი 1201 წლისა: მონასტრის მომსახურე საერო პიროვნება. **4.** კახა თორელის სიგელი რკონისადმი 1259 წლისა: ნებისმიერი პიროვნება, რომელსაც არამემკვიდრეობით უჭირავს თანამდებობა. **5.** ბექა — აღბუღას სამართლის წიგნი: მიწის სასაკარგაოდ მჭონებელი ნებისმიერი პიროვნება.

ზემორე დასკვნებს დავუმატებთ შემდეგს: საკარგავი ნებისმიერი ობიექტია, რომელზეც ნებისმიერი გარიგება ხდება ორ სუბიექტს შორის და ეს გარიგება მხოლოდ ამ ორ სუბიექტზე ვრცელდება. ამიტომ სუბიექტი, რომელმაც მიიღო საკარგავი და ამით გახდა მოსაკარგავე, მხოლოდ თვითონ ფლობს ამ საკარგავს, მას არა აქვს უფლება საკარგავის მემკვიდრეობით გადაცემისა.

საკარგავის მცნებაში არ შედის ის, თუ რა სახის გარიგება ხდება ამ ობიექტზე, ამის გაგება მხოლოდ და მხოლოდ წყაროს კონტექსტით შეიძლება.

ვფიქრობთ, გასაგებია, საკარგავზე დღემდე არსებული დებულებანი არსებითად არ შეესაბამება სინამდვილეს. აქ მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ დებულებაზე შევჩერდებით: გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკარგავი იმიტომაც არ იყო სამხედრო სამსახურის პირობით მიწის ფლობა, რომ არც ერთი წყარო ამას არ ადასტურებს; XI—XIV საუკუნეებში, ანუ საკარგავის გავრცელების დროს, ყველა სამხედრო მოსამსახურე მემამულეა, ე. ი. მემკვიდრეობით ფლობს მიწას, ასევე მემამულეა გლეხიც და ჰეროვანიც. დამახასიათებელია, რომ წყაროები სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიწას კი არ ასახელებენ, არამედ სახელოს, ე. ი. საკარგავი ანუ გარიგების ობიექტი მიწა კი არა, სახელოა — ამირბარის, ამირსპასალარის, ციხისთავის და სხვ. ცხადია, ამ სახელოს მფლობელთ მიწაც ეძლეოდათ, სწორედ ამ სახელოს ფლობისათვის, მაგრამ საკარგავი ეს მიწა კი არ იყო, არამედ — სახელო. ასეთ შემთხვევაში, მიწა საკარგავის — სახელოს სანუქფო იყო. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, რომ საკარგავი — გასარიგებელი, გარდა სახელოსი, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, კიდევ ბევრი რაიმე ყოფილა.

ამრიგად, საკარგავი აღმავალი ფეოდალიზმის მოვლენაა. ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს უხვად გააჩნდა „ყოველი გასარიგებელი“ — საკარგავი. საკარგავის ფართო გავრცელება დიდად უწყობდა ხელს პირად ინიცია-

ტივას, აძლიერებდა პატრონისადმი ერთგულ სამსახურს, რაც თავისთავად, იმ დროს, ქვეყნის წინსვლას ემსახურებოდა.

იმ დიდი ეროვნული ტრაგედიის შედეგად, რაც საქართველოს XIV ს-ის დასასრულს დაატყდა თავს, სხვა მრავალთა შორის, საკარგავიც გაქრა. მანამდე კი, XI საუკუნიდან ვიდრე XVI საუკუნის ბოლომდე საკარგავის არსებობა საქართველოს წინსვლისა და ძლიერების კიდევ ერთი უტყუარი ნიშანია.

ЗУРАБ РАТИАНИ

САКАРГАВИ

Резюме

В грузинской историографии распространено положение, что сакаргави означает ненаследственное владение землей с условием воинской обязанности, характерное для раннефеодального периода. По существу оно идентифицируется с европейскими бенефициями.

Проф. Ш. А. Месхиа убедительно доказал несостоятельность такого мнения, однако сам не до конца раскрыл сущность сакаргави, хотя ряд его суждений, как и отдельные наблюдения предшествующих исследователей, бесспорно правильны.

Сакаргави и производные от него сасакаргао и мосакаргаве упоминаются в грузинских источниках XI—XIV вв. Сакаргави — любой объект сделки, сасакаргао — то, что получено как сакаргави, мосакаргаве — любая личность, владеющая сакаргави.

Сакаргави могли быть целые страны, города, должности, земли, деньги, золото, любые драгоценности, а также крестьяне.

Мосакаргаве были и цари (зависимые), дидебули, азнаури, мсахури и крестьяне. Мосакаргаве за владение сакаргави брал определенное обязательство служить тому, от кого получил сакаргави.

Сакаргави ни в коем случае не является бенефицией, так как лица (кроме крестьян), получившие в качестве сакаргави земли, уже давно были мемамуле — владели феодами, за что и несли воинскую службу.

Сакаргави функционировали до XV века в период развитого феодализма и, несомненно, способствовали прогрессу страны.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელო სტუდენტთათვის

წყაროთმცოდნეობის ყოველი სახელმძღვანელო ისტორიული მეცნიერების ამ წამყვანი დარგის განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს. საყურადღებოა ამ მხრივ ა. ნიკოლაევას ნაშრომი „საბჭოთა წყაროთმცოდნეობის თეორია და მეთოდიკა“[1], რომელიც ვათვალისწინებულია ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტთათვის. შესავლის გარდა იგი შედგება 4 თავისაგან — „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობა, მისი ამოცანები“, „მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის ურთიერთმიმართების საკითხისათვის საბჭოთა წყაროთმცოდნეობაში“, „XVIII—XIX საუკუნეთა რუსული წყაროთმცოდნეობის ისტორიიდან“, „ფეოდალური ეპოქის წყაროები“.

წიგნში გამოიყოფა ორი ნაწილი — ზოგადი და კონკრეტული. პირველი მოიცავს შემდეგ საკითხებს: წყაროთმცოდნეობა როგორც ისტორიული დისციპლინა, მისი განვითარების ეტაპები, თანამედროვე საბჭოთა წყაროთმცოდნეობის მორიგი ამოცანები; მეორეში შესწავლილია ფეოდალური ეპოქის ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რუსული წყარო. წიგნში განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით ავტორს მოცემული აქვს არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა.

როგორც ვხედავთ, ნაშრომის სათაური უფრო ფართოა მის შინაარსზე. ორივე ნაწილი, როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული გულისხმობს და ითვალისწინებს რუსულ მასალას. გარდა ამისა, როგორც ავტორიც აღნიშნავს, შესწავლილია მხოლოდ წერილობითი წყაროები და ძირითადად მხოლოდ ფეოდალური ხანისა.

საბჭოთა წყაროთმცოდნეობის განვითარებაში ა. ნიკოლაევა შემდეგ პერიოდებს გამოჰყოფს: I — 20-იანი წწ. — 30-იანი წლების დამდეგი, II — 30-იანი წწ.—50-იანი წლების დამდეგი, III — 50-იანი წწ. — 70-იანი წლების დამდეგი. უკანასკნელი ეტაპი ყველაზე ნაყოფიერია. ვინაიდან შეუძლებელია ამ პერიოდში გამოცემულ ყველა ნაშრომზე შეჩერება, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ამ ხანის წყაროთმცოდნეობისათვის დამახასიათებელ შემდეგ ძირითად ასპექტებზე: პირველი ასპექტი — მუშავდება წყაროთმცოდნეობის თეორიული საკითხები. 50—60-იან წლებში მოეწყო დისკუსიები წყაროთმცოდნეობის თეორიულ საკითხებზე, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები ვ. პაშუტო, ლ. ჩერეპნინი, ა. ნიკოლაევა, მ. სელეზნიოვი და სხვ. პირველად საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოიცა (1957 წ., განმეორებით 1963 წ. 1975 წ.) პროგრამა კურსისა „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობა“, ისტორიულ ჟურნალებში დაიბეჭდა წყაროთმცოდნეობითი სტატიები, გამოიცა მთელი რიგი წყაროებისა, ინსტიტუტებში გაიშალა მუშაობა სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში კადრების მომზადების მხრივ. მეორე ასპექტი — იხვეწება სხვადასხვა სახის წყაროთა შესწავლის მეთოდიკა (კერძო მეთოდიკები). საისტორიო ჟურნალებში „Вопросы истории“, „История СССР“, „Исторический архив“ და სხვ. იბეჭდება წყაროთმცოდნეობითი ნაშრომები. დროებით განახლდა „Проблемы источниковедения“-ს გამოცემა (გამ. IV—XII, 1955—1961). 1958 წლიდან გამოდის წელიწდეული „Археографический ежегодник“. მესამე ასპექტი — იქმნება სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოები. 1940 წ. გამოცემული აკად. მ. ტიხომიროვისა და ს. ნიკიტინის სახელმძღვანელოები[2] უკვე აღარ პასუხობს მოთხოვნილებებს. იქმნება მეთოდური სახელმძღვანელოები წყაროთა სხვადასხვა სახეობის შესწავლის შესახებ, საბჭოთა წყაროთმცოდნეობისა და კაპიტალიზმის ხანის წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოები. მეოთხე ასპექტი — წყაროთმცოდნეობის ისტორიის შესწავლა. საერთო ნაშრომების გარდა იქმნება ცნობილი ისტორიკოს-წყაროთმცოდნეებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიც. წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია შედარებით შეუსწავლელია, რისი მიზეზიცაა მისი სირთულე, მასალის სიუხვე.

[1] А. П. Николаева, Теория и методика советского источниковедения, М., 1975, (для студентов - заочников).

[2] М. Н. Тихомиров, Источниковедение истории СССР с древнейших времен до конца XVIII в., М., 1940; С. А. Никитин, Источниковедение истории СССР. XIX в., М., 1940.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ საბჭოთა წყაროთმცოდნეობა როგორც ისტორიული ცოდნის უმნიშვნელოვანესი დარგი შეიქმნა. მას აქვს თავისი ისტორია, თეორია და მეთოდიკა. მაგრამ მრავალი საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს. არ არსებობს განმაზოგადებელი ნაშრომი წყაროთმცოდნეობის თეორიის დარგში (არის სტატიები); არ არსებობს ფუნდამენტური გამოკვლევა წყაროთმცოდნეობის თეორიისა და მეთოდიკის ურთიერთკავშირზე; არ არის ერთიანობა წყაროთმცოდნეობის ტერმინოლოგიის დარგში (გარეგანი და შინაგანი კრიტიკა, ანალიზი, სინთეზი და სხვ.); არ არის სათანადოდ შესწავლილი წყაროთა ისტორია; არ არის დამუშავებული მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდიკების გამოყენება წყაროთა კვლევის დროს.

წყაროთმცოდნეობა არის სპეციალური ისტორიული დისციპლინა, რომელიც ამუშავებს საისტორიო წყაროთა შესწავლისა და გამოყენების თეორიასა და მეთოდიკას. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წყაროთმცოდნეობით ტერმინებს. აქვეა მოცემული ისტორიული წყაროს განსაზღვრება, გარკვეულია სხვაობა წყაროსა და გამოკვლევას შორის, დაზუსტებულია ტერმინები — რედაქცია, პირი, ნუსხა და ა. შ. შედარებით ფართოდ ჩერდება ავტორი წყაროთა კლასიფიკაციაზე. არც ერთი ეს საკითხი დღემდე არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გადაწყვეტილად.

წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი სფეროა წყაროთა კლასიფიკაცია. ა. ნიკოლაევასთან კლასიფიკაციის საკითხები განსხვავებულადაა განხილული, ვიდრე ამავე 1975 წელს გამოცემულ ლ. პუშკარიოვის ნაშრომში „სამამულო ისტორიის რუსული წერილობითი წყაროების კლასიფიკაცია“. ლ. პუშკარიოვის წყაროთა ტიპები, გვარები და სახეები ა. ნიკოლაევას ჯგუფებს, სახეებსა და სახესხვაობებს შეესაბამება. განსხვავდება მათი არსიც. ა. ნიკოლაევა ექვს ჯგუფს ასახელებს: 1. ნივთიერი (არქეოლოგიური), 2. ეთნოგრაფიული, 3. ლინგვისტური, 4. ზეპირი, 5. წერილობითი, 6. კინო-ფონო-ფოტო წყაროები. ლ. პუშკარიოვი უკანასკნელ ჯგუფს ორად ყოფს: მე-6 და მე-7 ტიპი კინო-ფოტოდოკუმენტები და ფონოდოკუმენტები[3]. მეცნიერთა ნაწილი ასეთ კლასიფიკაციას არ ეთანხმება. ასე მაგ., ს. კაშტანოვის და ა. კურნოსოვის[4] აზრით, ლინგვისტური წყაროები არსებობს მხოლოდ წერილობითი და ზეპირი წყაროების ფორმით, ხოლო ეთნოგრაფიული — ნივთიერი, ზეპირი და წერილობითი წყაროებისა და პანტომიმის ფორმით.

ა. ნიკოლაევას აღნიშვნით, წყაროთა კლასიფიკაციის პრობლემაში მთავარია შემდეგი ორი ასპექტი: 1-ლი ასპექტი — არის წყაროთა კლასიფიკაცია ისტორიულ ფორმაციათა მიხედვით. თითოეული ფორმაციის წყაროები თავის მხრივ იყოფა სახეებად (მატიანეები, საკანონმდებლო ძეგლები, მემუარები, აქტები და ა. შ.), ხოლო სახეები, თავის მხრივ სახესხვაობებად. ავტორი იმოწმებს აგრეთვე „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობასა“ და სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის საუნივერსიტეტო პროგრამას, სადაც მოცემულია წყაროთა ანალოგიური კლასიფიკაცია. მეორე ასპექტი — წყაროთა კლასიფიკაცია საკვლევი თემის მიხედვით. აქ შეუძლებელია ერთიანი სქემის მოცემა. კლასიფიკაციის ხასიათი დამოკიდებული იქნება წყაროებსა და კვლევის თემაზე. ეს სრულიად არ გამორიცხავს წყაროთა კლასიფიკაციის შინაარსის, სახეების, სახესხვაობებისა და ქრონოლოგიის მიხედვით. პირიქით, მხოლოდ ყოველმხრივი დაჯგუფებით შეიძლება წყაროთა კლასიფიკაციის სრული სისტემის შექმნა. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ დაზუსტდეს ტერმინები, — კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია. წყაროთა დაჯგუფება ნებისმიერი ნიშნის მიხედვით მათი სისტემატიზაციაა. სისტემატიზაციის ნიშნები უამრავია და დამოკიდებულია მკვლევრის სურვილსა და მიზანზე. სისტემატიზაციას დროებითი ხასიათი აქვს და მისი ერთი დაჯგუფების წევრები გამორიცხავენ მეორისას. შედარებით ხშირად სისტემატიზაცია ხდება ქრონოლოგიისა და წარმოშობის მიხედვით, ან ორივე ნიშნის მიხედვით ერთდროულად. ასე მაგ., ფეოდალური ხანის რუსული წყაროები. კლასიფიკაციაც შეიცავს სისტემატიზაციის ელემენტებს, მაგრამ განსხვავდება მისგან. მისი საფუძველი არ არის დამოკიდებული მკვლევრის სურვილზე, არამედ წყაროსათვის დამახასიათებელი ორგანული თვისებაა. კლასიფიკაციის მიზანია გამოავლინოს შინაგანი კავშირი წყაროთა სხვადასხვა ტიპებს, გვარებსა და სახეებს შორის და შედარებით მყარია. კლასიფიკაცია გვაძლევს ისეთ დანაყოფებს, რომლების მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესწავლის ერთნაირი ხერხები. როგორც ვხედავთ, ა. ნიკო-

[3] Л. Н. Пушкарев, Классификация русских письменных источников по отечественной истории, М., 1975, გვ. 202—203.

[4] С. М. Каштанов, А. А. Курносов, Некоторые вопросы теории источниковедения — «Исторический архив», 1962, № 4, გვ. 177.

ლაევას ნაშრომში ტერმინები სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია ყოველთვის ნათლად არ არის ერთმანეთისაგან გარჩეული. უკანასკნელი ნაშრომები მიუთითებენ იმაზე, რომ წყაროთა კლასიფიკაციაში ბევრი რამ დასაზუსტებელია[5].

საისტორიო წყაროს განსაზღვრება ა. ნიკოლაევასთან თითქმის არ განსხვავდება ე. დანილოვის, ა. იაკუბოვსკაიას ან ა. პრონშტეინისა და ა. ზადიორას განმარტებებისაგან: „წარსულის (ახლო თუ შორეული) ყოველგვარი ძეგლი, რომელიც ასახავს ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ამა თუ იმ მხარეს“ (ა. ნიკოლაევა), „წარსულის ყოველგვარი ძეგლი, რომელიც აშუქებს ადამიანის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს“ (ე. დანილოვი, ს. იაკუბოვსკაია)[6] „წარსულის ყოველგვარი ძეგლი, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ მოვლენებს“ (ა. პრონშტეინი, ა. ზადიორა)[7]. შედარებით სრულია ლ. პუშკარიოვის განმარტება, რომელიც შემდეგ დააზუსტა ა. პრონშტეინმა: „ისტორიული წყაროა — ყველაფერი, რაც უშუალოდ ასახავს ისტორიულ პროცესს და იძლევა ადამიანთა საზოგადოების წარსულის შესწავლის შესაძლებლობას, ე. ი. ყველაფერი, რაც შეუქმნია ადრე ადამიანს და რამაც მოაღწია ჩვენამდე მატერიალური კულტურის, დამწერლობის იდეოლოგიის, ადათ-წესებისა და ენის ძეგლების სახით“[8]. „ისტორიული წყაროები შეიძლება ეწოდოს ადამიანთა საქმიანობის ყველა შედეგს, რაც შეიცავს ფაქტებს, რომლებსაც ჩვენამდე მოაქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური მოვლენები, უშუალო ან გარეშეეობითებული ასახვის ერთობლიობით და მოწმობენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერ პროცესს“[9].

ა.ნიკოლაევას წიგნში გაცემულია პასუხი მრავალ წყაროთმცოდნეობით საკითხზე, განხილულია წყაროზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპი, წყაროს კრიტიკის ამოცანები და ხერხები. და თუმცა მათი ნაწილი კვლავ საკამათო რჩება, წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტებს და ისტორიკოს-მკვლევრებს.

გიული ალასანია

---

[5] ა. პრონშტეინი ლ. პუშკარიოვისაგან განსხვავებით უარყოფს წერილობით წყაროთა გვარებად დაყოფის საჭიროებას. მისი აზრით, წერილობით წყაროთა მხოლოდ ტიპები და სახეები არსებობს (А. П. Пронштейн, Методика исторического источниковедения, Ростов, 1976, გვ. 45) ახლებურად განმარტავს წყაროთა სახეებად დაყოფას ა. კურნოსოვი (А. А. Курносов, К вопросу о природе видов источников, «Источниковедение отечественной истории», М., 1977, გვ. 5—25).

[6] В. П. Данилов, С. И. Якубовская, Источниковедение и изучение истории советского общества, «Вопросы истории», 1961, № 5, გვ. 56.

[7] А. П. Пронштейн, А. Г. Задера, Практикум по истории СССР, Учебное пособие для студентов - заочников историческ. отделений университетов и пединститутов, Ростов-на Дону, 1964, გვ. 415.

[8] Л. Н. Пушкарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 62—63.

[9] А. П. Пронштейн, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

ЗНАЧИТЕЛЬНЫЙ ВКЛАД В СОВЕТСКУЮ ИСТОРИОГРАФИЮ

К 60-летию Великой Октябрьской социалистической революции вышла в свет книга заведующего кафедрой новой и новейшей истории Московского государственного университета им. М. В. Ломоносова, проф. И. С. Галкина «В. И. Ленин и развитие советской историографии новой и новейшей истории стран Европы и Америки».

Книга состоит из 2-х частей. В первой части показана роль В. И. Ленина в развитии материалистического понимания истории и его вклад в изучение проблем новой и новейшей истории стран Запада. Вторая посвящена советской историографии тех же проблем.

Теоретические труды В. И. Ленина в области истории, философии, экономики и социологии положили начало новому этапу в развитии исторической науки. Как справедливо подчеркивает автор, в новых исторических условиях В. И. Ленин не только отстоял марксистскую концепцию всемирно-исторического процесса в борьбе против дворянско-буржуазной и ревизионистской историографии, но развил и обогатил ее, внеся огромный вклад в разработку научной теории понимания основных этапов и главных проблем истории человечества.

В своих многочисленных трудах В. И. Ленин дал глубокий анализ важнейших проблем новой и новейшей истории. Большое значение имеет ленинская периодизация истории нового времени. Он выделил два основных этапа этого периода: первый — от великой французской буржуазной революции 1789 г. до Парижской коммуны 1871 г., знаменовавший победу буржуазии и установление ее господства; второй этап — от Парижской коммуны до Великой Октябрьской социалистической революции. Период, начавшийся после Октября, Ленин выделяет как качественно новый этап всемирной истории — история новейшего времени. В соответствии с этой периодизацией в книге последовательно освещается ленинский анализ важнейших событий в Европе и Америке.

Ленин глубоко исследовал основные вопросы буржуазных революций в странах Запада в XVII—XIX вв., показал роль в них отдельных классов и партий, эволюцию их политических позиций и т. д. Пристальное внимание В. И. Ленина привлекали вопросы промышленной революции и рабочего движения. Большое место в его трудах отведено Парижской коммуне 1871 г., явившейся первой в мире пролетарской революцией. «Научный анализ истории Парижской коммуны, данный В. И. Лениным, — говорится в книге, — послужил теоретической основой для дальнейшей плодотворной работы историков марксистов в этой области»[1].

Огромен вклад Ленина в исследование теоретических воззрений и практической деятельности К. Маркса и Ф. Энгельса, их руководящей роли в международном рабочем и социалистическом движении. Эти вопросы рассмотрены в работах «Карл Маркс», «Три источника и три составных части марксизма», «Исторические судьбы учения Карла Маркса», «Марксизм и ревизионизм», «Крах II Интернационала» и др.

Особое место в теоретическом наследии Ленина занимает учение об империализме. В книге «Империализм, как высшая стадия капитализма» дан глубокий анализ экономической и политической сущности этой новой, последней стадии капитализма, являющейся кануном социалистической революции. Много внимания Ленин уделил национальному вопросу. Его теоретические обоснования национально-освободительного движения

[1] И. С. Галкин, В. И. Ленин и развитие советской историографии новой и новейшей истории стран Европы и Америки, 1977, с. 70.

вооружили народы колониальных и зависимых стран новой ориентировкой в стратегии и тактике антиимпериалистической борьбы.

Бесспорный интерес вызывает раздел книги, в котором освещается ленинское учение о войнах. К определению характера войн Ленин подходил с конкретно-исторической точки зрения. Он с предельной точностью установил особенности первой мировой войны, носившей империалистический характер. На основе анализа сложившейся тогда обстановки Ленин создал новую теорию социалистической революции и пришел к выводу о возможности победы социализма в одной, отдельно взятой стране. Это неоценимое открытие он сформулировал в статьях «О лозунге Соединенных штатов Европы» (1915 г.) и «Военная программа пролетарской революции» (1916 г.). Дальнейшее развитие марксистское учение о государстве и диктатуре пролетариата нашло в работе В. И. Ленина «Государство и революция», написанной в августе-сентябре 1917 г.

Великая Октябрьская социалистическая революция открыла новую эру в истории человечества. Ленин в своих многочисленных трудах подчеркивает ее величие и коренное отличие от всех буржуазных и буржуазно-демократических революций. Так, выступая на I конгрессе Коминтерна в марте 1919 г., он отметил, что Октябрьская революция — это «самая глубокая революция в истории человечества, первый в мире переход власти от меньшинства эксплуататоров к большинству эксплуатируемых...»[2]

Неоценима роль В. И. Ленина в истории международного рабочего и коммунистического движения в послеоктябрьский период в разработке стратегии и тактики молодых коммунистических партий и Коммунистического интернационала в целом. Его классическая работа «Детская болезнь «левизны» в коммунизме», выступления на конгрессах Коминтерна и другие работы по данной тематике вносят огромный вклад в историческую науку.

В. И. Ленин, как вождь Октября и мирового революционного движения последующего периода, руководитель первого в мире социалистического государства оказывал огромное воздействие на весь ход исторического развития. В этой связи обращает на себя внимание справедливо подчеркиваемая автором мысль о том, что «...все те, кто исследует проблемы новейшей истории, т. е. периода всемирно-исторического развития после Великой Октябрьской социалистической революции, учитывают, хотя и по-разному, философско-исторические и социологические взгляды В. И. Ленина»[3].

Рецензируемая книга убедительно показывает, что ни одна из ведущих проблем рассматриваемого периода не была упущена в трудах В. И. Ленина. Все они нашли глубоко научный анализ, представляющий собой образец исторического исследования.

Вторая часть рецензируемой книги посвящена советской историографии новой и новейшей истории стран Запада в 1917—1975 гг. Ценность данного раздела повышается еще и потому, что автор книги — профессор И. С. Галкин — не просто исследователь проблемы. Он, как один из старейших советских историков, видный ученый и организатор науки, является непосредственным участником создания и развития советской исторической школы в области новой и новейшей истории. При написании рецензируемого труда использован богатый источниковедческий материал и в том числе, как сообщает автор, личные записки, сохранившиеся у него от многолетних по работе контактов с такими выдающимися советскими историками, как Н. М. Лукин, В. П. Волгин, Е. А. Косминский, С. Д. Сказкин, В. М. Хвостов, Ф. В. Потёмкин, П. Ф. Преображенский, А. С. Ерусалимский, Б. Ф. Поршнев и др. Как подчеркивается в книге, основной фундамент для развития советской марксистской исторической науки был заложен в трудах В. И. Ленина. С победой Великой Октябрьской социалистической революции Коммунистическая партия и Советское правительство принимают необходимые меры по

[2] В. И. Ленин, полн. собр. соч., т. 37, с. 498—499.
[3] И. С. Галкин, указ. соч., с. 128.

созданию советской исторической школы. Большую роль в ее становлении сыграли М. Н. Покровский, Н. М. Лукин, Е. М. Ярославский, В. А. Быстрянский, В. П Волгин, В. В. Адоратский, Ф. А. Ротштейн, П. М. Керженцев, А. Д. Удальцов и др. В книге дается условная периодизация развития советской исторической науки. Период с октября 1917 г. до середины 20-х гг., автор рассматривает как этап становления исторической науки. В это время определялись основные задачи советских историков, происходило собирание их сил, закладывались основы системы подготовки кадров ученых-историков. Период в середины 20-х гг. автор характеризует как этап утверждения и развития советской исторической школы. Эти годы отмечены значительными успехами. Появляется большое число монографий и других работ, которые с марксистских позиций освещают узловые проблемы истории нового и новейшего времени. Это труды Н. М. Лукина, В. П. Волгина, В. В. Адоратского, П. М. Керженцева, Е. В. Тарле, Ф. В. Потемкина, В. М. Лавровского, А. В. Ефимова, А. И. Молока, С. Д. Сказкина, И. С. Галкина, Б. Ф. Поршнева, А. С. Ерусалимского, В. М. Хвостова и др. В книге показано, как развитие советской исторической науки проходило в острой борьбе с различными антимарксистскими концепциями.

Великая Отечественная война намного ограничила возможности научных исследований. Но и в эти тяжелые годы ученые-историки создали немало трудов, которые сыграли большую роль в воспитании советских людей в духе социалистического патриотизма и ненависти к фашистским захватчикам.

После второй мировой войны историческая наука в нашей стране достигает небывалых успехов. Огромная исследовательская работа развернулась в соответствующих институтах союзной и республиканских Академий наук, на кафедрах университетов и в других научных центрах. Неизмеримо возросла издательская база. В послевоенные годы в трудах советских историков нашли глубокое освещение такие проблемы новой истории, как генезис капитализма и промышленная революция (В. М. Лавровский, С. Д. Сказкин, Ф. В. Потемкин, Б. Ф. Поршнев и др.), буржуазные революции и демократические движения (Е. В. Тарле, С. И. Архангельский, А. З. Манфред, А. В. Адо, Ф. В. Потемкин, Г. Н. Севостьянов и др.), социалистические учения и формирование научного коммунизма (В. П. Волгин, Е. П. Кандель, В. А. Смирнова и др.), история рабочего движения (И. С. Галкин, М. Н. Михайлов, Б. Я. Михайлов, Б. А. Айзин и др.), международные отношения и колониальная политика (Е. В. Тарле, А. С. Ерусалимский, В. М. Хвостов, И. С. Галкин, А. З. Манфред, В. Г. Трухановский, А. Л. Нарочницкий, Е. М. Жуков, Н. Н. Иноземцев и др.).

В области новейшей истории создано много работ о влиянии Великой Октябрьской социалистической революции на развитие мирового революционного процесса, о международном рабочем и коммунистическом движении, об образовании и развитии мировой социалистической системы. Исследуется вторая мировая война, международные отношения периода общего кризиса капитализма, послевоенная история стран Европы и Америки и др.

В книге говорится не только о больших успехах советских ученых в исследовании проблем новой и новейшей истории, но и отмечаются пробелы и недостатки в этой области и задачи, которые стоят перед историками.

Рецензируемая монография написана на высоком идейно-теоретическом уровне. Она отличается глубиной научного анализа и боевой партийной принципиальностью. С ее выходом советская историческая наука обогатилась значительным марксистско-ленинским трудом. Книга, несомненно, привлечет внимание широкого круга читательских масс.

В. И. АДАМИЯ

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

მოძმე სომხეთის გამოჩენილი ისტორიკოსი

სომეხი ხალხის გამოჩენილ ისტორიკოსს სურენ ერემიანს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

ს. ერემიანი დაიბადა 1908 წლის 10 აპრილს, თბილისში, მუშის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და ბავშვობიდანვე სომხურ და რუსულ ენებთან ერთად საფუძვლიანად ეზიარა ქართულ ენასა და კულტურასაც. შემდეგ სწავლა განაგრძო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1931 წელს დაასრულა. 1931—1935 წწ. იყო კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის (თბილისი) ასპირანტი, მოგვიანებით კი მეცნიერი თანამშრომელი. 1935—1941 წლებში მუშაობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (ლენინგრადი) მეცნიერ თანამშრომლად. იმთავითვე, ჯერ ერევანში, ხოლო შემდეგ თბილისსა და ლენინგრადში მუშაობის დროს ს. ერემიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ მეცნიერებთან: ნ. მართან, ივ. ჯავახიშვილთან, ჰ. მანანდიანთან, კ. კეკელიძესთან, ა. შანიძესთან, ჰ. აჭარიანთან, ა. კალანტართან, ვ. სტრუვესთან, ბ. გრეკოვსა და კ. და ვ. დონდუებთან.

ლენინგრადში ყოფნის პერიოდში, 1935 წელს, ს. ერემიანმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) ფეოდალური წარმონაქმნები მარზპანობის პერიოდში“.

1941 წლის მარტიდან ს. ერემიანი ერევანში გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. აქ იგი დღემდე ეწევა მრავალმხრივ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობას. 1941—1943 წწ. მუშაობდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის (1943 წლამდე სსრკ მეცნ. აკად. ფილიალი) ისტორიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის სექტორის გამგედ, 1953—1959 წწ. კი ამავე ინსტიტუტის დირექტორად. 1950 წელს მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ძველი სომხეთის მონათმფლობელური საზოგადოება“, რომელშიც განხილული იყო ძველი სომხეთის საზოგადოებრივი წყობილების კარდინალური საკითხები. ამ ნაშრომმა ავტორს აღიარება მოუპოვა.

1954 წელს ს. ერემიანი, როგორც სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აირჩიეს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1963 წ. ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად. 1965—1968 წწ. ს. ერემიანი იყო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი მდივანი. ამჟამად იგი სათავეში უდგას სომხეთის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებას. ს. ერემიანს მინიჭებული აქვს აგრეთვე პროფესორისა და სომხეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებები. იგი არის სკკპ წევრი 1945 წლიდან.

ს. ერემიანი თანამედროვე სომხური და საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი არის ცნობილი არმენისტი და კავკასიათმცოდნე. ს. ერემიანს ეკუთვნის ასზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი

ისტორიაში და ამდენივე ისტორიულ კარტოგრაფიაში. ამასთანავე სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი მისი შრომები ძველი სომხეთის ისტორიის საკვანძო საკითხებზე.

ს. ერემიანის მეცნიერულ ნაშრომებში, რომელთა თემატური შემოსაზღვრაც ძნელია, ძირითადად შესწავლილია და მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური მიღწევების საფუძველზეა გაანალიზებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა სომეხი ხალხის ეთნოგენეზი, მონათმფლობელობისა და ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობა ძველ სომხეთში, შუა საუკუნეების სომხეთის ისტორია, მისი პოლიტიკური და კულტურული კონტაქტები ანტიკურ, ირანულ და განსაკუთრებით ქართულ სამყაროსთან.

გამოკვლევების სერიაში „სომხეთის საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი ნიშნები ელინისტურ ეპოქაში“ (1948), „მონობისა და მონათმფლობელობის შესახებ ძველ სომხეთში“ (1950) და სხვა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წამყვან პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა, ს. ერემიანმა სცადა ახლებურად გაეშუქებინა ძველი სომხეთის საზოგადოებრივი წყობილება. რევოლუციამდელი და ნაწილობრივ საბჭოთა პერიოდის სომხეთის ისტორიის მკვლევრები თითქმის არავითარ განსხვავებას არ ხედავდნენ შუა საუკუნეების სომხეთის ფეოდალური და ძველი პერიოდის საზოგადოებრივ წყობათა შორის. ს. ერემიანმა კი ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემების საფუძველზე წამოაყენა დებულება, რომ ძველ, წინაფეოდალურ ხანაში სომხური საზოგადოება, განვითარების მონათმფლობელურ ეტაპზე იმყოფებოდა. შემდეგში სწორედ ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობების წიაღში ჩაისახა ფეოდალური ელემენტები, რომლებმაც მერმინდელ ეპოქაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. ს. ერემიანის თვალსაზრისი საფუძვლად უდევს სომხეთის ძველი ისტორიის მთელი რიგი საკითხების დამუშავებას. აღნიშნულ დებულებებს ემყარება ავტორი სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ძირითადი ეტაპების განსაზღვრის საკითხში, რის ნათელ დადასტურებასაც ეპოულობთ მის ნარკვევებში — „ფეოდალური ეპოქის სომხეთის ისტორიის პერიოდიზაციის ცდა“ (1951), „ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის პერიოდიზაციის ძირითადი პრობლემები (ძველი პერიოდი და შუა საუკუნეები)“ (1954) და სხვა.

ს. ერემიანი ფართო დიაპაზონის ისტორიკოსია, რომელიც მუდამ ინტერესით ეკიდება ყოველივე იმას, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში კეთდება, და თავის მხრივაც წვლილი შეაქვს მისი ზოგიერთი საკითხის დამუშავებაში. ამის მოწმეა არა მარტო აღნიშნული საკანდიდატო დისერტაცია, არამედ წერილები: III ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიაზე, ქართველი და სომეხი ხალხების ერთობლივი ბრძოლის შესახებ ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ V საუკუნეში, მეცნიერული დაკვირვებები XI ს-ის ქართველი მემატიანის სუმბატ დავითის-ძის ტექსტზე, საგანგებო გამოკვლევა თამარის საქმროდ მოწვეულ იურ. ბოგოლუბსკიზე, მის ირგვლივ დაჯგუფებულ ფეოდალურ საგვარეულოთა საქმიანობაზე და სხვა. ხსენებულ ნაშრომებში, სადაც უხვადაა დამოწმებული ქართული მასალები, წამოყენებულია საკმაოდ ანგარიშგასაწევი მოსაზრებები. ს. ერემიანი მუდამ ცდილობს, რომ საქართველოს და სომხეთის ისტორიული პროცესები პარალელურად განიხილოს და დაინახოს მსგავსებანი მათ შორის. საყურადღებოა აგრეთვე ს. ერემიანის მიერ დაწერილი გამოკვლე-

ვეში ივ. ჯავახიშვილსა და აკ. შანიძეზე, რომელთა შემოქმედებაც არმენოლოგიის პოზიციებიდანაა განხილული.

ს. ერემიანის მეცნიერული აღიარების მოწმობაა, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე არ შექმნილა თითქმის არც ერთი განმაზოგადებელი ნაშრომი ისტორიის დარგში, სადაც სომხეთის წარსულის ამსახველი ნაწილები ს. ერემიანს არ მოემზადებინა. მის კალამს ეკუთვნის სომხეთის შესახები პარაგრაფები მსოფლიო ისტორიისა და სსრკ ხალხთა ისტორიის მრავალტომეულებში და ჩვენში გამოქვეყნებულ ენციკლოპედიებში.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ს. ერემიანს სომხეთის ისტორიის მრავალტომეულის შექმნაში, რომლის ძველი პერიოდის ნაკვეთები უშუალოდ მისი ავტორობითა და კონსულტაციებითაა დამუშავებული. მისი თანაავტორობით შეიქმნა, აგრეთვე, სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის.

თვალსაჩინო დამსახურება აქვს ს. ერემიანს არმენოლოგიის ისეთი დარგის შექმნაში, როგორიცაა სომხური ისტორიული გეოგრაფია და ისტორიული კარტოგრაფია. ავტორის მრავალწლიანი შრომა ამ დარგში შეჯამებულია მის ვრცელ გამოკვლევაში „სომხეთი „აშხარაცუიცის“ (VII ს-ის სომხური „გეოგრაფიის“) მიხედვით“.

ს. ერემიანი სისტემატურად მონაწილეობს ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესებზე, სადაც მოხსენებებით გამოდის. იგი მონაწილეობდა აღმოსავლეთმცოდნეთა XXII საერთაშორისო კონგრესზე 1954 წ. კემბრიჯში (წაიკითხა მოხსენება — „მონათმფლობელური საზოგადოების დაცემისა და ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვის პრობლემა ძველ სომხეთში“), აღმოსავლეთმცოდნეთა XXV კონგრესზე, მოსკოვში, 1960 წ.. (მოხს. „ურარტუს რუკა“), ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII საერთაშორისო კონგრესზე, მოსკოვში, 1964 წ. (მოხს. „კავკასიის მთის ხალხთა განსახლება პტოლემესა და VII ს-ის სომხური „გეოგრაფიის“ მიხედვით“), მეცნიერებისა და ბუნებისმეტყველების XI საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში, 1965 წ. (მოხს. „ძველსომხური მსოფლიოს ატლასი „აშხარაცუიცი“), ბიზანტინისტთა XIII საერთაშორისო კონგრესზე ოქსფორდში, 1966 წ. (მოხს. „სომხეთის ჩრდილო-დასავლეთი ოლქების შეერთება ბიზანტიასთან XI საუკუნეში“), ეკონომიური ისტორიის საერთაშორისო კონგრესზე ლენინგრადში, 1970 წ. (მოხს. „სომხეთი, სომეხი ვაჭრები და ვაჭრობის განვითარება ევროპასა და აზიას შორის XIX საუკუნემდე“) და სხვ.

ს. ერემიანს დიდი ამაგი მიუძღვის საბჭოთა სომხეთის ისტორიკოსთა კადრების აღზრდის საქმეში. სომხეთის ისტორიის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდების ბევრი ამჟამად წამყვანი სპეციალისტი უშუალოდ მისი აღზრდილია.

თავის იუბილეს აკად. ს. ერემიანი შემოქმედებითი სიმწიფითა და ახალი გეგმებით ეგებება.

ქართველი ისტორიკოსები მეგობრული პატივისცემით მიესალმებიან მოძმე სომხეთის გამოჩენილ ისტორიკოსს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებენ მას.

მამია დუმბაძე, შოთა ბადრიძე

З. Н. ВАНЕЕВ

(к 90-летию со дня рождения)

Захарий Николаевич Ванеев — известный осетинский ученый, доктор исторических наук, заслуженный деятель науки Грузинской ССР.

На протяжении 50 лет научно-педагогической и общественной деятельности он вкладывал большой труд в дело развития науки и культуры осетинского народа. Основательные знания и эрудиция в области истории и этнографии, способность к тщательному анализу дали ему возможность освещать и разрешать важнейшие проблемы истории и этнографии осетинского народа. Свою научную деятельность он умело сочетал с общественной педагогической работой.

З. Н. Ванеев родился 2 сентября 1888 года в селе Джава Горийского уезда Тифлисской губернии. Начальное образование получил в церковно-приходской школе в родном селе. В 1905 году окончил Ардонскую духовную семинарию, приехал на родину и работал сельским учителем в селе Мохлеби (ныне Джавский район).

В 1910—1914 годах учился в Киевском коммерческом институте, курс которого по экономическому отделению и педагогическому подотделу окончил в 1914 году. По окончании института работал преподавателем истории в гимназии в Цхинвали, а затем в школе 2-ой ступени в г. Владикавказе.

По установлении Советской власти в Грузии с самого начала занимал ряд ответственных должностей в Юго-осетинской автономной области: предсовнархоза, наркомпроса, наркомзема, пред. облплана и др. Одновременно, по совместительству, продолжал педагогическую работу, с 1921 по 1935 гг. в Цхинвальском педучилище, а с 1935 по 1951 г. в Цхинвальском госпединституте. Преподавал всеобщую историю и историю Грузии, историю Юго-Осетии. В 1941—1948 гг. — директор Цхинвальского госпединститута.

Параллельно описанной деятельности, в 1922 году был инициатором основания в Цхинвали научно-литературного общества, переименованного в 1925 году в Юго-Осетинское общество краеведения, а в 1927 году реорганизованного в Юго-Осетинской институт краеведения (ныне Юго-Осетинский научно-исследовательский институт АН ГССР), в котором с момента основания возглавлял отдел общественных наук, состоял разновременно ученым секретарем и директором.

В 1944 году ВАК утвердил Ванеева в ученом звании старшего научного сотрудника.

В 1946 году защитил в Институте истории им. И. А. Джавахишвили диссертацию на тему «Средневековая Алания» на соискание ученой степени кандидата исторических наук.

В 1947 году З. Н. Ванееву присвоено звание доцента на кафедре всеобщей истории. В том же году ему присвоено звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР.

В 1961 году в Институте истории им. И. А. Джавахишвили АН ГССР защитил диссертацию на соискание ученой степени доктора исторических наук на тему «Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке».

Долгое время З. В. Ванеев работал зав. отделом истории и этнографии Юго-Осетинского научно-исследовательского института АН ГССР. Он был награжден орденом «Знак почета» и медалями.

Научная деятельность Захария Николаевича Ванеева обширна. Им написаны не только отдельные монографии по разным периодам истории и этнографии Осетии, но и множество статей, опубликованных в Известиях Юго-Осетинского научно-исследовательского института и на страницах периодической печати. В его научном архиве много неопубликованных исследований.

Круг научных интересов З. Н. Ванеева широк. Его перу принадлежат ценные исследования почти по всем периодам истории Осетии. Ему принадлежит ряд работ по проблеме этногенеза осетин :«Исторические известия об аланах-осах», «К этногенезу осетинского народа», «Народное предание о происхождении осетин», «Средневековая Алания» и др. З. Н. Ванеев на основе глубокого анализа древних письменных источников доказывает этногенетические связи осетин с ирано-язычными скифо-сармато-аланскими племенами, выступая против сторонников теории, отрицающей идентичность кавказских алан и осетин. По его мнению в этнический состав предков осетин входил вместе с аланами и аборигенный кавказский элемент, причем из этих двух элементов победил аланский (иранский) элемент, что выразилось в основном в сохранении осетинами иранского языка.

З. Н. Ванеев впервые научно осветил проблему средневекового аланского государственного образования с его социально-экономическим строем. Автор в «Средневековой Алании» исследует социально-экономический и политический строй средневековой Алании, а также культуру и дальнейшую ее судьбу. Автор доказывает идентичность средневекового аланского и овского царств на основе сопоставления известий источников, в коих один и тот же народ называется аланами (в одних источниках) и осами, ясами, асами (в других), данных топонимики на территории Алании, в которой сохранились следы пребывания здесь осетинского языка, лингвистических данных в письменных источниках, в которых автор главным считает аланские фразы в книге византийского писателя Цеца (XIIв.) «Теогония», представляющие собой осетинские фразы.

При исследовании экономики средневековой Алании автором использованы как письменные источники, так и богатый могильный инвентарь. По его мнению при господстве натурального хозяйства скотоводство составляет важнейшую отрасль хозяйства, но существует и земледелие. Охота и пчеловодство имеют известное значение в хозяйстве алан. Могильный инвентарь свидетельствует о наличии в Алании местной ремесленной культуры.

Внутренний обмен мало развит, значительно развита внешняя торговля со странами Запада и Востока (с Закавказьем, с Сасанидским Ираном, арабским Востоком, с Византией, итальянскими республиками).

Касаясь проблемы социальной структуры средневековой Алании, З. Н. Ванеев считает бесспорным, что средневековое аланское общество в значительной степени сохранило черты патриархального быта, но в нем уже возникли классы-сословия, зародились процессы феодализации, которые не достигли ступени развитого феодализма с наличием крепостничества. Господствующим классом было сословие алдаров. Алдары — это родово-племенная знать, обнаружившая тенденцию превратиться в класс феодалов. Во главе этой знати стояли аланские «властодержцы» византийских писателей или овские «цари» грузинских летописей. Масса на-

селения — лично свободные общинники. Самый низший класс населения — рабы.

Автор показывает, что средневековая Алания представляла собой сравнительно сильное политическое образование, о чем свидетельствуют византийские, арабские, хазарские, грузинские источники. Строй этого политического образования — это строй военной демократии. Аланский царь, носивший титул багатара, прежде всего и главным образом был военным вождем. Это племенное объединение еще не представляет, по мнению З. Н. Ванеева, крепкого централизованного государства. После нашествия монголов, а потом Тамерлана оно распадается.

З. Н. Ванеев пишет, что в X веке аланы принимают христианство, о чем имеется прямое свидетельство в переписке константинопольского патриарха Николая Мистика с абхазским царем Георгием, оказавшим большое содействие в деле распространения христианства среди алан. Носителем просвещения было духовенство. Образование (духовное) было по преимуществу греческое, письменность греческая, о чем свидетельствует известная Зеленчукская надпись.

Вопросу о времени переселения осетин на южный склон Главного Кавказского хребта. З. Н. Ванеев посвятил свои исследования «К вопросу о двалах и времени переселения осетин на юг» (рукопись) и «К вопросу о времени заселения Юго-Осетии» (Известия ЮОНИИ, вып. III, Сталинир, 1936 г.). По его мнению отдельные случаи эмиграции осетин на юг можно датировать IV, VI, VIII, XIV веками. Но предки современных южных осетин переселились в Юго-Осетию в XV — XVI столетиях, в тот исторический период, когда эта горная страна была оставлена прежним населением, спустившимся в долины Грузии, где после неоднократных нашествий монголов народ убавился.

Общественный строй осетин давно привлекал внимание З. Н Ванеева. Еще в 1926 году он написал работу «Индивидуализм и коллективизм в родовом быту осетин», а в 1956 году в Тбилиси вышла его работа «Из истории родового быта в Юго-Осетии». В этих трудах З. Н. Ванеев на основе анализа большого этнографического материала приходит к выводу, что социальная система родового быта осетин была основана на сочетании принципа родового коллективизма и элементов уже давно возникшего индивидуализма. Автор говорит, что, несмотря на возникновение частной собственности в сфере землевладения, у осетин долго сохранялись пережитки первобытного коллективизма, что выражалось в праве преэмции и праве выкупа земли при продаже.

З. Н. Ванеев подробно характеризует пережитки патриархально-родового быта у осетин с широким привлечением сравнительного материала. В число этих пережитков автор включает наименование родственной группы от имени предка, взаимную помощь членов родственного объединения и защиту своих интересов, кровную месть, экзогамию, наличие родовой башни, родового святилища, родового кладбища. З. Н. Ванеев считает, что осетинский патриархальный род в свое время являлся реально существовавшим кровным союзом и что всякие рассуждения о том, что родоначальниками родов в их первоначальном виде были мифические лица или герои, объединившие под своим именем различных по происхождению людей, не применимо к осетинской действительности, равно как и утверждение, что тотем превращается в предка. Автор говорит, что почти в каждом родственном объединении старики хранили в памяти свою родословную, своего отдаленного реального предка.

По сведениям З. Н. Ванеева структура осетинского рода характеризовалась во многих случаях наличием широких и более тесных род-

ственных объединений—автор условно называет фратриями. З. Н. Ванеев отмечает, что каждая родственная группа у осетин делилась на отдельные колена или ветви, которые назывались «фыды-фырт». Этот родственный коллектив М. О. Косвен назвал патронимией при изучении родовых порядков у южных осетин. М. О. Косвен и З. Н. Ванеев дают характеристику этой родственной группы, указывая, что она возникла в результате распадения разросшихся семейных общин на отдельные дворы, что данная родственная группа имела территориальную общность, элементы хозяйственной общности и идеологического единства. З. Н. Ванеев утверждает, что экономическая основа — форма землевладения в патронимии давно утратила коллективистические черты.

З. Н. Ванеев наряду с пережитками родовых общин в Юго-Осетии характеризует соседскую общину, подчеркивает, что в соседской общине многие пережитки родового быта и связанные с ним институты сохранились, но соседская община существенным образом отличается от родовой общины, что она является более сложной общественной формой, чем последняя, что личность в соседской общине одновременно является членом родственного коллектива и сельской общины, что в последней меньше внутреннего единства и больше простора для возникновения и развития антагонистических отношений между общинниками, что в конечном результате в сельской общине устанавливается определенный более или менее устойчивый мирный социальный порядок.

Большое внимание уделял З. Н. Ванеев изучению форм семьи и брака у осетин. Автор характеризует юго-осетинские семейные общины на конкретных примерах. Он указывает на основные черты семейной общины: коллективная собственность на средства производства, коллективное производство и потребление при совместной жизни семейных братьев во главе с отцом или старшим из братьев. З. Н. Ванеев подчеркивает, что осетинской семейной общине было чуждо выборное начало главы семьи. Автор говорит и о причинах распада семейных общин. Касаясь брачных отношений у осетин, З. Н. Ванеев указывает на ряд связанных с заключением брака обычаев: плата за невесту (ирад), похищение невесты, левират.

Захарий Николаевич в своих трудах освещает и феодальный период. В монографии «Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке (Сталинир, 1956, 25,5 п/л) он подробно характеризует социально-экономическое положение крестьян Юго-Осетии в XIX веке в условиях феодально-крепостнического строя Грузии и колониальной политики царизма. Автор показывает, что юридическое основание, на котором держалось крестьянское землепользование в помещичьих владениях в Юго-Осетии не всюду были одинаковы. В этом отношении различались несколько категорий крестьян: к первой категории он относит крестьян ущелья Б. Лиахвы, живших во владениях князей Мачабели, которым, несмотря на мощную поддержку русского царизма и многократные жесткие репрессии против восставших крестьян, не удавалось достигнуть своей заветной цели — установить прочный крепостнический порядок в отношении крестьян, поскольку в массе своей последние не только отстаивали свою личную свободу, но даже отказывались отбывать кн. Мачабеловым какие бы то ни было повинности. «...Феодально-крепостнические отношения во владении князей Мачабели за исследуемый период в процессе классовой борьбы обнаруживали двойственный противоречивый характер — с одной стороны они выступают как правомерный с точки зрения господствующего класса феодалов порядок, существующий не только номинально, но по меньшей мере, временами или местами реализуемый вооруженной силой, и с другой

стороны, эти отношения сводились на нет почти беспрерывным сопротивлением крестьян и их столь часто повторявшимися восстаниями. Здесь столь ярко выражается диалектика классовой борьбы» (стр. 76).

Другими крупными феодалами в Юго-Осетии были Эристави-Ксанские, лишенные царем Ираклием II ксанского имения, переданного позднее казне. Но Эристави-Ксанским удалось вернуть через сенат в 30-х годах прошлого столетия свои помещичьи права, и крестьяне обязывались отбывать помещикам повинности.

Помимо крупных владений, принадлежавших князьям Мачабели, Эристави-Ксанским, отдельные селения Юго-Осетии принадлежали разным другим владельцам. З. Н. Ванеев приводит перечень отбываемых повинностей в разных помещичьих владениях.

Ко второй категории крестьян автор относит хизан — это крестьяне, жившие на помещичьей земле и отбывавшие помещику феодальные повинности, но сохранившие, в отличие от крепостных, личную свободу.

З. Н. Ванеев отмечает, что термин хизан дает указание на происхождение этой категории крестьян. «Слово хизан в переводе означает приютившийся. Хизаны — это крестьяне, покинувшие своего прежнего владельца — помещика, либо владение казенное или церковное и нашедшие «приют» на землях другого землевладельца» (стр. 99).

Автор подробно говорит об отношениях между помещиками и хизанами, о правах и обязанностях хизан и помещиков, которые регулировались или личными договорами или обычаем. З. Н. Ванеев указывает, что обычное право установило характерные особенности хизанского состояния: личную свободу хизана, бессрочность пользования помещичьей землей. Хизан мог свободно покинуть помещика.

Положение хизан как в отношении размеров землепользования, так и видов и объема их повинностей был разный по приводимым З. Н. Ванеевым данным. З. Н. Ванеев отмечает, что большинство хизан в бывшей Тифлисской губернии были осетины.

Следующую категорию крестьян составляют государственные (казенные) крестьяне. З. Н. Ванеев показывает процесс образования данной категории крестьян, указывая, что после присоединения Грузии к России многие грузинские царевичи в Грузии стали на путь борьбы против русского владычества. Многие из них были переселены в Россию, а некоторые уехали за границу, их земли перешли к государству и крестьяне, жившие на них, стали казенными крестьянами.

Казенные деревни имелись в разных местах Юго-Осетии, но большинство из них, как об этом говорит автор, находились в районе Гераского ущелья. Автор останавливается на перечне податей, отбываемых государственными (казенными) крестьянами.

З. Н. Ванеев показывает героическую освободительную борьбу крестьян Юго-Осетии против всех видов гнета и эксплуатации. В его труде впервые по архивным источникам освещаются крестьянские восстания 1807 — 1808, 1812 — 1813, 1820, 1848 и 1850 годов, соблюдая критический подход к этим источникам.

Автор излагает события в связи с общим развитием России в XIXв., подчеркивает и вскрывает на конкретном материале огромное прогрессивное значение присоединения Грузии к России. Вместе с тем в работе правильно освещается и реакционный характер колониальной политики царизма в Грузии, и, в частности, в Юго-Осетии, увязывает историю исследуемых им вопросов с историческим развитием Грузии в целом.

З. Н. Ванеев в своей работе подробно говорит об отмене крепостного права в Грузии в 1864 — 1865 годах, об особых условиях крестьянской реформы в нагорных частях Тифлисской и Кутаисской губерний,

о крестьянском хозяйстве в Юго-Осетии в пореформенный период и о классовой борьбе крестьян. Автор подчеркивает совместную непримиримую освободительную борьбу осетинских и грузинских крестьян против помещиков и царского колониального режима, указывая на то, что, несмотря на жестокие подавления крестьянских восстаний, они каждый раз вспыхивали с новой силой.

З. Н. Ванеев на примере борьбы юго-осетинских крестьян показывает, что, несмотря на поражение отдельных крестьянских восстаний, борьба крестьян всюду подрывала устой феодально-крепостнического строя, крестьянские массы Юго-Осетии были надежным союзником пролетариата в общем революционном движении.

З. Н. Ванеев изучал и историю революционного движения в Южной Осетии. Он первый дал научный анализ истории революционного движения 1905 — 1907 годов в Южной Осетии, осветив вопросы проникновения революционных идей в деревню и возникновение социал-демократических групп в своей работе «Революционное движение 1906 — 1907 гг. в Юго-Осетии» (Известия ЮОНИИ вып. VII, Сталинир, 1955, 1,5 п/л.).

Автор указывает, что впервые марксистские идеи вносит сюда известный соратник И. В. Сталина Ладо Кецховели, проводивший в Джавском районе подпольную агитационно-пропагандистскую работу.

З. Н. Ванеев показывает, что уже с 1903 года в Южной Осетии возникают социал-демократические группы (в Цхинвали, Джаве, позже в Ванати), которые вели агитационно-пропагандистскую работу среди населения. З. Н. Ванеев говорит о роли Цхинвальского бюро Карталинской организации РСДРП в революционной борьбе трудящихся масс, о значении большевистского руководства Кавказского Союзного комитета РСДРП.

Автор показывает роль революционных крестьянских комитетов в борьбе крестьян с помещиками, а также значение боевых революционных дружин «красные сотни» в революционной борьбе 1905 — 1907 годов.

З. Н. Ванеев подчеркивает, что красные сотни были теми боевыми организациями, которые вели за собой крестьянские массы по пути к вооруженному восстанию. В состав их входили наиболее сознательные отважные, самоотверженные люди из рабочих и в массе своей из крестьян. В работе говорится о том, что на территории нынешней Юго-Осетинской автономной области организовались три красные сотни: Цхинвальская (во главе с Корнелием Касрадзе), Корнисская (во главе с Шакро Валиевым) и Ксанская (во главе с Васо Хубаевым), они имели тесную связь с Горийской красной сотней. Автор показывает борьбу красносотенцев против существующего строя, а также расправу с ними после поражения московского декабрьского вооруженного восстания. Карательные отряды применили крайние меры по отношению к красносотенцам, были убиты их главари: Шакро Валиев, Васо Хубаев, Дмитрий Човелидзе, Ила Гундиашвили, Антон Дриаев, Васо Тибилов, Того Хачиров и многие другие из краносотенцев были сосланы.

З. Н. Ванеев останавливается на причинах поражения революции 1905 года и указывает, что, несмотря на поражение, революция 1905 года, в которой рабочий класс и крестьянство получили политическое и боевое воспитание, имела огромное историческое значение, она подготовила торжество Великой Октябрьской социалистической революции.

З. Н. Ванеев в работе «Из истории борьбы трудящихся Юго-Осетии за советскую власть» (в соавторстве с П. В. Догузовым, Сталинир, 1957, 3,5 п/л) показал героическую борьбу трудящихся Юго-Осетии в восстаниях 1918, 1919, 1920 годов, в которых совместно выступали крестьяне грузины и осетины во главе с Юго-Осетинским окружным комитетом и

Юго-Осетинским подпольным Ревкомом с участием коммунистического союза молодежи «Спартак» за установление Советской власти в Юго-Осетии. Борьбу трудящихся Юго-Осетии авторы книги показывают в тесной связи с борьбой трудящихся всей Грузии против меньшевиков. В книге показано руководство Кавказского Краевого Комитета РКП(б) революционной борьбой трудящихся всей Грузии, подготовка всеобщего вооруженного восстания в Грузии и провозглашения Советской власти в Грузии.

В период борьбы трудящихся Юго-Осетии З. Н. Ванеев сотрудничал в большевистской газете «Горская беднота». В своих статьях он разоблачал контрреволюционную политику меньшевиков и их зверства при разгроме Юго-Осетии после восстания 8 июня 1920 года. Одна из его статей заканчивалась словами: «Героическая Юго-Осетия ввергнута в великое несчастие, она переживает глубокие страдания, тяжкие испытания... но мы верим, будет день, когда революционная Юго-Осетия опять воспрянет духом и явится в новом блеске, в сиянии торжествующей революции».

В научной продукции З. Н. Ванеева большое место занимает история советского периода. В своих работах: «Революционная земельная реформа в Юго-Осетии», «Народно-хозяйственные проблемы Юго-Осетии во 2-м пятилетии» (ИЮОНИИ, вып. II. Сталинир, 1935), «Сплошная коллективизация сельского хозяйство в Юго-Осетии» автор освещает вопросы народного хозяйства Юго-Осетии, историю революционных преобразований в деревне за годы Советской власти. Им опубликовано специальное исследование тех изменений, которые произошли в быту колхозной деревни (ИЮНИИ АН ГССР, вып. VII, Сталинир, 1955).

З. Н. Ванеев является одним из первых в научной разработке осетинского нартского эпоса. Он считает, что эпос каждого народа отражает его прошлый культурный и социально-экономический быт и поэтому в какой-то мере является историческим источником. В работе «Общество нартов» (опыт социально-исторического анализа нартовских сказаний), опубликованной во II вып. ИЮНИИ, 1935 г. автор отмечает, что, как ни ярко проявляются черты родового быта в обществе нартов, оно ушло далеко вперед от первобытных чисто патриархально-родовых форм, в нем уже резко выступает социальное неравенство и сословно-классовое расслоение.

З. Н. Ванеев посвятил ряд трудов основоположнику осетинской литературы Коста Хетагурову. Его перу принадлежать статьи «К. Хетагуров как этнограф», «Проблема счастья у К. Хетагурова», «К. Хетагуров о сословных отношениях у горцев Северного Кавказа», «К. Хетагуров о грядущей революции». В статье «Произведения К. Хетагурова как исторический источник» Захарий Николаевич указывает, что большой интерес Коста к истории, в особенности к истории осетинского народа, объясняется не только его патриотизмом, но и пониманием того, что знание истории данного народа и человеческого общества в целом дает взгляд на его настоящее и способствует предвидению будущего. З. Н. Ванеев подробно характеризует и прогрессивные идеи Коста.

Захарий Николаевич снискал глубокое уважение не только как крупный ученый, но и как человек большой культуры. Для него были характерны исключительная скромность и простота, вежливость и внимание. Он постоянно заботился о росте молодых научных кадров.

З. Н. Ванеева характеризовало также исключительное трудолюбие. Он продолжал заниматься исследованием вопросов истории осетинского народа до последних дней жизни.

З. Д. ГАГЛОЕВА

საქართველოში 1976 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

1977 წლის 4—12 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი გასული წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. სესიაზე მოისმინეს ოცდათექვსმეტი მოხსენება. სესია გაიხსნა ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშებით. ნ. ბერძენიშვილის მოხსენებაში (წაიკითხა ლ. წერეთელმა) „შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრითი სამუშაოების შედეგები“ განხილული იყო მდ. კოდორის ხეობაში, აპიანჩის ბღვიმში, ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები. გათხრილია 48 კვ. მ. ფართობი. ძეგლი მრავალფენიანია. შეიცავს ნეოლითურ, მეზოლითურ და ზედაპალეოლითური ეპოქის შესატყვის მასალებს.

წყალწითელას ხეობის ექსპედიციის მუშაობის შედეგებზე ისაუბრა მ. ნიორაძემ. საანგარიშო წელს გრძელდებოდა საკაჟიას მღვიმის გათხრები, გაითხარა 30 კვ. მ. ფართობი. მუსტიეს ფენაში აღმოჩენილია წარმოების ნაშთები, იარაღები (300 ერთეული), რომელთა შორის წამყვანი ადგილი წვეტანებს უკავიათ. ფაუნისტური მასალა წარმოდგენილია: მღვიმის დათვის, მგლის, გარეული ღორის, კეთილშობილი ირმის, ჯიხვის, ბიზონისა და მარტორქის ძვლებით. აღმოჩენილია მუსტიელი ადამიანის, ნეანდერტალელის საძირე კბილი.

ქ. კალანდაძემ განიხილა წყალტუბოს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. ძირითადი სამუშაოები სამ უბანზე წარმოებდა: თეთრ მღვიმეში, საწურბლიას ფარდულში და ნასოფლარ მელოურში. თეთრმღვიმეში გაითხარა ენეოლითური ფენა, რომლის სიმძლავრე 1 მ-ს აღწევდა. მოპოვებულია დიდძალი არქეოლოგიური მასალა: მრგვალძირიანი ფიალა, კვირისტავები, ცხოველთა გამოსახულების ფრაგმენტები, ქაჟისა და ძვლის იარაღები: საფხეკები, საჭრისები, დანები, ისრისპირი, სადგისები, მახათები და სხვ.

მელოურში მიკვლეულია ნეოლითური ეპოქის ადრეული ეტაპის ნიეთები, ხოლო საწურბლიას ფარდულში, სადაც 16 მ² ფართობზე პარირებულ იქნა 20 სმ სისქის არეული ფენა, — ენეოლით-ნეოლითისათვის დამახასიათებელი მასალები.

სამეგრელოს ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიცია, გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით, განაგრძობდა ცხაკაიას რაიონის სოფ. ხორშში გამოვლენილი ნეოლითური ნამოსახლარის შესწავლას. მიკვლეულია კერიანი ხის ნაგებობათა კვალი, მოიხაზა ორი სწორკუთხა ნაგებობის გეგმა. ნივთიერი მონაპოვრიდან აღსანიშნავია ხელსაფქვავის ფრაგმენტი, ნამგლის ჩასართები და სხვ.

მ. გაბუნიას მოხსენება ეხებოდა თრიალეთის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებს. ექსპედიცია საძიებო სამუშაოებს აწარმოებდა მდ. პატარა ბრამის ხეობაში, რომელიც წალკის რაიონში მდებარეობს. ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის ობსიდიანის ნაწარმს შორის წარმოდგენილია ლევალუაზიური ანატკეცები, მცირე ზომის საფხეკები, ლამელები, მუსტიეული წვეტანები, ისრის პირი და მიკროტრაპეცია. ამავე ხეობაში მიაკვლიეს კლდეზე ამოკაწვრის ტექნიკით შესრულებულ ადამიანის და ცხოველის (ნიამორის, ცხენის, აქლემის და სხვ.) გამოსახულებებს. ზოგი მათგანი ქვის ხანას მიეკუთვნება.

გულრიფშის რაიონის სოფ. წებელდასთან, ზემო ლეწსში დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია, ი. ვორონოვის ხელმძღვანელობით, სწავლობდა ადრენეოლითური ეპოქის სანოსახლოს. ნასახლარზე, 150 კვ. მ ფართობზე, დადასტურდა 3 კულტურული ფენის არსებობა. აღმოჩენილია ქაჟისა და ობსიდიანის 500-მდე ნაწარმი. გარდა ამისა, მოპოვებულია ბრინჯაოს ხანის და შუა საუკუნეების მასალები, რომლებიც მეზობელი მთის ფერდობებიდანაა ჩამორეცხილი.

ი. წეინარია თხრიდა გუდაუთის რაიონის სოფ. ოთხარაში გამოვლენილ კრომლეხთან № 1 დოლმენს. იგი აგებული ყოფილა ძველ ნამოსახლარზე. დოლმენს დასაკრძალავად იყენებდნენ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრამდე.

ზ. შატბერაშვილმა მოხსენებაში — „ბედენის სადაზვერვო ექსპედიციის მუშაობის შედეგე-

ბი“ — ძირითადი ყურადღება დაუთმო მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ახალი ხაზის მშენებლობის (დაახლოებით 100 კმ) ზოლის შესწავლას. აღრიცხულ იქნა ოთხ ათეულამდე არქეოლოგიური ძეგლი. თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ახალშენთან, მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, გამოვლენილ ნამოსახლარზე გაეცნენ იქნა საძიებო თხრილი სტრატიგრაფიული ჭრილის მისაღებად. ნამოსახლარს, რომელიც ფეოდალური ხანისა აღმოჩნდა, ბრინჯაოს ხანის ფენები დაუზიანებია. საყურადღებოა, რომ ამ თხრილში აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა. თრიალეთში „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ თანადროული ნასახლარები მანამდე მიკვლეული არ ყოფილა. ექსპედიციამ ბედენის პლატოზე გათხარა ერთ-ერთი გორასამარხი იმ ჯგუფიდან, რომლებიც ბედენის ტბასა და წმინდა თევდორეს ეკლესიას შორის არიან ერთრიგად ჩამწკრივებული. გორა-სამარხის სიმაღლე 2 მ-ია, დიამეტრი 20 მ. ცენტრში განლაგებული იყო ხის ძელებით გადახურული კლდოვან დედაქანში ამოჭრილი ოვალური დასაკრძალავი კამერა. ინჰუმაციური სამარხი გაძარცული აღმოჩნდა. ყურადღებას იპყრობს საწესო ოთხთვალა ეტლის ნაშთები. ეტლის ორსავე ღერძს და ოთხ თვალს დეტალებზე ეტყობა, რომ პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონიათ და საგანგებოდ დაკრძალვისათვის დაუმზადებიათ. დასაკრძალავი ინვენტარიდან აღსანიშნავია ხის სამი გობი და ღრმა ტევადობის ჭურჭელი, კერამიკის მცირე ფრაგმენტების მიხედვით აღნიშნული გორა-სამარხი გ. გობეჯიშვილის მიერ გათხრილ ბედენის ცნობილი გორა-სამარხის თანადროული ჩანს.

გ. მირცხულავას მოხსენება ეხებოდა ღრმახევის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებს. დმანისის რაიონში, საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის ტერიტორიაზე გათხრილ იქნა 27 ქვისა და ორმოსამარხი, რომლებიც ძვ. წ. VIII—VI სს. განეკუთვნება. სამარხების უმეტესობა გაძარცული აღმოჩნდა.

საანვარიშო წელს კვლავ გრძელდებოდა გათხრები მჭადიჯვრის გორა-ნამოსახლარზე (ხელმძღვანელი ლ. წითლანაძე), ნარეკვავის სარწყავი სისტემის მშენებლობის ზოლში. გამოვლენილ იქნა გვიანბრინჯაოს ხანის ნაგებობათა ნაშთები, აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის სამი ჰორიზონტი და 6 სამეურნეო თუ საწესო დანიშნულების ორმო. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მჭადიჯვრის გორანამოსახლარის ქვედა დონის მასალები მიეკუთვნება აღრებრინჯაოს ხანის, მტკვარ-არაქსის კულტურას და ღიდ მსგავსებას ამჟღავნებს შიდა ქართლის სხვა ნამოსახლარებთან (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელა და სხვ.).

დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია, როგორც აღნიშნა რ. აბრამიშვილმა (ხელმძღვანელი), საველე სამუშაოებს აწარმოებდა სამ უბანზე: 1. დიღმის მასივში, თრელეებზე, 2. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის მშენებლობის ტერიტორიაზე და 3. დელისის ნასახლარზე. თრელეებზე გაითხარა ენეოლით-აღრებრინჯაოსა და ფეოდალური ხანის ნასახლარის ნაშთები და გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის სამარხები, საავიაციო ქარხნის მშენებლობის ტერიტორიაზე (ქინძმარაულის ჭუჭის მიდამოები) გვიანბრინჯაო-აღრერკინის სამაროვანი, ხოლო დელისში — ენეოლით-აღრებრინჯაოს ხანის ნასახლარი.

მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები განხილული იყო ო. ღამბაშიძის მოხსენებაში. სოფ. ზველში (ასპინძის რაიონი) გაითხარა ნაწილობრივ დანგრეული, ქვის წრეშემოვლებული გორა-სამარხი, რომლის ცენტრში იდგა ბაზალტის ლოდებისაგან მშრალად ნაგები გეგმაში ოთხკუთხა კრუთაღიანი აკლდამა. ზედა ჰორიზონტებში ადამიანის ძვლებთან ერთად მოპოვებულ იქნა ძვ. წ. II-სა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის მასალა. ქვედა ჰორიზონტში ლითონისა და ქვის იარაღ-სამკაულთან ერთად მოპოვებულია ათეულობით სხვადასხვა ფორმის ჭურჭელი, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპით თარიღდება. აკლდამაში დამოწმებულია დაკრძალვის განსხვავებული წესები: ინჰუმაცია და კრემაცია.

ნ. თუშიშვილის მოხსენებაში „ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“ გაშუქებული იყო ჭალის სამაროვანზე გათხრილი სამარხეული კომპლექსები. ორმოსამარხებში, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება, მიცვალებულები ესვენა მოხრილი კიდურებით, ჭალები მარცხენა გვერდზე, მამაკაცები კი მარჯვენაზე. გათხრილ იქნა კრომლეხი, რომლის ცენტრში აღმოჩნდა ძირითადი სამარხი. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია: კერამიკით (ქოთნები, ჯამები, სადღეველი), იარაღით (ბრინჯაოსა და კაჟის ისრისპირები, ლახტისთავი, უანწრისებური შტანდარტი) და ბრინჯაოს ლაგმებით. სამარხი გვიანბრინჯაოს აღრეული ეტაპით თარიღდება.

შ. ჩართოლანის მოხსენება — „სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“ — შეეხებოდა იმ ძირითად სამუშაოებს, რომლებიც ჯაშალა სოფ. ფხუტრებთან მდებარე გორაზე „სუფი სუკ“-ზე. სულ შესწავლილ იქნა 12 კე. მ ფართობი. გამოირკვა, რომ გორა წარმოადგენს I ათასწლეულის შუახანების გო-

რანაირისახლარს, სადაც სტრატიგრაფიულად სამი სამშენებლო პერიოდი გამოიყოფა. კულტურულ ფენებში მოპოვებულ იქნა: კერამიკა, ქვის სამეურნეო იარაღები, დანაშირებული ხის კონსტრუქციის ნაშთები, სხვადასხვა მარცვლეული (რბილი ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭვავი), ტყის ნაყოფი და სხვა.

ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვები ხუდონიჰესის მომავალი მშენებლობის ტერიტორიაზე, სოფლებში: იდლიანში, ხაიშში, ჭუბერში, აღრიცხულ იქნა ძველი საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობანი, რკინის წარმოების ნაშთები.

საანგარიშო წელს დიდი მოცულობის სამუშაოები ჩაატარა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. კ. ფიცხელაურმა (ხელმძღვანელი) აღნიშნა, რომ ძირითადი სამუშაოები კვლავ ახალმშენებლობებთან იყო დაკავშირებული. ალაზნის ველზე. იორის ხეობასა და პლატოზე, შესწავლილ იქნა მრავალფეროვანი ძეგლები, დაწყებული პალეოლითიდან გვიანი შუა საუკუნეებით დამთავრებული.

ჰაჭუნას ტერიტორიაზე მიკვლეულია მუსტიეული ეპოქის ღია სადგომები, ხოლო სოფ. არაშენდას სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასიღნაღო ღელესთან, სადაც ნამგლის ჩასართების სახელოსნო იყო მიკვლეული, დაიზვერა 1 კმ.×1 კმ. ტერიტორია. აქ, თითქმის მიწის ზედაპირზე, გამოვლენილ იქნა ქაჟის ანატკეცების უამრავი რაოდენობა, ნამგლის ჩასართები, ბრტყელი და ნავისებური ჩასართები, ისრისპირები და სხვა. ნახნავებში ანაკრეფ მასალაში წარმოდგენილია როგორც აღრებრინჯაოს. ასევე გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკა.

მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ლაგოდეხის რაიონის სოფ. წითელგორებთან, მიკვლეულია სამი ერთმანეთთან შეზრდილი აღრესამინათმოქმედო ხანის გორასაცხოვრებელი. ანაკრეფი მასალა: გაპრიალებული ცულები, ძვლის საბრეტები, ქაჟის ისრისპირი — ისეთივეა როგორც ამ ეპოქის სხვა ძეგლებზე, მაგრამ კერამიკა რამდენადმე თავისებურია. ამ ტიპის ძეგლები კახეთში პირველად აღმოჩნდა.

სოფ. შელაანთან, რკინიგზის სადგურიდან 1 კმ-ის დაშორებით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს დანგრეულ იქნა გვიანბრინჯაოს ხანის გორა-სამარხი. გორა-სამარხის ცენტრში თანამედროვე მიწის ზედაპირის დონეზე, აღმოჩნდა ქვაყრილიანი გრუნტული სამარხი, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის აღრეული ეტაპით დათარიღდა. აღრებრინჯაოს ხანის ქვაყრილიანი გორასამარხები მიკვლეულია სოფ. ქისტაურთან. გამოირკვა, რომ ალაზნის ველზე გორასამარხები IV და III ათასწლეულების მიჯნაზე ჩნდება.

საანგარიშო წელს ექსპედიციამ მიაკვლია ოცამდე გორანამოსახლარს (ტყისბოლოსგორა, ნაომარიგორა, რუსისგორა, მურაკები).

მურაკებიდან 300 მ-ის დაშორებით გაითხარა სამი მიწაყრილიანი გორასამარხი, რომლებსაც გვიანი ბრინჯაოს ხანით ათარიღებენ. სამწუხაროდ, სამარხები გრუნტული წყლების დონეზე დაბლა იყვნენ განლაგებული, რაც ართულებდა მათ შესწავლას. ჩვეულებრივ გორასამარხებში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ისინი ესვენენ ხელ-ფეხ მოკეცილი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. კერამიკა წარმოდგენილი იყო ცხვრის თაკებით შემკული ჰურჭლით, რომლებსაც ტალღოვანი ზედაპირი ახასიათებთ. ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს მახვილების იმიტაციები, შუბისპირები, და საბრძოლო ეტლებისა თუ ურიკების თვლების მოდელები. ამ აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გოჭების გორაზე, წითელ წყაროში მოპოვებულ ორადგილიან საბრძოლო ეტლის ბრინჯაოს მოდელთან დაკავშირებით, რომელიც I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.

წითელ წყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის სავარგულებზე გაითხარა შვიდიოდე ორმოსამარხი, რომელიც კოდისხევის შავგუბის სახელით არის ცნობილი. ზოგიერთ სამარხში მიცვალებული ოთხუნვა სარეცელ-საკაცეზე იყო დაკრძალული. ანალოგიური წესი დადასტურდა ჩალიანხევის „C“ სამაროვანზე. ასევე გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში. თექვსმეტი სამარხი იქნა გათხრილი ჩალიანხევის „A“ ნამოსახლარზე, სადაც დადასტურდა სამიარუსიანი სამაროვანი. სამაროვნის ქვედა ჰორიზონტი გვიანბრინჯაოს ხანის აღრეული ეტაპით თარიღდება. სამაროვანზე აღმოჩენილი მასალიდან აღსანიშნავია პასტის ცილინდრული საბეჭდავი, რომელზედაც სიცოცხლის ხის სტილიზებული გამოსახულებაა მოცემული.

სოფელ ენისელის მახლობლად, იქ სადაც მდ. ციცობა ერთვის მდ. ალაზანს, გაითხარა 18 ორმოსამარხი. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი თიხის ჰურჭლით და რკინის იარაღით, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. თანადროული გორანამოსახლარი აღმოჩნდა ყვარელთან, მდ. უგარას მარცხენა ნაპირზე. საველე თხრილმა გამოავლინა ქვის ნაგებობათა კვალი. გადახნულ მიწის ფენაში შეგროვებულ იქნა კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები და რკინის ნივთების (ბრტყელი ცულის, ხანჯლების, მშვილდის, მახვილის) იმიტაციები. აქვე აღმოჩნდა ცხოველთა (ირემი, ხარი, ცხვარი) ბრინჯაოს სკულპტურები, რაც გორის საწესო დანიშნულებაზე მიუთითებს.

საანგარიშო წელს გრძელდებოდა სამუშაოები ვანის წარსულის [illegible]. აქ გაელებულმა თხრილებმა და მოპოვებულმა მასალამ დაადასტურა, რომ იგი X საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ექსპედიციამ სათანადო ღონისძიება მიიღო ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს დაზიანებული ძეგლების ვადასარჩენად. მოამზადა მომავალი წლისთვის გასათხრელი ობიექტები.

აფხაზეთში, მ. ბარამიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა სადაზვერვო ექსპედიცია, რომელიც სწავლობდა ახალშენებლობათა ზონაში განლაგებულ არქეოლოგიურ ობიექტებს. ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა 42 ახალი ძეგლი, რომელთა უმრავლესობას განადგურება ემუქრებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფ. ათარას (ოჩამჩირის რაიონი) ენეოლითური ნამოსახლარი, რადგან აფხაზეთის მთისწინა ზოლში ამ ტიპის ძეგლი პირველად აღმოჩნდა. მდ. გუმისთას, მარჯვენა მეორე ტერასაზე გავლებულმა თხრილმა დაადასტურა ბრავალფენიანი ნამოსახლარის არსებობა. ღია ყავისფერი, ნაპრიალებზედაპირიანი, შევრონებითა და ფესტონებით შემკული კერამიკა შუა ბრინჯაოს ხანისაა, ნამოსახლარზე გვხვდება მოგვიანო ეპოქის (გვიანბრინჯაო, ელინიზმი) მასალებიც. მრავალფენიანი ნამოსახლარები გამოვლენილია გულრიფშსა და თამმიშში, ხოლო დიუნური ნასახლარი გუდავასა და ოჩამჩირეში. სოხუმში, წითელი შუქურის სამაროვანზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოირკვა, რომ აქ გვიანბრინჯაოს ხანაში არსებობდა დასახლება. ნასახლარის ფენის ქვეშ გაითხარა ხუთი ორმოსამარხი. მიუხედავად ჩონჩხის ცუდი დაცულობისა გაირკვა, რომ მიცვალებულები მარჯვენა გვერდზე დაუკრძალავთ, თავით ჩრდილო-დასავლეთისკენ. სამარხები ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისით თარიღდება.

სოფ. სტირფაზში (სამხრეთ ოსეთი) ბ. ტეხოვის მიერ გათხრილი იყო ე. წ. № 11 კრომლეხი, რომლის დიამეტრი 10 მ-ია. კრომლეხი შეიცავდა ხუთ სამარხს და ერთი ოჯახის წევრებს ეკუთვნოდა. მიცვალებულები ესვენა ხელ-ფეხ მოკეცილი, მამაკაცები მარჯვენა, ქალები კი მარცხენა მხარეს, დამხრობა ნებისმიერია. მიცვალებულებისათვის ჩაუტანებიათ ხარისა და ცხვრის თავ-ფეხი, ხოლო № 3 სამარხში, რომელშიც გოგონა იყო დაკრძალული, ბატკნის ძვლები აღმოჩნდა. სამარხის ძირი ღორღნარევი მიწით იყო მოფენილი, მიცვალებულებს გარშემო შემოწყობილი ჰქონდათ წერილი ქვები, ოხრის ნატეხები და ნახშირი.

სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო: კერამიკით, ზოგიერთი ჭურჭელი სპეციალურად იყო დაზიანებული ბრინჯაოს სამკაულებით, იარაღით (შედგენილტარიანი ბრინჯაოს ხანჯლები და შუბისპირები). კრომლეხი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ათასწლეულის დასაწყისით.

მ. გუნბამ სესიას მოახსენა გალის რაიონში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლის შესახებ, რომელიც არსებული მონაცემების მიხედვით შესაძლოა ნამოსახლარს წარმოადგენდეს. მისი შესწავლა მომავალი წლისთვის არის დაგეგმილი.

სესიის მუშაობის მესამე და მეოთხე დღე დაეთმო ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის შედეგებს. ა. ბოხოჩაძემ წაიკითხა მოხსენება „ნასტაკისის, მცხეთის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები". სოფ. აღაიანის ტერიტორიაზე ჩატარდა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები, გაითხარა ორმოსამარხები, კატაკომბური ტიპის კრამიტსამარხი, ხოლო რიყიანების ველზე — გვიანელინისტური ხანის ნამოსახლარი, თავისივე მარნით. ძალისის ნაქალაქარზე გაგრძელდა ტაძარ-სასახლის კომპლექსის გამოვლენა. გაითხარა მოზაიკური იატაკიანი დარბაზის დასავლეთით მიბმებარე ორი დიდი სენაკი, დერეფანი და ორი სენაკის ნაწილი. გათხრილი ფართობის =375 მ². გათხრებით გამოვლენილი ნაშთები ქალაქის არსებობის დასასრულს უკავშირდება. ყველა სათავსში 0,5 მ სისქის ნაცარ-ნახშირის, კერამიკის ნატეხებისა და დანგრეული ალიზის ნარჩენებისაგან წარმოქმნილი ფენა იყო. ძლიერი ცეცხლისაგან კრამიტი და ალიზი გადამდნარ-გადადუღებულა. გათხრების დროს აღმოჩენილი იყო საკმაო რაოდენობის კერამიკული მასალა, მინის ჭურჭლისა და სარკმლის მინის ნატეხები.

1976 წელს განახლდა ნაქალაქარ სარკინეს არქეოლოგიური შესწავლა. ა. ბოხოჩაძემ გათხარა 35 მ-ის სიგრძისა და 150 მ სიგანის ტერასა, სადაც 0,5—3 მ-ის სიღრმეზე, ნაყარი მიწის ქვეშ აღმოჩნდა კრამიტყრილის ფენა, რომელიც ახ. წ. I—III დათარიღდა. ეს ფენა, მისი აზრით, ზემოდან იყო ჩამოცურებული. ამ კრამიტყრილის შემდეგ, 0,5—1 მ სისქის სტერილური ფენის ქვეშ კვლავ აღმოჩნდა კრამიტყრილი, რომელიც აქ მდგარი ნაგებობის ჩამოქცეულ სახურავს წარმოადგენდა. ნაგებობის სიგრძე 30 მ, ხოლო სიგანე 7 მ ყოფილა. ნაგებობა შეიდი სენაკისაგან შედგებოდა და აგებული იყო მშრალად, კლდის ნაგლეჯი ქვებით. გათხრების შეღეგად აღმოჩნდა ოქროს ვარაყიანი, მოზარნიშებული თასის ნატეხები, მოზრდილი წითელლაკიანი ლანგრის ნატეხები, მათარა, ამფორისკი, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს გარსაკრავები, სამწახნაგა ისრის პირები, აქატის თხელი ფირფიტები, კაპიტელი და ბაზები. ძირა ფენის

მასალები ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევრით თარიღება, ხოლო ზედა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნით.

20 წლის შემდეგ განახლდა გათხრები „გრძელ მინდორზე“, ა. ბოხოჩაძემ აღნიშნა, რომ საძიებო თხრილები გაველებულ იქნა II—IV ტერასებზე. მეორე ტერასაზე გაველებულ თხრილში აღმოჩნდა ნაგებობის ნაშთები და ქვეერსამარხი. მესამე ტერასის მესამე თხრილში აღმოჩნდა კოლხური ქვეერები, ნაგებობის ნაშთები და კრამიტყრილი. გამოვლენილი მასალები ძვ. წ. IV—III სს. მიჯნას განეკუთვნება.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებს შეეხო თ. მიქელაძე. ექსპედიცია კოლხეთის დაბლობის ოთხ უბანზე აწარმოებდა სამუშაოებს: მდ. რიონის მარცხენა ტერასა და სიმაგრის ნასახლარი, ანაკლიას დიხაგუძუბა, ნამჭედური და ურეკის სამაროვანი, გარდა ამისა ჩატარდა დაზვერვები მცირე მასშტაბის გათხრებით ს. ლეხაინდროში (გეგეჭკორის რაიონი), ურეკის ზღვის სანაპირო ზოლში, ცხენისწყლის ხეობაში და სხვა.

ძველი ფასისის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით, ქალაქ ფოთის აეროდრომის ტერიტორიაზე, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გეოფიზიკური მეთოდებით დაზვერვის კათედრასთან ერთად ჩატარდა გარკვეული სამუშაოები. გეოფიზიკოსები ძირითადად იყენებდნენ გრავიდაზვერვის მეთოდს. ელექტროდაზვერვას, სეისმოდაზვერვას კომპლექსში უნდა დაეზუსტებინათ აღმოჩენილი არქეოლოგიური კომპლექსების კონტურები. გეოფიზიკურ დაკვირვებათა ქსელით დაფარული იქნა 2010 კვ. მ ფართობი. საძიებო ტერიტორიაზე რამდენადმე დიდი არქეოლოგიური ობიექტები დადასტურებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა გეოფიზიკური მეთოდების გამოყენება ფასისის ძიების მიზნით პერსპექტიული ჩანს.

გორა-ნამოსახლარი ნამჭედური (ქობულეთი-ფიჭვნარი) მრავალფენიანი ძველკოლხური ნამოსახლარია. საანგარიშო წელს ძირითადი ყურადღება დაეთმო სტრატიგრაფიის საკითხებს. გამოირკვა, რომ II ფენის ქვედა ჰორიზონტი ადრეანტიკურ ხანას განეკუთვნება. მასალა წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული კერამიკით. მესამე ფენაში გვხვდება ცეცხლში გადამწვარი ბათქაში და ადგილობრივი კერამიკის ფრაგმენტები, ხელსაფქვავები, ქვასანაყები, ჩამოსასხმელი ყალიბები.

კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი თ. მიქელაძე) კვლევა-ძიების ძირითადი ობიექტი იყო სოფ. ურეკში გამოვლენილი სამაროვანი, რომელსაც მშენებლობის გამო განადგურება ემუქრებოდა (მშენებლებს აქ სილის კარიერი ჰქონდათ მოწყობილი). სამაროვანზე გაითხარა ქვაყრილების ფენა, რომლებსაც ცეცხლის კვალი ეტყობოდა. ქვაყრილები შეიცავდა არეულ კერამიკას, დაჭუცმაცებულ ძვლებს და ლითონის ცალკეულ ნივთებს. ურეკის სამაროვანზე ძირითადად გვხვდება კოლექტიური ორმოსამარხები. სამარხეული ორმო ოვალურია. ძვლები არ გვხვდება, ცალკეული ბლილებისა და დამწვარ-დანახშირებული ფრაგმენტების გარდა. თითოეული ორმო ეკუთვნის ერთ ოჯახს ან გვარს. ორმოები დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა სამარხად და ამის გამო, როგორც აღნიშნა მომხსენებელმა, ჭირს ცალკეული კომპლექსების გამოყოფა. მაგალითად, № 3 სამარხეულ ორმოში შეიძლება 23 კომპლექსიც კი იყოს. სამარხეული კომპლექსი წარმოდგენილია: ბრინჯაოსა და რკინის იარაღით, სამკაულებით. კერამიკა იშვიათი გამონაკლისის გარდა არ გვხვდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს საკულტო დანიშნულების სკულპტურები, კერძოდ ქალღმერთის გამოსახულება ბავშვით ხელში. სამაროვანი ძვ. წ. VIII—VII სს. თარიღდება.

პიტიუნტის არქეოლოგიურ გათხრებზე ისაუბრა გ. ლორთქიფანიძემ. ძირითადად ყურადღება გამახვილებული იყო 1976 წლის № 2 კოშკსა და მასთან დაკავშირებული ე. წ. თაღდაცვით ნაგებობათა მეორე რიგის ახლად გამოვლენილი გალავნის კედელზე. კოშკი № 2 გალავნის ხაზიდან წინ წამოწეულია 13 მ-ის სიგრძეზე. კედლების სისქე 1,30 მ-ია. კოშკისა და გალავნის კედლები კირხსნარით ყოფილა შელესილი. № 2 კოშკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, გალავანთან მიერთების, 1,10 მ-ის მონაკვეთზე დადასტურდა კოშკის დასავლეთი კედლის რემონტის კვალი, რომელიც მისი კონტრფორსების ხანას, ახ. წ. V—VI სს. უკავშირდება. კოშკის შემდგომი შესწავლა საგანგებო სარესტავრაციო სამუშაოების გარეშე შეუძლებელია.

№ 2 კოშკს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს ეკვრის თავდაცვითი ნაგებობის მეორე რიგი, რომლის სისქე 1,60 მ-ია. შურფების მეშვეობით დადგინდა, რომ ეს კედელი ჯერ ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით არის ორიენტირებული და კასტელუმის აღმოსავლეთ კედლის პარალელურია; შემდეგ კი უხვევს დასავლეთ აღმოსავლეთ ხაზზე და № 23 კოშკთან უერთდება კანაბეს გალაეანს. ამ კედლის საერთო სიგრძე 285 მ-ია. შურფებში მოპოვებულია IV—VII სს. საყურადღებო მასალა: კერამიკა, ბრინჯაოს ჰურჭლის ფრაგმენტები, ტყვიის ნიშნებიანი საწონი და სხვა.

გ. ცქიტიშვილის მოხსენება მიეძღვნა კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებს. 1976 წელს გრძელდებოდა სატაძრო კომპლექსის შესწავლა, სამაროვანზე გამოვ-

ლენილ და გათხრილ იქნა რამდენიმე ქვევრსამარხი ძვ. წ. III—II სს.

გვიანანტიკური ხანის ე. წ. მონასტრის სამაროვანი ითხრებოდა სამხრეთ ოსეთში. როგორც ი. გაგლოევმა აღნიშნა, გაითხარა 7 ორმოსამარხი. ხელ-ფეხ მოკეცილი მიცვალებულები დაუსვენებიათ მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, დამხრობა ნებისმიერია. № 6 ქალის სამარხში აღმოჩნდა ცხენის მთლიანი ჩონჩხი. სამარხეული კომპლექსი წარმოდგენილია: თიხის, ლითონის, ძვლის, მინის, სხვადასხვა ნაწარმით, ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძით — სამარხები თარიღდება ძვ. წ. I ს და ახ. წ. I ს.

მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, როგორც ა. აფაქიძემ აღნიშნა, გათხრებს აწარმოებდა „დიდი მცხეთის“ სხვადასხვა უბანზე: კარსნისხევში, ბაგინეთზე, მუხათგვერდთან, არმაზის დასახლებაში, ქ. მცხეთაში, მცხეთის გორაზე, კამარახევში, ფიქრის გორაზე, სამთაროზე, სამადლოზე და სხვა.

კარსნისხევში გაითხარა ძვ. წ. ა. I სს. და ახ. წ. I სს. ნასახლარი, მეთუნეთა საწარმოო უბანი და სამაროვანი (უმეტესად I—III სს. კრამიტსამარხებია წარმოდგენილი). გამოირკვა, რომ კარსნისხევი დედაქალაქობის ხანის მცხეთის ერთ-ერთ ეკონომიკურად დაწინაურებულ უბანს წარმოადგენდა.

ბაგინეთზე, სადაც მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა, აღმოჩნდა გვიანელინისტური ხანის ნაგებობის კარნიზის ნაწილი, რომელზედაც ლომის თაიის რელიეფური გამოსახულება და რვაფურცლოვანი ვარდულია.

მუხათგვერდში, საქართველოს სამხედრო გზის პირზე, ითხრებოდა ადრეფეოდალური ხანის ქვის სამარხები — დიდრონი ფილებით ნაგები ბანურსახურავიანი ქვაყუთები, საოჯახო სამარხები, სადაც ორიდან ოთხამდე მიცვალებულია დაკრძალული.

არმაზის დასახლებაში (ნავთსადენთან) გამოვლენილ იქნა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ნასახლარი და სამაროვანი: სამაროვანზე აღმოჩნდა ოქროს საყურეები, გემიანი ბეჭდები, ვერცხლის სამაჯურები, საკინძები, მინისა და თიხის ჭურჭელი და სხვა.

სვეტიცხოველთან გრძელდებოდა მრავალფენიანი ფეოდალური ნასახლარისა და ანტიკური ხანის სამაროვნის შესწავლა. სამაროვანზე ძირითადად წარმოდგენილია ქვევრსამარხები და კრამიტსამარხები. მოპოვებულია დიდძალი სამარხეული ინვენტარი, რომელიც სინქრონულია არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნისა. ფართოდ გაიშალა მუშაობა სამთაროს მრავალიარუსიან სამაროვანზე, სადაც 200 სამარხი იქნა შესწავლილი: კრამიტსამარხები, კერამიკული ფილებით ნაგები ორმოსამარხები, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, ქვიშაქვის ფილებით ნაგები ბანურსახურავიანი ქვაყუთები. სამარხებში განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა სამკაული: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს თვლები და გემიანი ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, მძივები, მრავალრიცხოვანი ინვენტარი: მინის ჭურჭელი, კერამიკა, მონეტები და სხვა — კარგ საყრდენს იძლევა I—VIII სს. ძეგლების ქრონოლოგიური კლასიფიკაციისათვის.

ექსპედიციის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს სამთაროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ნამოსახლარი. აქ დადასტურდა გეგმაში წაგრძელებული ოთხკუთხედი ფორმის, ქვატეხილით თიხაზე ნაგები, ალიზით შელესილი, თიხატკეპნილი შენობები. სათავსებში აღმოჩნდა ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელები, თახჩები და ღვთაებათა ანთროპომორფულ გამოსახულებებიანი სამსხვერპლო-საკურთხევლები.

ზემოაღწერილის ანალოგიური ნასახლარი გამოვლინდა ნარეკვავის მარჯვენა ნაპირზე, შესართავთან ახლოს.

არაგვის მარცხენა ნაპირზე, კამარახევთან გაითხარა ძვ. წ. IV—III სს. სამოცდაათამდე — ქვამიწაყრილიანი ორმოსამარხები და ქვიშაქვის ფილებითა და ქვატეხილით ნაგები სამარხები. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია იარაღით, სამკაულით, სხვადასხვა ტიპის კერამიკით და სხვა.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია, ო. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, განაგრძობდა ნაქალაქარისა და მისი ე. წ. ურბანიზებული ტერიტორიის გეგმაზომიერ არქეოლოგიურ შესწავლას. ვანის ნაქალაქარზე გათხრები სწარმოებდა რამოდენიმე უბანზე.

ახლელდიანების გორის თავზე ჩატარდა მცირე მასშტაბის გათხრები, სადაც სამხრეთ კალთის გაყოლებაზე გამოვლენილია კედლის ნანგრევები. აქვე კრამიტყრილის აღების შემდეგ გაითხარა ძლიერი ხანძრისგან განადგურებული ორი ნაგებობა, რომლებიც გვიანელინისტური ხანით თარიღდება. ძვ. წ. V—IV სს. განეკუთვნება თირის ქვეშით მოკირწყლული „საწესო მოედანი“. აღმოჩენილი კერამიკა კოლხური წარმოშობისაა (ქვევრები, ქოთნები, ჯამები, ჯიქები). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალის პატარა ტერაკოტული გამოსახულება, რომელიც ასევე ადგილობრივ ნაწარმთა ჯგუფს მიეკუთვნება.

გრძელდებოდა ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის შესწავლა, სადაც ახალ მონაკვეთებზე (117—118) გამოვლენილია ძვ. წ. IV—III სს.

გვიან ელინისტური და ფეოდალური ხანის ძეგლები. ცენტრალური ტერასის ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე, თანამედროვე ზედაპირიდან 1,5—2 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ძვ. წ. II—I სს. ნაგებობათა ნაშთები. თიხატკეპნილი იატაკების დონეზე აღმოჩნდა პირამიდალური საწაფები და წითელლაკიანი კერამიკის ფრაგმენტები. იატაკის დონის ქვეშ აღმოჩნდა რიყისქვისა და ქვიშაქვის კვადრებისაგან ნაგები კედლები.

ამავე ტერასის სამხრეთ ნაწილში გაგრძელდა მოზაიკურიატაკიანი ტაძრის შესწავლა. გაიწმინდა კირხსნარიანი ძველი იატაკის დონე, რომელიც ფარავდა უფრო ადრეული ნაგებობის კედლების ნაშთებს. მოზაიკური იატაკიდან 0,9 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ქვიშაქვის ფილებისაგან შედგენილი ქვის „ყუთი“ 2,50×0,90×0,45 მ-ის, რომლის დანიშნულება უცნობია.

მოზაიკურიატაკიანი ტაძრიდან ჩრდილოეთით აღმოჩენილია შენობის ნანგრევები, რომელიც ხანძარს უმსხვერპლია. აქვეა სიარულისაგან გაცვეთილი კიბის ქვის ფილები, მოზრდილი ქვის კვადრები, ქვათლილების (0,70×0,60×0,56 მ) გროვა, თეთრი კირქვის კორინთული სვეტისათვის ნაწილი შემკული აკანთის ფოთლებით და ქვიშაქვის სვეტის ძირი, ბაზა. ნანგრევები დაფარული იყო ალიზის კედლების ნაშალითა და კრამიტურილით. ზოგიერთი კრამიტი დამღიანია. იკითხება ბერძნული ასოები, თუმცა მათი წარმოშობის ცენტრი — დამზადების პუნქტი უცნობია. სხვა კერამიკა მწირია და წარმოდგენილია გვიანელინისტური ხანის ფრაგმენტებით. თხრილის დასავლეთ ნაწილში ალიზის ნაშალში აღმოჩნდა დიონისეს წრის ღეთაების, ნატურალური ზომის, ტერაკოტული ნიღბის ფრაგმენტები.

ქვედა ტერასებზე ითხრებოდა საკულტო, სატაძრო კომპლექსი. შარშანდელი თხრილი გაფართოებულ იქნა ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით. გამოირკვა, რომ მთელი ფართობი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს თითქმის ღეღაქანამდე იყო გადათხრილი. ცალკეულ ნაგებობათა კედლებიდან მხოლოდ საძირკველიღა გადარჩა.

რიონის ველზე, საყანჩიაში ითხრებოდა ელინისტური ხანის (III—I სს.) ნამოსახლარი, სადაც გამოვლენილ იქნა კიდევ სამი ნაგებობის ნაშთები, რომლებიც კრამიტებით იყო გადახურული. ერთ-ერთი ნაგებობის კედლის უკანა ეზოში(?) იდგა კრამიტებისაგან აგებული, გეგმაში ოთხკუთხა საკურთხეველი. აქვე აღმოჩნდა „მეგარული“ თასის და ტერაკოტული ფიგურის (ეროტი?) ფრაგმენტები. ნაგებობა ორი სათავისისგან შედგებოდა (საერთო ფართობი 42 მ²). საძირკველი რიყის დიდი ქვებისგან იყო ამოყვანილი, კედლები კი ხისწნული, თიხით შელესილი უნდა ყოფილიყო. აქვე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ბათქაშები, ხისწნულების ანაბეჭდებით. სახურავი კრამიტით იყო გადახურული. კრამიტურილის ქვეშ, კრამიტის ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა ამფორის თიხის საცობი, რომელზედაც ბეჭედ-საბეჭდავით აღბეჭდილია ქალის მარჯვენა პროფილი.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მთისძირის რაზმი განაგრძობდა „ადეიშვილების გორის“ ზედა ტერასის აღმოსავლეთ კალთაზე განლაგებული მძლავრი კულტურული ფენების შესწავლას. აქ წარმოდგენილია ადრეანტიკური ელინისტური, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ეპოქების მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალა. გაითხარა ნახანძრალ ნაგებობათა ნაშთები და სხვა.

სოხუმის რაიონში, ეშერას ნაქალაქარზე მუშაობას განაგრძობდა დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია. ექსპედიციის ხელმძღვანელმა გ. შამბამ თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე ახალ აღმოჩენებზე. ნაქალაქარის ზედა ტერასზე მთლიანად გაითხარა სამი სათავსი, № 2 კოშკი და 2 მ-ის სიგანის გალავნის კედლის ნაწილი. დაზუსტდა ნაქალაქარის სტრატიგრაფია, სადაც სამი კულტურული ფენა დასტურდება: ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანელინისტური ხანისა. მათი საერთო სისქე 3 მ აღწევს. კერამიკული ნაწარმის გარდა, აღმოჩენილია ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, ტყეიის საწონი, მონეტები და სხვა.

ქვედა ტერასზე, ელინისტური ხანის სახლის ნანგრევებში აღმოჩენილია ბერძნულწარწერიანი ბრინჯაოს დაფის ნამსხვრევები, ოქროს ფირფიტა და სხვა.

როგორც ა. კახიძემ აღნიშნა, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ა. ინაიშვილის ხელმძღვანელობით საველე კვლევა-ძიება გაშალა ქობულეთის ნეოლითურ ნამოსახლარზე და ციხვნარის ნაქალაქარის ორ უბანზე, ნამჭედურსა და სამაროვანზე. ნეოლითურ ნამოსახლარზე დადგინდა უძველეს ნაგებობათა გეგმა. ნამჭედურის გორანამოსახლარზე შესწავლილ იქნა მე-4 კულტურული ფენა, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება.

ძვ. წ. V ს-ის კოლხურ სამაროვანზე გამოვლენილ იქნა 50 ორმოსამარხი, მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარით. აქ გაითხარა ადრეფეოდალური ხანის 6 სამარხი. ძვ. წ. IV ს-ის ბერძნულ ნეკროპოლზე შესწავლილ იქნა 12 სამარხი, მათ შორის მხოლოდ ერთია

კრემაციული, 22 სამარხი გაითხარა ფიჩვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე.

რ. რამიშვილის მოხსენება მიეძღვნა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებს. ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა 14 უბანზე.

ენეოლით-ადრებრინჯაოს შემსწავლელი რაზმი (მ. ღლონტი) ძირითად სამუშაოებს აწარმოებდა ახალი ჟინვალის ტერიტორიაზე, ქვ. არანისის ნამოსახლარზე, მოპოვებულია დიდძალი კერამიკული მასალა.

ელინისტური ხანის ნამოსახლარზე (რ. რამიშვილი, ც. რობაქიძე), დამთავრდა სამსათავსიანი ნაგებობის გათხრა. მოპოვებულია მრავალრიცხოვანი კერამიკა. ნამოსახლარი ძვ. წ. III—I სს. თარიღდება.

ჟინვალის სამაროვანზე (ვ. ჩიხლაძე) გაითხარა 1 000 კვ. მ. ფართობი. გამოვლინდა 62 სამარხი, მათ შორის 52 ორმოსამარხი. სამარხები ახ. წ. III—VIII სს. თარიღდება.

ახალი ჟინვალის სამაროვანზე (ჯ. წიკლაური) გაითხარა 15 სამარხი, რომლებიც გვიანარმაზული ხანის დასასრულითა და ადრექრისტიანული ხანით თარიღდება.

„ნაქალაქარის“ სამაროვანზე (ბ. ჯორბენაძე, ჯ. წიკლაური) საანგარიშო წელს გაითხარა XI—XIV სს. 64 სამარხი.

ნაქალაქარზე (მარგველაშვილი) გამოვლინდა 21 სათავსი, მათ შორის სახელოსნო დიდი ქურით.

დასრულდა XIII—XIV სს. ნასოფლარის გათხრები დეებიანში, ჟინვალის ჩრდილოეთით (გ. რჩეულიშვილი).

ავენისთან (ზ. კალანდაძე) ითხრებოდა რუსთაველის ეპოქის ნასოფლარი. ისტორიული ძეგლების ნუსხის შესადგენად ექსპედიციამ ჩაატარა საძიებო სამუშაოები (ივ. წიკლაური).

„არქეოლოგიური გათხრები დმანისში“ — ასეთი იყო ვ. ჯაფარიძის მიერ სესიაზე წაკითხული მოხსენების თემა. ექსპედიციამ დმანისის ნაქალაქარზე დაასრულა ორი ნაგებობის (XI და XIII) ვათხრა, რომლებიც მონეტებისა და კერამიკული მასალით კარგად თარიღდება XIII ს-ის პირველი ნახევრით.

გლდანის არქეოლოგიური ექსპედიცია, ვ. ართილაყვას ხელმძღვანელობით განაგრძობდა ადრეფეოდალური ხანის თავკვერის ნასოფლარის შესწავლას. გამოვლენილ იქნა დარბაზული ტიპის სამი ნაეკლესიარი, ოთხი ნაგებობის ნანგრევი და ორი სამარხი ქვაყუთი. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა IV—VII სს. თარიღდება.

სესიაზე მოსმენილ იქნა ნ. უგრელიძის მოხსენება „რუსთაველის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“. ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა რუსთავის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

დაღესტნის გაერთიანებული ექსპედიციის ხელმძღვანელმა გ. ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ დაზვერვითი სამუშაოები სწარმოებდა ავარეთის სამ რაიონში. გამოვლენილია ნაეკლესიარები, ნასახლარები, სამაროვნები, ქართულ კულტურასთან დაკავშირებული ქვაზე და ხეზე კვეთის ნიმუშები, ქვისა და ლითონის ჯერები, მათი გამოსახულებანი კედლის წუობაში.

სოფ. ლიხნთან (აფხაზეთი) „აბაანთის“ ციხის არქეოლოგიური გათხრები, როგორც აღნიშნა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ლ. შერვაშიძემ, ძირითადად შემოიფარგლება ტაძრის სამეკლესიანი ბაზილიკის (15×15 მ) შესწავლით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძეგლი უნიკალურია, სარკმლის ღიობები მოთავსებულა არა ამსიდის წახნაგებზე, არამედ მის წიბოებზე. ყურადღებას იპყრობს დანაყილი აგურის ფართო გამოყენება. ძეგლი თარიღდება VII—VIII სს., X—XV სს. ეკლესია ინგრევა.

გერზეულის ციხის არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები გაშუქებული იყო თ. ბღაჟბას მოხსენებაში. გერზეულის ციხე, ჩხალთის, კლიჩის, წიბილიუმის ციხეებთან ერთად იცავდა ძველ გზას, რომელიც ქლუხორის უღელტეხილს აკავშირებდა ზღვის სანაპიროს.

ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიცია ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით 1976 წელს აგრძელებდა სადაზვერვო და გათხრით სამუშაოებს ვარციხჰესის მშენებლობის ზონაში.

სესია დასრულდა დისკუსია სემინარით, რომელიც მთის ნეოლითის პრობლემებს მიეძღვნა. გ. გრიგოლიამ დაახასიათა მთის ნეოლითური კულტურა მის მიერ ნათხარი მასალის (პალური, ჟირსუკი, ლებიქი) მიხედვით. მთის ნეოლითის კულტურის გავრცელების საზღვრებია აღმოსავლეთით თერგისა და ქსნის, ხოლო, დასავლეთით ბაქსანისა და კოდორის ხეობები. როგორც ტიპოლოგიურად, ასევე გენეტიკურად მთის ნეოლითი მთისვე მეზოლითს უკავშირდება. მთის ნეოლითის დამახასიათებელი ნიშნებია: გვერდრეტუშირებული შვერილიანი იარაღები, გვერდებამოღარული საფხეკები ე. წ. „ლეკალას“ ტიპის იარაღების სიმრავლე, გეომეტრიული ფორმის მიკროლითების ნაკლებობა, ბოლორეტუშირებული საფხეკების სიმცირე, ციცაბო რეტუშირების წამყვანი როლი, კერამიკა და გაპრიალებული რიყის ქვის იარაღები. ეს კულტურა ზღვის დონიდან 900—1800 მ-ის სიმაღლეზე გვხვდება.

ნინო კილურაძე